1. სასერტიფიკატო კურსების, ტრენინგების და გასვლითი ლექცია-სემინარების ორგანიზება;
2. ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრასთან ერთად ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა სახელმძღვანელოსი: S. Robbins, M. Coulter. Management. 12-th edition, Prentice Hall, 2013;
3. ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრასთან ერთად ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა სახელმძღვანელოსი: J. Meredith, S. Mantel. Project Management: A Managerial Approach. 8-th edition, John Wiley & Sons, Inc. 2011;
4. კვლევითი პროექტი: „მწვანე ბიზნესის მართვა“;
5. კვლევითი პროექტი „ეკონომიკისა და ბიზნესის მართვა აშშ-ში“
6. კვლევითი პროექტი საქართველოს ეკონომიკა და დემოგრაფია“;
7. ერთობლივი კვლევითი პროექტი: „საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები“.

სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროექტი „ საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები“

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის, საკუთარ ტრადიციებთან ერთად, აუცილებელია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სათანადო კონცეპტუალური საფუძვლების და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა-გამოყენება სამეურნეო-მმართველობით პროცესში. ამ თვალსაზრისით მეტად სამაგალითოა ისრაელის ეკონომიკური განვითარება, რომლის ბიბლიურ, ისტორიულ, სოციალურ და ეთიკურ კონცეპტუალურ საფუძვლებს ეყრდნობა თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია.

ცენტრს განზრახული აქვს გაშალოს კვლევით მუშაობა ეკონომიკური განვითარების და მართვის ებრაული მოდელის ისტორიულ, თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებზე და მათს სათანადო ადაპტაციაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელის შექმნა-ჩამოყალიბებისა და გამოყენების პროცესში.

სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი თემის ფარგლებში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელები და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი პრაქტიკა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში;

2. ისრაელის ეკონომიკური ისტორია;
3. ისრაელის ეკონომიკური განვითარების ბიბლიური საფუძვლები;
4. თანამედროვე ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის საკანონმდებლო გარემო;
5. ისრაელის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვა და ელექტრონული მთავრობის პრაქტიკა;
6. ისრაელის ეკონომიკის დარგობრივი სექტორები;
7. ბიზნესის განვითარება თანამედროვე ისრაელში. ებრაელი ბიზნესმენების სოციალური და საქველმოქმედო საქმიანობა;
8. ისრაელის სოფლის მეურნეობა. ებრაული სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის – კიბუცების და მოშავების ეკონომიკა და მართვა;
9. ეკონომიკის, ბიზნესის და მენეჯმენტის საფუძვლების სწავლება ისრაელის უნივერსიტეტებში;
10. ებრაელი ნობელიანტი ეკონომისტები;
11. ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ებრაული მოდელი და საქართველო;
12. ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები;
13. გაცვლითი და ერთობლივი სტრუქტურული კვლევები და პროექტები;
14. ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლის ცენტრების შექმნა „ისრაელის სახლში“, „ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესში“, ორივე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდთან, ბიზნესმენტა ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.

ამ პროექტის განხორციელების შედეგად:

- მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და მართვის ოპტიმალური მოდელის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევას და პრაქტიკულ საქმიანობაში მის რეალურ დანერგვას;
- მიზანშეწონილი და შესაძლებელი გახდება შესაბამისი სასწავლო არჩევითი დისციპლინების (მაგ. „ისრაელის ეკონომიკა და საქართველო“, „სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ებრაული მოდელი“, „ქართულ-ებრაული ბიზნეს-ურთიერთობები“, „კიბუცების და მოშავების ეკონომიკა და მართვა“ და სხვ.) შემოღება საქართველოს ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში;
- გზა გაეხსნება სამეცნიერო და სტრუქტურული გაცვლითი პროგრამების ფართო მასშტაბით განხორციელებას;
- გაფართოვდება თემატური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ჩატარების შესაძლებლობები;
- გაღრმავდება ქართველ და ებრაელ ბიზნესმენტა საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები.

ყოველივე ეს კი ძალიან წაადგება ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური, დიპლომატიური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას.

დღევანდელი კონფერენცია ამ კვლევითი პროექტის შემადგენელი ნაწილია და მისი მიზნების განხორციელებას ემსახურება.

ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიასთან. სახელდობრ, დიდ დახმარებას გვიწევს პირადი რუდუნებით მიტროპოლიტი ილარიონი (ქიტიამვილი). გასულ პერიოდში ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება:

1. IV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – მესტია-2008“ (მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, 2008 წლის 25-30 ივლისი);
2. კოსტა-რიკელი სტუმრის მასპინძლობა ცენტრის ოფისში და ვიზიტი სვანეთში, მეუფე ილარიონთან (2013 წლის 13-18 მაისი).

მომავალშიც დაგეგმილია ერთობლივი საინტერესო პროექტების განხორციელება.

მთლიანობაში, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტრუქტურული კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“-ს საქმიანობის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს მის ინიციატივიანობას, ინოვაციურობას, მრავალფეროვნებას, შედეგიანობას და მომავალი გეგმების განხორციელების დიდ პერსპექტიულობას.

Davit Narmania
Giorgi Shikhashvili

Activities and Future Plans of Student Research and Project Center “IDEA” at TSU Faculty of Economics and Business

Abstract

Student research and project center “IDEA” was formed on the base of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Economics and Business, Chair of Management and Administration in 2001 and conducts its activities as faculty’s supporting scientific-research unit.

More than 70 students from bachelor’s, master’s and doctoral studies are members of the center. 9 of them are members of the board and 15 students represent basic personnel.

Among other actual directions center has widen its area of activities including historical, theoretic-methodological and practical issues of the Jewish model of economic development and management and their proper adaptation in the process of formation and implementation of national model for Georgia’s economic development. These initiatives are actively supported by the World Congress of Georgian Jews and Embassy of Israel in Georgia. Implementation of the project will contribute greatly to the research of theoretic-methodological foundations of creation of optimal model for Georgia’s economic development and management and its realization in practice.

Center “IDEA” has close relationships with the Mestia and Zemo Svaneti Diocese of Patriarchate of Georgia. Particularly, we get a big support from Metropolitan Ilarion (Kitiashvili). Previously we conducted several joint activities. This conference also underlines our effective collaboration.

Overall, analysis of activities of student research and project center “IDEA” at TSU Faculty of Economics and Business shows clearly its initiativeness, diversity, effectiveness and prospectiveness of its future plans.

სტუდენტების მოხსენებები Students' presentations

ოთარ აბესაძე
გიორგი კალაიჯიშვილი
ნინო ხარისთვალაშვილი

ისრაელისა და ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები

ისრაელისა და ევროკავშირის მოკლე მიმოხილვა

ისრაელი (ებრ.יִשְׂרָאֵל Yisra'el; ოფიციალურად ისრაელის სახელმწიფო), ქვეყანა სამხრეთდასავლეთ აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ კიდეზე. ესაზღვრება ლიბანს ჩრდილოეთით, სირიას ჩრდილოაღმოსავლეთით, იორდანias აღმოსავლეთით და ეგვიპტეს სამხრეთდასავლეთით და მოიცავს გეოგრაფიულად მრავალფეროვან რეგიონებს მის შედარებით მცირე ტერიტორიაზე. ასევე ესაზღვრება დასავლეთი სანაპირო აღმოსავლეთით და ღაზას სექტორი სამხრეთდასავლეთით. 7,28 მილიონი მოსახლეობით, რომელთა უმრავლესობა ებრაელია, ისრაელი მსოფლიოს ერთადერთი ებრაული სახელმწიფოა. ის ასევე სამშობლოა სხვა ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის უმრავლესობას არაბები და მრავალრიცხოვანი რელიგიური ჯგუფები (მაჰმადიანები, ქრისტიანები, დრუზები, სამარიტელები და სხვ.) წარმოადგენენ.

ისრაელი წარმომადგენლობითი დემოკრატიაა საპარლამენტო სისტემითა და საყოველთაო საარჩევნო უფლებით. პრემიერ-მინისტრი მთავრობის ხელმძღვანელის, ხოლო ქნესეთი ისრაელის საკანონმდებლო ორგანოს დანიშნულებას ასრულებს. ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკა სიდიდით 44-ეა მსოფლიოში. ჰუმანური განვითარებით, პრესის თავისუფლებითა და ეკონომიკური კონკურენტულობით ისრაელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რანგით პირველია. იერუსალიმი ქვეყნის პოლიტიკური დედაქალაქი და ქვეყნის უდიდესი ქალაქია, ხოლო თელ-ავივი – ეკონომიკური ცენტრი.

ევროპის კავშირი (შემოკლებით ევროკავშირი) - ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა. მას 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა ერქვა. მისი წევრია ევროპის 28 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობია 3.892 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა - 455 მლნ. ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროკავშირი წინ უსწრებს აშშ-ს და იაპონიას. გასული ათასწლეულის განმავლობაში ევროპა დანაწევრებული იყო, მაგრამ იდეა მისი გაერთიანების შესახებ მუდამ არსებობდა. ამერიკული რევოლუციის შემდეგ კი გაჩნდა იდეა ევროპის შეერთებული შტატების შესახებ, რომელიც ხელახლა გაცოცხლდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რამაც ყველა ქვეყანაში დატოვა კვალი – ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები. ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს გზებისა და საშუალებების ძიება მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებისათვის. მათ თანდათან გააცნობიერეს ერთიანობისა და მჭიდრო თანამშრომლობის იდეა და დაადგინეს პრინციპულ პოლიტიკას, რომლის მიზანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია, მშვიდობა და უსაფრთხოება იყო.

დასახული მიზნების განხორციელების გზაზე ევროპის სახელმწიფოებმა შეძლეს გვერდი აეგლოთ სერიოზული კრიზისებისა და დაბრკოლებებისათვის, შეენარჩუნებინათ იდეების ხელშეუხებლობა და ურღვევობა. ევროკავშირის ძირითადად მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ადრე ჩათრეულნი იყვნენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში, და დემოკრატიული თანხმობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საერთო მიზნები.

ურთიერთობათა საწყისები

მსოფლიოს ქვეყნებიდან ისრაელი გამოირჩევა ხანგრძლივი, ამბიციური და მდიდარი ურთიერთობით ევროკავშირთან. ევროგაერთიანება არის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორი ისრაელისთვის აშშ-ს შემდეგ (წლიური სავაჭრო ბრუნვა 20.2 მლრდ ევრო ბოლო მონაცემებით). ისრაელი და ევროკავშირი ასევე ატარებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ირანის ბირთვულ ძალასთან დაკავშირებით. ევროკავშირი ისრაელის მოკავშირეა კულტურულ და სამეცნიერო დონეებზეც.

1959 წლიდან ისრაელისა და ევროკავშირის პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ურთიერთობამ დიდი გზა განვლო. რთული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ისრაელმა მრავალი კრიზისი გამოიარა. „ექვს დღიანი ომი“ 1967 წ., ოქტომბრის ომი 1973 წ., ლებანონის ომი და ა.შ. ყველაფრისდა მიუხედავად, ევროკავშირისა და ისრაელის ურთიერთობა მდგრადად განაგრძობდა განვითარებასა და გაღრმავებას.

ისტორიულად ისრაელისა და ევროკავშირის ურთიერთობა საკმაოდ მრავალფეროვანია. მსგავსი კულტურა, რომელსაც უნდა ჩამოეყალიბებინა მეტი ურთიერთგაგება, ასევე მიზეზი გახდა უნდობლობისა და ეჭვის, რადგანაც ძველი იარები ქვეყანას ისევ ამჩნევია. პირველ რიგში განვიხილოთ ისრაელის ურთიერთობა საფრანგეთთან გერმანიასთან და დიდ ბრიტანეთთან, ასევე ის, თუ რა გავლენას ახდენს ამ უძლიერესი წევრების პოზიცია ისრაელისა და მთლიანი ევროკავშირის ურთიერთობაზე.

ისრაელს სპეციალური სტატუსი ევროკავშირის მხრიდან მიენიჭა 1948 წელს, 9 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა ევროპის ეკონომიკური კავშირი. მიუხედავად მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშობილი უდიდესი დაბრკოლებებისა და უნდობლობისა, ისრაელმა მოახერხა ევროკავშირთან ურთიერთობის აღდგენა. ეთნიკური, რელიგიური და კულტურული განსხვავებების მიუხედავად, ისრაელი და ევროკავშირი იცავენ მთავარ დემოკრატიულ იდეებს ადამიანის თანასწორობისა და თავისუფლების შესახებ. ისინი ეყრდნობიან იდეებსა და კანონმდებლობას, რომლებიც უზრუნველყოფს არა მარტო საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობას თითოეული მხარისთვის, არამედ ვრცელდება ინტერნაციონალურ დონეზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ნაცისტების მიერ დევნილი ებრაელები არც ერთმა დასავლურმა სახელმწიფომ არ შეიფარა, ხოლო ისრაელის მიწაზე/პალესტინაში ჩასვლას მათ ბრიტანელები უკრძალავდნენ. ჰოლოკოსტის ფართო მასშტაბი ნაწილობრივ ებრაელთა ამ მიუსაფრობამ განაპირობა. ომის შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოებამ საკმარისი ინფორმაცია მიიღო ჰოლოკოსტზე. მან ისიც შეიცნო, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი მისი გულგრილობის გამო დაიღუპა და ისრაელის მიწა/პალესტინა მრავალ ლტოლვილ ევროპელ ებრაელს შეიკვლევდა ებრაული სუვერენიტეტის შემთხვევაში. ყოველივე ამან საერთაშორისო საზოგადოება დაარწმუნა, რომ საჭიროა ისრაელის მიწის/პალესტინის ნაწილი ებრაული სახელმწიფოსათვის გამოეყო (ქვეყანაში ბრიტანული მმართველობის დასრულებისთანავე).

1947 წლის 29 ნოემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო რეზოლუცია 181, რომლის მიხედვითაც ისრაელის მიწაზე/პალესტინაში უნდა დაარსებულიყო ორი სახელმწიფო: ერთი ებრაელთათვის და მეორე – ადგილობრივი არაბებისათვის.

ებრაული სახელმწიფოს ფარგლებში უნდა მოქცეულიყო ჩრდილო მთავორიანი რეგიონის, გალილეის, აღმოსავლეთი მხარის, ჩრდილოეთის ხეობების, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლის უმეტესი ნაწილი, შუა და სამხრეთ ნეგევის უდაბნოები და აგრეთვე, ნეგევის აღმოსავლეთით მდებარე სტეპი – არავა. ადგილობრივ არაბებს უნდა რეგებოდათ გალილეის დასავლეთი მხარე, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლის სამხრეთი ნაწილი და უკიდურესი ჩრდილო მონაკვეთი, მდინარე იორდანის ხეობა და დასავლეთ ნაპირი (ძველებრაული იუდეა და სამარია), ჩრდილოეთ ნეგევი და ნეგევის უკიდურესი დასავლეთი. იერუსალიმისა და ბეთლემის ურთიერთმოსაზღვრე რაიონებს (ქალაქების ჩათვლით) უნდა შეედგინა გაეროს მფარველობის ქვეშ მყოფი ნეიტრალური ზონა.

1948 წელს, ისრაელის ჩამოყალიბების დღიდან გერმანია (მოწყობილი გენოციდისთვის) და დიდი ბრიტანეთი (პალესტინაში ებრაელების ემიგრაციის შეზღუდვის გამო) მოხვდნენ ისრაელის „შავი ურჩხულების“ სიაში. თავის მხრივ, საფრანგეთი წარმოადგენდა ისრაელის მთავარ სტრატეგიულ მოკავშირეს 1956 წლიდან. მაგრამ 1967 წელს საფრანგეთისა და ისრაელის ურთიერთობაც დაიძაბა ეგვიპტეში განვითარებული მოვლენების გამო. მალევე საფრანგეთი ჩაანაცვლა დიდმა ბრიტანეთმა და ისრაელთან მჭიდრო კავშირები დაამყარა. აღწერილმა არამდგრადმა ურთიერთიერთობამ უარყოფითად იმოქმედა ევროკავშირისა და ისრაელის ურთიერთგანწყობასა და ურთიერთნდობაზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპის კონტინენტიდან ებრაელების განდევნამ და ნაცისტებისა და მათი მოკავშირეების მიერ განხორციელებულმა გენოციდმა ისრაელს დიდი დავი დაასვა. შედეგად ბევრი ებრაელის მოსახრებით „ევროკავშირი სანდო არ არის“, რადგან მისი პოლიტიკური პოზიცია აირეკლავს „ანტი სემიტურ ტენდენციას“. ამიტომ, ისრაელს არ აქვს სურვილი ძლიერ ჩარიოს ევროკავშირი სამშვიდობო პროცესში.

1948-1951 წლებში მოხდა 332000 ევროპელი ებრაელის დეპორტაცია ისრაელის ახალ სახელმწიფოში. დაინიშნა ქვეყნის მიმართ ფულადი კომპენსაცია, რომელმაც შანსი მისცა გერმანიას აღედგინა საკუთარი ლეგიტიმურობა ინტერნაციონალურ სცენაზე. დღესდღეობით გერმანია, ისევე როგორც პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა ინტენსიურად აგრძელებენ ისრაელის დახმარებასა და მისი პოლიტიკური პოზიციის მხარდაჭრას. ამის მიუხედავად, ევროკავშირი მაინც იცავს საკუთარ განსხვავებულ პოზიციას პალესტინასა და ისრაელის კონფლიქტის მიმართებაში.

აღსანიშნავია ისრაელისა და ევროპის საზოგადოების დიდი დემოგრაფიულ სიახლოვე. 2009 წელს „Konrad Adenauer Foundation“-ის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ისრაელის მოქალაქეთა 40 %-ს შეეძლო ევროპის მოქალაქეობის მიღება მათი ევროპული ფესვების წყალობით. ეს მჭიდრო კავშირი არა მარტო დემოგრაფიული საკითხით შემოისაზღვრება – ისრაელის 20 უდიდესი მულტინაციონალური კომპანიის საზღვარგარეთული ფილიალების 48 % ევროპაშია განთავსებული.

წარსული რეალობა და პერსპექტივები ეკონომიკურ ჭრილში

კარგა ხანია, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ახლო აღმოსავლეთში საყოველთაო მშვიდობის თაობაზე შეთანხმების მიღწევის საქმეში თავისი მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. ამ ამოცანის შესრულებაში დასახმარებლად ევროკავშირმა რეგიონში საგანგებო წარმომადგენელი დანიშნა და დასახული მიზნის მიღწევას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთთან მჭიდრო და თანასწორი თანამშრომლობით ცდილობს. ევროკავშირს მიაჩნია, რომ:

- პრობლემის სამართლიანი და ხანგრძლივი პოლიტიკური გადაწყვეტა უნდა გამყარდეს გაერო-ს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე თანამშრომლობისა და რეგიონის ყველა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის მეშვეობით;
- საყოველთაო შეთანხმებისთვის საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება;
- ფართოდ გავრცელებული დაუკმაყოფილებლობის და არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სტაბილური ეკონომიკური აღმავლობა.

ამ თვალსაზრისით ევროკავშირმა თავის თავზე აიღო სათანადო პასუხისმგებლობა – ის არის რეგიონის ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე მრავალმხრივი სამშვიდობო მოლაპარაკებების კონტექსტში. რეგიონის ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფის სამდივნოს (ახლო აღმოსავლეთში მუდმივი რეგიონული ეკონომიკური ინსტიტუტის სახით) დაარსებას ამანში (იორდანია) დიდი როლის შესრულება შეუძლია ეკონომიკური აღმავლობის საქმეში რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობის, ვაჭრობასთან და ინვესტირებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებისა და რეგიონში სატრანსპორტო, ენერგეტიკული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების საშუალებით. დროთა განმავლობაში მას შეუძლია საფუძველიც კი ჩაუყაროს ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკურ ზონას, რომელშიც თავისუფლად იმოძრაებს საქონელი, მომსახურება,

კაპიტალი და მუშახელი. ევროკავშირი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს. ის პალესტინელების უდიდესი დონორია – 1994-1999 წლებში ევროკავშირმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა გრანტებისა და სესხების სახით 1,6 მილიარდ ევროზე მეტი თანხა გაიღეს, რაც მთელი საერთაშორისო დახმარების 60%-ზე მეტს შეადგენს.

ურთიერთობა ისრაელთან უმთავრესად განპირობებულია ორ მხარეს შორის რიგი სავაჭრო შეთანხმებებით და ორმხრივი ასოცირების ხელშეკრულებით, რომელიც 2000 წლის ივნისში შევიდა ძალაში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორ პარტნიორს შორის პოლიტიკური დიალოგის წამოწყებას და დასახა სამომავლო თანამშრომლობის მრავალი სფერო.

ევროკავშირისა და ისრაელის ურთიერთობა გამოირჩევა ორი მიმართულებით:

1. ისრაელს მიკუთვნებული აქვს სტატუსი (vis-à-vis) ევროკავშირის მიერ, რაც მოიაზრებს მათ შორის ურთიერთობის მუდმივ გაღრმავებას პოლიტიკური შეხედულებების განსხვავების მიუხედავად;
2. ევროკავშირის და ისრაელის კავშირი საკმაოდ ცვალებადია. რაც ხანდახან მწვავე კრიტიკაშიც გადადის ორივე მხრიდან. ევროკავშირისა და ისრაელის ურთიერთობა ხასიათდება საკმაოდ წინსვლით განსხვავებულ საკითხებზე დამყარებული შეთანხმების წყალობით.

ისრაელი ევროკავშირის მიერ მოიხსენება როგორც „საზღვრებს დაშორებული რაიონი“ მისი დაბაბული რეგიონული მდებარეობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი არ მიეკუთვნება „ევროპის ეკონომიკურ ზონას“ (EEA) და არ მდებარეობს ევროპის კონტინენტზე, იგი არის საკმაოდ კარგად ინტეგრირებული ევროპის ბაზარზე და ასევე იღებს მონაწილეობას რამდენიმე ევროპულ პროექტში.

1975 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ისრაელს და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ხელშეკრულება მოიაზრებდა გადასახადების შემცირებას განსაკუთრებით ინდუსტრიულ პროდუქტზე და სრულიად გაუქმებას ისრაელის მიერ ევროპაში ექსპორტირებულ სურსათის 70 %-ზე. მას შემდეგ ისრაელსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური ურთიერთობა მუდმივად ვითარდება მიუხედავად ისრაელის ცვალებადი პოლიტიკური მდგომარეობისა.

1994 წელს ესენში ევროკავშირის კონსულის მიერ ისრაელს მიენიჭა „სპეციალური სტატუსი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ისრაელს უნდა მიეცეს პრივილეგირებული სტატუსი, რაც ხელს შეუწყობს მისი ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარებას და რაშიც თვით ევროკავშირია დაინტერესებული. ასეთი გარემოება კი ხელს შეუწყობს მთელი შუა აღმოსავლეთის რეგიონის ეკონომიკის განვითარებას.

შემდეგი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება – „ასოცირების შეთანხმება“ დაიდო 1995 წელს. შეთანხმება ითვალისწინებდა ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც იქნებოდა ისრაელსა და ევროკავშირს შორის სამომავლო ურთიერთობების გაღრმავებისა და ახალი ეკონომიკური პერსპექტივების წარმოშობის გარანტი. ევროკავშირის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კონფლიქტურ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება რაც თავის მხრივ, მშვიდობის გარანტი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ხელშეკრულება განაგრძობს 1975 წლის შეთანხმებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისრაელის მიერ ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქტების 70%-ის ნაცვლად საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებს პროდუქციის 90%.

ჩამოყალიბდა სხვადასხვა საერთო თანამშრომლობის დაწესებულებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ევროკავშირი-ისრაელის ასოცირებული საბჭო. საბჭო იკრიბება წელიწადში ერთხელ, რომელიც განიხილავს ძირითად პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებს ორ მხარეს შორის. ხმელთაშუა რეგიონში ჩამოყალიბებულმა სამართლებრივმა სისტემამ სტიმული მისცა საერთო რეგიონულ სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ისრაელის ეკონომიკის სწრაფი ზრდა დაიწყო ლიბერალიზაციითა და მკაცრი ფისკალური პოლიტიკით, რომელმაც მოთოკა ინფლაცია და შექმნა ქვეყნის ეკონომიკის შედარებით თავისუფალი განვითარების პირობები. 1990 წლამდე ისრაელის ეკონომიკა ითვლებოდა ყველაზე სოციალისტურ

ეკონომიკად, კომუნისტური ბლოკის ქვეყნების შემდეგ. დღეს ის ყველაზე თავისუფალი და დივერსიფიცირებული (შესაბამისად, სტაბილური) ეკონომიკა რეგიონში.

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 200 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღემატება, რომლის 46% მოდის სერვისზე, 25% – მრეწველობაზე და დანარჩენი – სოფლის მეურნეობაზე. ქვეყანა საზღვარგარეთ ყიდის ციტრუსებს, კვერცხს, ყვავილებს, კომპიუტერულ პროგრამებს, ფარმაცევტულ ნაწარმს, ქიმიკატებს, დამუშავებულ ალმასებსა და, რაც მთავარია, სამხედრო ტექნოლოგიებს. მიმდინარე პერიოდში ისრაელის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირში წარმოადგენენ გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, პოლონეთი, რომლებზეც მოდის ისრაელის ექსპორტის 35 %.

ისრაელის პროდუქცია მთელს მსოფლიოშია ცნობილი თავისი ხარისხითა და მაღალი ტექნოლოგიურობით. ისრაელის, როგორც სამხედრო ტექნოლოგიის მწარმოებელი ქვეყნის ექსპორტის 50 %-ზე მეტი სამხედრო ტექნიკასა და ნანოტექნოლოგიებზე მოდის, ის ყველა ევროპულ ქვეყანაზე მაღლა დგას აღნიშნულ სფეროში. საქართველო, როგორც ევროპის ნაწილი, შეიძლება ჩაითვალოს ევროპის ერთერთ პირველ ქვეყნად, რომელთანაც ისრაელმა დაამყარა ეკონომიკური ურთიერთობები. ისრაელიდან საქართველოში ექსპორტის დიდი ნაწილი 2008 წლამდე სამხედრო ტექნიკასა და ციფრულ ტექნოლოგიებზე მოდიოდა (შემდეგ, პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, შეიზღუდა იარაღის მოწოდება). ამჟამად საქართველოში ისრაელის ექსპორტის დიდი წილი ქიმიურ და ფარმაცევტულ პროდუქტებზე მოდის.

სამხედრო ინდუსტრიამ უდიდესი როლი ითამაშა ისრაელის განვითარებაში და საშუალება მისცა მას, ჩამოყალიბებულიყო მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკად.

სამხედრო ინდუსტრია მეცნიერებატეკადი, კომპლექსური საქმეა. არც ერთი სხვა ინდუსტრია არ ქმნის იმდენ მოთხოვნილებას კვალიფიციურ კადრებზე და ეკონომიკის ინოვაციურ პოტენციალს, რამდენსაც სამხედრო ინდუსტრია. ამ სფეროში დასაქმებული არიან: პროექტის მენეჯერები, ინჟინრები, პროგრამისტები, ქიმიკოსები, ელექტრონული ინჟინრები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, მარკეტინგის სპეციალისტები, იურისტები, ფინანსისტები და ა.შ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ისრაელი, რომელიც იარაღის მსოფლიო ბაზრის 10%-ს აკონტროლებს, მთლიან მოსახლეობასთან შეფარდებით, მეცნიერების რაოდენობით დღეს პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

სამხედრო ინდუსტრიის განვითარება კვალიფიციური მუშახელის გაჩენის ნატურალური საშუალებაა. ამასთან, ეს ერთადერთი ინდუსტრიაა, რომლის განვითარება სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობა და პრეროგატივაა. ევროკავშირის ყველა განვითარებული ქვეყანა იყენებს ეროვნული თავდაცვითი უნარიანობის ასამაღლებლად ებრაული წარმოების იარაღს, რაც ამ უკანასკნელის მაღალ დონესა და ხარისხზე მეტყველებს.

იარაღის შემდეგ ისრაელის ექსპორტში მეორე ადგილზეა სამედიცინო ტექნოლოგიები, მედიკამენტები და ქიმიური მრეწველობის პროდუქტები. ამას მოსდევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. რაც შეეხება ისრაელის იმპორტს, რომელიც ძირითადად ხორციელდება აშშ-დან, საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან, საუდიის არაბეთიდან (ნავთობი და ნავთობპროდუქტები). იმპორტირებულ პროდუქტებში ჭარბობს ენერგორესურსები, საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები, ტანსაცმელი, საკვები პროდუქტები, მინერალური და მტკნარი წყლები. საქართველო ერთერთი ქვეყანაა მათ შორის, ვინც მინერალური და მტკნარი წყლის ექსპორტს ახორციელებს ისრაელში. აღსანიშნავია, რომ ისრაელის სავაჭრო ბალანსი ევროკავშირთან დადებითია.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ ისრაელისა და ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას აქვს დიდი პერსპექტივა, რადგანაც ეს ორივე მხარის ინტერესებში შედის. მომავალი ურთიერთობების განმტკიცებას ხელს შეუწყობს სტრატეგიული შეთანხმება გლობალურ პრობლემებთან ერთობლივი ძალებით ბრძოლის აუცილებლობაზე, რისი ერთერთი უმთავრესი სტიმულატორიც 11 სექტემბრის ტრაგედია იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ისრაელში ევროკავშირის დელეგაციის ოფიციალური ინტერნეტ გვერდი;
2. ევროპის საზოგადოების ადმინისტრაციის ინსტიტუტის ოფიციალური ინტერნეტ გვერდი;
3. ევროკომისიის ოფიციალური ინტერნეტ გვერდი;
4. ევროკავშირში ბიზნეს მართვის ოფიციალური გვერდი;
5. <http://euobserver.com/economic/117045>;
6. <http://archive.adl.org/international/eu-print.html>;
7. <http://www.eubusiness.com/regions/israel/>;
8. http://eeas.europa.eu/delegations/israel/eu_israel/political_relations/index_en.htm;
9. http://eeas.europa.eu/delegations/israel/eu_israel/political_relations/agreements/index_en.htm;
10. <http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/israel/>.

Otar Abesadze
Giorgi Kalajishvili
Nino Kharistvalashvili

Economic Relations Between Israel and EU

Abstract

Few players on the international scene are able to claim such a rich and ambiguous relationship as Israel and the European Union (EU). The EU is one of the prime commercial partners of Israel, along with the United States.

We characterize the relations between the EU and Israel as "special" due to two main reasons. First, Israel enjoys a privileged status vis-à-vis the EU, which is distinguished by a continuous strengthening of their agreements despite their political differences. Second, this relationship seems to be doomed to their fervor. As history is the source of understanding of cultural affinity but also of perpetual mistrust between these two players, declarations of friendship do regularly follow strong criticism on both sides.

In this research we will strive to render an account of the special and ambiguous character of this relationship through the study of three factors: historical, realistic and political.

The relations between the EU and Israel are characterized by the regular improvement of their agreements in the different sectors. Today, Israel has one of the most advanced state among the non-member states regarding its contractual relations with the EU. The strategic cooperation between these two players has grown especially since the attacks of September 11th due to the view of common threats.

წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის უწყისებები

საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამებული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება.

სწორედ ასეთ საძირკველს ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, რამაც ისტორიულ ქარტეხილებში ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად, თავის დროზე, მსოფლიოში მოწინავე და თვითმყოფადი ეკონომიკური კულტურის ერადაც წარმოგვაჩინა.

საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა პროცესი, მათ შორის, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა, საღვთო ნების, განმგებლობის, ზრუნვის, განჩინებებისა და დაშვების საფუძველზე მიმდინარეობს. თანახმად ბიბლიური ზნეობრივი და სოციალურ-ეკონომიკური სწავლებისა, რასაც ეფუძნება წმ. ილია მართლის სამეურნეო-მმართველობითი თეორია და მისი პიროვნული პრაქტიკული მოღვაწეობა, ყოველმა ადამიანმა და ორგანიზაციამ, შეძლებისდაგვარად უნდა აღასრულოს შეძლევი მოვალეობები:

1. პატივი მიაგოს ღმერთს და სახსარი შესწიროს ეკლესიის განვითარებას;
2. დაეხმაროს სხვა ადამიანებს, განსაკუთრებით – გაჭირვებულებს;
3. მოიხადოს მოვალეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე;
4. იზრუნოს ღმერთის ქმნილების – ბუნების დაცვა-შენარჩუნებისათვის;
5. დაიკმაყოფილოს პირადი და საოჯახო მოთხოვნილებები;
6. გამოიხადოს, შეინარჩუნოს და განავითაროს შემოსავლის წყარო;
7. იზრუნოს მიცვალებულთა სულების საოხად.

წმ. ილია მართალი თვლის, რომ სამეურნეო-მმართველობითი დარგის განვითარება, ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი განმაპირობებელი ნიშანია და სწორედ ამ თემას ეძღვნება მისი შემოქმედების საკმაოდ დიდი ნაწილი. წმინდანის აზრით, ყოველი ეკონომიკური მოქმედების თავი და ბოლო გამორჩენაა, გამწვანებელი ნაშრომისა – ბაზარია, სადაც ხდება ალებ-მიცემობა, რასაც ვაჭრობა ჰქვია. სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების დროა, რაც ცალკე გარჯით ვერ შევძლით, ერთიანი ღონით შევეჭიდოთ. სწორედ ეს შეერთებული ღონეა ერთადერთი ძალა, რომელსაც სწორად გაუმარჯვენია. ამისთვის კი ჩვენი სრული ყურადღება კი მართლ სოფელს უნდა დასტრიალებდეს. ეს საქმიანობა ადამიანთა როგორც ზეციური, ისე მიწიერი ნეტარების მოპოვების საშუალებაა.

წმინდა წერილის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრებისა და მისგან გამომდინარე თეოლოგიური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს „ბიბლიური პარადიგმების, კონცეფციებისა და პრინციპების სისტემა. თეოლოგიური ეკონომიკა ღვთისმეტყველურ-ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინაა. იგი იკვლევს სამეურნეო-მმართველობით პროცესებში ადამიანის და საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნებთან დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ადამიანისა და ერის საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს. ყოველი ქრისტიანის მიწიერი ცხოვრების უმაღლესი მიზანია საკუთარი

ცხოველქმედების პროცესში ზნეობრივი კანონის განხორციელება, რაც მისი სულის ნეტარებას უზრუნველყოფს“.¹

ამიერკავკასია ჰავისა და მიწის სიკეთის გამოყენებაში საუკეთესოა. აქ იზრდება თითქმის ყველაფერი, რაც-კი რამ მოდის და ხეირობს დედამიწის ზურგზე. საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქი ილია II გვარიგებს: „მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს ჩვენი წარმოებები, აყვავდეს სოფლის მეურნეობა“.² რა თქმა უნდა, ეს გარჯა უხეიროდ არ ჩაივლის და სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყანას და სახელმწიფოს. ეს საქმიანობა ახალი სიმდიდრის გახსნის გზაა და ამას საქმიანი, მოხერხებული, გამრჯე და დაოსტატებული კაცი სჭირდება, რომლისთვისაც დიპლომი და ცოდნა არ კმარა, საჭიროა გამოცდილება.

ბიბლიის სამეცნიერო-ეკონომიკური მოძღვრება გვასწავლის: „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავ. 2,6); „სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს“ (ეკლ. 7, 12).³

ილია ჭავჭავაძე თავის წერილებში მიწათმოქმედების წარუმატებლობის მთავარ მიზეზად იმას ასახელებს, რომ პრობლემის შედეგს ვებრძვით და არა მიზეზს – „ეს იმასა ჰგავს, რომ კაცმა მღვრიედ მდინარე ნაკადული წყალისა ბოლოდამ ეცადოს დასწმინდოს ხოლმე და არა სათავიდანვე, თუ მაინცდამაინც დაწმენდა უნდა.“⁴ ჩვენს ერში მიწათმოქმედების მოთხოვნილება და საჭიროება ოდითგანვე არსებობდა, თუმცა დღეს, მოჭირნახულე ადამიანი მისი რესურსების (მიწა, წყალი, ჰავა) შესაფერის უკუგებას ვერ ხედავს. მაშინ, როცა საქართველოსა და ამიერკავკასიას გარს მტერი ეხვია, მისი მეურნეობა საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე იყო ორიენტირებული. სააღებშიცემო საქმიანობას ვერ ეწეოდა, რადგან ის მშვიდობას მოითხოვდა. ქვეყანას ერის დაპურება და შემოსვა არსებული რესურსებით უწევდა, წვრილმანი საოჯახო და საშინაო ნაწარმის დამზადება კი დიდ ალტერნატიულ დანახარჯებს მოითხოვდა. ალებ-მიცემობის აღდგენა-განვითარებამ ჩვენს ქვეყანას წვრილმანი საქონლის უფრო იაფად შემოტანის და საკუთარი პურის რუსეთის ბაზარზე გატანის საშუალება მისცა.

საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქი ილია II აღნიშნავს, რომ „ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მეცნიერება, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა... აუილებლად უნდა ეყრდნობოდეს და გამოდინარეობდეს ეროვნული და სახელმწიფო ინტერესებიდან“,⁵ „აუცილებელია მოსახლეობის დასაქმება, მცირე და საშუალო ეროვნული ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობის აღორძინება, ადგილობრივი პროდუქტით ჩვენი ბაზრის შევსება და სამამულო წარმოებისათვის პრიორიტეტის მინიჭება.“⁶

წმ. ილია მართალი ამბობს, რომ ეკონომიკური ღონისძიებების მთავარი სახსარი მიწათმოქმედებაა. ქვეყანაში, სადაც მოდის ყოველგვარი ხეხილი და ღვინო ღვება, სადაც არის საზეთე, სამღებრო და სააფთიაქო მცენარე, მისი მიწის მოცდენა მხოლოდ პურის მოსაყვანად – დაუშვებელია. მაღლიანი ჰავის და ნოყიერი მიწის გამო, მას მუშტარიც ბევრი ჰყავს. თუ ჩვენი ქვეყანა ამ გზას დაადგება, სარგებელს მეტს ნახავს მის მკვიდრთ ქონებაც გაუძლიერდება. ამიერკავკასია მიწის პოხიერებითა და ჰავით ისეთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია დიდი სიმდიდრე იქონიოს, თუმცა მისი ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ „ურწყული და მშრალია“.⁷ ასევეა საქართველოც. ჩვენმა მამა-პაპამ კარგად იცოდა წყლის ფასი და

¹ მღვდელი ბასილ ახვლედიანი, გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბილისი, 2009, გვ. 14-16

² პ. კოლუაშვილი. ორი ილია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. თბ., 2009, გვ. 51-52.

³ ბიბლიური ციტატები (მრგვალ ფრჩხილებში – წიგნების, თავებისა და მუხლების მითითებით) მოტანილია წიგნიდან: ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბ., 1989

⁴ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7. გვ. 61

⁵ საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქი ილია II. სააღდგომო ეპისტოლე. 2001 წ.

⁶ საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქი ილია II. სააღდგომო ეპისტოლე. 2005 წ.

⁷ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7. გვ. 67

მათგან ხშირად ისმოდა – „წყალობა, შემიწყალე, მიწყალობე, მიწყალე“, რაც იმის ნიშანია, რომ წყლის შევედრება, მისი მომადლება, ქართველ კაცს უპირველეს სავედრებლად და სახვეწრად ჰქონია.

ილია ჭავჭავაძის აზრით, სოფლის მეურნეობას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით. იმიტომ, რომ საქართველოში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არ არის გარდა სოფლის მეურნეობისა – „თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზოგადოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული.“¹ ხალხის სიმდიდრეზე კი მთავრობის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობაა დამყარებული. მთელ ევროპაში მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს და სოფლის მეურნეობას და დიდ ფულსაც ხარჯავენ მის განვითარებაზე.

ილია ჭავჭავაძე განაცხადებდა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას „ნერგზედაც შეუძლიან აყვავება“. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ამბობს, რომ მრევლს შეუძლია მიწა „დაამუშაოს და კარგი მოსავალიც მოიწიოს, რომელსაც შემდეგ ყველა თანაბრად გაინაწილებს. შრომა და განსაკუთრებით ერთად შრომა მრევლში სულიერობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია.“²

სოფლის მეურნეობა უნდა იყოს ადგილობრივი მიწათმოქმედების და, ასევე, აგრარული მეწარმეების ჭეშმარიტი წარმომადგენელი, რომ ამით მთავრობას საშუალება მიეცეს ცნოს ჩვენი მეურნეობის ნამდვილი, უტყუარი და აუცილებელი საჭიროება. ამასთან ერთად, „იგი უნდა იყოს შუამდგომი მთავრობის წინაშე, რომ, საცა საჭიროა მთავრობის მუდამი მზრუნველობა და შემწეობა იქით მიჰმართოს.“³ მხოლოდ ამის შემდეგ დაიშასურებს მთავრობა ხალხის კეთილგანწყობას. რაც უნდა გაუნათლებელი ხალხი იყოს, ოღონდ აჩვენეთ, რომ მათ სატკივარს ეშველება, და გვერწმუნეთ, რომ დიდი და პატარა კარზე მოგაწყდებათ – გვასწავლის ილია ჭავჭავაძე.

განსხვავებულია ქვეყნების საჩივარი და სატკივარი – „დიდი ხანია სჩივიან ჩვენი მემამულენი და მიწათმოქმედნი, რომ მოგივა მოსავალი ვაია, და არ მოგივა ვაგლახიო“.⁴ კარგი მოსავალი მაშინაა კარგი, როცა მისი გაყიდვა ზარალის გარეშე და თავის დროზეა შესაძლებელი. თუ ეს ასე არაა, ნაშრომ-ნაჯაფივის, ამაგის გაფუჭებას ან ჩალის ფასად გაყიდვას, არქონა სჯობს – „ამ უკანასკნელს შემთხვევაში სიმწარე თქვენის ყოფა-ცხოვრებისა გაორკეცებულია ჯერ იმითი, რომ ამისთანა ქონება არქონებაზედ უფრო მეტად საგრძნობელია, რადგანაც ზარალი გაფუჭებულისა ან ჩალის ფასად გადაყრილისა უნდა შეავსოთ სხვა გზით რითიმე, და მერე მით, რომ გული გიკვდებათ, ზნეობრივად იჩაგრებით და მხნეობა გარჯისა გელახებათ, რაკი ჰხედავთ, რომ მხნედ გარჯას ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. ამაში, რასაკვირველია, ბრალი არც მამულს ედება, არც გამრჯელობას კაცისას, არამედ იმ გარემობას, რომ განაღდება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ფულად ქცევა მოსავლისა ბევრნაირ მიზეზით დაბრკოლებულია და ხშირად შეუძლებელიც“.⁵ სადაც ასეთი ვითარებაა, იქ ეკონომიკური წარმატება და ქვეყნის გამდიდრება არარეალურია – ქვეყნის განვითარების აუილებელ პირობას ეკონომიკური სიძლიერე წარმოადგენს. ეს ის მთავარი საკითხია, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ დროულად უნდა გადაჭრას. ამასთან, ჩვენ უნდა მოვძებნოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.“⁶

მტკიცება იმისა, რომ ჩვენს ხალხს შრომა და ჯაფა ეზარებოდა, ტყუილია. რაც შეეხება ეკონომიკურ მოქმედებას, რომელსაც ვაჭრობა ჰქვია, დღეს გლეჯა-მტაცებლობას უფრო ჰგავს, ვიდრე ალებ-მიცემობას. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენმა თანამემამულეებმა გული არ უნდა გაიტეხონ, დროა, რასაც ცალკე ვერ მოერივნენ, ერთობლივი ძალით შეუტონ. ვინც ასე მოქცეულა, ყოველთვის და ყველგან გაუმარჯვია.

¹ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 258

² გ. შინაშვილი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. თბ., „გეოკერია“, 2004, გვ. 117-118

³ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 261

⁴ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 25

⁵ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 26

⁶ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. საშობაო ეპისტოლე. 2007 წ.

მინც მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი ეკონომიკური სიძლიერე – სოფელი და სოფლური მეურნეობაა. დიდი ქალაქები უფრო „მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე“.¹ რადგან დღეს სოფელია გამრჯელი, მწარმოებელი და მისი ეკონომიკური ქმედებაა ერის გამოკვების საშუალება, ჩვენი სრული ყურადღება ამაზე უნდა იყოს მიპყრობილი. მაღლიანმა ჰავამ და ნოყიერმა მიწამ თავისი სიკეთე რომ მოგვიტანოს, ერთადერთი გზა წარმოების გაძლიერებაა, ანუ ერთიანი სოფლური მეურნეობის შექმნაა. „ჩვენ საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს სოფელს“²

ცუდი ისაა, რომ სოფლური მეურნეობა და, საზოგადოდ, მიწათმოქმედება შესაბამის სიმაღლეზე არ დგას. მას ბევრი მიზეზი აბრკოლებს: სოციალური, იურიდიული, ეკონომიკური... თუ ეკონომიკურ მიზეზს განვიხილავთ, მასში ორი ასპექტი წარმოჩინდება: ერთია ცოდნა და მეორე – სამუშაოდ გადადებული ქონება. ცოდნა და ქონება ერთად კაპიტალია, რომელიც მიწას თუ არ მიეშველა, როგორი ნაყოფიერიც არ უნდა იყოს ის, ცხრა კლიტით დაკეტილ სიმდიდრის საღაროს წარმოადგენს, უქმად დადებულს და დაკარგულს. თუ თითოეული ადამიანი უღონია, ერთად ისინი დიდ ძალას წარმოადგენენ და ასე ცოდნის გამოყენება და ქონების დაგროვება უფრო მარტივი და საიმედოა. ეს იმისთანაა „საქმეა, რომელიც საუკუნოდ სასსოვრად გახდის იმის სახელს, ვინც ამ საქმეს მესვეურობას და ათაურობას გაუწევს. ესეც უნდა იცოდეს თავად-აზნაურობამ, რომ აქ მცირეოდენის გაწირვა და გაცემა დიდის სიკეთის მომავლინებელია ყველასათვის ერთად და სათითაოდ ცალკე, და ყოველი დაზოგვა და არ-გაცემა – დაკარგვაა. სწორედ ამისთანა საქმეზე არის თქმული, რომ „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“.³

ჩვენი ხალხი უძველესი დროიდან მისდევდა მევენახეობას – „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა“,⁴ ამბობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ასევე – „ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა და, ამიტომაც, ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს.“⁵ ილია ჭავჭავაძე კი თავის წერილებში განაცხადებს, რომ ქვეყნის ბუნება და ნიადაგი სრულიად უწყობს ვაზის გაშენებას ხელს – „ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს ჩვენებური ღვინო საბაზრო საქონელი არ არის.“⁶ რადგან არ ვიცით მყიდველთან მივა თუ არა პირვანდელი სახით. სწორედ ეს მიაჩნია წმ. ილია მართალს ქართული ღვინის საბაზროდ ქცევის მთავარ პრობლემად, რისი გადაჭრის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ჩვენი ღვინოები მიეწოდოს რუსეთის და სხვა ქვეყნების ბაზრებს. ჩვენში ღვინო ბევრია მყიდველი – კი ცოტა, ამიტომ საჭირო და აუცილებელიცაა მოხდეს ღვინის ექსპორტი. თუ ქართულ ღვინოს გამძლეობა გემოსი, ფერისა და სუნის არ მიეცა, თუ რა ბუნებრივი სიკეთეც აქვს ბაზრამდე არ მიჰყვას, მაშინ ღვინის გატანა საზღვრებს გარეთ ნატვრად დაგვრჩება, რადგან ამ პრობლემების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში ჩვენი ღვინის აღებ-მიცემობის წარმართვა გლეხებისთვის არ იქნება ხეირიანი. შეიძლება ღვინის მოსავალს დიდი შემოსავალი ვერ მოაქვს, მაგრამ შრომა უკვალოდ არ ქრება. ჭირსა თუ ღვინოში გლეხს ღვინის ყიდვა არ უწევს, რაც ზედმეტი ხარჯის თავიდან აცილებაა და თუნდაც ეს შეიძლება ჩაითვალოს მის მასტიმულიერებელ ფაქტორად. რაც შეეხება პრობლემის მოგვარების გზებს, ღვინის საკითხის წინ წამოწევისთვის საუკეთესო წამალი იაფი სახელმწიფო კრედიტებია.

თავის ერთ-ერთ ნაშრომში ილია ჭავჭავაძე ბაზრის მოყვანის საქმეზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ საქართველოში ეს სარფიანი საქმიანობა იქნებოდა, საუკეთესო ბაზარი კი რუსეთია. სადაც, ბაზრის საფაბრიკო მრეწველობა ინახავს და კვებავს ასე ათას მუშას ოჯახით. ამაზე დაკვირვებით კი სჩანს, თუ

¹ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 31

² საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. საშობაო ეპისტოლე. 2007 წ.

³ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 35.

⁴ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. საშობაო ეპისტოლე. 2009 წ.

⁵ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. საშობაო ეპისტოლე. 2009 წ.

⁶ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 187.

რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი საქმიანობის განხორციელება ეკონომიკისთვის. საქართველოს ჰავა და ადგილ-მდებარეობა ერთ-ერთია იმ ქვეყანათაგან, სადაც საუკეთესო იქნებოდა ბამბის მოყვანა, მაგრამ დღეს ბამბა თითქმის აღარავის მოჰყავს, რატომღაც ხელი აიღეს ამ საქმიანობაზე. რა შემთხვევა იყო ასეთი, რომ მაშინ ციებ-ცხელება შეუდგათ ბამბის მოყვანისა და დღეს კი ასე დასცხრა და განელდა. 1862-64 და სხვა წლებში, სანამ ბამბა კარგ ფასად გადიოდა და ხალხს ხელს აძლევდა, ცოტად თუ ბევრად გაძლიერებული იყო ბამბის მოყვანის საქმე.

წმ. ილია მართალი ბამბის მოყვანის საუკეთესო ადგილად ქართლ-კახეთს და განსაკუთრებით იმერეთს ახასიათებს. ხალხმა ისევ ხელი რომ მოჰკიდოს ამ საქმეს, ორი მთავარი პრობლემა გადასაჭრელი – „მთავარია ხალხი დარწმუნებული იყოს, რომ 1) მათი წარმოებული ბამბა რუსეთის ბაზარში გავა და 2) ფასი გამოსარჩომი იქნება.“¹ ამ პრობლემის გადაჭრასთან ერთად, აუცილებელია, ვისაც სურს ბამბის მოყვანის საქმეს ფეხი აადგმეინოს, რკინიგზის საქმეც გამართოს, რადგან კარგი გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლოვანებაა. გზების უქონლობა ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას და აფერხებს მის წინსვლას. გზები ხალხს უადვილებს ერთმანეთში მისვლა-მოსვლას, ხელს უწყობს ალებ-მიცემობის წარმართვას. ეს მარტივი და ყველასათვის ცხადია... ეს ჭეშმარიტება აღიარებულია და დიდი ხანია ყველგან შეიგნეს, თუ რა სამსახურს უწევს ხალხს, რა აუცილებელია ცხოვრების განკარგვისათვის კარგად შეკეთებული გზები.

წმ. ილია მართალი ამბობს: „მგონი არც ერთს ქვეყანას ისე არ ეჭირება კარგი გზები, როგორც საქართველოს. ჩვენი ქვეყანა თითონ ბუნებითვე მთიანი ადგილია, გაზაფხულობით მთებიდამ მოვარდნილი ნიღვრები სრულად აფუჭებს, ჰხრამავს იმ საცოდაობის გზებსაც კი, რომელიც გვაბადია. ადგილის უსწორ-მასწორობა, აღმართ-ჩადმართი, ოღროჩოღროები, ჩახრამული ადგილები დიდს დაბრკოლებას წარმოადგენენ და უძნელებენ ხალხს ურთიერთ შორის მისვლა-მოსვლას. სხვა ჩვენ მიყრუებულ მთებში გადავარდნილ ადგილებზე რომ არა ვსთქვათ-რა“.²

ილია ჭავჭავაძის თქმით, უგზობის გამო ბევრი სოფლის ნაწარმი ფუჭდება და ღებება მხოლოდ იმის გამო, რომ პროდუქტის შორს წაღება შეუძლებელია, ახლომანლო კი ფასი არ აქვს. ჩვენი ხალხი კარგად გრძნობს გაჭირვებას გზების უქონლობის გამო, რაზეც სწუხან და სურვილს გამოთქვამენ, რომ ამ გაჭირვებას რაიმე ეშველოს, ხალხს „კარგად ესმის გზების სარგებლობა, წინათაც უკისრნია გზების გაკეთება და ის ყოველთვის მზად არის, ოღონდ საქმის რიგიანი მაჩვენებელი და წარმართველი ჰყავდეს.“³

გაჭირვება ჩვენი ქვეყნისთვის უცხო არ არის. თანამომხეთა ერთობა იმით გამოიხატება, რომ ამ დროს დახმარების ხელი გაუწოდონ და სწორი რჩევა მისცენ ერთმანეთს. ილია ჭავჭავაძე თვლის, რომ პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელია საგლეხკაცო, საადგილმამულო და სათავადაზნაურო ბანკის შექმნა. ამის საჭიროება იყო ის, რომ გლეხს მამულის ყიდვა-გაყიდვა და კრედიტის აღება გაადვილდებოდა. შესაძლო იყო გლეხთა გაერთიანება, სესხის რაოდენობა განსაზღვრული იყო და წევრთა რაოდენობის მიხედვით დგინდებოდა. მასზე გადაიხდებოდა თავნი (სარგებლის პროცენტი). გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკს ჰქონდა უფლება - გაეყიდა იჯარით აღებული მამული – „რომ ეს არასასიამოვნო საჭიროება მართლა აუცილებელია, ამას ამტკიცებს თვით ეს საგლეხკაცო ბანკი, რომელსაც კაცი ვერ შესწამებს, რომ გულითა და სულით არ უნდოდეს ამ შავისა და უბედურის დღისაგან დაიხსნას მსესხებელი.“⁴ მაშინ, როცა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაში წინსვლა არ შეინიშნებოდა, გლეხს არ ჰქონდა საკუთარი შრომით მოყვანილი პროდუქტის გასაღების, ან მისი გაყიდვის შემთხვევაში თუნდაც სამყოფი თანხის მიღების გარანტია, ბანკის შექმნა ხსნის გზა აღმოჩნდა.

როგორც ყველა კარგ წამოწყებას ჰყავს მოწინააღმდეგეები, საბანკო სექტორის ჩამოყალიბებასაც ორი მთავარი უარყოფითი პრობლემა გამოუჩნდა: 1) ბანკები რომ არ ყოფილიყო გლეხები ვალსაც არ

¹ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 200.

² ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 247.

³ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 248.

⁴ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956, ტ. 7, გვ. 425.

აიღებდნენ და ისინი მამულების დაკარგვის განსაცდელშიც არ აღმოჩნდებოდნენ. რაზეც ილია პასუხობს, რომ ბანკი ძნელად საშოვარ ფულს ადვილად ხელმისაწვდომს ხდის და მამულების დაკარგვასთან არაფერ შუაშია. თუ ვინმე „ფულს გაიტანს იმისათვის, რომ წყალში გადაჰყაროს, ან ტყუილ-უბრალოდ, უხეიროდ გაჰფლანგოს. განა უბანკოდ დიდ-დიდნი მამულები კი არ გაუფლანგავთ..!“¹; 2) ბანკმა დაუგირავებელი მამულები არ უნდა გაყიდოს და ისე აამოქმედოს საადგილმამულო კრედიტი. ამაზე ილია ჭავჭავაძე წერს, სად იყო ჩვენი ბანკები, რომ მთელი თბილისი გაიყიდა და დღეს ერთი მტკაველიც არ არის თავდაპირველი პატრონის ხელში – „მამული და ერთობ ყოველი ქონება უხეირო ხელს ეცლება და მიიზიდება ხეირიანი ხელისაკენ.“

მთლიანობაში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს წმ. ილია მართლისეული და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-სეული, ქრისტიანული მოძღვრებიდან გამომდინარე პარადიგმების ერთიანობა.

სწორედ ასეთ ღვთისმშობელ ბაზაზე უნდა წარიმართოს მაღალზნებრივი სამეურნეო-მმართველობითი და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ქვეყნის ჭეშმარიტი პროგრესისათვის.

Nestan Abramishvili
Ketevan Kordzadze

Saint Ilia the Righteous and Ilia II, Catholicon-Patriarch of Georgia about Economy and Agriculture

Abstract

For the true progress of Georgia it's inevitable to comprehend the development of society from the biblical and religious-ethic positions. It's necessary to turn back to Georgian traditional ideology, revive-develop Christian economic mentality and harmoniously combine the relevant economic-administrative activity with contemporaneity.

Preeminently on such foundation was based our social-economic existence during the ages, that helped us to survive physically in historical complicatedness and made us distinctive economic and cultural leader nation in the world in the past.

The base of Georgia's national social-economic and agricultural development conception must be the unity of paradigms issued from Christian doctrine of Saint Ilia the Righteous and Ilia II, Catholicon-Patriarch of Georgia.

Namely on such divine foundation must the moral economic-administrative and agricultural activity be performed for the true progress of Georgia.

¹ ი.ჭავჭავაძე. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. 1956. ტ. 7. გვ. 377.

მწვანე მენეჯმენტის თეორიული ასაქტები

მწვანე მენეჯმენტის მნიშვნელობა. თუ აქამდე მწვანე მხოლოდ ფერი იყო, ახლა იგი გარემოსდაცვითი აქტივობების აღწერისათვის გამოიყენება. მწვანე მენეჯმენტი, მწვანე მარკეტინგი, მწვანე ეკონომიკა და მწვანე ბიზნესი დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტერმინებად იქცა. მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს კითხვას: რა განაპირობებს მწვანე მენეჯმენტის მნიშვნელოვნებას? რა კავშირი შეიძლება არსებობდეს მენეჯმენტსა და მდგრად განვითარებას შორის?

მწვანე მენეჯმენტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მრავალი განსხვავებული ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში ესაა საზოგადოების სოციალური ინტერესები, რომელიც გამოხატულია კანონების, ხელშეკრულებების და რეგულაციების სახით. აგრეთვე კომპანიათა გაყიდვების მოცულობის შემცირება და მისი რეპუტაციის დაცვა, რომელიც გამოწვეული იქნება მწვანე მენეჯმენტზე მენეჯერთა არასათანადო ორიენტაციით. თავის მხრივ, ბევრი მიიჩნევს, რომ მწვანე მენეჯმენტი ხელს უწყობს ბედნიერი, ჯანმრთელი და პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნას და სამუშაოზე ნიჭიერი და კრეატიული თანამშრომლების აყვანას.

მიუხედავად სხვადასხვა ეკონომიკური თეორიებისა და ბიზნეს მოდელების დიდი მნიშვნელობისა, მწვანე მენეჯმენტის გამოყენების აუცილებლობა უდავოა. ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ თანამედროვე მსოფლიოში მოელიან:

- რესურსების ბრძნულად და პასუხისმგებლობით გამოყენებას;
- გარემოს დაცვას;
- ჰაერის, წყლის, ენერჯის, მინერალების და სხვა რესურსების გამოყენების მინიმუმაციას საბოლოო პროდუქტის წარმოებაში;
- მეორადი და უკვე გამოყენებული რესურსებით საბოლოო პროდუქტის წარმოებას, რაც ბუნებას რესურსების აღდგენის საშუალებას აძლევს;
- ტოქსინების გამოყოფის აღმოფხვრას, რომელიც საზიანო ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე სამუშაო ადგილსა და საზოგადოებაში;
- გაზის გამოყოფის შემცირებას და ისეთი ღონისძიებების თავიდან აცილებას, რომელიც აზიანებს კლიმატს.

ძალიან მნიშვნელოვანია კითხვა: რატომ გახდა ეს მოლოდინები ასეთი აქტუალური მსოფლიო ღონისძიებები? ამ კითხვაზე პასუხს მრავალი თანამედროვე თეორია ასაბუთებს. თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეობა გათვითცნობიერებულია, რომ დედადიწის მოსახლეობა საოცრად დიდი ტემპით იზრდება. არსებობს პროგნოზები, რომ 2050 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა 9 მილიარდს გადააჭარბებს. არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ შეიქმნება რესურსების ნაკლებობა. ასეთ დროს კი მწვანე მენეჯმენტი არის ყველაზე ხელსაყრელი საშუალება რესურსების ეფექტიანი გამოყენების ორგანიზებისათვის.

თანამედროვე კვლევები ცხადყოფს, რომ ძალიან დიდია მოსახლეობის მოთხოვნა გარემოსდაცვით ღონისძიებებზე. მომხმარებლები მზად არიან უფრო მეტი გადაიხადონ გარემოსადმი მეგობრულ პროდუქტში. მაგალითად 2009 წლის მონაცემებით, აშშ-ს მოსახლეობის 75% პროდუქტის შეძენისას ითვალისწინებდა ორიენტაციას გარემოს დაცვაზე. Centure-ის კვლევის მიხედვით ამერიკის მოსახლეობის 64%-ი მზადაა უფრო ძვირი გადაიხადოს გარემოსადმი მეგობრულ პროდუქტში. TNX-მა 5 კონტინენტზე 17 ქვეყნის კვლევისას აღმოაჩინა, რომ ტაილანდის მოსახლეობის 94% და ბრაზილიელთა 83% მზად იყო უფრო მეტი გადაეხადა გარემოსადმი მეგობრულ პროდუქტში.

საერთაშორისო საზოგადოებები, გაერთიანებები და ორგანიზაციები ხელს უწყობენ მსოფლიოში გარემოსდაცვითი სტანდარტების ჩამოყალიბებას, რაც დამატებით სტიმულებს ქმნის, რათა კომპანიებმა

ორიენტაცია აიღონ გარემოსდაცვით ღონისძიებებზე. ამის კარგი მაგალითია ISO 14 001 სტანდარტი, რომელიც გარემოსდაცვითი საკითხებითაა გაჯერებული. ყოველივე ეს ემსახურება იმ კომპანიათა გამორჩევას, რომლებიც მწვანე მენეჯმენტის ფილოსოფიით ხელმძღვანელობენ და გარემოსდაცვით საკითხებს უყურადღებოდ არ ტოვებენ.

მწვანე მენეჯმენტის არსი. არც ისე დიდი ხანია, რაც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მწვანე მენეჯმენტის თეორიულმა ანალიზმა დაიძვედა ადგილი. ამიტომაცაა, რომ მისი თეორიული საფუძვლების შესახებ ინფორმაცია მწირია. მწვანე მენეჯმენტი არაა კონცეფცია, რომელიც აღწერს ახალი მენეჯმენტის სტილს. მენეჯმენტის მამები თავიანთ ნაშრომებში გვერდს უვლიან მწვანე მენეჯმენტის თემას, რომელიც, თავის მხრივ არის გონივრული კონცეპტუალური საფუძველი იმისათვის, თუ როგორ უნდა იმართოს ბიზნესი გარემოსდაცვითი ფილოსოფიის მეშვეობით.

გამოყოფენ მწვანე მენეჯმენტისადმი სამ მიდგომას: მშრალი მწვანე, ზედაპირული მწვანე და ღრმა მწვანე. თითოეული მათგანი ასახავს კომპანიის ხედვას და დამოკიდებულებას მსოფლიოს, საზოგადოების, პოლიტიკისა და ბიზნესისადმი. სამივე მიდგომა¹ გვიჩვენებს განსხვავებული ხარისხით სწრაფვას გარემოს დაცვისადმი:

- მშრალი მწვანე – არის მემარჯვენე-ცენტრისტული ორიენტაცია, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერებასა და ტექნოცენრიზმზე. იგი ემხრობა ბიზნესის თვითრეგულირებას და ზომიერად (ექსტრემისტული მისწრაფებების გარეშე) ბიზნესში გარემოსდაცვითი და ენერჯის დამზოგი ღონისძიებების გამოყენებას;
- ზედაპირული მწვანე – არის ეკოცენტრიზმსა და ტექნოცენტრიზმზე დაფუძნებული მიდგომა. იგი ემხრობა შეფასების ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა გაფართოებული სარგებლისა და ხარჯების ანალიზი. ეს მიდგომა გახდა მდგრადი განვითარების ფლამანი და მასზე ხშირად საუბარი ევროპული საზოგადოების სამოქმედო გეგმები განხილვისას;
- ღრმა მწვანე – ეს მიდგომა ბევრად უფრო რადიკალურია, ვიდრე ორი დანარჩენი. იგი თავდაუზოგავად მოქმედებს ეკოლოგიური მშვიდობის სახელით, ამასთანავე, ტრანსფორმაციულია 21-ე საუკუნის ეკონომიკური დიზაინის მიმართ (მომსახურებაზე ორიენტირებული საზოგადოება და სხვა). თავისი ხასიათიდან გამომდინარე იგი ძალიან ჰგავს ანარქისტულ პოლიტიკურ იდეოლოგიას.

ზემოხსენებული მიდგომების სფუძველზე იქმნება გარემოსდაცვითი მიმდინარეობები, რომლებიც მომხმარებლებს და მთლიანად საზოგადოებას მოუწოდებენ თვითონ გააკონტროლონ თავიანთი ცხოვრება. ყველაზე რადიკალური მიდგომის მიმდევრები ქმნიან ფემინისტურ, ცხოველების, მცენარეების და სხვა ჯგუფების უფლებადამცველ მოძრაობებს.

თუ მწვანე მენეჯმენტის მიდგომებს განსხვავებული კუთხით წარმოვაჩინოთ, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე დამოკიდებულება. ერთი უკიდურესობა გახლავთ ნეო-ლიბერალიზმი, ეკონომიკისთვის სრული თავისუფლების მინიჭება – მოახდინოს მორგება ეკოლოგიურ ჩარჩო-პირობებთან. მეორე უკიდურესობაა კოლექტივიზმი ნეო-კაპიტალიზმის საწინააღმდეგოდ. იგი მკაცრი კონტროლით აღწევს შესაბამისობას ჩარჩო-პირობებთან. ამ ორ უკიდურესობას შორისაა მოქცეული პრაგმატული, ემანსიპაციური დამოკიდებულება, რომელიც ჰუმანიზმზე, განათლებაზე და საზოგადოებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში გარემოსდაცვითი ეთიკის დამკვიდრებაზე გადის. ეს მიდგომა გულისხმობს გარემოსდაცვითი აქტივობების გააზრებულ, კვალიფიციურ მართვას ყოველგვარი ანარქიზმის გარეშე.

მომგებიანია თუ არა მწვანე მენეჯმენტი? 21 საუკუნეში განხორციელებული კვლევები ძირითადად ეძღვნება კითხვას, თუ რამდენად მომგებიანია მწვანე მენეჯმენტი. მორალური და ნორმატიული თვალსაზრისით მენეჯმენტის პროცესში მდგრადი განვითარების ელემენტების გათვალისწინება აუცილებელია. თუმცა, მიუხედავად ამისა, კომპანიები მორალური და ნორმატიული ვალდებულებების

¹ O’Riordan (1991) “Models of Greenness”

გამო კი არ მიმართავენ მწვანე მენეჯმენტს, არამედ იმიტომ, რომ სწორედ იგი უზრუნველყოფს ძირითადი აქციონერების უსაფრთხოებას და მომგებიან წარმოებას.

იყო დრო, როდესაც მენეჯერები მწვანე მენეჯმენტს განიხილავდნენ როგორც საფრთხეს, მაგრამ დღესდღეობით საკმაოდ ფართოდაა აღიარებული, რომ მწვანე მენეჯმენტი შეიძლება იყოს მომგებიანი. თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ მწვანე მენეჯმენტი დამატებით დანახარჯებთან და შემცირებულ მწარმოებლურობასთან იყო დაკავშირებული და იგი კომპანიის კონკურენტუნარიანობას ამცირებდა. თუმცა 21-ე საუკუნეში მწვანე მენეჯმენტმა შეიძლება ითამაშოს ცენტრალური როლი წარმოების ოპტიმიზაციისა და ახალი პროდუქციის შემუშავების პროცესებში, არა მხოლოდ დაბინძურებისადმი მგრძობიარე დარგებში. კომპანიათა ორიენტაციას ნაკლები რესურსებისა და მასალების გამოყენებაზე, შეუძლია გააუმჯობესოს საქონელი და მომსახურება. მდგრადი განვითარების მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნას ბიზნესის მისიასა და მთავარ მიზნებთან ერთად.

ბევრმა თანამედროვე კომპანიამ მწვანე მენეჯმენტი აქცია კონკურენტულ უპირატესობად. ისინი არა მხოლოდ ამცირებენ დანახარჯებს და ამ მხრივ ხდებიან ლიდერები, არამედ მათ შექმნეს საბაზრო ნიშა „მწვანე პროდუქტისათვის“. ამის ბრწყინვალე მაგალითია 3M, რომელმაც ჯერ კიდევ 1975 წელს გადაწყვიტა:

- თავისი ძალებით შეემცირებინა კომპანიის მხრიდან გარემოს დაბინძურება ყველგან და ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელი იყო;
- ეწარმოებინა ისეთი პროდუქცია, რომელიც გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით ხასიათდება;
- სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით დაეზოგა ბუნებრივი რესურსები;
- შესაბამისობაში მოსულიყო სახელმწიფო რეგულაციებთან და შეძლებისდაგვარად გაეწია სათანადო დახმარება სახელმწიფო უწყებებისთვის.

3M ცნობილი გახდა დაბინძურების პრევენციის ინოვაციური პროგრამით, განავითარა რა პირველი წარმატებული რესურსების დამზოგველი პროგრამა, რომელიც ეფუძნებოდა პროდუქციის რეფორმულირებას, პროცესის მოდიფიკაციას, ალჭურვილობის რედიზაინირებას, ნარჩენების გადამუშავებასა და ხელახალ გამოყენებას. ამ პროგრამას ეწოდა Pollution Prevention Pays (3P).

3M-ის მაგალითს 1990-იან წლებში მიჰყვა ბევრი კომპანია, რომელთაგან აღსანიშნავია: Novartis, Chevron, Dow, General Dynamics, IBM და Monsanto.

მწვანე მენეჯმენტის თეორიები - წლების განმავლობაში მწვანე მენეჯმენტის ბევრი თეორია განვითარდა. გარემოსდაცვითი მართვის საკითხებისადმი ბიზნესის დამოკიდებულებას ისინი განსხვავებული ფორმებით წარმოაჩენდნენ და ამ ნიშნის მიხედვით კომპანიათა კლასიფიკაციას ცდილობდნენ.

ძალიან მნიშვნელოვანია რ. მეიმას¹ მწვანე მენეჯმენტის პარადიგმები. მან გამოყო კომპანიათა ოთხი მსხვილი ჯგუფი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან კომპანიები, რომლებიც გარემოსდაცვით საკითხებს მხოლოდ ანთროპოლოგიურ, მორალურ-ეთიკურ ჭრილში განიხილავენ. მეორე ჯგუფი გარემოსდაცვით საკითხებს ფინანსური სარგებლის მომტანად მიიჩნევს. ზემოხსენებული ჯგუფები გარემოს მენეჯმენტს მხოლოდ კონკურენტული თვალსაზრისით განიხილავენ და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისთვის იყენებენ. კომპანიათა მესამე ჯგუფი გარემოსდაცვით საკითხებს განიხილავს, როგორც ხარისხის ფუნქციას. მეოთხე ჯგუფი კი ცდილობს ინდუსტრიალიზაცია ბუნების მოთხოვნებს შეუსაბამოს ისეთი გზებით, როგორცაა რესურსების ფლანგვის შემცირება, გამონაბოლქვის შემცირება და სხვა. ბოლო ხანებში ვითარდება მეხუთე ჯგუფიც, რომელიც უფრო ღრმად წვდება გარემოსდაცვის პრინციპებს და სრულად იზიარებს მდგრადი განვითარების კონცეპტუალურ საფუძვლებს.

¹Meima, R (1994) 'Making Sense of Environmental Management Concepts and Practices: A Critical Exploration of Emerging Paradigms', Proceedings of the 1994 Business Strategy and the Environment Conference, The University of Nottingham

სიმპსონი¹ თავის ნაშრომში გარემოსდაცვითი ზეწოლის მიხედვით კომპანიათა სამი ჯგუფის კატეგორიზებას ახდენს: “Why MES”, “Smart Movers” და “Enthusiasts”. “Why MES” არის კომპანიათა ჯგუფი, რომლებიც იძულებულნი გახდნენ გაეთვალისწინებინათ გარემოსდაცვითი საკითხები. ასეთი კომპანიები უმეტესად შემოიფარგლებიან კატალიზატორების შექმნით და ზოგიერთი გარემოსდაცვითი აქტივობის გატარებით. “Smart Movers” არიან კომპანიები, რომლებმაც შეძლეს გარემოსდაცვითი ღონისძიებების დამოუკიდებლად მოხმარებელთა მოთხოვნის თავისდა სასიკეთოდ გამოყენება და კონკურენტულ უპირატესობას დაეუფლნენ. “Enthusiasts” არიან კომპანიები, რომლებმაც მთლიანად გააიგივეს თავისი გარემოსდაცვითი და ბიზნესსტრატეგიები.

ზემოხსენებული კონცეფციის მსგავსად სტევერი ოთხი სახის კორპორაციული სტრატეგიის მქონე კომპანიას გამოყოფს: „დამოუკიდებელს“, „შეტვეითს“, „თავდაცვითს“ და „ინოვაციურს“. „დამოუკიდებელი“ კომპანიები ნაკლებად დგანან გარემოსდაცვით ღონისძიებათა გამოყენების აუცილებლობის წინაშე და ვერც გარემოს დაცვაზე ორიენტაციას გამოიყენებენ განვითარებისათვის. ამიტომაც ამ კომპანიათა სტრატეგიები ინდიფერენტულია გარემოსდაცვითი ღონისძიებების მიმართ. „შეტვეი“ სტრატეგიის მქონე კომპანიებს გარემოს დაბინძურების დაბალი რისკი გააჩნიათ, თუმცა გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებით მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობის მიღწევა შეუძლიათ, ამიტომაც ძალიან დიდი მათი მოტივაცია, შექმნან გარემოსადმი მეგობრული ტექნოლოგიები და დანერგონ გარემოსდაცვითი კონტროლის სისტემები. „თავდაცვით“ კომპანიებს უმეტესად ის კომპანიები განეკუთვნებიან, რომლებიც, მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაში ოპერირებენ და გარემოს დაბინძურების ძალიან მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ეს კომპანიები უბრალოდ იძულებული არიან მიმართონ გარემოსდაცვით ღონისძიებებს. რაც შეეხება „ინოვაციურ“ კომპანიებს, მათ აქვთ გარემოს დაბინძურების ძალიან მაღალი რისკი, მაგრამ გამოირჩევიან ასეთივე მაღალი ზრდის შესაძლებლობებით.

რუმის² კონცეფციის მიხედვით გამოიყოფა 5 ტიპის კომპანია: „არაშესაბამისი“, „შესაბამისი“, „შესაბამისი-პლუს“, „გარემოს დაცვის მაღალი ღონის“ და „წამყვანი ზღვარზე“ ტიპის კომპანიები. პირველი სამი სტრატეგია დაკავშირებულია გარემოსდაცვითი სტანდარტებისადმი შესაბამისობასთან. მხოლოდ შესაბამისი-პლუს სტრატეგია იხედება სტანდარტებსა და ნორმებს მიღმა. ეს სტრატეგია ახდენს გარემოს მენეჯმენტის სისტემის ინტეგრაციას მთლიანად მენეჯმენტის სისტემაში. ბოლო ორი სტრატეგია კი ცნობს შესაძლებლობებს, რომელიც კომპანიის წინაშე წარმოჩინდება გარემოს მენეჯმენტის სისტემის დანერგვის შემდეგ. ეს სტრატეგიები თავისთავად უკავშირდება კომპანიათა მხრიდან კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას.

ძალიან საინტერესოა ველფორდის³ კლასიფიკაცია. იგი გამოყოფს ოთხი სახის კომპანიას: „სირაქლემებს“, „ზოზინებს“, „მოფიქრალებს“ და „მკეთებლებს“. პირველი მათგანი აერთიანებს კომპანიებს, რომლებიც ამჩნევენ, რომ გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა იზრდება, თუმცა თავს იტყუებენ, რომ სხვა კომპანიები არ მოახდენენ გარემოს დაცვაზე ორიენტაციას. მეორე ჯგუფის წარმომადგენლები აცნობიერებენ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობას, თუმცა არ შესწევთ ძალა, იყვნენ ორიენტირებულნი გარემოსდაცვით ღონისძიებებზე (ფინანსური რესურსების ნაკლებობის, საშუალო ძალის დაბალი კვალიფიკაციის და სხვა მიზეზების გამო). მესამე სახის კომპანიები აცნობიერებენ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობას, თუმცა ჯერ კიდევ ფიქრობენ განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე და არ გამოთქვამენ მყისიერი მოქმედებისათვის მზადყოფნას. უკანასკნელი ჯგუფის წარმომადგენლები კი საკუთარ ჩანაფიქრებს რეალურ ქმედებად აქცევენ.

¹Simpson, A (1991) The Greening of Global Investment - How the Environment, Ethics and Politics are Reshaping Strategies', The Economist Publications, London

²Roome, N (1994) 'Business Strategy, R&D Management and Environmental 31 Imperatives', R&D Management 24

³Welford, R J (1994) Cases in Environmental Management and Business Strategy Rtman Publishing, London

ტოპფერი გამოყოფს კომპანიათა ოთხ კატეგორიას: „მდგრადი“, „პასიური“, „რეაქტიული“ და „ინოვაციური“ კომპანიები. პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან კომპანიები, რომლებიც გარემოს დაცვას განიხილავენ, როგორც კომპანიის ზრდის შემაფერებელ გარემოებას. „პასიური“ კომპანიები უგულვებელყოფენ გარემოსდაცვით საკითხებს. „რეაქტიული“ კომპანიები აქტიურ ნაბიჯებს დგამენ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსვლისათვის. „ინოვაციური“ კომპანიები, ძალიან აქტიურები არიან გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების კუთხით.

პიეტეილიანენი სრულიად განსხვავებულ შეხედულებას გვთავაზობს გარემოსდაცვითი სტრატეგიების შესახებ. მოცემული მიდგომის თანახმად, სტრატეგიები დალაგებულია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების დონეების მიხედვით. პირველი სტრატეგია გულისხმობს მწვანე პროდუქტის მწარმოებელი კომპანიის იმიჯის დამკვიდრებას. მეორე სტრატეგია გულისხმობს არსებული წარმოების პროცესის წარმართვას უფრო სუფთა და ეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენებით. მესამე სტრატეგია ეხება კომპანიებს, რომლებიც კონკრეტულ ინდუსტრიებში მოღვაწეობდნენ ისეთი ღონისძიებების განხორციელებით, როგორცაა ენერგოდამზოგველი დანადგარების გამოყენება, ნარჩენების შემცირება, გადამუშავება და სხვა. მეოთხე სტრატეგია გულისხმობს გრძელვადიანი გარემოსდაცვითი მიდგომის გამოყენებას, რომელიც ითვალისწინებს R&D-ის დეპარტამენტის დატვირთვას გარემოსდაცვითი ღონისძიებებით.

ლოჯმა და ველფორდმა შეიმუშავეს ROAST შკალა. იგი განაგრძობს გარემოსდაცვით კატეგორიზაციას მდგრადი განვითარების ჩათვლით. კატეგორიზაციის უმთავრესი კრიტერიუმია კომპანიის მიზნები. ამ კრიტერიუმის მიხედვით გამოყოფენ 5 ბალანს შკალას. ორი უკიდურესობა გახლავთ მედეგი ორგანიზაცია და ტრანსცენდენტური ორგანიზაცია. მედეგი ორგანიზაცია გამოირჩევა შემდეგი თვისებებით: ნებისმიერი მწვანე ქცევისადმი წინააღმდეგობა, მწვანე ასპექტების იგნორირება, მზადყოფნა – დაახიანოს კიდევ გარემო, თუ ეს კომპანიას მოგებას მოუტანს, ნეგატიური გარემოსდაცვითი ღირებულებები, რესურსებს და ბუნებას განიხილავს, როგორც ადამიანთათვის სარგებლის მომტანს, გარემოსდაცვით მოწოდებებს აღიქვამს როგორც გაცვეთილ საუბარს და ექსტრემისტულ მიდრეკილებას. რაც შეეხება მეორე უკიდურესობას, ტრანსცენდენტური ორგანიზაცია ახდენს კომპანიის ბიზნეს სტრატეგიაში მდგრადი განვითარების ელემენტების ჩართვას, მწვანე კრიტერიუმები მხედველობაშია მიღებული გადაწყვეტილების მიღებისას, მიღებული გადაწყვეტილებები არ გამოირჩევა გარემოზე მავნე ზემოქმედებით.

ცხრილი 1. ROAST სტრატეგიის სტადიები

სტადიები	აღწერა
R მედეგობა (I სტადია)	სრული წინააღმდეგობა ეკოლოგიური ღირებულებებისა და წესებისადმი. კომპანიათა აბსოლუტურად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გარემოსდაცვითი ინიციატივებისადმი
O დაკვირვება და შესრულება (II სტადია)	კომპანიები აკვირდებიან გარემოსდაცვით კანონმდებლობას, თუმცა სურვილი არ გააჩნიათ ან არ აქვთ უნარი განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები
A შეგუება (III სტადია)	კომპანიები ადაპტაციას ახდენენ ცვლილებებზე. პროაქტიური და პასუხისმგებლობიანი ქცევა. კომპანიის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონმდებლობის დაცვით, არამედ იგი ითვალისწინებს გარემოსდაცვითი აქტივობების განხორციელებას
S წართმევა და წინასწარი განსაზღვრა (IV სტადია)	კომპანიები ენთუზიასტები არიან გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაში. პასუხისმგებლობა აქციონერთა წინაშე. მდგრადი განვითარების გათვალისწინება
T ტრანსცენდენტურობა (V სტადია)	კომპანიათა ღირებულებები, დამოკიდებულება, რწმენა და კულტურა აბსოლუტური მხარდაჭერით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას. აქტივობები სრულ შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების კონცეფციასთან

ბარიერები მწვანე მენეჯმენტში: სტატიკური მოსაზრება და ცუდი რეგულირება. მ. პორტერისა და პ. ლინდენის მოსაზრებით, პირველი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის კომპანიებს გამოიყენონ მწვანე

მიდგომები, გახლავთ ის ფაქტი, რომ კომპანიები იფარგლებიან სტატიკური აზროვნებით, ეს კი სისტემატიურად უბიძგებს მათ, შეაფასონ რეგულირების მაღალი ხარჯები. ამის კლასიკური მაგალითია აშშ-ში 1970 წელს Clean Air Act-ის (ეს არის აშშ-ს ფედერალური კანონი, რომელიც არეგულირებს ჰაერის დაბინძურების აღმოფხვრას) ირგვლივ გამართული დისკუსია.

ლ. იაკოკამ, შემდგომში ფორდის საავტომობილო კომპანიის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა, იწინასწარმეტყველა, რომ ახალი რეგულაციის შესაბამისად ავტომობილებზე ფასები გაიზრდებოდა და შედეგად 1975 წლისთვის წარმოება შეჩერდებოდა, ეს კი მნიშვნელოვნად დააზარალებდა ქვეყნის ეკონომიკას. 1970 წელს მიღებული კანონი ჰაერის დაბინძურების კონტროლზე ამოქმედდა, თუმცა ლ. იაკოკას წინასწარმეტყველება მცდარი აღმოჩნდა. სტატიკური აზროვნება სწორედ იმის მიზეზი, რომ კომპანიები ებრძვიან გარემოსდაცვით სტანდარტებს, რომელთა გამოყენებამაც შეიძლება რეალურად გაზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა.

მეორე პრობლემა, რომელიც ხელს უშლის კომპანიებს გამოიყენონ მწვანე მიდგომები, არის აშშ-ში მოქმედი გარემოსდაცვითი რეგულაციები, რომელიც, პ. ლინდენის მიხედვით, ხშირად აფრთხობს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს ან შეუძლებელს ხდის მათ განხორციელებას. მკაცრ სტანდარტებს შეუძლია და უნდა შეუწყოს ხელი რესურსების პროდუქტიულად გამოყენებას. მაგალითად, შეერთებული შტატების მარეგულირებელმა პროცესმა გაფლანგა ეს პოტენციალი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ნაცვლად გარემოს დაბინძურების პრევენციისა, მან კონცენტრირება მოახდინა დასუფთავებაზე, მანდატი მიანიჭა სპეციფიკურ ტექნოლოგიებს, დააწესა არარეალისტურად მოკლე ვადები, ამასთან იგი იმორჩილებს კომპანიებს გაურკვევლობის მაღალი დონით.

მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციები სხვადასხვა ტიპისაა, ყველა მათგანი საჭიროა შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო: ზეწოლა კომპანიებზე, რაც მათ ინოვაციებისაკენ უბიძგებს; გარემოსდაცვითი ხარისხის გაუმჯობესება; კომპანიების გამოფხიზლება და ინფორმირება შესაძლო რესურსების არაეფექტურობისა და ტექნოლოგიური წინსვლისთვის პოტენციური სივრცეების შესახებ; იმის აღბათობის გაზრდა, რომ პროდუქცია და ინოვაციური პროცესი ეკოლოგიურად იქნება თანხვედრადი; მოთხოვნის გაჩენა გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით, ვიდრე კომპანიებს და მომხმარებლებს აქვთ უნარი გაზომონ დაბინძურების უარყოფითი შედეგები; გარდამავალ პერიოდში ბაზრის მოთამაშეების გათანაბრება; იმის უზრუნველყოფა, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს პოზიციების განმტკიცება გარემოსდაცვითი ინვესტიციების თავიდან აცილებით.

მთლიანობაში, რეგულაციები უზრუნველყოფს ინოვაციური კომპანიების დაცვას, სანამ არ მოხდება ახალი ტექნოლოგიების აპრობირება და ტექნოლოგიური დანახარჯების შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Meima, R (1994) 'Making Sense of Environmental Management Concepts and Practices: A Critical Exploration of Emerging Paradigms', Proceedings of the 1994 Business Strategy and the Environment Conference, The University of Nottingham
2. Simpson, A (1991) 'The Greening of Global Investment - How the Environment, Ethics and Politics are Reshaping Strategies', The Economist Publications, London
3. Roome, N (1994) 'Business Strategy, R&D Management and Environmental 31 Imperatives', R&D Management 24
4. Welford, R (1994) Cases in Environmental Management and Business Strategy Rtman Publishing, London
5. Welford, R (1994) . Corporate Environmental Management – Systems and Strategies
6. Ali Hosseini (2007) International Journal of Management Science and Engineering Management – “Identification of green management system’s factors: A conceptualized model”
7. Alfred A. Marcus and Adam R. Fremeth (2009) – “Green Management Matters Regardless”
8. S.K. Agarwal (2005) - “green management”
9. http://www.ipex.org/files/inprint_nov_infocus.pdf
10. <https://www.oas.org/dsd/publications/Unit/oea58b/ch06.htm>

Theoretical Aspects of Green Management

Abstract

Nowadays going green is one of the most important approach to management and it's closely connected with sustainable development. Social interests, market competition, cost reduction and other significant factors bring companies to use green management in their production processes. There was a time when green management considered to be expensive and useless but now is widely expected that it could be profitable and promote creation of happy, healthy and productive working environment. We are delighted that many companies around the world use green management in their production processes. As a result they've reached competitive advantage on the market and another important thing is that they've got customers' benevolence.

Green management is not a concept which describes the new management style but more wise and cautious point of view how to lead business with respect to the environment. In earlier scientific literature it was ignored but for the last years theoretical aspects of green management have been developing faster and effectively. These theories represent companies' attitude through the environmental issues in different ways and try to classify them. We can introduce these theories and classifications by various scientists. Besides, many different approaches and attitudes exist in practice and each of them shows a different aspiration for environmental protection.

On the other hand there are still some barriers toward green management which prevent companies from going green, but global market's modern trends and social responsibility show companies the right direction.

ვალერი არღუთაშვილი
თორნიკე ნარსავიძე
ნოდარ ქიტიაშვილი
სოფიო ჩიტაძე

მეწივეობის განვითარების ამსახველები სვანეთში

ტურიზმმა, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთმა მზადრმა სექტორმა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, როგორც მსოფლიო, ასევე რეგიონულ ეკონომიკაზე. ტურისტული ბიზნესი ეფუძნება ტერიტორიის, სხვადასხვა ინდუსტრიების მიერ წარმოებული პროდუქციის ინტეგრირებულ გამოყენებას, რომელიც აუცილებელია მიმზიდველი ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად.

გლობალურ ტურისტულ ინდუსტრიაში იქმნება მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტები, რომელთა თავისებურებები ეფუძნება კონკრეტული რეგიონის სპეციფიკას, საქონელსა და მომსახურებას, რომელიც საბოლოო ანგარიშით უნდა მიეწოდოს მომხმარებელს. კონკრეტული რეგიონის ფარგლებში შესაძლებელია შეიქმნას ტურისტული პროდუქტების საკმაოდ ფართო ასორტიმენტი, რომელიც ორიენტირებული იქნება შესაბამის მიზნობრივ აუდიტორიაზე. ტურიზმის გარკვეული მიმართულებები მოითხოვს მაღალი დონის ინფრასტრუქტურას, ასევე შესაბამის მომსახურებას, თუმცა არსებობს მიმართულებები, სადაც შესაძლებელია გარკვეული მომსახურების გაწევა მათი არარსებობისას. როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში, ტურიზმი განიხილება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სფერო, რომელსაც შეუძლია სტიმული მისცეს როგორც ცალკეული რეგიონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკას.

ტურიზმს გააჩნია მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენები, რომლებიც ხელს უწყობს საშუალო ადგილების შექმნას, საგადასახადო შემოსავლების ზრდას, მომიჯნავე სექტორების განვითარებას და ა.შ. მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი წარმოიქმნება, როდესაც ხდება ვიზიტორების მიერ ფულადი თანხების ხარჯვა სხვა საქონელსა და მომსახურებაზე, ე.წ. მულტიპლიკატორული ეფექტი, რომელიც გავლენას ახდენს ქალაქზე, სოფელზე, რეგიონზე, კონკრეტულ დანიშნულების ადგილზე.

ტურიზმის არსებული პოტენციალის გათვალისწინებით, სვანეთი ერთ-ერთი პრიორიტეტული რეგიონია და ტურისტებს სთავაზობს არაჩვეულებრივ ბუნებას. როდესაც სვანეთის ტურისტულ პოტენციალზე ვსაუბრობთ, საკმარისია უშგულის ხსენება, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილია. უშგული საქართველოს სავიზიტო ბარათია. სვანეთის ერთ-ერთი ძირითადი მიმზიდველობა ადგილობრივი ტრადიციები, ფოლკლორი და სამზარეულოა.

საქათველოში ჩამომსვლელი უცხოელი ტურისტების, განსაკუთრებით ორგანიზებული ტურისტების დიდი ნაწილი სტუმრობს სვანეთს. რეგიონის პოპულარობა საქართველოს მოქალაქეებს შორისაც ყოველდღიურად იზრდება. ბაზარზე არსებულმა მაღალმა მოთხოვნამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი – სვანეთში ჩამსვლელებისათვის გაიოლებულიყო ტრანსპორტირება.

სვანეთი ის ადგილია, რომელიც საქართველოში ტურისტების მოზიდვის კუთხით ერთ-ერთი მოწინავეა. სვანეთის ეგზოტიკური, ხალასი, თვითმყოფადი და იდუმალებით მოცული მთის სამყარო ტურიზმის განვითარებისათვის იდეალურ პირობას ქმნის. აქაური ძეგლები თავისი ხასიათით, თვითმყოფად ბუნებასთან ერთად, უნიკალურია. აქ წარმოდგენილია ადრეული და შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრები, კოშკები, უმშვენიერესი და საინტერესო ბუნება. ამიტომ სვანეთს, როგორც დიდი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მქონე რეგიონს, უნიკალური ტურისტული პოტენციალი აქვს.

ბევრი ტურისტისთვის ქვეყნის მონახულების მოტივაცია ძირითადად სვანეთს უკავშირდება, შესაბამისად ეს რეგიონი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მდგრადი ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. შესანიშნავი ბუნებრივი პირობები, ჯანსაღი კლიმატი და მინერალური წყლები საუცხოო პირობაა საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის. სვანეთში ასევე არის საუცხოო ხალხური ფოლკლორი, ხალხური რეწვის, ხეზე კვეთის, სხვადასხვა სახის მეწარმეობის ნიმუშები, უნიკალური სამზარეულო.

სვანეთმა მსოფლიოს კულტურის საგანძურს უნიკალური ისტორიული მასალა შემოუნახა. ეს მასალა ორგანულად ერწყმის ბუნების განუყოფელ სილამაზეს და ქმნის იმ საოცარ ჰარმონიას, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სვანეთი ითვლება ძნელად მისადგომ კუთხედს. თუმცა, რამდენადაც მკაცრი და ძნელად მისადგომია, იმდენად საინტერესო და მიმზიდველია.

სვანეთის ისტორიულ-კულტურულ ძეგლებში მოიაზრება:

- ეკლესიები და მთაში შემონახული სიწმინდეები (ჯვარ-ხატი, ხელნაწერები, ოქრო-ვერცხლის სამკაულები, ფრესკული მხატვრობა, მოჩუქურთმებული კარები და სხვა);
- არქეოლოგიური ძეგლები (ყველაზე ადრეული ძეგლები ქვის ხანის გვიანდელ საფეხურს - ნეოლითს განეკუთვნება);
- საქართველოს ყველა კუთხისაგან განსხვავებული არქიტექტურა - სვანური კოშკი და „მაჩუბი“ (სვანური საცხოვრებელი სახლი);
- ხალხური რეწვის ნიმუშები (ძველი სვანური ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქუდები, სვანური სახლის დამახასიათებელი ელემენტები, ავეჯი, ჯამ-ჭურჭელი, სათავსოები, ხალხური საკრავები, საბრძოლო იარაღები და სხვა);
- მუსიკალური ეთნოგრაფიული ფოლკლორი (სიმღერები, ფერხულები, ცეკვები, ლეგენდები და სხვა).

ამჟამად მესტიაში მოქმედებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც სტატისტიკურად აღრიცხავს მესტიაში შემოსულ და დარეგისტრირებულ ტურისტებს და საჭიროებისას ახდენს მათ დაკვალიანებას და სამარშრუტო რუკებით უზრუნველყოფას. ასევე ტურისტული მომსახურების განხრით მოქმედებს არასამთავრობო ორგანიზაცია - კავშირი სვანეთის ტურიზმის ცენტრი. აღნიშნული ორგანიზაცია აქტიურად მოქმედებს და მრავალი სასიკეთო რამ გააკეთა სვანეთში ტურიზმის განვითარებისათვის. მესტიაში ფუნქციონირებს კარგად გამართული სამაშველო სამსახური, რაც ტურიზმის განვითარებისთვის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია.

ძირითადი პროდუქტი, რომლითაც სვანეთი ტურისტულ ბაზარზე გადის, ულამაზესი სამთო-ტურისტული მარშრუტებია თავისი ეგზოტიკური ბუნებრივი ლანდშაფტებით და მდიდარი კულტურული გარემოთი. სწორედ ამის სანახავად ჩამოდის უცხოელი თუ ადგილობრივი სტუმარი.

სვანეთის კულტურული გარემო და, განსაკუთრებით, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში შემაგალი ტერიტორია სრულიად უნიკალურია. ამდენად, კულტურული მემკვიდრეობის საკითხი, აქ არსებული რესურსის ტურისტული მიზნებისათვის გამოყენების თვალსაზრისით, სპეციალურ განხილვას საჭიროებს.

სვანები ქართველური ტომია, იბერიულ-კავკასიური (ე.წ. იაფეტური) მოდგმისაა. ისინი ცხოვრობენ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე. საქართველოს ამ მაღალმთიანი რეგიონისადმი დიდ იტერესს იჩენენ ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, არქეოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ენათმეცნიერები, ფოლკლორისტები და ა.შ. თვითოეულ მათგანს მოპოვებული აქვს გარკვეული წარმატებები, მიუხედავად ამისა, ერთიანი სურათი სვანეთის ისტორიისა, მისი არსებობის დღიდან დღემდე არა გვაქვს.

სვანი ტომების გეოგრაფიული საცხოვრისის შესახებ ცნობები ანტიკური სამყაროს მრავალ ავტორთან არის დაცული, ისინი გაფანტულია ამ ავტორთა ლიტერატურულ-ფილოსოფიურ, გეოგრაფიულ თუ ისტორიულ ნაწარმოებებში.

სვანთა განსახლების კვლევის საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ენობრივ მასალასაც ეხება, დიდი ქართველი მკვლევარი გიორგი მელიქიშვილი ენობრივ მასალაზე დაყრდნობით მრავალ საყურადღებო ცნობას ადგენს.

სვანური არქიტექტურა ერთ-ერთი უნიკალურია და განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა. სვანეთის სოფელი შორიდან ხშირად ქვის მთლიან არქიტექტურულ ანსამბლად წარმოგვიდგება, სადაც თითქოს შერწყმულია სახლები და ცადაზიდული კოშკები, რომელიც ჰარმონიულ

კავშირშია გარემომცველ მთის მწვერვალებთან. სვანური არქიტექტურის სხვადასხვა ფორმები დღეს ყველაზე უფრო უშგულშია შემორჩენილი და მაგალითისთვის სწორედ მას მოვიყვანთ.

უშგულის ხეობა ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია შხარას მთის დათოვლილი ფერდობებით, რომლის ძირში სათავეს იღებს მდინარე ენგური. დასახლებული ტერიტორია მდინარის გასწვრივ, ბუნებრივ ტერასებზეა განლაგებული. უშგულის სოფლებიდან უფრო საინტერესოა ჩაჟაში, რომელიც იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაშია შესული. აქ კარგად შემონახული ფორმით გვხვდება ტიპური სვანური საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედის ორსართულიანი (იშვიათად, ერთსართულიანი) სახლი, კოშკი, დამხმარე ნაგებობები და მათი გამაერთიანებელი ეზო. მთელი ეს მიწის ნაკვეთი ქვის ღობითაა შემოსაზღვრული. კომპლექსის ბირთვი სახლი და კოშკია, რომლის ვერტიკალური მოცულობა კომპლექსის განაშენიანების დომინანტს წარმოადგენს.

სვანური საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი – კოშკია. იგი წარმოადგენს 5X5 მ კვების მქონე ოთხკუთხა წაკვეთილი ფორმის ქვით ნაშენებ პირამიდას, რომლის სიმაღლე 25 მ ფარგლებში მერყეობს. კოშკი ოთხი ან ხუთსართულიანია. ზედა სართულზე დატანებულია სარკმელები, რომელთა შიგა ზომები გარეთაზე მეტია, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს მხედველობის არეს და ზრდის კოშკის თავდაცვისუნარიანობას. ფერდობთან ახლოს აგებული კოშკი აუცილებლად წიბოთია ორიენტირებული ფერდობისაკენ. კოშკის სივრცული ორიენტაცია, საძირკვლის ნახევრად სფერული ფორმა და მასიურობა უზრუნველყოფს მის მდგრადობას, რაც არა ერთხელ დადასტურებულა სვანეთში მომხდარი სტიქიური მოვლენების (ზვავი, ღვარცოფი) დროს.

სვანეთის ტერიტორიაზე საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი საგუშაგო კოშკების სისტემა. საშიშროების შემთხვევაში პირველ კოშკზე ანთებდნენ სპეციალურად მომზადებულ თივას. აღის დანახვისას იგივე მეორედობდა ყოველ მომდევნო კოშკზე და მთელი ხეობა სწრაფად მოდიოდა საომარ მზადყოფნაში. შეზღუდული ხილვადობის შემთხვევაში სიგნალი გადაიცემოდა თოფის გასროლით. გარდა ამისა, იყო მსხვილი საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომლებიც კავკასიონის უღელტეხილებს აკონტროლებდნენ. მსგავსი ნაგებობების ნანგრევები შერჩენილია, მაგალითად, მდინარე ტვიბერის ხეობაში ორი კარიბჭის სახით. სახლის პირველ სართულს მაჩუბი (მაჩვიბი) ეწოდება. იგი განკუთვნილია ადამიანის ბინად და საქონლის სადგომად, ხოლო მეორე სართული გამოყენებულია ადამიანის სარჩოს შესანახად და აგრეთვე საქონლის საკვები მარაგისათვის. დარბაზს ზოგჯერ საცხოვრებლადაც იყენებდნენ ზაფხულში.

მესტიის განსაკუთრებულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომლის ფონდში 4000-ზე მეტი ექსპონატი ინახება, მათ შორისაა ხელნაწერები, ფერწერული, ჭედური ხატები. არქეოლოგიური კვლევის ბაზა, ფონდსაცავი. მუზეუმში დაცულია სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, ქართული ჭედური ხელოვნებისა და ხატწერის უნიკალური ნიმუშები – X საუკუნის მაცხოვრის ხატი, XI საუკუნის პირველი ნახევრის ხატები, XII საუკუნის „ორმოცი მოწამის ხატი“ და ჯვარცმის ხატი, ღვთისმშობლის IX-X საუკუნის ფერწერული ხატები და სხვა. სარიტუალო ნივთები - IX-XIV საუუნეების სამწერობლები, ასურელი მამების საცეცხლურები, უძველესი ხელნაწერები - XI-XIII სს-ის ჰადისის, ლაბსყალდის, იენაშისა და მესტიის ხელნაწერი ოთხთავები მოჭედილი ყდებით, ადრეული და გვიანი შუასაუკუნეების საომარი აღჭურვილობის რკინის, ვერცხლის, სპილენძის ნაკეთობების, სამკაულების, ჭურჭლის, ქსოვილების ნიმუშები, ძველი სვანეთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები და სხვა.

მესტიის ღირსშესანიშნაობებს მიეკუთვნება ასევე მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმი, მარგიანების სახლ-მუზეუმი, სოფ. ჩაჟაშის ნაკრძალი მუზეუმი (მუზეუმი ღია ცის ქვეშ).

მესტიის რაიონში არის 45 ფრესკული ეკლესია. გარდა ამისა არის 107 ეკლესია, 311 სვანური კოშკი და 100-ზე მეტი სვანური სახლი-მაჩუბი, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად ითვლება.

აქ შეიძლება მაგალითისთვის მოვიყვანოთ რამდენიმე ეკლესია, რომელთა ისტორიულ-კულტურული ღირებულება ფასდაუდებელია:

- მუჟაალის სოფ. ჩვაბიანის მაცხოვრის სახელობის ეკლესია მე-10 საუკუნეშია აშენებული. მის ინტერიერს ამკობს ხუთთაღიანი კანკელი. ეკლესიის აბსიდი მე-10 საუკუნეშივე მოუხატავთ ვინმე ამროლასა და მიქაელის სახსრებით, ლაზარაეს მამასახლისობისას, ბაგრატ III მეფობის დროს, რასაც ვიგებთ აბსიდის კედლებზე შესრულებული წარწერებიდან. მოხატულობა გამოირჩევა დახვეწილი კოლორიტით. გამოყენებულია ძვირფასი საღებავი-ლაჟვარდი, რომელიც სვანეთის მხატვრობაში სხვაგან არსად გვხვდება. ეკლესია ხელმეორედ XIII საუკუნეში მოუხატავთ.

- კალას წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას სახელობის ეკლესია (სვანურად ლაგურკა) სოფ. კალაში მდებარეობს. იგი X საუკუნეშია აშენებული მოყვითალო ფერის ქვით. მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიაა. შუა საუკუნეებში იგი წარმოადგენდა სამონასტრო კომპლექსს. ეკლესია 1112 წელს მოხატა მეფის მხატვარ თევდორეს მიერ, რომელსაც მანამდე 1096 წელს სვანეთში მოხატული ჰქონდა იფარის მთავარანგელოზის ეკლესია. ეკლესიაში დაცულია კალას თემის მთელი საგანძური (X-XII-XIII) შუა საუკუნეების ჭედური და ფერწერული ხატები. აქვე ინახება მინანქრით შემკული სანაწილე ხატი, რომელსაც სვანები „შალიანის ხატს“ უწოდებენ.

- ნაკიფარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია X საუკუნეში აუშენებიათ შირიმით. იგი დარბაზული ტიპის სამლოცველოა. მისი აღმოსავლეთი ფასადი შემკულია მოხატულობითა და ცხოველთა რელიეფური გამოსახულებებით (ხარის, არჩვის, ირმის, ლომის და დათვის გამოსახულებანი). გარეთა შემკულობაც ეკლესიის აშენების თანადროულია. მისი ინტერიერი მოხატულია მეფის მხატვარ თევდორეს მიერ 1130 წელს. მხატვრობა ძალზე შთამბეჭდავია. გამოირჩევა საინტერესო მხატვრული გადაწყვეტით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კონქის კომპოზიცია, სადაც ვედრების გავრცობილი ვერსიაა გამოსახული და ჩრდილოეთ კედელზე მოთავსებული წმ. მხედრების (წმ. გიორგის და წმ. თევდორეს) საზეიმო, ჰერალდიკური ხასიათის კომპოზიცია. ეკლესიაში დაცულია X-XII-XIII სს ჭედური ხატები. აქვე ინახება XI საუკუნეში მოღვაწე ოქრომჭედლის - ასანის მიერ შესრულებული წმ. გიორგის ჭედური ხატი (მარუშინის დაკვეთით). ეკლესია ამჟამად მოქმედია.

- მაცხოვრის სახელობის ეკლესია მდებარეობს სოფ. ლატალში. სვანები მას „მაცხვარიშის“ სახელით მოიხსენიებენ. ეკლესია X საუკუნეშია აშენებული შირიმის ქვით. იგი დარბაზული ტიპის ეკლესიაა. მისი ინტერიერი მოხატულია მიქაელ მაღლაკელიძის მიერ 1140 წელს, დემეტრე პირველის მეფობის მე-15 წელს, რასაც გვამცნობს ჩრდილოეთ კედელზე ასომთავრულით შესრულებული წარწერა. მოხატულობისათვის დამახასიათებელია დეკორატიულობის ხაზგასმა. ეკლესია მდიდარია შუა საუკუნეების ფერწერული ხატებით. აქვეა დაცული XII საუკუნის საწინამძღვრო ჯვარი, რომელიც ტიხრული მინანქართაა შემკული. ეკლესია მოქმედია.

- ლალამის მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესია მესტიის ძველ უბანში – ლალაშში მდებარეობს. იგი ორსართულიანი დარბაზული ტიპის ეკლესიაა. პირველი სართულის არქიტექტურა X საუკუნისაა, მეორე კი - XII საუკუნისა. მეორე სართულის ინტერიერიც და ფასადიც XIV საუკუნეში მოუხატავთ.

სვანეთში ეკლესიები თავის როლს კომუნისტური რეჟიმის დროსაც ასრულებდა. სვანი კაცი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ძლიერი რწმენით და ჯვარ-ხატისადმი უდიდესი პატივისცემით. ეკლესიები და მათში დაცული სიწმინდეები შეიძლება ჩაითვალოს სვანეთის ერთ-ერთი ძირითადი და მტკივნეული პრობლემის – მიგრაციის საწინააღმდეგო საშუალებად. სვანეთის ცენტრიდან ისეთ დაშორებულ სოფლებში, როგორცაა უშგული, კალა, ადიში, წვიმრი, იფარი, ჟაბეში, მაზერი და სხვა, დარჩენილი მოსახლეობის უმეტესობა არ ტოვებს საცხოვრებელს იმის გამო, რომ ამდენი საუკუნეგამოვლილი, წინაპრების მიერ საიდუმლოდ და სათუთად შენახული სიწმინდის მიტოვების

უფლებას საკუთარი სინდისი და თავმოყვარეობა არ აძლევს. ამ სიწმინდეების ისტორიულ ღირებულებაზე ალბათ თანამედროვეობა იტყვის თავის სათქმელს და გააცნობს მთელ სამყაროს, როგორც მსოფლიო კულტურის საგანძურის განუყოფელ ნაწილს.

ასევე გამორჩეულია ავთენტური სვანური ფოლკლორი, საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. ცალკე აღსანიშნავი თემაა სვანური სამართალი - მთაში არსებული სიღუბლე და მცირემიწიანობა არ იძლეოდა მოსახლეობაში ფენათა წარმოქმნის, ანუ კლასობრივი დიფერენციაციის საშუალებას. ამის გამო საქართველოს მთიან კუთხეებში ფეოდალურმა ურთიერთობებმა ძნელად მოიკიდა ფეხი. ფშავში, ხევსურეთში, მთიულეთში, ხევში, თუშეთსა და სვანეთში, მიუხედავად ფეოდალების მრავალი ცდისა, მოსახლეობამ ბატონყმობის უღელი ვერაფრით ვერ იგუა და თითქმის მეოცე საუკუნემდე შეინარჩუნა ცხოვრების თემური წესი.

სვანეთის ისტორიისა და კულტურის ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილია მუსიკალური ფოლკლორი. სვანეთის ბუნებისა და ყოფის სიმკაცრის შესაბამისად, მუსიკალური ფოლკლორიც მკაცრი და ომახიანია. სიმღერებისა და ფერხულების ძირითადი ნაწილი ეძღვნება ლაშქრობებს, ომებს, ბრძოლებში გამოჩენილ გმირებს, სახელოვან მეფეებს (მაგალითად, თამარ მეფეს). ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება რელიგიურ დღესასწაულებს. ბევრი სიმღერა და ფერხული ეძღვნება ნადირობას, ნადირობის ქალღმერთ დალის. არსებობს აგრეთვე საყოფაცხოვრებო ხასიათის სიმღერები და ძალიან ცოტა - სახუმარო და სასიყვარულო თემებზე აგებული სიმღერები. სვანეთში დღესაც მნიშვნელოვანია სამგლოვიარო სიმღერები. ყველა მიცვალებული, როგორც სვანეთში, ისე სვანებით დასახლებულ ბარში და თბილისშიც კი, იმარხება სვანური „ზარით“. ეს არის სიმღერა, რომლის ვარიანტები გვხვდება სვანეთის სხვადასხვა სოფლებში.

არსებობს ისეთი სიმღერებიც, რომელთა შექმნა უძველეს დროზე მიგვანიშნებს. ამ სიმღერებში ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა დაკარგულია. ასეთია მაგალითად „ლილე“, რომელსაც მღერიან არა მარტო საქართველოში. იგი ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე შეიქმნა. ეს სიმღერა სავარაუდოდ, ეძღვნება მზის ღვთაებას. ასეთივე უძველეს სიმღერებს მიეკუთვნება „ქალთიდი“, „კვირია“, „ელია ლურდე“ და სხვა.

სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ფერხულს (სიმღერისა და ცეკვის ერთდროული განსახიერება). იგი სრულდება უმეტესწილად მამაკაცთა მიერ, თუმცა არის ისეთი ფერხულებიც, სადაც ქალებიც მონაწილეობენ. ასეთია მაგალითად, „თამარ-დელოფალი“, „ირინოლა“, „დალა-კოჯას“ და სხვა. მამაკაცთა ფერხულები შინაარსობრივად ეძღვნება, ძირითადად, ლაშქრობებს, ომებს და ნადირობას. მაგალითად, „მურზა ი ბექსილი“, „შგარი და ლაშგარი“, „გაულ-გავხე“, „ლეძჩილ“ და სხვა. სვანეთის სასიმღერო ფოლკლორი, იმავდროულად მუსიკაში აჟღერებული სვანეთის ისტორიაცაა. ყველა სიმღერას აქვს წარმოშობის დრო და ადგილი, ყველა მათგანი არის ლეგენდის ნაწილი, რომელიც ზეპირი გადმოცემის გზით არის მოსული ჩვენამდე.



ჭუნირი უძველესი ქართული ხემიანი საკრავია, იგი მხოლოდ მთის მცხოვრებლებმა შემოინახეს პირვანდელი სახით. სვანეთში ეს საკრავი დღესაც ეროვნულ საკრავად ითვლება და სვანებს უნდა ვუმაღლოდეთ მის გადარჩენას. ჭუნირი სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულ სახელს ატარებს: სვანეთში (ჭუნირი), რაჭაში, ხევსურეთსა და თუშეთში (ჭიანური). მე-20 საუკუნის დასაწყისში ის ცნობილი იყო

გურიაშიც ჭიანჭურის სახელწოდებით. ამ საკრავზე ადრე ქალებიც უკრავდნენ ანსამბლში ჩანგთან ერთად. ჭუნირზე უკრავენ ქალებიც და მამაკაცებიც (სვანეთი, თუშეთი). ხემიანი საკრავი სააკომპანიმენტო საკრავია. ხშირად მას უკრავენ საღამურთან ერთად. მისი თანხლებით ასრულებენ ერთხმიან სიმღერებს - საგმირო ლექსებს, მათზე სრულდება აგრეთვე საცეკვაო მელოდები.

სვანეთში ჩატარებული უნიკალური არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, თუ როგორი დახვეწილი ხერხებით ხდებოდა სხვადასხვა ეპოქაში, ქვის ხანიდან დაწყებული დღემდე, იმ საგნების დამზადება, რომლებითაც დღეს საქართველოს და, კერძოდ, სვანეთის არქეოლოგიის მუზეუმი ამაყობს. დღესდღეობით შემორჩენილია წესები და ხელსაწყოები, რომლითაც ხდება ხალხური რეწვის ნიმუშების დამზადება. თუმცა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მეთოდი დაკარგულია და მათი აღდგენა თითქმის შეუძლებელია (მაგალითად ვერცხლის მოსევალება, ჯვარ-ხატების გაფორმების ზოგიერთი ხერხი და სხვა).

სვანეთი ერთ-ერთი უღამაზესი და უძველესი კუთხეა საქართველოში, სტუმართმოყვარეობითა და შრომისმოყვარეობით განთქმული მასპინძლებით. სვანები თავისებური და ამაყი ხალხია. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე მათ შესახებ წერს: „სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ, ფლობენ ისინი ირგვლივ (ყველაფერს) და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები“. სვანეთში დღემდე შენარჩუნებულია ძირძველი ტრადიციები და სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებები, რომელთაც დიდი ადგილი უკავია სვანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ასევე ერთ-ერთი ძველისძველი ტრადიციაა: „სისხლის აღება“. სვანები თავისიანის სისხლს არავის შეარჩენენ, ისინი მკვლელის გვარიდან იმდენ ადამიანს კლავენ რამდენიც მათ მოუკლეს თავისი გვარიდან და ამით ანგარიშს ასწორებენ.

ლამპრობა, სვანეთის ადრე საგაზაფხულო დღესასწაულია. სვანები „ლამპრებს“ არყის ან მუხის დაჩეჩქილი ტოტებისაგან აკეთებდნენ. „ლამპრობის“ ტრადიციას სხვადასხვანაირად ხსნიან. ყველაზე გავრცელებული თქმულებით, „ლამპრობა“ სვანეთში მეომრების რიცხვის დასადგენად ტარდებოდა. ანთებული ლამპრების მიხედვით ადგენდნენ, რამდენი პოტენციური მეომრის გამოყვანა შეეძლებოდათ სვანებს საჭიროების შემთხვევაში. სხვა ვერსიით, „ლამპრობის“ მიზანი იყო მოსავლიანობის, საქონლის, ადამიანის გამრავლება და კარგი ამინდის გამოთხოვა. არსებობს მოსაზრება, რომ ლამპრებს სვანები თავიანთი მიცვალებულებისთვის ანთებდნენ და სჯეროდათ, რომ ამით გარდაცვლილ წინაპრებს სულებს უთბობენ. ლამპრობა ძველ მიწათმოქმედ ხალხთა დღესასწაულია. მისი ჩატარების დრო ახალ მთვარეზეა დამოკიდებული და უმეტესად თებერვლის შუა რიცხვებს ემთხვევა.

სვანურ ყოფა-ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის გამო ხარმა სვანი მოსახლეობის უძველეს სარწმუნოებრივ შეგნებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა და ადრევე მიიღო საკულტო ხასიათი, რაც დღემდე შემორჩა რელიგიურ წარმოდგენებსა და რიტუალებს. სვანეთის მთის რელიეფისა და კლიმატის პირობებში ხარი იყო ძირითადი გამწვევი ძალა, როგორც მიწის დამუშავებაში, ისე მარხილით ტვირთზიდვაში. ამასთანავე, ხარს დიდი სვედრითი წონა ჰქონდა მოსახლეობის ხორცითა და ტყავეულით უზრუნველყოფის საქმეში. სვანთა ენთოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია, რომ ხარის ტყავი განსაკუთრებით ძვირად ფასობდა მრავალმხრივი გამოყენებისა და დიდი გამძლეობის გამო. მრავალი სამეურნეო-საოჯახო და პირადი მოხმარების საგნები - ჭაპანი, ღვედი, ფეხსაცმელი, ქამარ-ლეკვერთხი მისგან მზადდებოდა. რქასა და ძვალს კი ლითონის საბრძოლო იარაღის ტარზე დასამაგრებლად იყენებდნენ. საქართველოში ხარის რქებიც კი თავყვანისცემის საგნად იქცა. ე.წ. „შესაწირავი რქები“ დადასტურებულია, როგორც ნაგებობების, ისე საკურთხევლების, სარიტუალო საგნებისა და თიხის ჭურჭლის შემკულობად. აგრეთვე რელიეფურად ჩანს წარმოდგენილი კედლის მხატვრობაში.

სვანეთში გარდაცვლილთა სულების საპატივცემლოდ სრულდება მთელი რიგი წეს-ჩვეულებანი. ორმოცსა და წლისთავზე ხდება ხარის შეწირვა, რომელსაც „ნაჯგურნ“ ან „ლეჯგრი“ ხარს უწოდებენ. შეწირული ცხოველის თავს განსაკუთრებული ადგილზე დებენ და ზედ სანთლებს უნთებენ. სვანი ხალხი სულს ღმერთის სახელზე აყენებს, შესთხოვს წინაპართა სულებს დაიცვას მათი ოჯახი ყოველგვარი გაჭირვებისგან.

საინტერესოა სვანეთში ახალი წლის მეკვლეობის წეს-ჩვეულება. დიდი მნიშვნელობა აქვს მეკვლის ფეხს და თანახმად სვანების რწმენისა, მეკვლის ხელსაც - მთელი წლის ავ-კარგიანობისათვის. თუ ვინმეს მთელი წლის განმავლობაში რაიმე ზარალი მოუვიდოდა, საქონელი დაუზიანდებოდა, მიწის მოსავალი ნაკლები ექნებოდა, ვინმე ავად გაუხდებოდა, მარცხს და ფათერაკს გადაეყრებოდა, ყველაფერი ეს მეკვლეს მიეწერებოდა. თუ ცუდი ფეხი ჰქონდა - მომავალ წელს მას ოჯახში მეკვლედ არ მიიწვევდნენ, ახალი წლის, როგორც მნიშვნელოვანი დღესასწაულის ძალა, მთელ წელიწადზე ვრცელდებოდა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნო ტურიზმის განვითარებას სვანეთში უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ჩვენს მიერ ნაშრომში განხილული სვანური კულტურა, ფოლკლორი, წესჩვეულებები და ტრადიციები, უნიკალური არქიტექტურული დიზაინი და ლანდშაფტი მთავარი პირობაა სვანეთში ეთნოტურიზმის განვითარებისა. მიგვაჩნია, რომ სვანეთში ეთნოტურიზმის განსავითარებლად აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- კარგად დაგეგმილი პიარ კამპანია და ასევე კარგად მომზადებული გიდები მნიშვნელოვნად აამაღლებს მესტიის ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისებას;
- ასევე შეთავაზებებში შეიძლება ჩაიღოს ის დრო, როდესაც რომელიმე სოფელში ეწყობა ტრადიციული დღესასწაული;
- ტურიზმის განვითარებიდან მაქსიმალური სარგებელი, პირველ რიგში, ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს. ხელი უნდა შეეწყოს ბიზნესის განვითარებას, რათა რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მცხოვრები იყოს ჩართული ტურისტული მომსახურების წარმოებასა და მიწოდებაში;
- სვანეთის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების და სიღარიბის დაძლევის მიზნით, ამ რეგიონის სასოფლო-სამეურნეო და ადამიანური რესურსების განვითარებისათვის საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება;
- აუცილებელია ყურადღება მიექცეს სვანურ ფოლკლორს, მოხდეს მათი გადარჩენა, შესწავლა, ჩაწერა და გამოქვეყნება, რათა არ დაგვეკარგოს სვანეთის სულიერი საგანძურის ესოდენ მნიშვნელოვანი ნაწილი;
- ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, თუ სარგებლობასთან ერთად რა ზიანი შეიძლება მოიტანოს თავის ნებაზე მიშვებულმა, გაუკონტროლებელმა ტურიზმმა;
- სასურველია, რომ საქართველოში ტურიზმის სფეროში მოღვაწე ყველა პიროვნებამ თავად იცოდეს, თუ რაოდენ ძვირფასი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია მის კუთხეს, მთლიანად ჩვენ ქვეყანას. მათ უნდა შეძლონ ჩამოსული სტუმრისათვის შეარჩიონ და კვალიფიციურად შესთავაზონ ჩვენი ტრადიციების გაცნობა, ბუნების ულამაზესი ძეგლების, ეთნოგრაფიულ-არქიტექტოგიური ღირსშესანიშნაობების, მუზეუმების მონახულება, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების მოსმენა და ნახვა;
- აუცილებელია, რომ ყველა დაზიანებულ ეკლესიას დაუბრუნდეს პირვანდელი სახე, რაც უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს გახდის სვანეთს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე სტუმრებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბესარიონ ნიჟარაძე. წესები მიცვალებულზე სვანეთში. 1998
2. ჩათო გუჯეჯიანი. საგანმანათლებლო კერები სვანეთში. ჟურნალი უძველესი მხედარი, 1985
3. ცილა ჩართოლანი. ნათესაური ურთიერთობები სვანეთში. 1990
4. რ. ჯაფარიძე. ხარის კულტი. 1997
5. ეკა ჩართოლანი. სვანთა განსახლების ისტორიისათვის. 1997
6. ჩათო გუჯეჯიანი. მონადირეობა და სამონადირეო ლექსიკა სვანეთში. 1984

Perspectives for Ethno Tourism Development in Svaneti

Abstract

Tourism, as one of the growing sectors of the economy, has had a significant impact on regional, as well as on global economy. Tourism business is based on integrated usage of the destination territory and the goods produced by different producers, which is essential for developing an attractive tourism product.

Taking into consideration the potential of the region, Svaneti is one of the significant tourism regions, which offers the visitors fascinating nature. Considerable part of the international tourists coming to Georgia, especially package tourists visit Svaneti. Svaneti preserved unique historical resources for the world cultural heritage. This historical resources organically combined with the breathtaking beauty of nature creates the magnificent harmony which surprises the visitors.

The paper discusses the perspectives for development of ethno tourism in Svaneti. It's highlighted that Svaneti has its own culture, folklore, customs and traditions, unique architecture and landscape, all this is the main precondition for the development of ethno tourism in Svaneti. In conclusion, the recommendations, which will be quite useful for ethno tourism development in Svaneti, are suggested.

ფერმერული მეურნეობის საქმიანობის ორგანიზაცია

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია ძლიერი ფერმერული მეურნეობების არსებობის გარეშე.

სოფლის მეურნეობაში არსებული უამრავი პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ეფექტიანად მოქმედი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზით, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან ბაზარზე და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია შეძლებს იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას.

ნებისმიერი დარგის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო. სტაბილური და უსაფრთხო პოლიტიკური გარემო და ბიზნესის კეთებისთვის ხელსაყრელი საკანონმდებლო ბაზა საშუალებას იძლევა განხორციელდეს დიდი მოცულობის მიზნობრივი ინვესტიციები, გაიზარდოს წარმოება და შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილები.

ბიზნესგარემო წარმოადგენს სოციალურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს, რომელიც ზემოქმედებს ორგანიზაციის გადაწყვეტილებებზე, სტრატეგიებზე, პროცესებსა და საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს.¹

საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ექსპერტებისა და ქართველი მეწარმეების პოზიცია საერთოა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიზნესგარემო საქართველოში საგრძნობლად უმჯობესდებოდა.

ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით 2013 წლის მონაცემებით საქართველო მსოფლიოში მე-8 ადგილზეა,² ხოლო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 2014 წლის მონაცემებით 22-ე ადგილზეა³ და ენიჭება უმეტესად თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი.

მიუხედავად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ტენდენციებისა, საქართველოს ბიზნესკლიმატი კვლავაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას.

საქართველოში საკმაოდ დაბალია მეწარმეობრივი უნარები, რაც ერთი მხრივ, ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არსებობას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუმცა, სახელმწიფოს შეუძლია გარკვეული მასტიმულირებელი პროგრამების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესკულტურის განვითარებას შედარებით მოკლე ვადაში. მაგალითად, შეიძლება დასახელდეს საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების შექმნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე.

ასევე პრობლემურია შრომის ბაზარი – ერთი მხრივ, მაღალია უმუშევრობის დონე, მეორე მხრივ კი დამქირავებელს ძალიან უჭირს სასურველი კადრის მოძიება და დაქირავება. ამასთანავე, გამოცდილების, ტექნოლოგიის, საჭირო ბიზნესუნარების ან/და უბრალოდ ინფორმაციის არქონის გამო მრავალი კომპანია ვერ ახერხებს ვერც ადგილობრივ ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას და, მით უმეტეს, ვერც საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი ბევრი პრობლემისა და გამოწვევის პირისპირ დგას – სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად მცირდება პროდუქციის საერთო მოცულობის, ერთ ჰექტარზე საშუალო წარმოების, ნათესი ფართობების და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები.⁴

საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებულ პრობლემათა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

¹ მეწარმის სამაგიდო წიგნი. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. 2008, გვ. 7

² <http://www.doingbusiness.org/rankings>

³ <http://www.heritage.org/index/country/georgia>

⁴ http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/agriculture_and_rural_development/index_ka.htm

- ვერ ხერხდება სექტორის ორგანიზაციული და ტექნოლოგიური მოდერნიზება;
- ინვესტიციების ნაკლებობა;
- ნაკლებად ხელმისაწვდომია სასოფლო-სამეურნეო კრედიტები;
- ქვეყანა დიდწილად და მოკიდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე;
- მცირეა ფერმერული მეურნეობების რაოდენობა;
- სასოფლო-სამეურნეო სექტორში კვლევა-განათლება-გავრცელების სისტემის სისუსტე;
- არასათანადოდ მოქმედი მიწის ბაზარი;
- ირიგაციის სისტემისა და სხვა ინფრასტრუქტურის ცუდი მდგომარეობა;
- ფართოდ გავრცელებული ცხოველთა და მცენარეთა დაავადებები და სხვ.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია აგრარული სექტორის ძირითადი მეურნე სუბიექტის – ფერმერული მეურნეობის საბაზრო პირობებისადმი ადაპტირების, მათი ინტენსიური განვითარებისა და მაღალეფექტიანი საქმიანობის მიღწევის გარეშე, ვინაიდან, ფერმერული მეურნეობები ძირითად საქონელმწარმოებელ ძალად გვევლინებიან, რომლებმაც პრაქტიკულად უნდა განახორციელონ ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემების გადაწყვეტა.

ვინაიდან სასურსათო პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა ფერმერული მეურნეობების სისტემის განვითარებაა, ამ ეტაპზე მისი დროულად ჩამოყალიბებისათვის ეკონომიკური, სოციალური, თუ სამართლებრივი საფუძვლების შექმნას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

ოჯახური მეურნეობა, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, ისეთი ფასეულობების მატარებელია, რომელიც მიწასთან მჭიდროდ დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა მთელი რიგი თაობების აღზრდას უკავშირდება. ასეთი მეურნეობები თავისებური ფერმერული სკოლებია, რომელთა დანიშნულება მდიდარი ფერმერული გამოცდილების შენარჩუნება და მემკვიდრეობით გადაცემაა. აქ წარმოების პროცესი ორგანიზებულია ნათესაური კავშირების საფუძველზე, შრომა დანაწილებულია სქესისა და ასაკის მიხედვით. ამასთან, წარმოება ინტეგრირებულია ოჯახის კვლავწარმოების პროცესთან, ფერმერული მეურნეობის ხანგრძლივი სტაბილურობა დამოკიდებულია არა მარტო გარემო პირობებზე, არამედ, იმავდროულად, ოჯახის წევრთა ინტერესების შეხამებაზე, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და დასახული მიზნის მიღწევის ხარისხზე.

ოჯახური მეურნეობა განვითარებულ ქვეყნებში, აგრარული სექტორის ძირითადი სამეურნეო ბირთვია, რომლის ფუნქციონირების პრინციპები ყველაზე სრულად პასუხობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკას. ამასთან, იგი არა მარტო საწარმო-ეკონომიკური, არამედ სოციალური (ოჯახური) ერთეულიცაა. აქ საწარმოო საქმიანობა და ოჯახური ცხოვრება შედუღებულია. სწორედ ამაში მდგომარეობს ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების სპეციფიკურობა და მისი გაძლოლის თავისებური ხასიათი.

განვითარებული ქვეყნების აგრარულ სექტორში მიწის კერძო საკუთრებასთან ერთად ფართოდაა გავრცელებული მისი არენდა. ამჟამად საზღვარგარეთის ქვეყნებში არენდის სხვადასხვა ფორმა გამოიყენება. აშშ-ში ფერმერულ მეურნეობათა 45% არენდით ალებულ მიწებს ამუშავებს, ხოლო მიწების დაახლოებით 15% დაგირავებულია, ე.ი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფერმერები სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ახორციელებენ საკუთარ (40%) და არენდით (60%) ალებულ მიწაზე. საფრანგეთში მიწების 50 პროცენტს არენდატორები ამუშავებენ, ხოლო მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში არენდატორზე მოდის დამუშავებული მიწების 75%-ზე მეტი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ქვეყნების სოფლის მეურნეობის წარმატებებს მიწაზე კერძო საკუთრება არ განსაზღვრავს.

საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნები ფერმერულ მეურნეობათა განსხვავებული კლასიფიკაციით ხასიათდებიან.

ისრაელში აგრარული სტრუქტურა მრავალფორმიანია და წარმოდგენილია კიბუცების (კომუნები ან სახელმწიფო მეურნეობები), მოშავების (გლეხური კოოპერატივები), კერძო გლეხური მეურნეობების, კვების მრეწველობისა და სერვისის კოოპერატიული საწარმოების სახით. კიბუცების მმართველობის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება. ანაზღაურება ხდება ნატურით, პირადი ხარჯებისათვის კი

წელიწადში ერთხელ გამოიყოფა განსაზღვრული თანხა. მოშავები, ანუ ე.წ. წვრილ-გლენური კოოპერატივები საქმიანობას წარმართავენ სახელმწიფოსაგან 49-წლიანი არენდით აღებულ მიწაზე, ვადის ავტომატური გაგრძელებით და მემკვიდრეობის უფლებით. აქ ყველა ოჯახი მუშაობს ინდივიდუალურად, მაგრამ სერვისი კოლექტიურია.

ქვემოთ განვიხილავთ საქართველოში ფერმერული მეურნეობის რამდენიმე წარმატებულ მაგალითს სხვადასხვა დარგებიდან და ვაჩვენებთ მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომლის განვითარებისთვისაც ხელსაყრელი პირობები არსებობს საქართველოში, არის მეფუტკრეობა. კავკასიური ფუტკარი (ბევრი მას ქართულ ფუტკარს უწოდებს) ცნობილია მთელ მსოფლიოში.

საქართველოში უამრავი ადამიანი მისდევს მეფუტკრეობას. მათ შორის არის მესტიელი ფერმერი ბესარიონ გულედანი, რომელმაც საქმიანობა დაიწყო ათი წლის წინ ფუტკრის ერთი ოჯახით და დღეისათვის მის მფლობელობაში ფუტკრის 15 ოჯახია.¹

სვანეთში მიღებული თაფლი განსაკუთრებული მახასიათებლებით გამოირჩევა. მას სუბალპურ თაფლსაც უწოდებენ. ფუტკრები ადაპტირებული არიან სვანეთის კლიმატთან და მკაცრ ზამთართან. ფუტკრის მოვლისას ფერმერი ხელმძღვანელობს შესაბამისი სტანდარტებით და გამოსაზამთრებლად ფუტკარს უტოვებს სპეციალურ სასაქონლე მარაგს. მისი თქმით, როდესაც ფუტკარს ამთაბარებენ და გაყავთ სხვადასხვა რეგიონებში, თაფლის ხარისხიც განსხვავებულია, ამიტომ იგი გამოსაზამთრებლად ადგილზე ტოვებს თავის ფუტკარს.

სვანეთში ფუტკრის დაწურვა ბარის რეგიონებისგან განსხვავებით ხდება წელიწადში ერთხელ. როგორც წესი – აგვისტოს ბოლოსთვის.

ბესარიონ გულედანის თქმით, ფუტკრის ერთი ოჯახი მას აძლევს წელიწადში 15-20 კგ. თაფლს. კილოგრამი თაფლის სარეალიზაციო ფასი 20-22 ლარია. მის კლიენტებს შორის არიან როგორც ადგილობრივები, ასევე, ტურისტები. გარდა ამისა, მის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა თბილისშიც. მას არ აქვს პროდუქტის რეალიზაციის პრობლემა. უფრო მეტიც, ხშირად თაფლის დეფიციტია და რეგიონში რეალურად არსებობს თაფლის წარმოების გაზრდის შესაძლებლობა.

სასაქონლე თაფლის წარმოების გარდა, ფერმერი აგროვებს ფუტკრის მტვერსაც (ყვავილის მტვერს). გარდა ამ პროდუქტებისა, მეფუტკრეობაში იწარმოება ფუტკრის რძე, ცვილი და სხვა. იმისათვის, რომ ფერმერმა შეძლოს ამ პროდუქტებიდან რამდენიმეს წარმოება, მას ჭირდება სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციული და მატერიალური მხარდაჭერა.

ფერმერის თქმით, ფუტკრები ძირითადად მუშაობენ მინდვრის ყვავილზე და მისგან მიღებულ თაფლს გააჩნია წაბლისა და ცაცხვის თაფლისგან განსხვავებული გემო. როგორც ის აღნიშნავს, საჭიროა ახალი ენდემური ჯიშების დათესვა, საიდანაც უფრო ეფექტიან თაფლს მოგავაწვდის ფუტკარი.

სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი საკონსულტაციო და მატერიალური დახმარების შემთხვევაში ბესარიონ გულედანის მსგავს ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ განვითარდნენ და გაზარდონ წარმოების მასშტაბები.

ფერმერის თქმით, ერთი სკის შეძენა დაახლოებით 150-200 ლარი ჯდება და უმჯობესია ისეთი ფუტკრის შეძენა, რომელიც ადაპტირებულია ადგილობრივ კლიმატთან.

თუ გავითვალისწინებთ თაფლზე არსებული მოთხოვნის მაღალ დონეს და მეფუტკრეობის განვითარების ხელსაყრელ პირობებს, შესაძლებელია ითქვას, რომ არსებობს დარგის განვითარების პერსპექტივა და საჭიროა მოსახლეობის სტიმულირება, რათა მათ ხელი მოკიდონ ამ საქმიანობას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება მეცხოველეობის დარგში არის მელიორეობა, რომელსაც ოდითგან უამრავი ადამიანი მისდევდა საქართველოში, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო ამ ბიზნესში ჩაბმულთა რიცხვი წლიდან წლამდე მცირდება.

¹http://www.youtube.com/watch?v=SZ_dNDr6Dk8

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვეყანაში ფუნქციონირებდა მელორეობის მრავალი სპეციალიზებული კომპლექსი და მეურნეობა, ხოლო უმეტეს კოლმეურნეობებში – მელორეობის ფერმები. ბოლო წლებში საქართველოში მელორეობის დარგში გამოიკვეთა წარმოების მაჩვენებლების გაუარესების ტენდენცია.

დღეისათვის მელორეობის განვითარების სფეროში ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია თაღლაურას მელორეობის ფერმა, რომელიც მდებარეობს კახეთში, ქ. გურჯაანიდან 6კმ-ის დაშორებით, ლაგოდეხის მიმართულებით. მეურნეობა წარმოადგენს „სასუქე მოედანს“, ეგრეთწოდებულ ფინიშერს, რომლის წარმადობაა ერთდროული განთავსების პირობით 3300-3600 სასუქე ღორი 105-120კგ დასაკლავ წონებთან შესაბამისად. კომპლექსი საბჭოთა დროს აშენებული ყოფილი სარძევე ფერმის ბაზაზეა შექმნილი, მან მოქმედება დაიწყო 2012 წლის აგვისტოში.¹

მეურნეობა განთავსებულია 7 ჰა მიწის ფართობზე და ინფრასტრუქტურულად შეიცავს:

- 4 ერთმანეთისაგან იზოლირებულ საბინავე შენობებს 2600 კვ.მ საერთო ფართობით;
- სასაკვებე საამქრო-საწყობებს;
- სასაკლავს;
- ადმინისტრაციულ-დებარეობის ბლოკს;
- ტექნიკური დანიშნულების შენობას.

გარდა ამისა, ტერიტორია დაყოფილია სანიტარულ ზონებად, გააჩნია ნაკელის შემგროვებელი ავზები და დამატებით 3600 კვ.მ ფართის მქონე შენობა, რომელშიც სამომავლოდ განთავსდება რეპროდუქტორული ბლოკი 500 დედა-ღორზე. შედეგად კომპლექსის წარმადობა იქნება 11000 კონდიციური ღორი წელიწადში.

ფერმა დაკომპლექტებულია კლიმატკონტროლის, დატივრის, კანალიზაციის, საკვებისა და სასმელი წყლის მიწოდების ავტომატიზებული სისტემებით. ფერმას გააჩნია, აგრეთვე, ხორცის შესანახი მაცივარი.

ზრდის მოცემულ ეტაპზე სასუქი ნეზები დღის მადილზე მოიხმარენ 7 ლიტრ წყალსა და 3,2 კგ საკვებს, ამისათვის სექციები აღჭურვილია წყლის სარწყულებლებით, საიდანაც ცხოველები შეხებისთანავე დებულობენ სუფთა სასმელ წყალს, ხოლო საკვები ავტომატურად მიეწოდებათ სპეციალური სასაკვებე ხაზიდან, რომელიც შედგება მთავარი ბუნკერისაგან, მომწოდებელი ხრახნისაგან, საკვებურებისაგან და საკვების დონის კონტროლერისაგან.

ფერმის ინფრასტრუქტურის ნაწილს ასევე წარმოადგენს მარცვლეულის საწყობები 1900 ტონის საერთო ტევადობით. საწყობები აღჭურვილია მარცვლეულის აქტიური აერაციის სისტემით.

რაც შეეხება საკვების საამქროს, მისი წარმადობაა 2,5 ტონა საათში. იგი შედგება პნევმო საცხებისაგან, 2 ერთეული 2 ტონიანი შემრევისაგან, დოზირების მექანიზმისაგან, დამტვირთი კონვეიერისა და პნევმო ტრანსპორტიორისაგან.

ობიექტის დღიური წარმადობაა 30 ღორი. სასაკლაოში გამოყოფილია ბინძური და სუფთა ზონები. გათვალისწინებულია სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები.

მსგავსი ზომის და საწარმოო შესაძლებლობების ფერმერული მეურნეობა სიცოცხლისუნარიანია და შეუძლია იყოს კონკურენტუნარიანი ბაზარზე.

ფერმერული მეურნეობის სტიმულირებისთვის აუცილებელია ბაზრის არსებობა, სადაც მეურნე შეძლებს თავისი ნაწარმის გასაღებას სასურველ ფასში. გამოკითხული ფერმერების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათთვის რთულია სტაბილური საქმიანი პარტნიორის მოძიება, ვისთანაც დაამყარებდნენ გრძელვადიან ფინანსურ ურთიერთობას. ამ პრობლემიდან ერთ-ერთ გამოსავალს წარმოადგენს რესტორნების ქსელებისა და ფერმერების დაკავშირება. ამის წარმატებული მაგალითია ანზორ ჯაფარიძის ოჯახური მეურნეობა. ბატონი ანზორი მრავალი წელია უძღვება საკუთარ ბიზნესს. იგი წარმატებით ეწევა მეფრინველეობას, მელორეობას, თევზის მოშენებას, მეღვინეობას კახეთის რეგიონში.

¹<http://www.vdcapital.ge/megoreobis-ferma>

აღსანიშნავია მისი საფირმო პროდუქტი – წითელი ღვინო „პინო“, რომელიც სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა და საკმაო პოპულარობით სარგებლობს დამკვეთებს შორის. დღესდღეობით იგი ბევრ რესტორანს ამარაგებს საკუთარი პროდუქტით, მათ შორის რესტორან „ანცს“, რომელიც მის მფლობელობაშია. ნაწარმის მაღალი ხარისხის შენარჩუნებით ანზორ ჯაფარიძის ოჯახური მეურნეობისა და მისი ბიზნესპარტნიორების ურთიერთობა წლების განმავლობაში წარმატებით გრძელდება.

ფერმერული მეურნეობის ზემოთ მოყვანილი წარმატებული მაგალითების მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით, საქართველოს სოფლის მეურნეობა მძიმე მდგომარეობაშია. წლიდან წლამდე მცირდება ნათესი ფართობებისა და დარგში წარმოებული პროდუქციის მოცულობა. მოსახლეობა მასობრივად ტოვებს სოფლებს და ცდილობს ქალაქში მოძებნოს სამსახური. ბაზრის დიდი წილი უცხოეთიდან იმპორტირებულ პროდუქციას უჭირავს, რომლის ჩანაცვლებაც ვერ ხერხდება ადგილობრივი პროდუქციით. მცირე ზომის საოჯახო მეურნეობების მიერ მიღებული შემოსავალი მხოლოდ მათ მიმდინარე მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს და არ იძლევა ინვესტიციების განხორციელების და მეურნეობის ზრდის საშუალებას.

ასეთ პირობებში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს განხილული ფერმერული მეურნეობების მსგავსი სუბიექტები, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიონ უცხოურ პროდუქციას, დაასაქმონ ადგილობრივი მოსახლეობა და მუდმივად იზრუნონ გაფართოებასა და ზრდაზე. სწორედ ასეთი ტიპის მეურნეობების საშუალებით უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების აღმოფხვრა. წარმოების მოცულობის ზრდის შემთხვევაში, ასეთ მეურნეობებს საშუალება მიეცემათ მიაღწიონ მასშტაბის ეკონომიას, იყენენ კონკურენტუნარიანები ბაზარზე და გაიმჯობესონ საბანკო კრედიტზე ხელმისაწვდომობა.

სამეურნეო ერთეულების გამსხვილების გარეშე ქართული პროდუქცია ვერ იქნება კონკურენტუნარიანი ბაზარზე, მცირე მეურნეობებს არ ექნებათ ზრდის საშუალება და შესაბამისად, საქართველოში ვერ განვითარდება აგრობიზნესი.

გამოცვცემთ ჩვენი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელთა განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში აგრობიზნესის განვითარებას:

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობის დონისა და ცოდნის ამაღლება აგრობიზნესის მართვის თანამედროვე მეთოდების შესახებ;
- აუცილებელია სიცოცხლისუნარიანი და განვითარებაზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობებისთვის საკონსულტაციო, მატერიალური და სხვა სახის დახმარების გაწევა;
- საჭიროა მოსახლეობისთვის იმის დასაბუთება, რომ მხოლოდ შედარებით მსხვილ ფერმერულ მეურნეობებს ან კოოპერატივის ტიპის გაერთიანებებს შეუძლიათ იყენენ კონკურენტუნარიანები ბაზარზე. ამიტომაც მცირე საოჯახო მეურნეობებმა უნდა იზრუნონ გაფართოებასა და გამსხვილებაზე;
- საჭიროა სტრუქტურული კვლევების წახალისება აგრობიზნესის სფეროში, რათა ხელი შეეწყოს ამ საკითხით ახალგაზრდების დაინტერესებას და ახალი იდეების და ინიციატივების შემუშავებას;
- უნდა მოხდეს ფერმერული მეურნეობების განვითარების წარმატებული უცხოური მოდელების შესწავლა და მათი ადაპტირება ქართულ რეალობასთან.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები სოფლის მეურნეობისთვის, რაც უნდა მოიცავდეს როგორც ფულად და მატერიალურ დახმარებას, ასევე კონსულტაციებსა და ფერმერული მეურნეობის შექმნისა და მართვისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აგიაშვილი ი. ფერმერული მეურნეობების ფორმირების თავისებურებები საქართველოში და მათი როლი მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფაში. დისერტაცია. თბილისი, 2006

2. გოგიაშვილი ო., მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. დისერტაცია. ქუთაისი, 2013
3. მეწარმის სამაგიდო წიგნი. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2008
4. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/agriculture_and_rural_development/index_ka.htm
5. <https://www.youtube.com/watch?v=zptQvp5NXtM>
6. <http://www.vdcapital.ge/megoreobis-ferma>

Irakli Akhaladze
Giorgi Gaprindashvili
Nino Kharistvalashvili

Organisation of Farm Performance

Abstract

Agricultural sector in Georgia is characterized by the prevalence of small family farms which aren't competitive on market because of their limited size and resources. Farms holding comparatively big areas of land or other resources function effectively on the market. In the paper performance of specific farms is analyzed and peculiarities of their work organization and their perspectives are examined. These farms are good examples of efficient use of the potential existing in Georgia's agriculture by reasonable management and tireless work.

In the paper special attention is given to the business climate in the country and the analysis of development of agriculture by encouragement of effectively functioning farms.

Government's supportive actions should be mentioned as necessary measures for transformation and modernization of agricultural sector in Georgia. The support should include as financial as well as advisory assistance.

On the base of our research we made some recommendations and we consider that by realizing these recommendations in practice it will be possible to solve some specific problems that hamper development of agriculture in Georgia.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში (პროექტი)

ინფორმაცია განმცხადებლის და შემსრულებლის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ წარმოადგენს პროექტს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში“. პროექტის ავტორები არიან ცენტრის წევრები: თორნიკე ბერიძე, გურამი ბოლქვაძე, თენგიზ თაქთაქიშვილი.

ჩვენი მიზანია ვირტუალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნისა და სათანადო პროექტის პრეზენტაციის გზით ვაჩვენოთ მისი უპირატესობები და ხელი შევუწყოთ საქართველოში კოოპერატივების პოპულარიზაციას. პროექტის ფარგლებში წარმოვადგენთ ვირტუალურ კოოპერატივს და ავსახავთ იმ პროცედურებს, ღონისძიებებს და სათანადო ხარჯებს, რაც საჭიროა კოოპერატივის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის. პროექტში თანმიმდევრულად იქნება გაწერილი აღნიშნული ნაბიჯები და ნაჩვენები იქნება კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის გზები.

პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა, რომ ჩვენი გაერთიანების ადმინისტრაციულ-სამართლებლივი ფორმა იყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც მოიპოვებს კოოპერატივის სტატუსს. ამ შემთხვევაში, ჩვენ მიერ შექმნილი კოოპერატივის სახელწოდება იქნება შპს „იდეა“. ჩვენი მიზანია შევქმნათ ეფექტური კოოპერატივი, რომელიც ხელს შეუწყობს მეცხოველეობის განვითარებას მაღალმთიან რეგიონში და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება იქნება მაგალითი ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც ეტაპობრივად გაზრდის კოოპერატივის წევრთა რაოდენობას.

ჩვენ მიერ შექმნილი კოოპერატივის საქმიანობის სფერო იქნება რძის წარმოება და რეალიზაცია.

მაღალმთიან რეგიონებში არსებობს მეცხოველეობის განვითარების მდიდარი რესურსი. თუმცა, წვირულ მეურნეობებს უჭირთ არსებული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება. ჩვენ ვვგეგმავთ გაერთიანებას (მსხვილფეხა საქონელი, საკუთრებაში არსებული მიწები, ფულადი კაპიტალი და ა.შ.), რათა ერთობლივად განვასრულოთ რძის წარმოება და რეალიზაცია. კოოპერატივში გაერთიანების შედეგად ვვარაუდობთ, რომ შევამცირებთ წარმოების ხარჯებს და გავზრდით მოგებას. კოოპერაციის გზით უზრუნველყოფილი იქნება სტაბილური შემოსავალი კოოპერატივში შემავალი საოჯახო მეურნეობებისთვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონება შეიქმნება წევრთა (მეპაიეთა) შენატანით (პაით), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგებით, მიღებული გრანტით და სხვა წყაროებით, რომლებიც აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.¹

პრობლემის განსაზღვრა (არსებული სიტუაციის ანალიზი)

„კოოპერაცია არის გააფთრებული სვაკებისგან მშრომელი კაცის დაცვის ერთადერთი საშუალება“ - ილია ჭავჭავაძე.

საქართველოში პირველი კოოპერატივი „მომჭირნეობა“ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ დააარსა.

¹საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ. 12 ივლისი, 2013.

დღესდღეობით, საქართველოს სოფლის მეურნეობა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. ვერ ხერხდება არსებული პოტენციალის სრულად ათვისება და ეფექტიანად გამოყენება. მოსახლეობა მასობრივად ტოვებს რეგიონებს და საბუშაო ძალის შემცირება სოფლად კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას.

გლობალური კონკურენციის პირობებში განვითარებადი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მოქმედი მცირე საოჯახო მეურნეობები წამყვანი მდგომარეობაში არიან ბაზარზე და მათ მიერ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები ხშირად ვერ უზრუნველყოფს მათ მიერ პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების დაფარვასაც კი.

არსებული ვითარების გამოსწორების ერთ-ერთი გზაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მასობრივად შექმნა და განვითარება. ამის თქმის საფუძველს იძლევა საზღვარგარეთის გამოცდილება. ბევრმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობის განვითარება სწორედ კოოპერატივების დაარსებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების გზით შეძლო.

კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსი (The International Cooperative Alliance - ICA) კოოპერატივს განმარტავს შემდეგნაირად: „ადამიანთა ავტონომიური და ნებაყოფლობითი გაერთიანება მათი საერთო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საჭიროებების და სურვილების დასაკმაყოფილებლად, ერთობლივ მფლობელობაში მყოფი და დემოკრატიულად მართული საწარმოს საშუალებით“.¹

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ კოოპერატივს განსაზღვრავს შემდეგნაირად: „წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა მის წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე (მუხლი 60)“.

ისტორიულად, კოოპერატივები ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს ფერმების ბაზარზე შესვლის, კრედიტზე ხელმისაწვდომობის და ინფორმაციაზე წვდომის მიმართულებით. კოოპერატივების არსებობა 160 წელზე მეტს ითვლის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში მნიშვნელოვნად განაპირობეს ფერმერთა შემოსავლების ზრდა. ამ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები იქმნებოდა იმ მიზნით, რომ გაეწონასწორებინა საბაზრო ძალაუფლება მწარმოებლებსა და მათ სავაჭრო პარტნიორებს შორის და შეემცირებინა ფერმერების წინაშე მდგარი რისკები. ამ პერიოდში მათ აქტიურ მხარდაჭერას უწევდა სახელმწიფო.

არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული შვიდი პრინციპი, რომლებსაც ეფუძნება კოოპერატივის ფუნქციონირება:

1. ნებაყოფლობითი და ღია წევრობა;
2. წევრების დემოკრატიული მმართველობა – ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება (ერთი წევრი, ერთი ხმა);
3. წევრების ეკონომიკური მონაწილეობა – კოოპერატივის წევრები, როგორც წესი, შემოსავლის გარკვეულ ნაწილს აბრუნებენ წარმოებაში და მიმართავენ კოოპერატივის მიერ წინასწარ განსაზღვრული მიზნის შესაბამისად;
4. ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა – კოოპერატივი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც კონტროლდება მისი წევრების მიერ;
5. განათლების, ტრენინგების და ინფორმაციის უზრუნველყოფა;
6. თანამშრომლობა კოოპერატივებს შორის;
7. საზოგადოებაზე ზრუნვა – კოოპერატივი ხელს უწყობს მდგრად განვითარებას იმ საზოგადოებაში, სადაც ის ფუნქციონირებს.²

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში ფერმერებს საშუალება ეძლევათ გააერთიანონ მათ ხელთ არსებულ რესურსები, რაც მათ შრომას ხდის უფრო ეფექტიანს. კოოპერატივი იძლევა

¹<http://ica.coop/en/whats-co-op/co-operative-facts-figures>

² <http://www.uwcc.wisc.edu/icic/orgs/copac/member/un/reports/ag-21/chap3.html>

მასშტაბის ეკონომიის მიღწევის საშუალებას; მისი წევრები საერთო ხარჯებით იძენენ ტექნოლოგიებს, რაც ამცირებს მათ დანახარჯებს. გარდა ამისა, ერთობლივად მოქმედების შემთხვევაში მეურნეობებს უფრო მეტი შანსი აქვთ შეაღწიონ ისეთ ბაზრებზე, სადაც ისინი ვერ შევლენ დამოუკიდებლად.

მიზანი

საქართველოში კოოპერატივების განვითარება ხელს შეუწყობს:

- საოჯახო მეურნეობების განვითარებას და მათი სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას;
- სოფლისა და სოფლის მეურნეობის ალორძინების ხელშეწყობას;
- სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;
- სოფლად სიღარიბის აღმოფხვრას;
- სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის გაზრდას, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებასა და რენტაბელობის ამაღლებას;
- ბიოლოგიური მეურნეობის განვითარებას.

რაც შეეხება ჩვენს კონკრეტულ შემთხვევას, კოოპერატივის შექმნით გვსურს შემდეგი მიზნების მიღწევა:

- წარმოების შედარებით დიდი მასშტაბის კვალობაზე დანახარჯების შემცირება პროდუქციის ერთეულზე;
- კოოპერატივში გაერთიანების შემთხვევაში ჩვენთვის გამარტივდება ხელმისაწვდომობა კრედიტსა და დაზღვევაზე;¹
- აგრარული კოოპერატივებს შეუძლიათ საბაზრო ნიშის ათვისება, რისი შესაძლებლობაც დამოუკიდებლად არსებობის შემთხვევაში არ გაგვაჩნია;
- მსხვილი აგროფირმების, სურსათის მწარმოებლების და საცალო მოვაჭრეების არსებობა ნიშნავს ბაზარზე მსხვილი მოთამაშეების მონაწილეობას, რომლებიც ცდილობენ უკარნახონ გარიგების პირობები და გაცილებით ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან, ვიდრე წვრილი მიმწოდებლები. ამიტომ, კოოპერატივში გაერთიანების შემთხვევაში გაიზრდება ჩვენი კონკურენტუნარიანობა ბაზარზე.

კოოპერატივისთვის გაცილებით მარტივია მოლაპარაკების წარმოება პოტენციურ კლიენტებთან, ვიდრე მცირე საოჯახო მეურნეობისთვის. ამასთან, კოოპერატივის პირობებში საშუალება გვექნება შედარებით მარტივად მივიღოთ ჩვენი ბიზნესის გაფართოებისთვის საჭირო სესხი ბანკიდან, რადგან კოოპერატივი აღიქმება როგორც უფრო კონკურენტუნარიანი, სიცოცხლისუნარიანი და საიმედო სამეურნეო სუბიექტი, ვიდრე ცალკე აღებული ერთი მცირე საოჯახო მეურნეობა.

ჩვენი მიზანია შევქმნათ სტაბილური წარმოება, რომელიც მოგვცემს საშუალებას ყოველდღიურად მოვახდინოთ განსაზღვრული რაოდენობის რძის რეალიზაცია. კოოპერატივის დამფუძნებლები სამომავლოდ ვითვალისწინებთ და მივესალმებით კოოპერატივის წევრთა ზრდას და კოოპერატივის გამსხვილებას, რაც კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის ჩვენს წარმოებას. ასეთ პირობებში გაიზრდება კოოპერატივის წევრი ოჯახების კეთილდღეობა და მათ ნაკლები სტიმული ექნებათ იმისათვის, რომ მიატოვონ საცხოვრებელი ადგილები და ქალაქში ეძიონ სამსახური.

¹Bouckova B., Agricultural co-operatives: perspectives for the 21 century, AGRIC. ECON., 48, 2002 (4).

ამოცანები

კოოპერატივის დაფუძნებისთვის გადასაწყვეტია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები კოოპერატივის პოტენციურ წევრებთან და მათთვის კოოპერატივის უპირატესობების დასაბუთება;
2. მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება კოოპერატივში გაწევრიანების შესახებ, საჭიროა მოხდეს შეთანხმება კოოპერატივის წევრთა წილობრივი მდგომარეობის შესახებ კოოპერატივში და კოოპერატივის წესდების განსაზღვრა;
3. კოოპერატივის შექმნაზე საბოლოო შეთანხმების შემდეგ უნდა მოხდეს კოოპერატივის სტატუსის მოპოვება;
4. საქმიანობის დაწყებისთვის საჭირო იქნება ფერმისთვის შენობის მოძიება ან აშენება და მისი აღჭურვა რძის წარმოებისთვის საჭირო მოწყობილობებით;
5. წარმოების დაწყებამდევე საჭიროა გასაღების ბაზრის მოძიება.

განხორციელების გზები

დღესდღეობით, მოსახლეობას არ აქვს ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა არის თანამედროვე კოოპერატივი და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას საკუთარი წევრებისთვის. ამიტომ, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გასაზრდელად საჭირო იქნება მათთვის კონსულტაციების გამართვა, რასაც უსასყიდლოდ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.

საჭირო კონსულტაციების გავლის შემდეგ კოოპერატივის დამფუძნებლები ვთანხმდებით კოოპერატივში თითოეულის წილის შესახებ. თითოეულის მფლობელობაში არსებული პაი გამოინატება ფულით ან ფულად ღირებულებაში გამოხატული ქონებით. ჩვენ შემთხვევაში კოოპერატივის წევრების განკარგულებაში პაის თანაბარი რაოდენობაა. ეს მოიცავს: კოოპერატივის თითოეული წევრის საკუთრებაში არსებული 20-20 ძროხა; მიწის ნაკვეთები - თითოეული ნახევარი ჰა და ფულადი რესურსები – სამი ათასი ლარი თითოეული წევრის შენატანი. პაისთან დაკავშირებულ საკითხზე შეთანხმების შემდეგ, ვადგენთ კოოპერატივის წესდებს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებსთან დაკავშირებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია დებულებები ამ კანონით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს: ა) სავალდებულო სარეზერვო ფონდის ფორმირების და განკარგვის წესს; ბ) წარმომადგენელთა ან/და საერთო კრების მოწვევის წესსა და უფლებამოსილებას; გ) საპაიო შენატანებისა და საპაიო ფონდის ფორმირების წესს; დ) წევრთა/მეპაიეთა რეესტრის წარმოების წესს; ე) მოგებისა და დივიდენდის განაწილების წესსა და პროცედურას; ვ) ზარალის განაწილების წესს; ზ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა და მის წევრს/მეპაიეს შორის წერილობითი სახით ურთიერთვალდებულებების გაფორმების წესს; თ) ლიკვიდაციის და ლიკვიდაციის შემდგომ დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

სავალდებულო სარეზერვო ფონდის შენატანები არ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წლიური მოგების 15%-ზე ნაკლები.

მას შემდეგ, რაც დავაფუძნებთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, კოოპერატივის სტატუსის მოსაპოვებლად განცხადებით მიემართავთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს. განცხადებას თან დავურთავთ შემდეგ დოკუმენტებს: ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება აღნიშნული იურიდიული პირის რეგისტრაციის ფაქტი და განმცხადებლის უფლებამოსილება; ბ)

საჭიროების შემთხვევაში ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ან/და ქონებაზე საკუთრების უფლება; გ) კოოპერატივის წესდება.

კოოპერატივის წევრთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთ-ერთი წევრის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე აშენდება საქონლის ფერმა და განთავსდება საჭირო ტექნიკა და დანადგარები. დანარჩენი ორი წევრის მიწის ნაკვეთებზე დაითესება ბალახი, რომელიც გამოყენებული იქნება საქონლის საკვებად. ფერმის ასაშენებლად და მოსაწყობად საკუთარი რესურსების გარდა გამოვიყენებთ სხვა ფულად სახსრებსაც, რომელიც მოიცავს: ა) კრედიტი ბანკიდან; ბ) გრანტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოდან (გრანტი შეიძლება მოიცავდეს როგორც ფულად სახსრებს, ასევე საჭირო ტექნოლოგიას ან ტექნიკას).

ამ ღონისძიებების პარალელურად ვიმუშავეთ გასაღების ბაზრის მოძიებაზე. კერძოდ, გავმართავეთ მოლაპარაკებებს რეგიონში მოქმედ საწარმოებთან ან დისტრიბუტორებთან, რომლებიც მუშაობენ მოცემულ რეგიონში.

პროექტის შესრულების განრიგი

ეტაპი	საქმიანობა	კვირა												
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
I	კოოპერატივის პოტენციური დამფუძნებლების საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები	✓												
II	შეთანხმება პაის საკითხზე და წესდების ფორმირება		✓	✓										
III	შპს-დ დარეგისტრირების პროცედურები				✓									
IV	კოოპერატივის სტატუსის მოპოვება					✓	✓							
V	ბანკიდან საჭირო სესხის მიღება							✓						
VI	გრანტის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისგან ან განვითარების სააგენტოდან							✓	✓	✓	✓			
VII	ფერმისთვის შენობის აგება და ტექნიკით აღჭურვა								✓	✓	✓	✓	✓	✓
VIII	მოლაპარაკებები პოტენციურ კლიენტებთან							✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

პროექტის განხორციელების ბიუჯეტი

სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	მოთხოვნილი თანხა ლ	სულ
შპს-დ დარეგისტრირება			200	200
ფერმისთვის შენობის აშენება		1	30 000	30 000
ფერმისთვის საჭირო მოწყობილობების შეძენა				
რძის ტრანსპორტირებისთვის საჭირო მანქანის შეძენა		1	12 000	12 000
სულ			42 200	42 200

საჭირო მოწყობილობებით ფერმის უზრუნველყოფისთვის მიმართავთ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს.

მოსალოდნელი შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება რძის მწარმოებელი კოოპერატივი. კოოპერატივის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებენ მისი დამფუძნებლები და მათი ოჯახის წევრები.

კოოპერატივი უზრუნველყოფს მის წევრებს სტაბილური შემოსავლით და შექმნის შემდგომი ზრდისა და განვითარების საფუძველს.

კოოპერატივის ფარგლებში შექმნილ მეცხოველეობის ფერმაში შესაძლებელი იქნება დღიურად 500-600 ლიტრი რძის წარმოება.

მონიტორინგი და შეფასება

პროექტის განხორციელებაზე დაკვირვებას განახორციელებს და კოოპერატივის დამფუძნებლებს საჭირო კონსულტაციებს გაუწევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.

პროექტი წარმატებულად ჩაითვლება, თუ მაღალმთიან რეგიონში მივიღებთ კოოპერატივის, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ წარმოებას, იქნება კონკურენტუნარიანი ბაზარზე, უზრუნველყოფს სტაბილურ შემოსავლებს მისი დამფუძნებლებისთვის და ექნება ზრდის პერსპექტივა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ. 12 ივლისი, 2013.
2. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, 22 აპრილი, 2013.
3. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.
4. Abate G. T., Francesconi G. N. and Getnet K., Impact of Agricultural Cooperatives on Small holders' Technical Efficiency: Evidence From Ethiopia, European Research Institute on Cooperative and Social Enterprises, 2013.
5. Bouckova B., Agricultural co-operatives: perspectives for the 21 century, AGRIC. ECON., 48, 2002 (4).
6. Ortmann G.F, King R.P, Agricultural Cooperatives I: History, Theory and Problems, Agrekon, Vol 46, No 1, March 2007.
7. PWC, World map of the agricultural cooperative movement and its critical issues, October 2012.

8. United States Department of Agriculture, Agricultural Cooperatives in the 21st Century, Rural Business-Cooperative Service, Cooperative Information Report 60, November 2002.
9. <http://ica.coop/en/whats-co-op/co-operative-facts-figures>.
10. <http://www.uwcc.wisc.edu/ivic/orgs/copac/member/un/reports/ag-21/chap3.html>.

Tornike Beridze
Guram Bolkvadze
Tengiz Taktakishvili

Development of Agricultural Cooperatives in Georgia (Project)

Abstract

In the paper positive sides of agricultural cooperative are presented by the virtual project of cooperative in order to contribute to the popularisation of agricultural cooperatives in Georgia.

Our cooperative will specialize on milk production and realization. All the work will be done by the founders of cooperative and their families.

In the mountainous regions in Georgia there are sufficient resources for developing agribusiness but small farms can't use it for many reasons.

Within the cooperative there are possibilities for reducing production expenses and increasing profit. Cooperative ensures stable and growing revenues for its members.

Members of cooperatives will share the costs of technology and other resources and try to find market for their products together that will reduce their expenses.

ზამო სვანეთის ეკოლოგიური პრობლემა

ქართველობამ, ჩვენმა შორეულმა წინაპარმა კარგად იცოდა და თავისი ცხოვრებით ამტკიცებდა, რომ იგი ბუნების ნაწილია და თავს დედამიწის შვილად მიიჩნევდა.

ადამიანი, როგორც ცნობიერი არსება, ყოველთვის ცდილობდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე რეფლექსიას. ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად მიღწეული პროგრესი თვალნათელი და ხელშესახები იყო და არის. რაც მეტ პირობას უყენებდა ბუნება ადამიანს, მით უფრო ღრმად იჭრებოდა იგი ბუნების კანონზომიერებაში. ადამიანმა ისეთ საიდუმლოებებს ახადა ფარდა, რომ შეძლო „მბრძანებელ“ ბუნებაზე გაბატონება და მოახდინა ბუნების სოციალიზაცია. მე-20 საუკუნის დასწყისიდან მოყოლებული, ჰომო ეკონომიკუსმა უმთავრეს მიზნად ფული გაიხადა, სხვა დანარჩენი კი, ადამიანის ჩათვლით, – საშუალებად. ამან გამოიწვია ის, რომ დღევანდელი ადამიანის ყოფიერება კრიზისულია, რადგანაც თავად დააყენა ბუნება მოსპობის საფრთხის წინაშე.

დღეს სახეზეა ბუნების კვლევა, მისი რესურსების ამოწურვა და ყველაფერ ამას ადამიანის საქმიანობა იწვევს, სწორედ ამიტომ გაჩნდა ლოზუნგი - „უკან ბუნებისკენ“. როდესაც რომელიმე ორგანიზმი ან რთული სისტემა ვითარდება გარემოსთან ჰარმონიაში და მისი შემადგენელი ყველა ფუნქციური ნაწილი პროპორციულად არის ერთმანეთთან შეფარებული, მაშინ განსაკუთრებული პრობლემები არ ჩნდება. ისევე, როგორც ცოცხალი ორგანიზმისათვის, გლობალური სამყაროსა და მეგაეკონომიკისათვისაც პრობლემები გამოძინარეობს გარემოსა და მისი ცალკეული ნაწილების უთანაბრო, არაპროპორციული განვითარების დისჰარმონიისგან.

ყველა ცოცხალმა არსებამ ევოლუციის პროცესში შეძლო გამოემუშაებინა ადრე განსაზღვრული ქცევიდან გადახვევის უნარი, რათა მისი ვარირება მოეხდინა იმისდა მიხედვით, თუ როგორ ზემოქმედებდა მასზე გარემომცველი სამყარო. სხვა სიტყვებით, ცოცხალმა ორგანიზმებმა, ევოლუციის პროცესში გამოიმუშავეს მიზნები და ქცევითი რეაქციები, უპირველეს ყოვლისა, გარემომცველ სამყაროში თვითგადარჩენის – ჰომეოსტაზისის და ძალაუფლებისათვის ბრძოლის მიზნებიდან გამომდინარე. ბევრი ორგანიზმი ძირითადად ცხოვრობს თანდაყოლილი ინსტინქტების განვითარებული სისტემის საფუძველზე, რაც მათ სასიცოცხლო პროგრამას განსაზღვრავს. ამგვარი ატავისტური „უპირობო“ ქცევის ელემენტები შეინიშნება ბევრ ადამიანში, ძირითადად უმაღლესი ძალაუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებში და სამწუხაროდ, მეცნიერებშიც კი, რომლებიც ჯიუტად იცავენ საკუთარ აზრს და თავს გვახვევენ მას, ცვალებადი რეალობის მიუხედავად.

უკუკავშირისა და ჰომეოსტაზისის საყოველთაო პრინციპებს ემორჩილება ყოველივე არსებული: ცოცხალი ორგანიზმები, ეკონომიკა, ეკოლოგია და მთელი საზოგადოება. უფრო მეტიც, მასვე ემორჩილება ხელოვნური ტექნიკური სისტემებიც. მაგრამ, თუკი ასე არ ან ვერ ხდება, მაშინ სისტემა ინგრევა. რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს გარე ზემოქმედების ისეთი დონე, რომელიც დამცავ მექანიზმებთან შედარებით ძლიერია და შეუძლია მისი განადგურება. ასე მაგალითად, ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობების მცირე რაოდენობა ყოველთვისაა ადამიანის ორგანიზმში და მუდმივად არსებობს მათ ზემოქმედებაზე კომპენსაციის მექანიზმი. თუკი არასასურველ პირობებთან დაკავშირებით მათი რაოდენობა იწყებს მკვეთრ ზრდას, მაშინ მიკრობები ახალ თვისობრიობაში გადადიან, ვითარდება ავადმყოფობა და ორგანიზმი რთავს დამატებით კომპენსატორულ მექანიზმს, ჩვეულებრივ, იზრდება ტემპერატურა, ლეიკოციტების რაოდენობა და ჩნდება ანტისხეულები, რომლებიც მიკრობებს ებრძვიან. მაგრამ, როცა ორგანიზმის დასნებოვნების კომპენსატორული შესაძლებლობები არასაკმარისია, დგება სიკვდილი. დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა ყველა რთულ სისტემაში.

წარსულში, ადამიანს ბევრი რამ დაუნგრევია და აღუგვია პირისაგან მიწისა, მაგრამ დღეს მდგომარეობა შეცვლილია, თუმცა სატრაბახო და სახარბიელო სიტუაცია არც ამჟამადაა. ცივილიზაციურ სამყაროში ჩამოყალიბდა ადამიანის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ტიპი – მომხმარებელი ადამიანი,

რომელიც არანაკლებ ზიანს აყენებს ბუნებასა და საზოგადოებას. ამ თვალსაზრისით ჰოლივუდი თვალსაზრისით გვიჩვენებს ცხოვრებისა და ქცევის სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, ადამიანი მოიხმარს არა იმას, რაც მისთვის აუცილებელია, არამედ იმას, რაც პრესტიჟულია, მოდურია. იგი უკვე აღარ მოიხმარს იმისთვის რომ იცხოვროს, არამედ ცხოვრობს, რათა მოიხმაროს.

როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივ გარემოს გააჩნია წონასწორობის შენარჩუნების საკმაოდ განსხვავებული მექანიზმები; თუმცა ბოლო წლების მძლავრი ანთროპოგენური ზემოქმედება, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, იმდენად დიდია თავისი მასშტაბებით, რომ ბუნებრივი კომპენსატორული მექანიზმები არასაკმარისი აღმოჩნდება. კაცობრიობამ ან უნდა შეამციროს თავისი ნეგატიური ზემოქმედება ბუნებაზე, ან გააძლიეროს ბუნებრივი კომპენსატორული მექანიზმები ხელოვნურთა ხარჯზე. ეკოლოგიურ გლობალიზაციაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე, განსაკუთრებით, მწვავე გლობალური საკითხები, რომელთა გადაწყვეტა კაცობრიობისათვის აუცილებელია, რათა იგი გადარჩეს. ამის უზრუნველყოფა კი შესაძლებელია მხოლოდ მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევით. უმწვავეს გლობალურ პრობლემებს შორის უნდა აღინიშნოს: კლიმატის ცვლილებები, ოზონის ფენის გათხელება და ოზონის ხვრელები, ტექნოგენური კატასტროფები, სურსათის და სასმელი წყლის გლობალური უკმარისობა, ტყეების გაჩეხვა და ჟანგბადის ნაკლებობა, სახიფათო დემოგრაფიული პრობლემები, მსოფლიო ომის საფრთხე, ლოკალური სამხედრო კონფლიქტები. ყოველივე ამას კატასტროფული ეკოლოგიური შედეგები მოაქვს მთელი პლანეტისათვის.

კაცობრიობა ვერ მოახერხებს ხანგრძლივი და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას, თუკი არ მოხერხდება უკუკავშირის საიმედო კონტურებისა და კომპენსატორული ზემოქმედების ეკონომიკური მექანიზმების შექმნა, რის საფუძველზეც გაკონტროლდებოდა პლანეტარული მასშტაბით ეკოლოგიურ-ეკონომიკურ-სოციალური პროცესების განვითარება და აღიკვეთებოდა ნეგატიური ტენდენციების ზრდა.

დღეს, სკოლის პროგრამაში შეტანილია ეკოლოგიის საკითხები და მოსწავლეები სწავლობენ ეკოლოგიის საფუძვლებს. მათ უკვე იციან, რომ ადამიანს კარდინალურად შეუძლია ძირითადი ბიოსფერული მექანიზმების ფუნქციონირების შეცვლა. ბიოსფეროს შემადგენელ ნაწილებს – წყალს, ჰაერს, ნახშირბადს, აზოტს და ა.შ. – თავისი წრებრუნვა გააჩნია. ადამიანი ამ ელემენტებს საკუთარი მიზნებისთვის იყენებს და ბუნებრივ წრებრუნვაში იჭრება. მე-20 საუკუნეში ამგვარი შეჭრა იმდენად გაძლიერდა, რომ მნიშვნელოვნად დაირღვა ეკოლოგიური წონასწორობა გლობალური მასშტაბით, რასაც კატასტროფული შედეგების გამოწვევა შეუძლია.

დღეს კაცობრიობა 2000-ჯერ მეტ ორგანული წარმოშობის ნარჩენებს აწარმოებს, ვიდრე მთელი დანარჩენი ბიოსფერო. ნარჩენებში ან გამონაბოლქვში იგულისხმება ნივთიერებები, რომლებიც სამუდამოდ ან ხანგრძლივად გამოდიან ნივთიერებათა ბუნებრივი წრებრუნვიდან. ბუნებრივია, ესოდენ მძლავრ ზემოქმედებას შეუძლია ბუნებრივ-ეკოლოგიური ციკლის და თავად კაცობრიობის სამკვიდრებელი გარემოს დანგრევა. მე-20 საუკუნის ბოლოსთვის ხმელეთის 63%-ზე უკვე დანგრეულია ბუნებრივი ეკოსისტემები და ადამიანი სულ უფრო აქტიურად იჭრება ოკეანის ბუნებრივ ეკოსისტემებში, ანადგურებს რა, პირველ რიგში, მათ ნახევრად ჩაკეტილ ზღვებსა და ზღვისპირა ზონებში.

კაცობრიობა დიდი ხანია გახდა „ეკოლოგწარმოქმნილი“ ფაქტორი, რომელსაც უნარი აქვს შეცვალოს დედამიწის ეკოლოგიური ევოლუციის მსვლელობა. ამ საფრთხეთა რეალურობა თანდათანობით ნათელი გახდა მსოფლიო თანამეგობრობისათვის, შედეგად წარმოიშვა ეკოლოგიის მეცნიერება.

ეკოლოგიის მიერ გამოთქმული ცხოვრების წესები ან ინსტიტუტები ეფექტიანი მხოლოდ მაშინაა, როდესაც ეკონომიკური მექანიზმების სიცხადეს და ქმედითობას იძენს. მეორე მხრივ, ნებისმიერი მასშტაბური ეკონომიკური გადაწყვეტილება თავისთავად, უცილობლად იწვევს ეკოლოგიურ შედეგებს, რომლებიც გულდასმით უნდა იქნას გააზრებული მისი მიღების წინ.

კაცობრიობა მიუახლოვდა თავისი ისტორიის ახალ ზღურბლს, სადაც საწარმოო ძალთა სტიქიურმა განვითარებამ, მოსახლეობის არაკონტროლირებადმა ზრდამ და ინდივიდუალური ქცევის დისციპლინის უქონლობამ კაცობრიობა, ანუ ბიოლოგიური სახე „ჰომო საპიენსი“, დაღუპვის ზღვრამდე შეიძლება მიიყვანოს. აღნიშნულს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ დაწყებულია ადამიანის სულიერი

სამყაროს „დაბინძურება“, სოციუმშიც არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. საქმე ის არის, რომ მასობრივი კულტურის ზეგავლენით ხრწნა დაიწყო ცივილიზაციურმა ფასეულობებმა, ზოგადმა წარმოდგენებმა სიკეთესა და ბოროტებაზე, რამაც თანამედროვე ხალხებს აქამდე გააძლიერა. პოპ-მუსიკა, ბულვარული ლიტერატურა, პორნოგრაფია, ვირტუალური და ჩვეულებრივი ნარკომანია, მშვენიერების გრძნობის დაკარგვა, რელიგიური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაქრობა – ყოველივე ეს კარსმომდგარი ცივილიზაციური კრიზისის ნიშნებია. ამ მოვლენების მიმართ დაპირისპირებამ და შესწავლამ ეკოლოგიის კულტურის ან ცივილიზაციის ეკოლოგიის სახელწოდება მიიღო. სავსებით კანონზომიერად წარმოიშვა ცნება „ადამიანის ეკოლოგია“, რომელიც კულტურის ეკოლოგიას, სამრეწველო ეკოლოგიას, დიდი ქალაქებისა და სხვა პრობლემათა ეკოლოგიას მოიცავს. ჩვენ სიცოცხლისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ახალი მსოფლგაგების პრობლემების წინაშე ვდგავართ.

ყოველი ადამიანი თავს „დედამიწის შვილად“ და არა მის დამპყრობად უნდა გრძნობდეს, ჩვენ გაგვაჩნია ისტორიული შანსი – კვლავ გავხდეთ ბუნების შვილები.

ეკოლოგია საყოველთაო რომ ხდება, ამის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკელი მეწარმის პოლ პოკენის გამონათქვამი, რომელიც თავის ცნობილ წიგნში „კომერციის ეკოლოგია“ წერს: „ჩვენ სამრეწველო ცივილიზაციის განვითარებაში არამდგრად და სახიფათო შემობრუნების წერტილს მივალწიეთ; საქმიანობა ადამიანებმა ან განახლებადი საწარმოების სფეროში კომერციის გადატანის საქმეს უნდა უძღვნან თავი, ან მთელი საზოგადოება ერთბაშად მესაფლავესთან უნდა მიიყვანონ“.

დღეს ყველაზე დიდი სიმწვავე კლიმატის დათბობის, დედამიწის ოზონის ფენის შემცირების, ატმოსფეროსა და ოკეანის დაბინძურების გლობალურმა პრობლემებმა შეიძინა.

კლიმატის ცვლილებების ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ უკვე ნახსენები ბუნებრივი პროცესები, რომლებიც ადამიანურ მოღვაწეობასთან არ არის დაკავშირებული.

მნიშვნელოვანი აღმოჩნდება შემდეგი ფაქტორები:

1. ატმოსფეროს კვალსათბურის გაზების კონცენტრაცია;
2. ატმოსფერული აეროზოლების კონცენტრაცია;
3. მზის მუდმივი სითბური ნაკადი, რომელიც მოდის ტროფოსფეროს გარე საზღვარზე;
4. ვულკანური აქტიურობა, რომელიც გოგირდმჟავას აეროზოლებით სტრატოსფეროს გაჯერების ხარისხს განსაზღვრავს და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 5-7 წელს აღწევს, განსხვავებით ტროფოსფეროს აეროზოლისაგან, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 6 დღეა;
5. ატმოსფერო-ოკეანის (ელ-ნინოს მოვლენა) სისტემაში პერიოდული რხევები, რომლებიც მეორდება დროის არარეგულარული შუალედებით;
6. დედამიწის ორბიტის პარამეტრები.

პირველი ორი ფაქტორი ანთროპოგენურია და ბოლო ორასი წლის განმავლობაში ძირითადად გამოწვეულია ორგანული სათბობის წვით. დანარჩენი ოთხი ფაქტორი მხოლოდ ბუნებრივი წამოშობისაა.

გლობალური კლიმატური ცვლილებები უდაოდ ყველა ქვეყანას შეეხება, ამდენად ის, განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების საზრუნავია.

1996 წელს მეცნიერები - შ. როულანდი კალიფორნიის უნივერსიტეტიდან (აშშ), მისი თანამემამულე მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან მ. მოლინა და პ. კრუტცენი გერმანიის მაქს პლანკის სახელობის ინსტიტუტიდან - დაჯილდოვდნენ ნობელის პრემიით კვლევათა ციკლისთვის, რომელიც ეძღვნებოდა ოზონის წარმოქმნასა და გაფანტვას დედამიწის ატმოსფეროში. ამ მეცნიერებმა გვიჩვენეს, რომ მზის სხივების ზემოქმედებით ჰალოიდირებული ნახშირწყალბადები იშვება ატმოსფეროში და ბრომის გამოყოფით, რომელიც ოზონის ფენას ანგრევს. ასეთ ოზონდამანგრეველ ნივთიერებათა (ოდნ) რიცხვს მიეკუთვნება, პირველ რიგში, ქლორფტორნახშირბადები (ქფნ), რომელსაც ძირითადად მაცივრებისა და კონდინციონერებისათვის იყენებენ.

1997 წელს არქტიკის თავზე და აღმოსავლეთ ციმბირის მნიშვნელოვან ნაწილზე გაჩნდა „ოზონის ხვრელი“ 3000 კმ დიამეტრით. ამავე წლის სექტემბერში მონრეალის ოქმზე, რომელიც ოზონის ფენის დასაცავად შეიქმნა, ხელმომწერი ქვეყნების რიცხვმა 163-ს მიაღწია. ოზონდამანგრეველი ნივთიერებათა

კონცენტრაციამ ატმოსფეროში კლება დაიწყო. მთლიანობაში შეიძლება საუბარი გლობალური თანამშრომლობის წარმატებაზე ოზონის შრის დანგრევის შემცირებასთან დაკავშირებით.

გლობალურ პრობლემებს ამძიებს ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული ლოკალური გამწვავებები.

ორმოცი საუკუნეა, მოედინება ქართულ-სვანური სულისა და კულტურის, ენგურივით დიდი მდინარე და მოაქვს ჩვენი ხალხის ფიქრი, ოცნება, ფანტაზია, მოაქვს სიხარული და სატკივარი, ერთგულება და სიყვარული. რაც მთავარია, მას აქვს ქართული, საკუთარი სახე, ალმასივით მკვრივი და გამძლე, დანარჩენ ქართველებთან ერთად. ასეთია სვანი კაცი – რა ელის მას დღევანდელ პირობებში?!

არავის ვედავებით იმაზე, რომ ენერგეტიკა მტკიცედ დგას ისტორიული განვითარების საჭესთან, თუმცა ნათლად არის გამოკვეთილი ეკონომიკის ზრდის ენერგეტიკული ტიპის გლობალური შეზღუდვები, დაკავშირებული უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიასთან.

მსოფლიოში წარმოებული ელექტროენერჯის 63% გამოუმავდება თბოელექტროსადგურებში (თეს), 20% – ჰესებში და 17% ატომურ ელექტროსადგურებში. ისიც ცნობილია, რომ თბოელექტროსადგურებთან შედარებით, ჰიდროელექტროსადგურებს გააჩნიათ მნიშვნელოვნად ხანგრძლივი ექსპლუატაციის ვადები, დაბალი მწარმოებლური დანახარჯები, ენერჯის სტიმულაციის შესაძლებლობა, ისინი, აგრეთვე, ეკოლოგიურად სუფთაა.

პლანეტის ჰიდროენერგეტიკის რესურსების ანალიზი ცხადყოფს, რომ ელექტროენერჯის წარმოების თანამედროვე დონე პერსპექტივაში შეიძლება იქნეს მიღწეული მხოლოდ ჰესების გამოყენებით ძირითადად ლათინური ამერიკის და აფრიკის ქვეყნების არსებული რესურსების ხარჯზე, (რომელიც დღეს გამოყენებულია 10-15%-ით) და შეიქმნას ერთიანი ენერჯოსისტემები, რომელთა მიზანი იქნება ბაზრის დაპყრობა სხვა ენერჯომომცველების გამოდევნის ხარჯზე.

გასული საუკუნის 80-იან წლებში თვალსაჩინო ქართველი-სვანი მწერალი, მთარგმნელი და პოეტი, აკაკი გელოვანი წერდა სვანებისა და შუმერების სისხლით ნათესაობაზე. მომავლის განჭვრეტის უნარი დიდი ადამიანების ხვედრია. ა. გელოვანი იმ სოფლის შვილია რომლის დატბორვაც არის გადაწყვეტილი.

დღეს, გენეტიკური კვლევის საფუძველზე არის დადგენილი შუმერთა და სვანთა უტყუარი ნათესაური კავშირი და იგი სადაო არ არის.

განმეორებით დავსვათ კითხვა – რა ელის სვან ადამიანს და სვანეთს? გაძლიერება, გამრავლება, განვითარება თუ ფერებ-ფერებით აღვვა პირისაგან მიწისა?

საქართველო პატარა ქვეყანაა, როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობის რაოდენობით. ასეთ პატარა ქვეყანაში დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ისეთის როგორსაც ზუღონჰესის პროექტი ითვალისწინებს, ბარბაროსობა და ვანდალიზმი იქნება. მიწების საუკეთესო 20% დაკარგული გვაქვს და ამას ვუმატებთ ისეთი ტერიტორიების დატბორვას, რომლის მსგავსი სხვაგან იშვიათობას წარმოადგენს. ჩვენს უნიკალურ სიმდიდრეს მოფრთხილება სჭირდება.

გარემოს დაბინძურება ადამიანური ცხოველქმედების ნარჩენებით (განსაკუთრებით, ქიმიურითა და რადიაციულით) უკვე დღეს საკმაოდ მნიშვნელოვნად მოქმედებს მთელი პლანეტარული მასშტაბით. უპირველეს ყოვლისა, იგი შესამჩნევ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით, დიდი ქალაქებში, სადაც კატასტროფულად ამცირებს ცხოვრებისა და დასვენებისთვის გამოსადეგი ადგილების რაოდენობას. დედამიწის ეკოლოგიურად ხელსაყრელი რაიონები იძენს განსაკუთრებულ ფასეულობას და უმნიშვნელოვანესი რესურსი ხდება მათი მფლობელი ქვეყნებისთვის. ზემო სვანეთი საქართველოსათვის სწორედ ასეთი რეგიონია!

ზემო სვანეთის განსაკუთრებულ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ მას განედური მდებარეობა აქვს კავკასიონსა და სვანეთის ქედს შორის მოქცეული მდინარე ენგურის გასწვრივ და კლიმატის ზონალურობით ხასიათდება. აქაურ ეკოლოგიაზე მძიმე გავლენა უკვე მოახდინა ენგურჰესმა. ზუღონჰესის აშენება სვანეთის უნიკალური ლანდშაფტების დანგრევას გამოიწვევს კლიმატის შეცვლით, ნალექების ჭარბი რაოდენობით. ყოველივე ეს გაზრდის ავადობას (ძვალსახსართა, გულსისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემები და ა.შ.), მოსპობს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, მოიმატებს სეისმურობის რისკი.

რა ზიანს მოუტანს მესტიის რაიონს ხულონჭესის 205 მ სიმაღლის თაღოვანი კაშხალი, 522 მ სიგრძის კაშხლის თხემი, 528 ჰა ფართობის დატბორილი ტერიტორია, მიწისქვეშა ნაგებობები, გვირაბები და არხები?

ხულონჭესის და მიმდებარე ტერიტორიები სეისმური დარაიონების რუკაზე, რისტერის შკალით 9 ბალიან ზონაში მდებარეობს. გარდა ბუნებრივი სეისმურობისა, მაღლივი კაშხლები ზრდის სეისმურობის რისკს, რაც შეიძლება მძლავრად გამოვლინდეს წყალსაცავის ავსების შემდეგ, რასაც მოჰყვება კლდეზვავები და მეწყერები. ენგურის ხეობაში მნიშვნელოვნად შეიცვლება კლიმატი. მცენარეების ლპობის შედეგად გამოიყოფა მეთანის და ნახშირორჟანგის დიდი რაოდენობა, მდინარეთა ნაპირების გასწვრივ მოხდება მწვანე საფარის დეგრადაცია, თევზებისათვის საჭვირითე ადგილების შემცირება და ა.შ

წყლით დაიფარება ტყიანი ფართობი, რასაც დაემატება მშენებლობის პერიოდში გაკაფული ტყე, მათ შორის „წითელი ნუსხის“ მერქნიანი სახეობები; გადაშენდება ფრინველების და ძუძუმწოვრების, შესაბამისად 250 და 55 სახეობა; საგრძნობ გაველენას მოახდენს დატბორვა კალმახზე (შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში“), კავკასიურ ქაშაყზე, კოლხურ წვერაზე, კოლხურ ტობოზე და სხვ.

დატბორვისა და მშენებლობის გამო შეიცვლება უმნიშვნელოვანესი ლანდშაფტები, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, გაუარესდება მოსახლეობის ჯანმრთელობა, რასაც განაპირობებს მტკერი, ხმაური, ვიბრაცია და სხვ. დროებითი საშუაო ძალის მიერ შემოტანილი იქნება სხვადასხვა დაავადებები, მოხდება მოსახლეობის გადასახლება და შემოსავლის წყაროს დაკარგვა, ამ ტერიტორიაზე მოისპობა მცირე ბიზნესი.

წყლით დაიტბორება უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ობიექტები, სასაფლაოები, წმ. გიორგის სახელობის მე-11 საუკუნის ეკლესია.

დიდი ჰესების მშენებლობა მდინარე ენგურზე, უძველესი ცივილიზაციის მემკვიდრის, ქართულ-სვანური გენოფონდის აღსასრულის დასაწყისი იქნება! ცოტა რამ სვანებსაც მოეუხმინოთ და იუნესკოსაც დავეკითხოთ.

მდგრადი განვითარება, ანუ კაცობრიობისა და ბუნების კოევილუციური, ერთობლივი განვითარების უზრუნველყოფა გახდა საყოველთაოდ აღიარებული მიზანი, რომლის მისაღწევადც მიმართულია მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევა.

ეკოლოგიის მიერ გამომუშავებული ცხოვრების წესი ან ინსტიტუტი ეფექტიანი მხოლოდ მაშინაა, როდესაც იგი ეკონომიკური მექანიზმების სიცხადეს და ქმედითობას იძენს. მეორე მხრივ, ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური გადაწყვეტილება თავისთავად უცილობლად იწვევს ეკოლოგიურ შედეგებს, რომლებიც გულდასმით უნდა იქნას გაანალიზებული მისი მიღების წინ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ვინერი. კიბერნეტიკა და საზოგადოება. 1953
2. ა. გმოვსესიანი, ს. ოგნიცევი. მსოფლიო ეკონომიკა. ტ.1, თბილისი 2003
3. შ. თურქიაშვილი. სოციალური პათოლოგიის პრობლემა დასავლურ ცნობიერებაში. თსუ, 1999
4. სვანეთი. „მეცნიერება“. 1977
5. რ. ასათიანი.საქართველოს ეკონომიკა თბილისი, „სიახლე“, 2002
6. პ. ბერკი. ისტორია და სოციალური თეორია. 1992
7. გ. ანდრიაძე. სვანების გენეტიკა. გაზ. „ლილე“, 2013, ნოემბერი.
8. აკ. გელოვანი. მარად უკვდავი ხელოვნება. 1983

Ecological Problems in Zemo Svaneti

Abstract

Our planet is global environment and we are significant part of it. Human beings like other organisms depend on the living environment. The relationship between them is too hard. World is constantly changeable so these changes are reflected in all settings of environment. We know various facts of it.

Anthropogenic changes deteriorate biological and geochemical problems that were relatively weak at early stages of the history. Harmful changes will become more widespread in the future.

Today humanity face with real ecological problems. We are responsible for saving the planet so as we should care of our mothers. Today environmental changes are increasing really fast and could lead to unexpected consequences.

Construction of Khudonhes will cause the damage of unique landscape of Svaneti through the change of climate and excess volume of sediments. This will increase disease rates of local population (bone-joint, cardio-vascular, respiratory system and etc.), eliminate biological diversity and increase seismic risk.

Habitual norms or institutes dictated by ecology will be efficient only in case when economic mechanisms become obvious and effective. On the other hand, any sound economic decision causes ecological consequences and hence their detailed analysis is important prior to implementation.

სატყეო-სამეურნეო და ბამწვანების სტრუქტურული პროექტები საქართველოში
(პროექტი რუსთავისთვის)

ინფორმაცია განმცხადებლისა და შემსრულებლების შესახებ

მოცემული პროექტის განმცხადებლები და წარმდგენები ვართ ჩვენ – შორენა გოგიძე და ჯულიეტა ოქრომჭედლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტრუქტურული კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“-ს წევრები. სპონსორი კი იქნება ქალაქის მერია და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილი ფონდი „მწვანე მომავალი“. პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, მის განხორციელებაში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. პირველ რიგში, მონაწილე პირები იქნებიან სტრუქტურული ცენტრი „იდეა“-ს წევრები. დახმარებას ასევე გაგვიწვევენ იმ სკოლებისა და დაწესებულებების მონაწილეები, სადაც განვხორციელებთ გამწვანებით სამუშაოებს.

პრობლემა

მრავალი ცივილიზაციისა და კულტურის წარმოშობა და ისტორია ტყეებთან არის დაკავშირებული. ტყეებს აქვს უდიდესი რეკრეაციული და ტურისტული პოტენციალი. ბოლო პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ჩვენს ქვეყანაში ტყის მასშტაბური და უმოწყალო ჩეხვა გამოიწვია. არასრულყოფილი წინასწარი შესწავლის საფუძველზე გაცემული ტყის ჭრის ლიცენზიები და მათი პირობების შესრულებაზე სუსტი კონტროლი იწვევს ტყეების დეგრადაციას. ამას ემატება ტყის რესურსებით სარგებლობის კანონმდებლობის დაუცველობა და უკანონო, უნებართვო ჭრები. საქართველოს ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეისათვის რეალურად არის დეგრადირებული

ტყის განადგურება აძლიერებს გლობალური კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედებას... ყოველივე ეს ბუნების კანონზომიერებათა რღვევისა და სტიქიურ უბედურებათა მიზეზი გახდა. სწორედ ამან შეუწყო ხელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განშირებულ მეწყერებსა და ღვარცოფებს.

საქართველოში ყველა ქალაქს აკლია გამწვანების ზონები, პარკები და სკვერები.

თბილისელთა სამი მეოთხედი (75%) მიიჩნევს, რომ დედაქალაქში ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობაა. ასეთი შედეგი აჩვენა „ეისითის“ (ACT) მიერ დედაქალაქის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ – „ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება კატასტროფა მოხდეს, იმდენად დაბინძურებულია ჰაერი და წყალი.“ აღმნიშნავი და ბუნება განუყოფელია! არცერთი არ არის ცალკე, ისინი არსებობენ როგორც ერთი მთლიანი სისტემა და ეს არ უნდა დავივიწყოთ.

კვლევის მიხედვით, ათიდან სამი თბილისელი თვლის, რომ თბილისში არსებული პარკების და გამწვანებული ტერიტორიების რაოდენობა არ არის საკმარისი. თბილისელთა უფრო მცირე ნაწილი (28%) კი დღეს თბილისში არსებულ გამწვანების ხარისხს ადეკვატურად მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ ჰაერში ნახშირბადის დონე შემცირდება, თუ:

- დაირგვება ახალი ტყეები – 6,5%-ით;
- შენარჩუნდება არსებული ტყეები – 2,25%-ით;
- გაუმჯობესდება ტყის მოვლა – 2%-ით;

პროექტის მიზნები და ამოცანები

თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისის საფრთხის ქვეშ აყენებს ცალკეული ქვეყნებისა და მთლიანად ცივილიზაციის მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს. ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა ბუნებრივ-კლიმატური

მრავალფეროვნებით. ამიტომ ჩვენი ვალია გარემოზე ზრუნვა, მისი მოვლა-პატრონობა და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება.

ბოლო ხანებში საგრძნობლად შეიმჩნევა სხვადასხვა მიმართულების გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ზრდა, რომლებიც ბევრ საინტერესო პროექტს ახორციელებენ. ჩვენი პროექტიც მსგავს ღონისძიებაზე მიუთითებს, რომლის მიზანიც იქნება ჯანსაღი გარემოს შექმნა და ადამიანთა ცნობადობის ამაღლება ეკოლოგიური პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საზოგადოება შედარებით აქტიურად არის ჩართული გარემოსდაცვით ღონისძიებებში, საქართველოს ეკოლოგიური მდგომარეობა მიმდინარე ეტაპზე მაინც მძიმე და ნეგატიურია, რაც თანდათან ღებულობს სერიოზული საფრთხეების შემცველ ხასიათს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის საქმეში არის გამწვანება, რომელსაც ჩვენი პროექტი ახორციელებს. აუცილებელია საზოგადოების მხრიდან ისეთი ნაბიჯების გადადგმა, როგორც არის ხეების დარგვა სკოლებში, სკვერებში, საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიებზე, გზებზე და სხვა საჭირო ადგილას. ეს ნაბიჯები ნაწილობრივ მაინც შეუწყობს ხელს სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნას, რის ღირებულებაც დღეს ჩვენ ნამდვილად განვიცდივთ.

იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ბუნების დაცვასთან, შეუძლებელია მხოლოდ საერთაშორისო დონის ძალისხმევით, როგორც ავტორიტეტული ორგანიზაციებიც არ უნდა ჩაუდგნენ მათ სათავეში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ჩართვა ამ პროცესში და მათი სტიმულირება, რათა მომავალშიც განაგრძონ მსგავსი საქმიანობა. ჩვენი პროექტიც ამ მიზანს ემსახურება და იგი განხორციელდება ფართო საზოგადოების დახმარებით და უშუალო მონაწილეობით.

პრობლემის გადაჭრის გზები

ჯერ უნდა განვსაზღვროთ, თუ პირველად სად შეგვიძლია და სად იქნება ეფექტური დავრგოთ ნერგები, მოვრწყათ, მოვუაროთ და ამაში გაწეული ძალისხმევა არ აღმოჩნდეს ფუჭი. კარგი იქნებოდა გამწვანების პროცესში საქართველოში არსებული სკოლების ჩართვა, კონკრეტულად კი მათი კუთვნილი ტერიტორიების გამწვანება. პირველ რიგში უნდა გადაწყდეს, თუ სად და რომელ ტერიტორიაზე მოხდება ნერგების დარგვა, შემდეგ შევიძინოთ მათ, ყველა საჭირო ნივთს მოვიპოვებთ და ამის შემდეგ უშუალოდ განვახორციელებთ გამწვანებით სამუშაოებს.

გამწვანების ადგილი

წინამდებარე პროექტისთვის გამწვანების ადგილად ავირჩიეთ ქალაქ რუსთავის ერთ-ერთი სკოლა და საბავშვო ბაღი, სადაც ხეების ნაკლებობა ადვილი შესამჩნევია. სკოლა არის ადგილი, სადაც მოსწავლეებს უვითარებენ გონებრივ შესაძლებლობებს და აქ ხდება მათი პიროვნებებზე ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ მივანიჭეთ სკოლების გამწვანებას პრიორიტეტი, რადგან მათი უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით შევძლებთ, რომ ეს საქმე ჩვეულებად იქცეს ყოველი ადამიანისთვის. რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, მათი გამწვანება მნიშვნელოვანია როგორც გარემონათესავე სილამაზისთვის, ასევე ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. ჩვენ მივმართეთ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილ ფონდს „მწვანე მომავალს“, რომლებიც თითო ფიზიკურ პირზე გამოყოფენ სამ ნერგს. ამ ფონდის საშუალებით ჩვენ გამოგვიყოფენ 50 ფოთლოვან ნერგს, რომლებსაც გავანაწილებთ ჩვენ მიერ არჩეულ ადგილებში. ჩვენი ცენტრის წევრებისა და სკოლის მოსწავლეების დახმარებით შევძლებთ მოცემული ტერიტორიების გამწვანებას. რაც შეეხება საჭირო ინსტრუმენტებს, დახმარებისათვის მივმართავთ მერიას და მის სამსახურებს, რომლებიც მოგვამარაგებენ სამუშაო ხელსაწყოებით. ჩვენი პროექტი არ იქნება ერთჯერადი და ეტაპობრივად გავრცელდება სხვა სკოლებსა და საბავშვო ბაღებზე.



ეს არის რუსთავის № 12 საჯარო სკოლა, სადაც ძირითადად წიწვოვანი ხეები ხარობს. შესასვლელშივე ნათლად ჩანს ხეების სიმცირე, ამიტომ რამდენიმე ნერგი სწორედ ამ ადგილას დაირგვება. უშუალოდ სკოლის ეზოშიც რამდენიმე ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეა. უპირიანი იქნება, თუ ჩვენ ამ სკოლის ეზოს შევმატებთ რამდენიმე ფოთლოვან ნერგს როგორც სკოლის შესასვლელში, ასევე შიგნითაც.



მეორე ადგილი, რომელიც ჩვენი პროექტის მიხედვით უნდა გამწვანდეს, აღნიშნულ სკოლასთან ახლოს მდებარე საბავშვო ბაღია, რომლის ეზოც ვერ დაიკვეხნის ხეების სიმრავლით. ამ ბაღში მხოლოდ შესასვლელი ბილიკის გასწვრივ არის წიწვოვანი ხეები დარგული, ბაღის სხვა ტერიტორიაზე კი ერთი ხეც არ ხარობს. როგორც სურათიდან ჩანს, ეს ადგილიც ნამდვილად საჭიროებს ჩვენს დახმარებას.

პროექტის შესრულების განრიგი

ეტაპი	საქმიანობა	2015 წლის მარტი																	
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	
I	გასამწვანებელი სასკოლო ტერიტორიის შერჩევა	√																	
II	შერჩეულ ადგილას ორმოების ამოჭრა				√														
III	ნერგების დარგვა							√											
IV	გასამწვანებელი ბაღის ტერიტორიის შერჩევა										√								
V	შერჩეულ ადგილას ორმოების ამოჭრა													√					
VI	ნერგების დარგვა																		√

პროექტის განხორციელების ბიუჯეტი

საჭირო ნივთები	საცალო ღირებულება	რაოდენობა	საჭირო თანხა	სულ
ნერგები	5	50	250	
სამუშაო იარაღები	8	30	240	
სათლი ან სარწყავი	4	10	40	
ტრანსპორტი	50	1	50	
				580

მოსალოდნელი შედეგები

ამ პროექტით, გარდა იმისა, რომ ვიზრუნებთ ქალაქის გამწვანებასა და მის გალამაზებაზე, ასევე ხელი შეეწყობა ჰაერში ნახშირბადის შემცირებას. ეს იქნება სტიმული სხვა სტუდენტებისა თუ მოსწავლეებისთვის, რათა იზრუნონ თავიანთ მომავალზე. ჯანმრთელი მომავლისთვის კი აუცილებელია სუფთა ჰაერი და ჯანსაღი გარემო.

ისიც უნდა ვიცოდეთ, თუ რა შედეგი მოაქვს 1 ხის დარგვას: ერთი ხე წელიწადში ანეიტრალებს 33კგ ნახშირბადს, 20კგ მტკვრს და 80კგ სხვა მავნე ნივთიერებებს; აწარმოებს 700 კგ ჟანგბადს; ფილტრავს 100კგ ჰაერს და 4 გრადუსით აგრილებს ჰაერის ტემპერატურას თავის ირგვლივ.

დამატებითი ინფორმაცია

მცხეთის საველე გასვლა და დასუფთავება წეროვანში – 13.04.14.

13 აპრილს, აგრარული უნივერსიტეტის ორგანიზებით მოეწყო საველე გასვლა ნიადაგმცოდნეობის საერთაშორისო სკოლის ფარგლებში. არსებულ სკოლაში ჩართული არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აგრარული უნივერსიტეტისა და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები. წეროვანის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ამავე გასვლისას გარკვეული ტერიტორიის დასუფთავება.

ოსუ ეკო კლუბი – 28.03.2014; 7.03.2014

28 მარტს, გორის მუნიციპალიტეტში, ნიმდის დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებულთა ინიციატივით, დაიწყო ქარსაცავი ზოლის აღდგენის ფართომასშტაბიანი სამუშაოები.

აქციაში დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებულებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საჯარო სკოლების, უნივერსიტეტების, საბავშვო ბაღების, ბიზნესსექტორის, სამინისტროების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, აგრეთვე ოსუ ეკო კლუბმა და საქართველოს მწვანეებმა. ხეები დაირგო კარალეთი-ძვეერისა და გორი-თბილისის გზის ხურვალეთის მონაკვეთებზე. ღონისძიება ორგანიზებული იყო პროექტი „მწვანე კედელი“-ს ფარგლებში.

7 მარტს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გაიმართა ჭიათურის გამგეობის და ოსუ-ეკო კლუბის მიერ ერთობლივად ორგანიზებული პროექტის ღონისძიება, რომლის მიზანი იყო ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ითხვისსა და პერევისაში ქარსაცავი ზოლის გაშენება. პროექტის ფარგლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ იქნა მოწოდებული სანეგრე ხეები. ადგილობრივი გამგეობის, ჭიათურის, ითხვისისა და პერევისას საჯარო სკოლების მოსწავლეების, ოსუ ეკო კლუბის მიერ იქნა დარგული 2 ზოლიანი ქარსაცავი ზოლი. დაირგო დაახლოებით 500-მდე ფიჭვის ხე. ღონისძიებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა გამგეობასა და მოსახლეობაში და მრავალი ადამიანი აქტიურად ჩაერთო ამ საქმიანობაში. ჭიათურის მუნიციპალიტეტი ოსუ ეკო კლუბთან ერთად აქტიურად აპირებს განაგრძოს ქარსაცავი ზოლების გაშენება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Forest_Guide.pdf
2. <http://www.radiotavisupleba.ge/content/gamcvanebis-fondi/25147867.html>
3. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/28999/>
4. <https://www.facebook.com/ErovnuliSatyeoSaagento>
5. <https://www.facebook.com/pages/Tsu-Eco-Club/555346924487294>

Students' Projects in Georgia in the Fields of Forestry-farming and Planting
(Project for Rustavi)

Abstract

We would like to introduce our work which is about students' projects in Georgia in the fields of forestry-farming and planting. We decided to plant trees in the schoolyards and kindergarten. We hope that we will get help from pupils and students for this initiative. Our target place is school in Tbilisi and kindergarten and school in Rustavi city. The problem is that many trees are destroyed in Georgia, there are places which need planting and we can help...we can improve environment and make our cities more beautiful. Our country is characterized by natural climatic diversity that is why we need to take care of the environment and each person's involvement in this project is very important.

მწვანე ბიზნესის მართვა სამართაშორისო კომპანიებში

მწვანე ბიზნესის მწარმოებლად მიიჩნევენ საწარმოს, რომელსაც აქვს მინიმალური უარყოფითი გავლენა გლობალურ და ადგილობრივ გარემოზე, საზოგადოებაზე ან ეკონომიკაზე. ხშირად მწვანე ბიზნესს აქვს პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს პროგრესულ გარემოსდაცვით ქმედებებს და ორიენტირს ადამიანის უფლებებზე აკეთებს. ზოგადად, ბიზნესს მიიჩნევენ მწვანე ბიზნესად, თუ იგი შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს:

- ხელმძღვანელობს ბიზნესის მდგრადობის პრინციპებით ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას;
- აწვდის ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციას ან მომსახურებას, რითაც ცდილობს ჩაანაცვლოს მოთხოვნა არაჯანსაღ პროდუქციასა ან/და მომსახურებაზე;
- ასეთ ბიზნესს უნდა გააჩნდეს მტკიცე ერთგულება გარემოსდაცვითი პრინციპების მიმართ, რომლებსაც არა მარტო გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენებს, არამედ თითოეული ბიზნესოპერაციის შესრულებისას.

მწვანე ბიზნესს აიგივებენ მდგრად ბიზნესთან. მდგრადი ბიზნესი გულისხმობს საწარმოს, რომელიც „იკმაყოფილებს საჭიროებებს ისე, რომ პრობლემას არ უქმნის მომავალ თაობებს დაიკმაყოფილონ მათი საჭიროებები“¹.

სამომხმარებლო ცნობიერების ზრდის ფონზე იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო ბიზნესსგარემოზე, ყველა ზომისა და ტიპის კომპანიებმა დაიწყეს გარემოსდაცვითი მდგრადობის ინიციატივების განხორციელება. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტების წინ წამოწევამ, განაპირობა საერთაშორისო ბიზნესის სფეროში მწვანე ბიზნესის წარმოების მნიშვნელობის გაზრდა. ბევრმა ორგანიზაციამ პრიორიტეტად მიიჩნია ისეთი გადაწყვეტილების პროგრამების დანერგვა, რომელიც საშუალებას მისცემს ბიზნესს პროდუქციის წარმოების პროცესში შეამციროს ნახშირბადის გამოყოფა.

თუმცა, ზემოთ ხსენებული არაა ერთადერთი გზა, რომლითაც საერთაშორისო ბაზარზე კორპორაციებს შეუძლიათ მწვანე ბიზნესის წარმოება. ზოგიერთი წამატებული კომპანია იყენებს წარმოების პროცესისადმი ერთიან მიდგომას², რომელიც ითვალისწინებს წარმოების ყოველი ნაბიჯის შემოწმებას, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თითოეული ეტაპის კონტროლს. ასევე იყენებენ მწვანე მიწოდების ჯაჭვის პრაქტიკას³, რომლის გამოყენებითაც იქმნება პოტენციური მაღალი დანახარჯებისა და ნარჩენების პრობლემის აღმოფხვრისათვის.

ინიციატივები მწვანე ბიზნესის მართვის სფეროში სოციალურ, კორპორაციულ ან/და გარემოს დონეზე განხილვა. ერთობლივად ისინი მოიცავს ბიზნესპროცესებსა და პრაქტიკაში ადამიანის, პლანეტისა და მოგების საკითხების გათვალისწინებას. ასევე ეძებს გზებს თითოეულ ამ სფეროში დადებითი გავლენის შესაქმნელად, სამუშაო პირობებისა თუ გარემოს დაცვის საკითხების გასაუმჯობესებლად.

ფაქტობრივად, არსებობს მრავალი შემოქმედებითი და საოცრად მარტივი გზა, რომლებიც შესაძლებელია მდგრადი ეკოლოგიური განვითარებისთვისა და მწვანე ბიზნესის საწარმოებლად გამოვიყენოთ. ეკო-მეგობრულ კომპანიებს საშუალება ეძლევათ დაზოგონ ფული, შეამცირონ მიწოდების დრო, მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა, გაიმყარონ პოზიციები მომხმარებლის ცნობიერებაში და მოიპოვონ საზოგადოების ლოიალურობა. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში

¹ CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

² Big Picture Approach

³ Green supply chain management practice

მიმდინარე პროცესების პარალელურად იზრდება მომხმარებლის ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელი პროდუქტების გამოყენების სურვილი. შედეგად საკითხი მეტ აქტუალურობას იძენს.

მწვანე ბიზნესის მართვის მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არაერთი კვლევა ჩატარდა საერთაშორისო ბაზარზე მდგომარეობის შესასწავლად. აღსანიშნავია 2012 წელს სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის მიერ შეგროვებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მწვანე/მდგრადი ბიზნესის საუკეთესო პრაქტიკის ამერიკული წარმომადგენლის სამი საერთაშორისო კომპანია გამოვლინდა. სამეულის სათავეში მოექცა ამერიკული მულტინაციონალური ონლაინ საცალო და აუქციონების ტიპის გაყიდვების ქსელი eBay. კორპორაცია აადვილებს პროდუქციის გაცვლის პროცესს მსოფლიო მასშტაბით. ამ გზით შესაძლებელი ხდება მომხმარებლებმა თავი აარიდონ საქონლის გადაყრას და პროდუქციას სიცოცხლისუნარიანობა გაუზანგძლივონ. კომპანიამ მომხმარებლებს შესთავაზა განცხადებების განყოფილება, სადაც შესაძლებელია მეორეული საყოფაცხოვრებო ტექნიკისა თუ ავეჯის ყიდვა-გაყიდვა. eBay ლოგისტიკისა და მიწოდების ასპექტების დაგეგმვასა და განხორციელებას ახდენს. კომპანია უზრუნველყოფს მწვანე მიწოდების ჯაჭვის მართვას ამერიკის შეერთებული შტატების საფოსტო სამსახურთან ერთად¹. მათ შექმნეს გაერთიანებული ეკოლოგიური ბრენდირებული ხაზი პროდუქციის შეფუთვისა და გადაზიდვისათვის, რომელმაც გაიარა Cradle-to-CradleTM სერთიფიცირება².

კიდევ ერთი საერთაშორისო კომპანია, რომელმაც საზოგადოებას გააცნო გარემოს დაცვის პრინციპები წარმოებაში და წარმატებით დანერგა მწვანე მიწოდების ჯაჭვის მართვა თავის საქმიანობაში, არის ამერიკული გლობალური ყავის კომპანია – Starbucks. გარდა იმისა, რომ კომპანია აწარმოებს სერთიფიცირებულ ორგანულ ყავას, ის ასევე ცდილობს მიაღწიოს LEED®³ სერთიფიცირებას ყველა ახალი პროდუქციისათვის. Starbucks ფოკუსირებულია „მწვანე მალაზიების“ შექმნაზე. ამ გზით მას უკვე შეუძლია შეამციროს საოპერაციო ხარჯები და გარემოზე ზემოქმედების ბიზნესპრაქტიკა. კომპანიის „მწვანე შენობების“ სტრატეგია გულისხმობს მალაზიებში ტემპერატურის სტანდარტულთან შესაბამისობაში მოყვანას (72⁰F - 75⁰F), ასევე პროდუქციისათვის 90% პოსტინდუსტრიული მასალით დამზადებული, სტერილურად დახუფული, წყლის დაბალი დინების სარქველებიანი კონტეინერების გამოყენებას.

კვლევის შედეგებმა ასევე გამოკვეთა Google-ის გარემოს დაცვის ინოვაციები. საყოველთაოდ აღიარებული, როგორც ბიზნეს ნოვატორი, Google ასევე ლიდერობს მწვანე ბიზნესის სტრატეგიების შემუშავების პრაქტიკით, რომელიც მიმართულია „მწვანე მომავლის“ შექმნისაკენ. ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორცაა საკუთარი ობიექტების განახლებადი ენერჯის წყაროებით აღჭურვა, ფერმერების ბაზრებისა და „მწვანე“ კულინარიული სემინარების მასპინძლობა, კომპანიამ ჩამოაყალიბა ეკოლოგიურად ჯანსაღი კორპორაციული კულტურა და გაამყარა თავისი რეპუტაცია, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წინდახედული და პროგრესული კომპანია.

რაც უფრო და უფრო მეტი საერთაშორისო კომპანია აცნობიერებს გარემოს დაცვის მდგრადობისა და მწვანე ბიზნესის წარმოების მნიშვნელოვნებას და მისგან მისაღებ ფინანსურ სარგებელს, მით მეტად იზრდება მოთხოვნა პროფესიონალებზე, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიციური ცოდნა მწვანე ბიზნესის წარმოების სფეროში. დღესდღეობით რამდენიმე უნივერსიტეტი სთავაზობს საზოგადოებას კურსებს მოცემული მიმართულებით, მათ შორის სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტიც (კურსები მწვანე ბიზნესის მართვის, მწვანე მიწოდების ჯაჭვის მართვისა და გარემო მდგრადობის შენარჩუნების სფეროებში).

¹ The United States Postal Service (USPS)

² Cradle-to-CradleTM – ბიოქიმიური მიდგომა პროდუქციის შეფუთვისათვის, ამოწმებს რამდენად უსაფრთხო და ჯანსაღია პროდუქციის შეფუთვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

³ Leadership in Energy and Environmental Design (LEED®)

თუ დავყვარდებით 2011 წელს ჩატარებულ McKinsey¹-ის გლობალური კვლევის შედეგებს, გამოიკვეთა რამდენიმე არსებითი მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო კომპანიებში მწვანე ბიზნესის მართვის სტრატეგიების შემუშავებას და განვითარებას. 2010 წლიდან უფრო და უფრო მეტი კომპანია ახორციელებდა მდგრადი განვითარების პროგრამებს. მათ ირწმუნეს, რომ მწვანე ბიზნესის მართვა პოზიტიურ გავლენას ახდენს კომპანიის როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან ფასეულობებზე. გამოკვლევის რესპოდენტთა აზრით, ზოგადად მდგრადობა და მისი მოსალოდნელი სარგებელი უკეთ აღსაქმელი გახდა. როგორც წარსულში, ისინი ახლაც ხელავენ კორპორაციული რეპუტაციის მხარდაჭერის პოტენციალს, ამასთან მოელიან ოპერატიულ, ზრდაზე ორიენტირებულ სარგებელს.

გარდა ამისა, გამოკითხულები ისეთ სექტორებში, როგორცაა ენერჯომომარაგება, მომპოვებელი ინდუსტრია და ტრანსპორტირება ამბობენ, რომ მათი კომპანიები იყენებენ უფრო აქტიურ მიდგომას გარემოსდაცვითი პრინციპების გატარებისადმი, ვიდრე სხვა სექტორების წარმომადგენლები. მიზეზად ამ ინდუსტრიების პოტენციური რეგულირებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების შეზღუდვის შედეგებს ასახელებენ.

McKinsey-ის გლობალური კვლევის მიხედვით საერთაშორისო კომპანიებში მწვანე ბიზნესის მართვის აქტუალურობის გაზრდის მთავარი მიზეზები მოიცავენ ოპერაციული ეფექტურობის გაუმჯობესებას, ფასების დაწევას. შეიცვალა კორპორაციების რეპუტაცია ფასების პოლიტიკის ცვლილებების პარალელურად. რეპუტაციის ზრდა ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზია. გამოკითხულთა 32% აღნიშნავს, რომ საერთაშორისო კომპანიები სწორედ კარგ რეპუტაციას ასახელებენ წარმატების მიღწევის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. მესამე მიზეზად გამოიკვეთა კომპანიის მისიის, ღირებულებებისა და ახალი შესაძლებლობების გაფართოება (ამ პასუხს რესპოდენტთა 31% აფიქსირებს).

დღესდღეობით მწვანე ბიზნესის მართვის პრაქტიკა პრიორიტეტულია არამარტო განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც. აქ შეგვიძლია საქართველოს მაგალითი მოვიყვანოთ. ქვეყანაში ნელ-ნელა ვითარდება და საძირკველი ეყრება მდგრადი/მწვანე ბიზნესის წარმოებას. „მწვანე სექტორის“ განვითარებისთვის ბიძგის მიძეში ფაქტორების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ცდილობს რამდენიმე მწვანე განვითარების პოტენციალის მქონე სექტორში ღონისძიებების გატარების ინიცირებისთვის შექმნას კერძო სექტორისთვის ქმედითუნარიანი მონაცემების ანალიზის მიწოდების გზით კონკრეტულ ბიზნეს შესაძლებლობებსა და მათ პოტენციურ ფინანსურ სარგებელზე ცნობიერების ამაღლების საფუძველი. სამინისტრო ასევე განსაზღვრავს და სთავაზობს საჭირო დაფინანსებასა და ტექნოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას, შეიმუშავებს გზებს და ხელს უწყობს საპილოტე პროექტების განხორციელებას.²

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ასევე გამოყოფს ქვეყანაში მწვანე ბიზნესის ხელშემშლელ ფაქტორებს. ითვლება, რომ საქართველოში მწვანე ბიზნესის განვითარების ამჟამინდელი ნელი ტემპი განპირობებულია სულ ცოტა სამი ფაქტორით³:

- ადგილობრივ ბიზნეს წრეებში მწვანე ეკონომიკაში არსებული კომერციული შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე;
- აშკარა დეფიციტი ინფორმაციის ნაკლებობის თვალსაზრისით მწვანე სექტორისა და მდგრადი ბიზნეს-პრაქტიკის კომერციულ ფასეულობასა და პოტენციურ ფინანსურ სარგებელზე;
- მდგრად ბიზნეს-პრაქტიკასა და მრეწველობასთან დაკავშირებული ნოუ-ჰაუს და შესაბამისი ტექნოლოგიების დეფიციტი.

¹ McKinsey & Company, Inc. – ამერიკული გლობალური მენეჯმენტის საკონსულტაციო ფირმა, რომელიც აქცენტს აკეთებს ისეთი საკითხების გადაწყვეტაზე, როგორცაა სტრატეგიული მენეჯმენტი, გლობალური მართვა და სხვა. ფირმა ითავსებს მრჩეველის როლს ბიზნესის, ხელისუფლების და სხვადასხვა ინსტიტუტების წარმომადგენლებისათვის მსოფლიოს მასშტაბით.

² საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო © 2011.

³ www.greengeorgia.ge

ეს ფაქტორები განაპირობებს კომერციულ სასესხო ორგანიზაციებში სურვილის არარსებობას, რომ გამოყონ დაფინანსება ბიზნეს-საქმიანობის ნაკლებად შესწავლილ სფეროში. საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფცია შედარებით ახალია და ეს მიზეზიც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ის ჯერ-ჯერობით არ განიხილება კომერციულად მიმზიდველ ოპციად კერძო სექტორის მონაწილეთათვის.

საქართველოში გამოიყო ოთხი სფერო, რომლებსაც ყველაზე მაღალი პოტენციალი გააჩნიათ მწვანე ბიზნესის განვითარების გამოწვევების საპასუხოდ. ამორჩეულ იქნა ის სფეროები, რომელთა განვითარებაც შესაძლებელია დროის გონივრულად მოკლე პერიოდში, ტექნოლოგიასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების შესაძლებლობების გათვალისწინებით. ეს სფეროებია: 1) სოფლის მეურნეობა და კვება; 2) მწვანე პროდუქტების წარმოება; 3) სუფთა ელექტროენერჯია; 4) მდგრადი ტურიზმი.

საქართველოში, ზემოთ ხსენებულ სფეროებში მწვანე ბიზნესის მართვის პრაქტიკის დასაზღვრად საჭიროა ყოველი მწვანე ბიზნესის შესაძლებლობების ბაზრის სიღრმისეული ანალიზის განხორციელება ფაქტობრივ შეფასებებსა და კვლევებზე დაყრდნობით, რის შედეგადაც, მიღებულ იქნება მონაცემები, რომელთა გამოყენებითაც ბიზნესკომპანიას შეეძლება:

- ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება, შესაბამისი დაგეგმვითა და პროგნოზირებით;
- საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და ჩატარება ბაზრის ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაციის გასავრცელებლად;
- საპილოტე პროექტების განსაზღვრა და განხორციელება.

ამასთან, ქვეყანაში მწვანე ბიზნესის განვითარებისთვის საჭიროა წარმატებით განხორციელდეს ურთიერთკავშირი ისეთ ჯგუფებს შორის, როგორცაა ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესკომპანიები, საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან კერძო სექტორს და გააჩნიათ საკუთარი მდგრადი განვითარების პროგრამა, ყველა შესაბამისი სახელწიფო ორგანო და არაკომერციული არასამთავრობო სექტორი.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ფონზე მწვანე ბიზნესის განვითარება და ხელშეწყობა ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების 2014-2017 წლების ნუსხაში. დოკუმენტის შესაბამის პუნქტში¹ ვკითხულობთ, რომ მთავრობის მიზანია მიმდინარე კვლევების საფუძველზე, „მწვანე ბიზნესის“ შესაძლებლობების არეალის გამოვლენის მიზნით, ძირითად სექტორებში (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტები, „მწვანე პროდუქტების“ წარმოება, განახლებად ენერჯიაზე დაფუძნებული წარმოება) შესაბამისი საპილოტე პროექტების განხორციელება და „მწვანე ეკონომიკას“ და „მწვანე ბიზნესთან“ დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა (საინფორმაციო ვებპორტალის – www.greengeorgia.ge – მუდმივი განახლება, სემინარები და საჯარო ლექციები).

განხილული მასალის საფუძველზე ნათელია, რომ დღევანდელ მსოფლიოში თითოეული საერთაშორისო კომპანიის მისია, სტრატეგია, ამოცანები თუ მოკლევადიანი გეგმები მწვანე ბიზნესის პრიორიტეტებს უნდა შეესაბამებოდეს. გლობალურ დონეზე გარემოსდაცვითი პრინციპების როლი წარმოების სფეროში უფრო და უფრო მაღლდება. მწვანე ბიზნესის მართვის პრაქტიკის დანერგვა ყოველივე ზემოთ ხსენებულ დადებით შედეგებთან ერთად საშუალებას გვაძლევს გავუფრთხილდეთ გარემოს, ჯანმრთელობას და შეზღუდულ რესურსებს. აუცილებელი და საჭიროა მსოფლიოში დანერგილი პრაქტიკისა და დაგროვილი გამოცდილების გაანალიზება, გაზიარება და თითოეული ქვეყნის ეკონომიკური პირობებისთვის მისადაგება.

¹ სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (2014-2017 წლებისთვის). მუხლი 14; პუნქტი 5.1.1 (პროგრამული კოდი 24 01 01)

გამოყენებული ლიტერატურა

1. მესხია ი. ბიზნესის საფუძვლები. თბ., 2011
2. შენგელია თ. გლობალური ბიზნესი. თბ., 2010
3. შენგელია თ. თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები. თბ., 2007
4. CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი. საქართველოს პალატის ეროვნული ბიბლიოთეკა
5. www.mckinsey.com
6. www.wikipedia.org
7. www.greengeorgia.ge
8. www.usafranonline.com

Lia Goderdzishvili
Tatia Sosiashvili

Green Business Management in International Companies

Abstract

Sustainable business, or green business, is an enterprise that has minimal negative impact on the global or local environment, community, society, or economy. Often the strategy of green business is to take into account the progressive environmental practices and become focused on the human rights.

Amid rising awareness of the impact businesses can have on the environment, companies of every size and type have begun implementing environmental sustainability initiatives. Processes taking place currently, raising the importance of the social responsibility led us to the increase of importance of managing green business in the field of international business. Many organizations have introduced recycling programs and made efforts to reduce their carbon emissions as a way to mitigate the adverse effects of their business processes.

Sustainable business initiatives can relate to social, corporate and/or environmental sustainability. Collectively, they involve examining business processes and practices in terms of people, planet and profit, and seeking out ways to create a positive impact in each of these areas. While improving working conditions and protecting the environment are certainly admirable goals, they have also proven to be good business strategies.

The article gives us the information about three international companies that have successfully implemented green business management according to the San-Francisco State University survey. McKinsey study also signed out the basic and essential reasons to encourage international companies to focus on green business.

Nowadays, green business management practices are important not only in developed but also in developing countries. The example of Georgia is also discussed in the article as a developing country, which is trying to implement green business management.

ებრაული კიბუცების და მოზაზების მინეჯმენტი

ისრაელის ეკონომიკის წინსვლა და განვითარება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული კოოპერატივის ტიპის გაერთიანებების – კიბუცებისა და მოზაზების მასობრივად ჩამოყალიბებასა და წარმატებით ფუნქციონირებასთან.

კიბუცები და მოზაზები ხასიათდებიან თავისებურებებით, რომელიც განასხვავებს მათ ყველა სხვა მსგავსი ტიპის გაერთიანებისგან. ამ ორგანიზაციებში არსებული მართვის სტრუქტურა და ხასიათი, ორგანიზაციის წევრების საქმისადმი დამოკიდებულება და მათი მოტივაციის წყარო უნიკალურია და ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში. მათი ჩამოყალიბება დაიწყო მეოცე საუკუნის დასაწყისში და დაეფუძნა სოციალისტურ და სიონისტურ მოძღვრებებს.

პირველი კიბუცი სახელად დეგანია დაარსდა გალილეის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით 1910 წელს. თუმცა, კიბუცების უმრავლესობა დაფუძნდა მე-20 საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში, ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე მცირე ხნით ადრე. არსებობს სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც კიბუცების დამფუძნებლები ხშირად იყვნენ იდეალისტი სოციალისტი ებრაელები აღმოსავლეთ ევროპიდან, რომლებიც ცდილობდნენ შეექმნათ ევალიტარული საზოგადოება მარქსის პრინციპების თანახმად. ასეთი იდეალისტური შეხედულებებით შეიძლება აიხსნას კიბუცის ბევრი არსებითი მახასიათებელი: შემოსავლის თანაბარი განაწილება; კერძო საკუთრების არარსებობა; არაფულადი ეკონომიკა; საერთო სასაბინოები; საზოგადოებრივი საქონლით უზრუნველყოფის მაღალი დონე; საერთო საცხოვრებლები ბავშვებისთვის, რომლებიც შექმნილია იმისათვის, რომ ქალები გათავისუფლდნენ მათი ტრადიციული მოვალეობებისგან და აღქმულნი იყვნენ როგორც მამაკაცებთან თანასწორნი; კოლექტიური განათლება სოციალისტური და სიონისტური იდეების დასანერგად; საერთო წარმოება, როდესაც კიბუცის წევრები ერთად მუშაობენ სოფლად ან ქარხანაში; არ ხდება კიბუცს გარეთ მშრომელების დაქირავება, რადგანაც დაქირავებული შრომა მიიჩნეოდა ექსპლოატაციად სოციალისტური იდეების ზეობის პერიოდში.

დასაწყისში კიბუცები წარმოადგენდა საერთო ფერმერულ მეურნეობებს. 1950-იან და 60-იან წლებში ისრაელში განხორციელებული ინდუსტრიალიზაციის პროცესის შემდეგ კიბუცებმა მოიცვა სხვადასხვა ინდუსტრია. კიბუცების წარმოების 80 პროცენტი მოდის ინდუსტრიაზე (უმეტესად სურსათი და მანქანა-დანადგარები) და 20 პროცენტი სოფლის მეურნეობაზე.

კიბუცი არის სოფლად შექმნილი კოლექტიური საზოგადოება და სოციო-ეკონომიკური სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ისეთ პრინციპებზე, როგორებიცაა თანასწორობა, კოოპერაცია და კოლექტიური საკუთრება წარმოებაზე.¹

კიბუცი არის სოფელი, სადაც ყველა ქონება, მცირე გამონაკლისების გარდა, არის კოლექტიურ საკუთრებაში და სოციალური აქტივობებიც ხორციელდება კოლექტიურად.²

საწარმოო პროცესი დასაწყისში დაფუძნებული იყო პრინციპზე – „თითოეულისგან მისი შესაძლებლობის მიხედვით და თითოეულს მისი საჭიროებების მიხედვით“. ეს არის კაპიტალისტური სისტემის საპირისპირო, სადაც წინასწარ არის განსაზღვრული როლები კაპიტალისტების, მენეჯერების და რიგითი მომუშავეებისთვის. კიბუცში ყველასთვის განსაზღვრულია სამუშაო ადგილი და შესაბამისად, არ არსებობს უმუშევრობა. კლასიკური ტიპის კიბუცებში მენეჯმენტი ექვემდებარება როტაციას.

კიბუცები არ არის დიდი ზომის გაერთიანებები. კიბუცების გამსხვილების შემთხვევაში საჭირო გახდებოდა იერარქიული წყობა, მუდმივი მმართველი კლასი, დიფერენცირებული ანაზღაურების სისტემა

¹Tözer A., Baraz A., Kibbutzim: Is This System an Alternative to the Status Quo?

² Tözer A., Baraz A., Kibbutzim: Is This System an Alternative to the Status Quo?

და ა.შ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი დემოკრატიულია და წევრების მაქსიმალური ჩართულობით ხასიათდება საქმიანობის ყველა დონეზე.

დღესდღეობით არსებობს 270 კიბუცი, რომელთა წევრი არის 100 000 მცხოვრები. კიბუცების წევრები ისრაელის მოსახლეობის დაახლოებით 1.6%-ია. მათი წილი ისრაელის გაყიდვების მთლიან მოცულობაში არის დაახლოებით 8%, ხოლო ექსპორტის 11% და 35% ისრაელის სოფლის მეურნეობაში (2010 წლის მონაცემები).¹

მოშავების შექმნა სათავეს იღებს 1919 წლიდან, როცა ელიეზერ იაფემ წამოაყენა იდეა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოშავის შექმნის შესახებ, რომლის ფუნქციონირებაც დაეფუძნებოდა ურთიერთდახმარებას, კოოპერაციულ შესყიდვებს და მარკეტინგს და რომლის ძირითადი ერთეულიც იქნებოდა ოჯახი.² პირველი მოშავი დაფუძნდა მერჰავიაში (გალილეა).

მოშავში არსებული მიწა განაწილებულია მოშავის წევრ ოჯახებს შორის. მოშავებს აქვთ საკუთარი ბანკი, დანაზოგები და საპენსიო სქემები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ.

მოშავი არის კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს ხუთ კომპონენტს. ნებისმიერი „სოფელი“, რომელიც არ მოიცავს ამ კომპონენტებს, არ არის მოშავი.

პირველი კომპონენტი არის მრავალფუნქციური კოოპერატივი. რეალობაში არსებული კოოპერატივების უმეტესობა სპეციალიზდება ერთი მიმართულებით. ეს შეიძლება იყოს: წარმოება, საკრედიტო საქმიანობა, წარმოების ფაქტორების მიწოდება, მარკეტინგი, ირიგაცია, დასაწყობება, გადამუშავება, მოხმარება, მშენებლობა, სასტუმროები, ტრანსპორტი, აღრიცხვა, საპენსიო ფონდები, დაზღვევა, ტექნიკური მომსახურება.

მრავალფუნქციური კოოპერატივები იშვიათია და ისინი მოიცავს შეზღუდული რაოდენობის ფუნქციებს. ერთადერთი მრავალფუნქციური კოოპერატივი, რომელიც მოიცავს ყველა ზემოჩამოთვლილ ფუნქციას, არის ებრაული მოშავი. ეს არის ყველაზე დახვეწილი მრავალფუნქციური კოოპერატივი მსოფლიოში.

მეორე კომპონენტი არის ის, რომ მოშავი გაიგივებულია სოფელთან. მოშავი არის კოოპერატივი სოფელში და სოფლის ყველა მოსახლე არის კოოპერატივის წევრი. ამ შემთხვევაში, სოფელი და კოოპერატივი ერთიდაიგივეა. მსოფლიო მასშტაბით არსებობს კოოპერატივები, რომლებიც შექმნილია ამა თუ იმ სოფელში, მაგრამ სოფლის ყველა მცხოვრები არ არის კოოპერატივის წევრი. მოშავის შემთხვევაში კი სოფლის ყველა მცხოვრები კოოპერატივის წევრია.

მესამე კომპონენტი – მოშავი აწვდის თავის წევრებს სხვადასხვა მუნიციპალურ მომსახურებას. ეს მოიცავს: საგანმანათლებლო და კულტურულ ინსტიტუტებს, სოციალურ აქტივობას, ობიექტებს ჯანდაცვის, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული აქტივობებისთვის, პარკებს და სკვერებს, რელიგიურ ინსტიტუტებს და ა.შ.

სოფლის თავი, რომელიც პასუხისმგებელია მუნიციპალურ მომსახურებაზე და კოოპერატივის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელი კოოპერატივის საქმიანობაზე არის ერთიდაიგივე ადამიანი.

მეოთხე კომპონენტი არის „საზოგადოებრივი“ კომპონენტი. კოოპერატივის წევრები, მიუხედავად იმისა, რომ სურთ და შეუძლიათ იმოქმედონ დამოუკიდებლად, თავს მიიჩნევენ საზოგადოების წევრებად და გამოხატავენ სურვილს, იყვნენ საზოგადოების ნაწილი. თუმცა, თითოეულ წევრს შეუძლია იმოქმედოს თავისუფლად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მეხუთე კომპონენტია კოოპერატივის წევრების საერთო პასუხისმგებლობა და მხარდაჭერა. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს მოშავის წევრთა პრაქტიკულ დახმარებას გაჭირვებისა თუ კრიზისის დროს. წევრებს შორის საერთო პასუხისმგებლობის არსებობა აძლევს საშუალებას მოშავს იმოქმედოს,

¹Leviatan U., Overcoming drawbacks of hierarchy: Examples from Kibbutz communities, Journal of Community Positive Practices, XIII(1) 2013, 147-164

²<http://www.encyclopedia.com/topic/Moshav.aspx>

როგორც საკრედიტო კოოპერატივმა, რომელიც გასცემს საწარმოო კრედიტს, რათა ფერმერულმა მეურნეობამ შეძლოს ფუნქციონირება.¹

უკვე 1970 წლისთვის დასახლებების და მოსახლეობის მხრივ მოშავი გახდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე კიბუცი.

ძირითადი განსხვავება კიბუცებსა და მოშავებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ კიბუცში ყველა ქონება საერთო საკუთრებაშია, ხოლო მოშავში არსებობს კერძო საკუთრება, მაგრამ მიწის დამუშავებისთვის საჭირო ტექნიკა (ტრაქტორები და ა.შ.) საერთო საკუთრებაშია. ბევრ კიბუცში ოჯახები სადილობენ საკუთარ სახლებში საერთო სასადილოების ნაცვლად.

მოშავში არსებული მიწა განაწილებულია მოშავის წევრ ოჯახებს შორის. მოშავებს აქვთ საკუთარი ბანკი, დანაზოგები და საპენსიო სქემები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ.

მოშავის წევრები ირჩევენ მმართველ კომიტეტს, რომელიც ორგანიზებას უწევს ეკონომიკური, ჯანმრთელობის დაცვის და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას საზოგადოებისთვის. მოშავები ხშირად დაკავშირებული არიან რომელიმე პოლიტიკურ ან რელიგიურ პარტიასთან.

კიბუცების ერთმა ჯგუფმა შეინარჩუნა ტრადიციული კიბუცების მახასიათებლები, ხოლო მეორე ჯგუფმა შეცვალა პრინციპები და ფასეულობები, მაგალითად: კოლექტიური და ალტრუისტული შეხედულებები შეცვალა ინდივიდუალური და ეგოცენტრიკული ღირებულებებით, კიბუცების პოლიტიკის და მომავალი მიმართულებების განსაზღვრისას. დემოკრატია, თანასწორობა, სოლიდარობა და ერთიანობის ღირებულებები შეიცვალა საბაზრო პრინციპებით და ნეოლიბერალური იდეოლოგიით. ტრადიციული კიბუცები 2012 წელს კიბუცების საერთო რაოდენობის მხოლოდ 25%-ს შეადგენდა და ყოველწლიურად მცირდება მათი რიცხვი.²

კიბუცებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს. მომუშავეები აკვირდებიან ერთმანეთის საქმიანობას, იქნება ეს სამზარეულოში მუშაობა თუ ძროხების მოწველა. შესაბამისად, კიბუცის თითოეული წევრის ძალისხმევაც და სამუშაოსგან თავის არიდებაც ნათელია მისი კოლეგებისთვის. მაგალითად, ფორთოხლის მოკრეფის ჩვეულებრივ სამუშაო პროცესში კიბუცის თითოეულ წევრს შეუძლია დააკვირდეს რამდენი ყუთი ფორთოხალი მოკრიფა მასთან ერთად მომუშავემ. ასეთი მიდგომა ამცირებს „უბილეთო მგზავრის“ პრობლემის წარმოქმნის ალბათობას.

კიბუცების წევრები არიან მეზობლები, სადილობენ საერთო სასადილოში, მათი შვილები დადიან საერთო სკოლებში. შესაბამისად, გამარტივებულია მათ შორის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, რაც კიდევ უფრო ამარტივებს ურთიერთმონიტორინგის პროცესს.

კიბუცში ხშირად იყენებენ წახალისების არაფულად ფორმებს. მაგალითად, წარმატებულ მომუშავეებს ნიშნავენ კიბუცის მდივანად, ხაზინადრად, ფერმის მენეჯერად და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ კიბუცის წევრებს აქვთ უფლება საკუთარი სურვილით დატოვონ კიბუცი. თუმცა, მათი უმეტესობა ამჯობინებს კიბუცში დარჩენას. ასეთ დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიას. კიბუცის წევრისგან, რომელიც სიღრმისეულად იზიარებს იდეოლოგიას, რაზეც არის დაფუძნებული კიბუცების სისტემა, ნაკლებად მოსალოდნელია კიბუცის მიტოვება ან შრომისგან თავის არიდება. სწორედ ამიტომ, აქტიურად ხდება ამ იდეოლოგიის სწავლება და დანერგვა კიბუცებში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კლასიკური კიბუცისთვის როგორც მოხმარება, ასევე წარმოების პროცესი დაფუძნებულია წევრების შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. მენეჯმენტის ეს მახასიათებელი და ასევე საკუთრების გაერთიანება არ ჰგავდა კაპიტალიზმს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კიბუცების მმართველობა ეწინააღმდეგებოდა კაპიტალიზმს. კიბუცების მენეჯმენტი ეწინააღმდეგებოდა საბჭოურ სოციალიზმსაც. მრავალფუნქციური სტრუქტურა მენეჯერებისა და მუშებისა მიმართული იყო იმისკენ, რომ თავიდან აერიდებინათ მართვის ბიუროკრატიული სისტემა.

¹Galor Z., Conditions for the success of new Moshav, 2002

²Leviatan U., Overcoming drawbacks of hierarchy: Examples from Kibbutz communities, Journal of Community Positive Practices, XIII(1) 2013, 147-164.

ფიზიკური შესაძლებლობები, როგორცაა ძალა, ასაკი და ა.შ. მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუშაკების შერჩევის საკითხში. ხნიერი და ნაკლები შესაძლებლობების მქონე ადამიანები დაკავებულნი არიან ისეთ სამუშაოთი, რომელიც ნაკლებ ძალას მოითხოვს. ასეთი კი ძირითადად არის ფინანსური და ბუღალტრული სამუშაო.

მენეჯერები იცვლებიან ყოველ ხუთ წელიწადში. რაც შეეხება გარეშე პირებს, ისინი არ არიან მენეჯერები, არამედ – კოორდინატორები. ისინი უფრო კოორდინაციას უწევენ მუშების საქმიანობას, ვიდრე აკონტროლებენ მათ. აღსანიშნავია თანასწორობის პრინციპი: ბევრი მეურნეობის მენეჯერი სამუშაოზე მიდის ისეთივე ლურჯი ტანსაცმელით და ნახმარი ფეხსაცმელით, როგორცაა – ნებისმიერი მუშა.

კიბუცის საწარმოების მახასიათებლებია: მართვის ნორმები აგრარული განყოფილებებისათვის არის ერთნაირი ყველა საწარმოში; გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობს კიბუცის ყველა წევრი (მუშა); წახალისების ნორმები და მექანიზმები ქმნიან კარგ შრომით ურთიერთობებს, კომფორტულ სამუშაო გარემოს, მუშების ჩართულობას და კმაყოფილებას; გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ მოიცავს მხოლოდ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ფაქტორებს, არამედ სოციალურ ფაქტორებსაც; საწარმო განისაზღვრება, როგორც კიბუცის განუყოფელი ნაწილი.¹

ამ მექანიზმებში განსაკუთრებულად გამოყენებულია პირდაპირი დემოკრატიის პრინციპი. კიბუცის მართვას ახორციელებს გენერალური ასამბლეის ინსტიტუტი. წევრები ხვდებიან ერთმანეთს დახლოებით ორი საათის განმავლობაში, კვირაში ერთ საღამოს. ეს არის ადგილი, სადაც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ საკითხებს და ისინი დაკავშირებული არიან კოოპერატივების საქმიანობის ისეთ მიმართულებებთან, როგორცაა: მომსახურება, კულტურა ან განათლება. ეს არის ასევე დაწესებულება, სადაც მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეულ წევრთან: მიიღონ ახალი წევრები ან გაუშვან ის წევრები, რომლებიც არღვევენ კიბუცების წესებს ან სახელმწიფო კანონებს. ასევე, გენერალური ასამბლეა ირჩევს ყველა მთავარი თანამდებობის პირს და ისინი წარმოადგენენ პერიოდულად მუშაობის ანგარიშებს შეხვედრების დროს. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.²

როდესაც ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა კიბუცების შექმნა სხვა ქვეყნებშიც, ჩნდება ბევრი უარყოფითი პასუხი, რასაც გარკვეული მიზეზები გააჩნია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი მათგანი: პირველი, ქვეყანა და კულტურა აგებულია სიონიზმის იდეოლოგიაზე და სხვაგან ამ თემების იმიტაციის შექმნა ძალიან რთულია თუ შეუძლებელია არა. გარდა ამისა, თუ დავამატებთ იმ გარემოებას, რომ ისრაელის მთავრობა გამუდმებით ეხმარება ამ თემებს ვალის გადაფარვაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კიბუცი, განსაკუთრებით დღევანდელ მსოფლიოში, არ ქმნის სოციო-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების სრულყოფილ ალტერნატივას.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა, თუ დავაკვირდებით კიბუცის მენეჯმენტს და მას შესაძლებლობის ფარგლებში დავამგვანებთ ჩვეულებრივ კაპიტალისტურ ორგანიზაციას, რომელიც ორიენტირებულია მაღალ მწარმოებულობასა და მოგების მაქსიმიზაციაზე, შესაძლებელი გახდება კიბუცის დახვეწა და მორგება თანამედროვე მსოფლიოზე.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის შეუძლებელია კიბუცების და მოშავების ზუსტი ანალოგების შექმნა, შესაძლებელია შეიქმნას მიმსგავსებული ტიპის გაერთიანებები.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები შესაძლოა უკეთ იქნეს გამოყენებული კიბუცების ან მოშავების მსგავსი გაერთიანებების პირობებში.

¹ Palgi M., Organization in Kibbutz industry – 1998, Leviatan, U., Oliver, H. and J. Quarter (1998). Crisis in the Israeli Kibbutz: Meeting the Challenge of Changing Times, Praeger Publishers

² Leviatan U., Overcoming drawbacks of hierarchy: Examples from Kibbutz communities, Journal of Community Positive Practices, XIII(1) 2013, 147-164.

დღესდღეობით, საქართველოში მიმდინარეობს კოოპერატივების პოპულარიზაცია. კოოპერატივის ერთ-ერთ სახედ შესაძლოა განვიხილოთ მოშავის ან კიბუცის მსგავსი საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელსაც დასაწყისში შესაძლოა ჰქონდეს ექსპერიმენტული ხასიათი.

პირველ ეტაპზე საჭირო იქნება აქტიური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, რათა ადამიანებს შეექმნათ ნათელი წარმოდგენა მოშავის ან კიბუცის მსგავსი ტიპის კოოპერატივის შესახებ.

ვფიქრობთ, რომ საქართველოსთვის უმჯობესი იქნება მოშავის ტიპის გაერთიანების დაფუძნება, რადგანაც ის უფრო კომპლექსური სისტემაა და საქმიანობის მრავალ მიმართულებას მოიცავს. ამ ტიპის საზოგადოების ფორმირება საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ ქართული საზოგადოების ტრადიციებისა და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.

დასაწყისისათვის შესაძლებელია მოხდეს კონცენტრირება ერთი კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოებაზე მოშავის ტიპის გაერთიანებაში. ამ ასპექტით მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფოს მხარდამჭერი როლი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოშავის ტიპის გაერთიანება ფინანსური და მატერიალური საშუალებებით.

ბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ კიბუცის ზღაპრული მოდელი აგრძელებს არსებობას, ამ ცვალებად გარემოში, ისრაელის მთავრობის დახმარებით. ეს ხდება იმ მიზეზით, რომ ამ ინსტიტუტის პროპაგანდა და იდეოლოგიური განათლება მომავალში დაეხმარება ისრაელს გრძელვადიანი მიზნებისა და გეგმების შესრულებაში.

კიბუცების წარმატება ისრაელში აშკარაა. კიბუცების განვითარებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა როგორც ისრაელის სოფლის მეურნეობის, ასევე სხვა დარგების განვითარებაში.¹

კვლევებით დადგინდა, რომ კიბუცებში არსებულ საწარმოებში უფრო მაღალია მუშების თანამონაწილეობის დონე, ვიდრე სხვა ებრაულ საწარმოებში. კიბუცებში მუშებს აქვთ უკეთესი შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ თავიანთ სამუშაო პირობებზე, მათ შორის ფინანსურ საკითხებზე და სამუშაოს გრაფიკზე. განსხვავებით სხვა მუშებისგან (როგორც ებრაელი ასევე სხვა ქვეყნის), კიბუცებში დასაქმებულებს აქვთ მეტი შესაძლებლობა განვითარებისთვის. მენეჯერების როტაციის პრინციპი მიღებულ იქნა ბევრ კიბუცში, რამაც მათ მოუტანა დამატებითი სოციალური და სხვა სახის სარგებელი.²

რაც შეეხება მოშავებს, მათი ეფექტიანობა უფრო მაღალია კიბუცებთან შედარებით. ეს არის უფრო კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს სამეურნეო საქმიანობის მრავალ მიმართულებას. ამ ტიპის გაერთიანების შექმნა შესაძლებელია საქართველოშიც ექსპერიმენტის სახით. მისი წარმატებით ფუნქციონირების შემთხვევაში კი შესაძლებელია მოშავების მსგავსი ტიპის გაერთიანებების რაოდენობის გაზრდა საქართველოში.

ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა პრაქტიკული განხორციელების შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელი იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული რიგი პრობლემების მოგვარება. ქვემოთ მოცემულია ეს რეკომენდაციები:

- ებრაული კიბუცებისა და მოშავების შემდგომი კვლევა, რაც მოგვცემს საშუალებას კარგად გავერკვიოთ ამ ორგანიზაციების სპეციფიკაში და ვიფიქროთ მათ ადაპტაციაზე ქართულ რეალობასთან;
- სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის იმის დასაბუთება, რომ სოფლად არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი გზაა კოოპერატივის ტიპის გაერთიანებების ჩამოყალიბება, რაც შეამცირებს მათ დანახარჯებს, მისცემს მათ საშუალებას იყენონ უფრო კონკურენტუნარიანი და საერთო ძალებით გაუმკლავდნენ მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს;

¹ Tözer A., Baraz A., Kibbutzim: Is This System an Alternative to the Status Quo?

² Palgi M., Organization in Kibbutz industry – 1998, Leviatan, U., Oliver, H. and J. Quarter (1998). Crisis in the Israeli Kibbutz: Meeting the Challenge of Changing Times, Praeger Publishers

- ექსპერიმენტის სახით მოშავის ტიპის გაერთიანების ჩამოყალიბება რომელიმე რეგიონში სახელმწიფოს მხარდაჭერით, რაც მოგცემს საშუალებას პრაქტიკაში გამოვცადოთ მსგავსი ტიპის გაერთიანების ეფექტიანობა და განხორციელებადობა საქართველოში;
- სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც დაუკავშირდება შესაბამის სტრუქტურებს ისრაელში და ადგილზე გაეცნობა მოშავის საქმიანობას, მიღებულ გამოცდილებას კი გამოიყენებს ექსპერიმენტული მოშავის მართვის პროცესში;
- ამ სფეროში სტრუქტურული კვლევების გაძლიერება, რათა ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული კვლევების პოპულარიზაციას ახალგაზრდა მეცნიერებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abramitzky R., Lessons from the Kibbutz on the Equality–Incentives Trade-off, Journal of Economic Perspectives, Volume 25, Number 1, winter 2011, Pages 185–208
2. Galor Z., Conditions for the success of new Moshav, 2002
3. Tözer A., Baraz A., Kibbutzim: Is This System an Alternative to the Status Quo?
4. Leviatan U., Overcoming drawbacks of hierarchy: Examples from Kibbutz communities, Journal of Community Positive Practices, XIII(1) 2013, 147-164
5. Palgi M., Organization in Kibbutz industry – 1998, Leviatan, U., Oliver, H. and J. Quarter (1998) Crisis in the Israeli Kibbutz: Meeting the Challenge of Changing Times, Praeger Publishers
6. <http://www.encyclopedia.com/topic/Moshav.aspx>

Tengiz Taktakishvili
Ketevan Kordzadze
Levan Tepnadze

Managing Kibbutz and Moshavs in Israel

Abstract

Advance and development of the economy of Israel is tightly linked to the formation and development of various types of cooperatives particularly Kibbutzs and Moshavs.

The main difference between kibbutz and moshav is that in kibbutz all existing property are owned collectively. In moshav private ownership exists, but resources used in the process of production are owned collectively.

Principles of management in kibbutzs and moshavs are unusual and have unique peculiarities.

Managers of the kibbutz are elected by all members. If the members of kibbutz don't have enough skills for managing the kibbutz the person from outside the kibbutz is invited to be a manager.

The members of moshav elect the members of managing committee that organizes economic, health and education services. Moshavs are often linked to various political and religious parties.

As for adopting the experience of development of cooperatives in Israel we consider that forming the cooperative similar to moshav in Georgia would be an interesting experiment and supportive actions from the government for this initiative would be very important.

მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობი ეკონომიკური პოლიტიკა

(შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ისრაელის მაგალითზე)

საზოგადოების არსებობა დამოკიდებულია ბუნებისა და მისი რესურსების ხარისხზე. ამიტომ აუცილებელია თანამედროვე ინდუსტრიული წარმოება ოპტიმალურად შეუთავსდეს წარმოების ეკოლოგიზაციას, რაც გულისხმობს ბუნების დაცვას, მისი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და გაუმჯობესებულ კვლავწარმოებას. ამ მიზნით ბუნების კვლავწარმოების პროცესი მოითხოვს, არ დაირღვეს ეკოლოგიური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება, არ დაეკარგოს მას თვითაღდგენის უნარი, რადგან ეს უკანასკნელი საზოგადოების ნორმალური არსებობის, განვითარებისა და ფუნქციონირების აუცილებელი ბუნებრივი პირობაა.

საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთკავშირის პრობლემა საზოგადოების განვითარების თეორიისა და პრაქტიკის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ ადამიანისა და ბუნების ერთიანობის საკითხის შესწავლა პრაქტიკულ საქმიანობასთან თეორიის მჭიდრო კავშირში განხილვას მოითხოვს.

ბუნების დაცვა, მისი რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია დიდი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა.

ბუნების დაცვის, მისი უნიკალური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების ცალკეული საკითხების შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებს. ამ მიმართულებით მომავალშიც აუცილებელია კვლევის გაღრმავება. საჭიროა ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება.

ბუნების დაცვა, მისი რესურსების კვლავწარმოება და გამოყენების ოპტიმიზაცია ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ეკონომიკაში საბოლოო სტაბილური შედეგების მიღწევას, ხოლო მეორე მხრივ, ბუნების დაცვას, მისი სიმდიდრის გამოყენებას და კვლავწარმოებას. ამ ამოცანას უნდა ემყარებოდეს მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკა.

მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს, იგი ცდილობს მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორია არა სახელმწიფო და კერძო ბიზნესი, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას.

მწვანე ეკონომიკის კვლევისა და განვითარებაზე ევროკავშირმა ბიუჯეტი ბოლო პერიოდში 300%-ით გაზარდა. როგორც მიმდინარე ტენდენციები გვიჩვენებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფვის მწვანე ეკონომიკის დანერგვისაკენ, ვინაიდან მწვანე ეკონომიკა არის 21-ე საუკუნის ბიზნესშესაძლებლობა, გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება, მაშინ როდესაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და მცირდება კიდევ. მწვანე ბიზნესის განვითარებისკენ სწრაფვა დღესდღეობით ისე აქტუალურია როგორც არასდროს.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის გარემოს ფორმირებისათვის დიდი პოტენციალი არსებობს. თუმცა, ქვეყანაში მდგრადი და ეკონომიკურად გამართლებული მწვანე ბიზნესის (მწვანე პროდუქტების წარმოება, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, სუფთა ენერჯიაზე დაფუძნებული წარმოება) განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა დღეს ფორმირების პროცესშია, ჩამოუყალიბებელია ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა, ძალზე სუსტია ორგანული წარმოების მხარდაჭერა და სხვა. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ მწვანე ეკონომიკა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია, ეს არის რეალობა, რომელიც სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ ზრდას იწვევს. შესაბამისად, საქართველოში

მწვანე ეკონომიკისაკენ ტრანსფორმაციისათვის ეკონომიკური პრობლემების კვლევა საკმაოდ აქტუალურია. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია უცხოური გამოცდილების შესწავლა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ საქართველო-ისრაელის შედარებითი ანალიზის გზით გამოგვევლინა მწვანე ეკონომიკის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და დაგვესახა სამომავლო განვითარების მიმართულებები.

მწვანე ეკონომიკის ზრდის ტენდენცია მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძველია, იგი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბესთან ბრძოლას, ასევე, გლობალური საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას. მისი განხორციელება მიზანშეწონილია ხდებოდეს არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში, რომელიც დაფუძნებულია კერძო სექტორზე ორიენტირებულ პოლიტიკაზე, ასევე, არაპროტექციონისტული საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკასა და არადისკრიმინაციულ მიდგომებზე. ეს ის პირობებია, რომელთა შესრულებაზეც სახელმწიფომ უნდა იფიქროს და მხოლოდ ამის შემდეგ განვითარდება მწვანე ეკონომიკა.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია საკმაოდ ფართოა, თუმცა, შედარებით ახალია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისათვის. ტერმინის განსაზღვრა და გაგება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი. მიუხედავად მრავალი განსაზღვრებისა, მწვანე ეკონომიკის ზოგადი განმარტება გულისხმობს, რომ ეკონომიკის გამწვანება შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი. მწვანე ეკონომიკის შედეგია ადამიანის გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, რომელიც აგრეთვე მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტს.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ქვეყანაში გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების მიზნით ეტაპობრივად დაინერგა ევროკავშირისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული გარემოსდაცვითი პრინციპები და სტანდარტები. დაიხვეწა და განახლდა გარემოსდაცვითი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: ნარჩენების მართვა, წყლის რესურსების მართვა, ატმოსფერული ჰაერის დაცვა, სატყეო რესურსების მართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, ბუნებრივი და ანთროპოგენული საფრთხეების რისკების შემცირება, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მართვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში არსებული გარემოს დაცვის პროგრამის თანახმად, მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემო რისკები და ეკოლოგიური ზარალი.

მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებაზე და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ეკონომიკის სხვა დარგებისაგან ის იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, გარემოს დეგრადაციას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას. მწვანე ეკონომიკა სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს, რათა აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება.

მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, რომელიც ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. კლასიკური ეკონომიკის თანახმად, იგი არა დამოუკიდებლად, არამედ როგორც მეცნიერების კომპონენტი ისე განიხილება. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ ტრადიციულად მიწა, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი, მოიცავს ბუნებრივ კაპიტალს და დაკავშირებულია წარმოების მეორე ფაქტორთან – შრომასთან. მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისგან არ მიჯნავს, იგი ცდილობს მოქმედოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა.

მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორია არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესი, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას.

ექსპერტთა აზრით, მწვანე ეკონომიკა მოიცავს ექვს მთავარ სექტორს:

1. განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია);
2. მწვანე შენობები (ენერჯის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები);
4. წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
5. ნარჩენების მენეჯმენტი (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
6. მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

ისრაელისათვის საქართველოსთან კულტურული ურთიერთობა ყოველთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. საქართველოსა და ისრაელს შორის ბიზნესურთიერთობებიც ვითარდება, ხდება შეთანხმებები ახალ ინვესტიციებზე და ხორციელდება ბიზნეს პროექტები.

ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მიმართულებებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- ისრაელის ინვესტიციების მოზიდვა;
- ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის ხელშეწყობა;
- ტურისტული პროდუქტების გაცვლა.

მწვანე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია სოფლის მეურნეობის განვითარება. ისრაელი დღეს უაღრესად წარმატებულ სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყანად ითვლება. ამ სფეროში მიწის ფართობი 21 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 80 ათას კაცს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ ერთ ადამიანს შეუძლია გამოკვებოს 95 თანამოქალაქე, მაშინ, როდესაც აშშ-ში ეს მაჩვენებელია 1:79, ჩინეთში 1:4, რუსეთში 1:15.

ისრაელში ყვავილების, ხილისა და ბოსტნეულის უმეტესი რაოდენობა უზარმაზარ, მრავალკლიმბეტრიან სასათბურე კომპლექსებში მოჰყავთ. გარდა ამისა, ებრაელმა აგრონომებმა მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას. თუ ღია მიწაზე პომიდორის საშუალო მოსავალი 1 ჰექტარზე 60-80 ტონაა, სათბურებში, სადაც კლიმატკონტროლი კომპიუტერული სისტემებით ხორციელდება, აღნიშნული მაჩვენებელი პომიდორის შემთხვევაში 500-მდე, ხოლო წიწაკის შემთხვევაში 200 ტონამდე იზრდება.¹ როგორც ისრაელის აგრონომები ამტკიცებენ, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. მეცნიერები ფერმერებთან ერთად ამუშავებენ და ნერგავენ ისეთ მეთოდებს, სიახლეებისა და აღჭურვილობის გამოყენებას, რომლებიც ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობისა და ზოგადად მწვანე ეკონომიკის განვითარებას

დაარსების დღიდან ისრაელი ებრძვის წყლის დეფიციტს და გარემოსდაცვით პრობლემებს. ქვეყანაში არსებულ კომპანიებს გააჩნიათ ცოდნა და „ნოუ-ჰაუ“, რითაც ხელს უწყობენ საერთაშორისო გარემოს გაუმჯობესებას, გარდაქმნიან მათ იდეალურად იმისათვის, რომ შეიძინონ გამოცდილება მდგრად განვითარებაში, მწვანე სექტორებში განახლებადი და სუფთა ენერჯის, აგრეთვე სამუშაო ადგილების შექმნაში, რაც მწვანე ეკონომიკის სწრაფად განვითარებას უწყობს ხელს.

2000 წლიდან ისრაელმა მიაღწია ძლიერი ეკონომიკურ და დემოგრაფიული ზრდას და შეძლო მნიშვნელოვნად შეემცირებინა გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, რაც პირდაპირ უკავშირდება მის ეკონომიკურ აღმავლობას. ისრაელმა მოახდინა მთელი რესურსების, მათ შორის საბიუჯეტო, საგადასახადო და გარე ინვესტიციების მომართვა, რათა დაეძლია გარემოზე უარყოფითი გავლენები და შეამცირა სტიმულები ისეთი ეკონომიკური ქმედებისთვის, რომლებიც ასევე უარყოფითად მოქმედებდნენ

¹ <http://www.masaisrael.org/gogreen>

გარემოზე. ამ პოლიტიკის მიზანი იყო, ქვეყანა გაეხადა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების ექსპორტიორი და ასე გაეწია კონკურენცია სხვა ქვეყნის პროდუქტებისათვის საერთაშორისო ბაზარზე.¹

რამდენიმე წლის წინ ისრაელში მწვანე ეკონომიკა თითქმის არ არსებობდა, დღეს კი წარმატებული გარემოსდაცვითი რეფორმებით ეს სფერო გამართული ინფრასტრუქტურით მუშაობს. ამ თვალსაზრისით ქვეყნის მთავრობამ, პირველ ეტაპზე, გადაწყვიტა, ხელი შეეწყო ეროვნული მწვანე ზრდის გეგმისთვის. ეს უკანასკნელი სამ მიმართულებას მოიცავდა: წარმოება, მოხმარება და ინოვაცია.

მეორე ეტაპზე, ეროვნული გეგმა სათბურის მიერ გაზის რესურსის მოხმარების შემცირებას ისახავდა მიზნად და იგი მთავრობამ 2011 წელს დამტკიცდა. გეგმა ეფუძნება ეკონომიკურ ანალიზს და კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც შეირჩა მათი რენტაბელობის მიხედვით.

მესამე ეტაპის რეფორმა ენერგეტიკის სფეროში მიმდინარეობს. ისრაელმა გადაწყვიტა 2020 წლისთვის ელექტროენერჯის მოხმარება 20%-ით შეამციროს და მის მიერ წარმოებული განახლებადი ენერჯის წილი 10%-ით გაზარდოს. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აღნიშნული მიზნების მისაღწევად, განსაკუთრებით კი მზის ენერჯის გამოყენების სფეროში, Feed-in ტარიფები გამოიყენება. Feed-in ტარიფი შექმნილია განახლებადი ენერჯის წყაროების და ინვესტიციების მხარდასაჭერად. ასეთ დროს გრძელვადიანი შეთანხმება იღება განახლებადი ენერჯის მწარმოებლებთან.

მეოთხე ცვლილებას წარმოადგენს ნარჩენების პრობლემის მოწესრიგება. ისრაელმა უკვე გადადგა ნაბიჯი იმისკენ, რომ გაზარდოს მათი გადამუშავების დონე. ნაგავსაყრელებზე და გარემოს დაბინძურებაზე დაწესებული გადასახადები თანდათან იზრდება. ისრაელის შრომის ბაზრის „მაკრო ცენტრის“ კვლევებმა აჩვენა, რომ ნარჩენების ხელშეორედ გადამუშავება 30%-ით მეტ სამუშაო ადგილს ქმნის, ვიდრე, უბრალოდ, ნარჩენების ნაგავსაყრელზე მიტანა.

ამ სფეროებში განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვანია, რადგან თითოეული მათგანი დიდ გავლენას გავლენას იქონიებს ისრაელის შრომის ბაზარზე.

მკვლევარების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ მწვანე ეკონომიკა სამუშაო ადგილებს შექმნის ახალ სფეროებში.² ისრაელის შრომის ბაზრის „მაკრო-ცენტრმა“ გარემოს რეფორმის გავლენაზე ანალიზისთვის ახალი მეთოდოლოგია შეიმუშავა. პირველი ნაბიჯი იყო სამი ძირითადი ფაქტორის გამოვლენა, რომელიც შრომის ბაზარზე მოახდენდა გავლენას: წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულება, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა და უმუშევრების რაოდენობა.

საუკეთესო გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც მიმართულია ამ სექტორში დასაქმების შენარჩუნებისკენ, ეს არის ინვესტიციების ჩადება კვლევებსა და განვითარებაში, რათა შეიქმნას მაღალი ხარისხის, ღირებული პროდუქცია. მოსალოდნელია, რომ გაიზრდება სამუშაო ადგილები სატრანსპორტო, სამშენებლო და ელექტროენერჯის სექტორებში. მთავრობას შეუძლია, მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობით, შექმნას სამუშაო ადგილები ამ სექტორებში. მაგალითად, მწვანე ეკონომიკური სტანდარტების ხელშეწყობით – განახლებად ენერჯიაში. ტექნოლოგიური წინსვლა ამ ინდუსტრიას საშუალებას მისცემს განავითაროს ეკოლოგიურად სუფთა წარმოება. მწვანე ბიზნესის ინდუსტრია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ სამუშაო ადგილები შეიქმნას მოკლევადიან პერსპექტივაში, არამედ იმიტომ, რომ გრძელვადიან პერიოდში ამ ინდუსტრიის სისტემამ გამოიწვიოს ახალი ტექნოლოგიური რევოლუცია. მწვანე ბიზნესი დგას სირთულეების წინაშე კერძო სექტორში, რადგან მას სურს დიდი ინვესტიციების განხორციელება შედარებით მაღალტექნოლოგიურ სექტორში. აქედან გამომდინარე, იმ ქვეყანაში, სადაც მაღალია ადამიანური კაპიტალის გამოყენება და საჭიროა აღნიშნული ინდუსტრიის განვითარება, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და წახალისოს ინვესტირება ამ სექტორში.


გარემოსდაცვითმა საჯარო პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს მისი გავლენა შრომის ბაზარზე. ეფექტური პოლიტიკის გატარებით, რომელიც დააკმაყოფილებს სხვა სექტორების მოთხოვნებსაც, შესაძლებელია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს გარემოსდაცვით პოლიტიკას, რომელიც შექმნის მრავალ ახალ მწვანე სამუშაო ადგილს.

¹ <http://www.jspace.com/news/articles/expert-says-green-building-is-future-of-israeli-economy/15223>

² <https://attachment.fsbx.com>

მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების მოდელია, რომელიც აღიარებს კავშირს ბუნებრივ კაპიტალსა და სოციალურ თანასწორობას, როგორც ზრდის და კეთილდღეობის წყაროს შორის. მწვანე ეკონომიკის სისტემა ფლობს „Triple bottom line“-ს, რომელიც ხაზს უსვამს ურთიერთდამოკიდებულებას „აღამიანს, მცენარესა და მოგებას“ შორის.

ტრადიციულ ბიზნესაღრიცხვაში “Triple bottom line” ნიშნავს მთლიან შემოსავლებს გამოკლებული მთლიანი დანახარჯები. ხშირად მოგება მხოლოდ შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშებით ითვლებოდა და უგულებელყოფილი იყო სხვა შედეგები, რაც კომპანიის ფუნქციონირებას მოსდევდა. მაგალითად, თუ კორპორაცია აჩვენებს გარკვეულ მოგებას, ხოლო მათი სპილენძის მალარო აბინძურებს მდინარეს, მთავრობა კი მათ მიერ გადახდილ ჯარიმებს ისევ მდინარის გაწმენდას და საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვას ახარჯავს.



“Triple bottom line”-ის გრაფიკული გამოსახულება.

“Triple bottom line” გვიჩვენებს, რომ არსებობს ეკოლოგიური და სოციალური პრობლემებიც. ის მოხსენიებულია, როგორც „სამი საყრდენი“. საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვაში ეს მიდგომა დომინანტური გახდა. კომპანიები უნდა ცდილობდნენ, რომ მატერიალური ხარჯების გარდა, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხარჯებიც შეამცირონ.¹

მწვანე ეკონომიკის მიზანია, მოახდინოს ინვესტიციების სტიმულირება ახალ სექტორებში და ტექნოლოგიებში, შეამციროს გარემოს რისკები და გაზარდოს ცოდნა ამ სფეროში. 2011 წლის 23 ოქტომბერს ისრაელის მთავრობამ დაამტკიცა გარემოს დაცვის მინისტრის წინადადება, რაც გულისხმობდა ქვეყნის მომზადებას ეროვნული მწვანე ზრდის სტრატეგიისთვის 2012-2020 წლებში.

ისრაელის მწვანე ზრდა მოიცავს შემდეგ პოლიტიკას:

- მწვანე ლიცენზირებას;
- მწვანე ზრდის სფეროში განათლების ცენტრების სისტემის შექმნას;
- მწვანე შესყიდვების ტენდერებს;
- გრანტებს და დახმარებებს მწვანე სამრეწველო საწარმოებისთვის;

¹ http://en.wikipedia.org/wiki/Triple_bottom_line

- დასაქმებისთვის მწვანე ტრენინგებს;
- ეკო-ინოვაციის მხარდაჭერას.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ღონის ამაღლება, რაც მიიღწევა მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პირობებში, როდესაც ყველა მოქალაქე სარგებლობს ეკონომიკური კეთილდღეობით და ამავე დროს უზრუნველყოფილია მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, რომელიც გულისხმობს საკუთრების უფლების განუხრელ დაცვას, ბაზარზე თავისუფალ კონკურენციას და კერძო სექტორის თავისუფლებას მცირე, ეფექტიანი და გამჭვირვალე მთავრობის პირობებში. საქართველოს მთავრობის მიერ ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის, როგორც ინკლუზიური ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია.

ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებია: სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება; მეწარმეობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რათა გაიზარდოს ამ უკანასკნელის როლი და წილი ეკონომიკაში. ასევე, მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა.

გარემოს დაცვა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. გარემოს დაცვა გულისხმობს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობაში შენარჩუნებას და გარემოს არსებული დაზიანებების აღმოფხვრას. აქ წინა პლანზე დგას ადამიანის მიერ გამოწვეული ეკოლოგიური ზარალის მაქსიმალური აღკვეთა. გარემოს დაცვა კონცენტრირდება ბუნებრივი სასიცოცხლო საფუძვლების ერთი მთლიანობის შენარჩუნებაზე ყველა ცოცხალი არსებისათვის.

ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. სამინისტროს მისიას ეფექტიანი გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელება და მდგრადი ბუნებათსარგებლობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა წარმოადგენს.

ეკონომიკური და ეკოლოგიური ურთიერთობა წარმოადგენს ერთმანეთთან დიალექტიკურად დაკავშირებულ ერთიანობას.¹ ეს ერთიანობა გამოიხატება საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედებაში. მწვანე – ეს სიცოცხლის ფერია და ჩვენ ვალდებული ვართ შევუნარჩუნოთ ჩვენს პლანეტას ეს ფერი. შეიძლება გლობალურ პრობლემებს ვერ მოვერიოთ, მაგრამ თუ კი ყველა თავის კუთხეში, თავის საცხოვრებელ გარემოში შეეცდება ლოკალურად გადაჭრას ის კონკრეტული პრობლემა, რომელიც დგას თითოეული ჩვენთაგანის წინაშე, მაშინ შედეგი ნამდვილად თვალსაჩინო გახდება.

გარემო დაცვა და ეკონომიკის განვითარება მჭიდრო კავშირშია და სასურველი შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გავითვალისწინებთ ამ კავშირებს წარმატებული მომავლისათვის. აუცილებელია, შემუშავდეს მდგრადი განვითარების კონცეფცია. მდგრადი, დაბალანსებული და კონტროლირებადი განვითარების დროს არის მხოლოდ გარანტირებული აუცილებელი და უსაფრთხო ეკონომიკური განვითარების ახალ ერაში გადასვლა მსოფლიოსათვის.² ეს ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავების დროს და მისი განხორციელების პროცესში ეკონომიკური ცხოვრების ყველა სექტორში აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას ჰარმონიული ურთიერთშეხამება ეკონომიკასა და გარემოს შორის. ეკოლოგიური უსაფრთხოება მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. აუცილებელია მეტი დინამიზმით წარიმართოს საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციების

¹ პ. ლემონჯავა, ბუნების გამოყენების ეკონომიკა, თბილისი, 2011, გვ. 145.

² http://ka.wikipedia.org/wiki/მდგრადი_განვითარება

საქმიანობამ. ამასთან, ცხადია, რომ მათ უნდა გააჩნდეთ სათანადო ფინანსური რესურსები და აღჭურვილ განსაზღვრული ზეეროვნული უფლებებით გარემოს დაცვის პროცესების რეგულირების საქმეში.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შეფასებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივ რესურსებს. მათი განსაკუთრებული სიუხვე და მრავალფეროვნება შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტო ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით და ტერიტორიების ბუნებრივი პირობების თავისებურებებით, არამედ ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური მოვლენებითა და პროცესებით. განსაკუთრებით დიდი პოტენციალი გააჩნიათ ქვეყნებს, სადაც ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთებს უკავია, რომლებიც მდიდარნი არიან საკურორტო ადგილებით., მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, აგრეთვე ჰიდროენერგეტიკულ რესურსებსა და მინერალურ წყლებს.

ეგზოგენურ ენერგორესურსებს მიეკუთვნება ისეთი განახლებადი რესურსები, როგორცაა ჰიდრორესურსები, ქარისა და მზის ენერჯია. დღეისათვის მდგრადი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მიწის რესურსების ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და ბუნებისდაცვითი ღონისძიებების გატარება.

მდგრადი ეკოლოგიური განვითარებისათვის აუცილებელია ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნა, რომელიც განაპირობებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფას, ინოვაციური საქმიანობის ეკოლოგიურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნას და წარმოების ეკოლოგიზაციაზე ეკონომიკური ზემოქმედების სისტემის ფორმირებას.

ამრიგად, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის მწვანე ეკონომიკის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება ისრაელის გამოცდილების საფუძველზე. მწვანე ეკონომიკის განვითარებას უზრუნველყოფს რეფორმები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ერთი მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიებზე, და, მეორე მხრივ, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე. საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარება გამოიწვევს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის ეფექტიან გამოყენებას ახალი ბიზნესშესაძლებლობებისათვის, რითაც შეიქმნება ახალი ეტაპი ქვეყნისა ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლემონჯავა პ. ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა. თბილისი, 2011.
2. ლემონჯავა პ. გარემოს დაცვისა და ბუნების გამოყენების აქტუალური ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, 2008.
3. Golden Growth, Restoring the lustre of the European economic model. 2012.
4. www.geostat.ge
5. www.mof.ge
6. www.masaisrael.org/gogreen
7. www.jspace.com/news/articles/expert-says-green-building-is-future-of-israeli-economy
8. <https://attachment.fsbx.com>
9. http://en.wikipedia.org/wiki/Triple_bottom_line
10. http://ka.wikipedia.org/wiki/მდგრადი_განვითარება

Economic Policy for Fostering Green Economy

(Comparative analysis for Georgia and Israel)

Abstract

The article discusses the role of green economy in the social and economic development of the society. Its model is considered in the context of evaluating sustainable development and solving environmental problems.

The green economy is considered to be an essential component of economic theory. Based on this theory, it's concluded that the green economy doesn't separate the private and public sectors from each other and nowadays it is one of the main priorities of the economy.

Six major sectors of the green economy are characterized in the paper. Interdependence between humans, profit and plants is analyzed. The models of the green economy in Israel are considered and the ways are suggested to adopt these models in Georgia through implementation of economic policy that fosters green economy.

სოფლის მეურნეობის ბანკოთარების პერსპექტივაში

„სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და განსაკუთრებით ჩვენში, თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა მაგაზედ არის დამოკიდებული“.
ილია ჭავჭავაძე

დღეს ქართველ მეცნიერებში და საზოგადო მოღვაწეებში ერთგვაროვანია აზრი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობა ის დარგია, რომელსაც არსებითი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობა და საერთოდ სოფლის პრობლემები, საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის განვითარების პრიორიტეტში არ შედიოდა.

საბედნიეროდ, ხელისუფლებამ დღეს უკვე შეცვალა ეს დამოკიდებულება, მაგრამ სპეციალისტებში სექტორში მაინც იბადება, როდესაც დგება საკითხი, თუ რა რესურსი და ინვესტიციები სჭირდება ამ დარგის კრიზისიდან გამოყვანას, რამდენად რეალურია დღევანდელი, თავისუფალი გლობალური კონკურენციის პირობებში ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ მის განვითარებაში, რამდენად შესაძლებელია მრავალრიცხოვანი შინამეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება და შესაძლებელია თუ არა მისგან მიღებულმა სარგებელმა გადააჭარბოს იმ კოლოსალურ დანახარჯებს, რომელსაც ეს დარგი მოითხოვს.

დიდი ილია ამბობდა – ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიკურის ცხოვრებისა მიწათმოქმედებაა. არ არის ქვეყნიერობაზედ სხვაგვარი ქონება, რომ ორმოც და ორმოცდაათას წელიწადს გასძლოს მთლად, უვნებლად, და უკლებლად, როგორც მიწა სძლებს. მაშინ როდესაც დიდი ილია ამას ბრძანებს, დღეს საქართველოში მიწა – ჩვენი აზრით ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული აქტივი, ჩალის ფასად იყიდება, თანაც უცხოელებზე! და ეს მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა და ელემენტარულად შიმშილობს!

დღეს სახელმწიფომ უკვე დაიწყო ფიქრი სოფლის მეურნეობის გადასარჩენად, პოლიტიკოსები მსჯელობენ და ეძებენ სახსრებს, თუ როგორ გამოიყვანონ ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი კრიზისიდან. დაიხნა მიწები, გაიცა იაფფასიანი კრედიტები სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის, დაითესა მინდვრები და ა.შ. მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

დღეს, როდესაც ეროვნულ მეურნეობათა მოდელის ჩამოყალიბება საყოველთაო აუცილებლობაა, ქართველი ერის ორი წინამძღვრის, ორი ილიას ნაფიქრალსა და წინადადებებს უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამდგომარეობა ქართული ეკონომიკური და აგროსასურსათო პოლიტიკის, სამეურნეო განვითარების სრულფასოვანი მოდელის გააზრებისა და ამოქმედების თვალსაზრისით.

„სახელმწიფო ნორმალურად ვერ ფუნქციონებს მთისა და ბარის, მატერიალურისა და სულიერის, კეთილდღეობისა და ზნეობის ჰარმონიული თანაარსებობისა და გონივრული ბალანსის გარეშე. ამ ბალანსის ძიება და პოვნაა ორი დიდი ქართველის ფიქრის საგანი და შედეგი“.¹

ერის მოძღვარი წერდა: „ჩვენი ეკონომიკური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება სოფელს უნდა დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა

¹ კოლუაშვილი პ. საქართველო – ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. (ორი ილია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ), თბ. 2009, გვ. 4.

ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა“. ილიასეული ეს მოსაზრება დღესაც ფრიადაქტუალურია.

ილიამ დაასაბუთა სოფლის მეურნეობის უპირატესობა, მისი განვითარების როლი და აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში. „სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და განსაკუთრებით ჩვენში, იმიტომ რომ ჩვენში უფრო თვალსაჩინო ეკონომიკური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა მაგაზედ არის დამოკიდებული“.

დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი წარმმართველი დარგი თავისი პრობლემებით ყოველთვის უკავშირდებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური ცხოვრების სფეროებს. ამიტომ ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში დიდ ფუნქციას აკისრებდა სოფლის მეურნეობას, დაჟინებით უსაბუთებდა იმდროინდელ ხელისუფლებას გაძლიერებას „იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვია, ანუ ერთიანი სახელი – სოფლური მეურნეობა“.

„ეკონომიკური გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა, ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა, მომასწავებლნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენიც საჭიროა, რომ ერმა უმტკინველოდ თავი ირჩინოს“. ამასთანავე, მეურნეობის სწორი გაძლიერების შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია გამოკვებოს არათუ ქვეყანაში დღეს არსებული მოსახლეობა, არამედ 10–12 მილიონი ადამიანი. დიდი მწერლისთვის ასევე ცნობილი იყო, რომ ქართველები მამულის ერთგული, მიწაზე დამკვიდრებული ერია; ქართველის მიწასთან უღალატო კავშირშია ქვეყნის სიძლიერე – „ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოყვარეა“ – წერდა იგი. ამასთან, „დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი დავდებთ, ვინც ირჯება, ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს ეკონომიურად წელში გაიმართოს.“

საქართველოსთვის დღესაც მეტად აქტუალურია დიდი ილიასდროინდელი პრობლემა. სწორედ ამიტომაც საინტერესო ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის ილიასეული პროგრამა, რომელსაც გეთავაზობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: „საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის თავის ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს...“

ჩვენი სამშობლო პირველ მიწათმოქმედთა (გეორგიანთა) ქვეყანაა და ჩვენი წარსული და მომავალი გაპირობებული და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური თუ ემოციური საწყისებით.

უწმინდესი და უნეტარესი ამბობს: „მიხედეთ მიწას, მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს.“

მიწა ერისათვის სახელმწიფო ტერიტორიაა, სასიცოცხლოდ აუცილებელი სივრცე, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას თითქმის აღარაფერი უდგას წინ. რამდენადაც ცნობილია, ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება არის ასოცირების შეთანხმების ნაწილი, სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო მზად უნდა იყოს ქვეყნის შიგნით აწარმოოს და ევროკავშირის ბაზარზე შეიტანოს ისეთი პროდუქცია, რომელიც ევროკავშირის ბაზრის კრიტერიუმს არა თუ დააკმაყოფილებს, არამედ კონკურენციასაც გაუწევს იქ არსებულ პროდუქციას. როცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოეწერება, ევროკავშირის ბაზარზე გატანისას თითქმის ყველა ქართული პროდუქტი საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლდება, რაც დიდი სტიმული იქნება მეწარმეებისათვის.

ევროკავშირში იმპორტირებული პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამის სფეროებში (სანიტარიული და

ფიტოსანიტარიული ზომები, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში) ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების შედეგად, საქართველოში ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სისტემა შეიქმნება. ამით სურსათის კონტროლის მექანიზმი ადგილობრივ ბაზარზეც გაუმჯობესდება. ასევე საჭიროა ქვეყანაში ამოქმედდეს გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმიც. ამ მექანიზმის ამოქმედებით საქართველო ევრობაზარზე გათვალისწინებულზე მეტი პროდუქციის გატანას შეძლებს. ამ მექანიზმის მიზანია, შეღავათებით ისარგებლოს მხოლოდ საქართველოში წარმოებულმა პროდუქციამ.

საქართველოს მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე. საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ „ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. აქცენტი უნდა გაკეთდეს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებელზე, არამედ, სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე. ჩვენ უნდა აღვადგინოთ და განვავითაროთ აგროეკოლოგიური წარმოების ის ტრადიციები და უნიკალური წესები, როლებიც თანხვედრაში მოვლენ თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ვფიქრობ, ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც. ამიტომაც ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური ქართული სასოფლო-სამეურნეო ჯიშები, თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს. ამით ჩვენ ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ“.¹ ეს საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ უხვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს ქართულ სოფელს.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ერის მამის ხედვა, სოფლის მეურნეობის ადგილისა და როლის შესახებ, დღევანდელ საქართველოში უმაღლეს ეროვნულ ინტერესების სფეროს უნდა მიეკუთვნოს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქართული ღვინის და პურის შესახებ – „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა განდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა – და ეს უნდა აღდგეს“.

საქართველოში 500–ზე მეტი ვაზის ჯიშია აღრიცხული. ჩვენში 2,5–ჯერ მეტი ვაზის ჯიშია, ვიდრე აზერბაიჯანში (200), 5,5–ჯერ მეტი, ვიდრე სომხეთში (90), 2,5–ჯერ მეტი, ვიდრე შუა აზიაში (200) და ა.შ.² როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით, ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდება და ამიტომაც გლენხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს მიდგომა თანდათან აღორძინების გზაზე გავიდა. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ჩვენი ქართული ღვინო და ხორბალი, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი ღვინისა და ხორბლის უძველესი ტრადიციები.

„ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა“ – ბრძანებდა ილია. ქართული ღვინის უმთავრესი ღირსება „ბუნებრიობაა“, მხოლოდ „ნატურალურობაა“, ამიტომ განსაკუთრებული სერიოზულობით იბრძოდა დიდი საზოგადო მოღვაწე ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, მევენახეობა-მეღვინეობის ეროვნული ტრადიციების დაცვისთვის. ილია ჭავჭავაძეს სწამდა, რომ „ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის ქვეყანა ვართ“. ამასთან, გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ აგრარული ურთიერთობები ვერ უზრუნველყოფენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების – პურისა და ღვინის – შეუფერხებელ წარმოებას, მათი გაძნელებული რეალიზაციის გამო.

საქართველოში ღვინის წარმოებას დიდი მომავალი აქვს. თუ ქართული ღვინო თავის რვაათასწლოვანი მეღვინეობის ტრადიციებს თანამედროვე სტანდარტებთან შეახამებს, საქართველოს აქვს სრული შანსი, რომ ღვინის მწარმოებელი ქვეყნების მსოფლიო რუკაზე ისტორიული და ხარისხიანი

¹ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ეპისტოლენი, თბ. 2012.

² კოლუაშვილი პ. სამკვიდროს გულიდამ ამოღება ძნელია (ილია ჭავჭავაძე სოფლის მეურნეობის შესახებ). თბ., 2007, გვ.8.

ღვინის მწარმოებელი რეგიონის ადგილი დაიკავოს. ასე ფიქრობს ლისა გრანიკი, ღვინის მაგისტრი ნიუ-იორკიდან. დღეს საერთაშორისო ბაზარზე ახლის ძიების დიდი ინტერესია და ამბობენ, რომ აქვთ რაღაც ახალი ხარისხი, მაგრამ მათ არა აქვთ ის ისტორია, რაც – ქართულ ღვინოს. ქართულ ღვინოს აქვს როგორც არაჩვეულებრივი ისტორია, ისე გამორჩეულად მაღალი ხარისხი, როგორც ეს ბოლო დროს დასტურდება.

განსაკუთრებულია ქვევრი და ქვევრის ღვინო, რომელიც უკონკურენტო პროდუქტია მსოფლიოს ბაზარზე. ხარისხიან სასმელზე და კერძოდ ღვინოზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო მსოფლიოში, მაგრამ თანხა, რომელსაც დღეს იხდიან ბოთლ ღვინოში, ყოველგვარ ზომიერების საზღვრებს სცდება, მისი ფასი ასიდან რამდენიმე ათას დოლარამდეა. იმ ქვეყანაში კი სადაც ყველა კუთხე-კუნჭულში ადგილწარმოშობის ყურძენი ხარობს, რომლისგანაც უმაღლესი ხარისხის ადგილწარმოშობის ღვინო მზადდება, ცხოვრება არ უნდა გვეჭირდეს. სამწუხაროდ, რაიმეს ფლობა ერთია, მისი გონივრული გამოყენება კი – მეორე. სწორედ ამ მეორეში მოვიკოჭლებთ ქართველები, რომლის გამოსწორება არც ისე ძნელია.¹

საბედნიეროდ, ყველაფრის აღდგენა შესაძლებელია, თუ სწორ გზაზე დავდგებით და ერთ გუნდად ვიმუშავებთ მევენახიდან დაწყებული და ხელისუფლებით დამთავრებული. რაც შეეხება ქვევრის ღვინოს, იგი იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა, რაც საქართველოსთვის დიდი წარმატებაა და ქართველი მეღვინეობისთვის დიდი სტიმული. ვფიქრობთ, რომ ქვევრის ღვინოს დიდი პერსპექტივა აქვს ბაზარზე, რადგან ის დასავლეთისთვის სრულიად ახალი ტექნოლოგიაა. ძალზედ სასიამოვნოა, რომ საქართველოში დღეს ქვევრის ღვინის აღორძინებას ესწრაფვიან. ეს უკვე ნიშნავს, რომ მეღვინეობა აღორძინების გზაზე დგება და ემზადება ევრობაზარზე გაიტანოს თავისი მაღალხარისხოვანი პროდუქტი.

ილია II ამბობს „რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს, არც თუ იშვიათად, საუბარი გვიწევს არა თუ ტრადიციული დარგების შემდგომ განვითარებასა და რაციონალურ შეთანაწყობაზე, არამედ რიგი მათგანის შენარჩუნებასა და გადარჩენაზე.“ მეტად სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი სრული გაქრობის პირასაა. ქართველი ხალხი ხორბალს იცნობდა ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში და უკვე მოჰყავდათ ხორბლის რამდენიმე სახეობა („იფქლი“, „თათუხი“ „ასკალი“, „დიკა“, „მანა“, „ზანდური“). ხორბლის ამგვარი დიფერენცირებული სახეობრივი სახელწოდება არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ხორბლის კულტურულ სახეობათა ფორმირებაში ქართველმა ერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს გარკვეული ჯგუფები, რომლებიც თავიანთი პროფესიული განათლებით რეკომენდაციას გაუწევენ სოფლად ხორბლის წარმოებისა და ძველებური ჯიშების აღორძინებას. არიან კიდევ ამ საქმის კეთების მოხალისეებიც, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. აქ აუცილებლად საჭიროა სათანადო პროგრამების შემუშავება და სახელმწიფო თანადგომა. თუ ეს განხორციელდა, ეს დიდ სტიმულს მისცემს როგორც სოფლის მეურნეობის წინსვლას, ასევე ამ სფეროში გადაამაშუშავებელი ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზეც ქართულ პროდუქციას თავის ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს.

აქვე, აუცილებელია აღინიშნოს მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების ხელისშემშლელი პოლიტიკა ამ სფეროში. ისინი დაინტერესებულნი არიან გენური ინჟინერიით, შხამ-ქიმიკატებით, მცენარის ზრდის სტიმულატორებით და ა.შ. ასეთი გზით გამოყვანილი პროდუქტის ჩვენთან შემოტანით ისინი ცდილობენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ საქართველო და მათი სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყანად გადააქციონ, მით უმეტეს, რომ აქ ხალხის დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო იაფფასიანი, უხარისხო ნაწარმის გასაღება პრობლემას არ წარმოადგენს.

ამ ტენდენციას ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დავუპირისპიროთ. სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკა, მართალია, მიშენელოვანია, მაგრამ თვით

¹ გაბრიჭიძე ჟ. ქვევრი და ქვევრის ღვინო – საქართველოს უკონკურენტო პროდუქტია მსოფლიო ბაზარზე. თსუ II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“ შრომების კრებული. თბ. 2013., გვ.81

მოსახლეობასაც შეუძლია ზომების მიღება, – მან უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციაზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება, მოიყვანოს პროდუქცია და შექმნას მცირე საწარმოები.

ყველამ იცის, რომ ხელოვნური ტექნოლოგიების საპირისპიროდ, დღეს უკვე სერიოზული ბიძგი მიეცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და მათზე მოთხოვნილებაც და ფასიც მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება.

„გენმოდულირებული პროდუქტების შექმნით კი მეტად საშიში ნაბიჯი გადაიდგა. ამ დამახინჯებულ გენებს კი გავრცელების უნარი აქვთ, რაც ღვთის მიერ ათასწლეულების მანძილზე დაწესებული სახეობათა შორის საზღვრებისა და წესრიგის დარღვევას იწვევს, ეს კი გამოუსწორებელ შედეგს მოუტანს გარემოს და ჩვენს სულიერ სამყაროსაც დააზიანებს. გამოსავალი ერთია. მიუხედავად ასეთი პროდუქტების სიიარაღისა და ჩვენი გაჭირვებისა, უარი უნდა ვთქვათ მათ გამოყენებაზე“.¹

ჩვენი სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქტების გზით უნდა განვითარდეს, რაც შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მძლავრ ბერკეტადაც იქცეს, რადგან მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება.

ჩვენი პროდუქციის საზღვარგარეთ გატანისათვის, იგი ეკოლოგიურად სუფთად უნდა იყოს წარმოებული. ასეთ პროდუქციას აწარმოებს ბიომეურნეობა, რომელიც ჩვენში არც თუ ისე კარგადაა განვითარებული. საქართველოში ყველაზე აქტიური ორგანიზაცია ამ მიმართულებით არის „ელკანა“, რომელშიც 450–მდე ფერმერია გაერთიანებული, თუმცა საეჭვოა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე რამდენად მისდევნენ ეს ფერმერები ბიომეურნეობას.²

ბიომეურნეობის პროდუქტის ერთ–ერთი მაგალითია „ბიო“-ს ქათამი. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს მხარდაჭერა არ ჩანს, გარდა იმისა რომ მიღებულია კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების“ შესახებ. დარეგულირდა ბიოპროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესები. რაც შეეხება დარგის განვითარებას, მისი დაწყება უკვე აუცილებელი და შესაძლებელია. სახელმწიფომ უნდა გაითავისოს, თუ რამდენად პრიორიტეტულია ქვეყნისთვის ბიომეურნეობის განვითარება და იმოქმედოს შესაბამისად. ასეთი დახმარების შედეგად შესაძლებელი გახდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისა და მთლიანად, სოფლის მეურნეობის განვითარება.

საქართველოს შეუძლია დაიწყოს ახალი მწვანე ბიოორგანული რევოლუცია. მრავალწლიანი ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე შესწავლილია ცოცხალი უჯრედის მართვის გზები და გამოვლენილია ახალი თაობის უნივერსალური რეგულატორები ე.წ ბიოენერგოაქტივატორები (ბიორაგი, ემატონი, რაგოცინი, რაგილი და სხვა), რომელთაც მსოფლიოში ანალოგები არ გააჩნია. ისინი გარემოს დაბინძურების გარეშე ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღების საშუალებას გვაძლევენ, რაც დღეს ერთ–ერთი ფუნდამენტური გამოწვევაა შიმშილისაგან კაცობრიობის გადასარჩენად.

ბიომეურნეობის უხვი მოსავალს, გარემოს ფაქტორებისა და დაავადებებისადმი მცენარეთა მდგრადობის გაზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მიწის ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.³ იმისათვის, რომ მიწა ნაყოფიერი იყოს, ასევე აუცილებელია ორგანული მიწათმოქმედების ძირითადი პრინციპების გათვალისწინება. პირველ რიგში, მიწა კი არ უნდა იხვნებოდეს, არამედ უნდა ფხვიერდებოდეს არა უმეტეს 5 სმ–ისა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გადაბარვა და ღრმა ხვნა თრგუნავს მიკროორგანიზმებისა და ჭიების აქტიურობას. ამ ღროს ხდება ნიადაგის ჟანგბადით გაჯერება და ბაქტერიები იწყებენ ჰუმუსის გარდაქმნას მცენარეებისათვის ხელმისაწვდომ მინერალურ სასუქებად, რაც უზრუნველყოფს საკმაოდ მაღალ მოსავლიანობას მოხნულ მიწებზე, მაგრამ

¹ სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II, „ეპისტოლენი“ თბ. 2012

² ბერიშვილი ხ. ბიოეკონომიკის როლი გლობალური ბიზნესის განვითარებაში, თსუ II საერთაშორისო სამეცნიერო-

პრაქტიკული კონფერენციის „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“ შრომების კრებული. თბ. 2013. გვ. 54

³ კოლუაშვილი პ. საქართველოს შეუძლია დაიწყოს ახალი მწვანე ბიოორგანული რევოლუცია. იგივე შრომების კრებული, გვ. 248.

მხოლოდ პირველი 2-3 წლის განმავლობაში, შემდეგ კი აუცილებელია სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენება.¹

ერთ-ერთი ეკოლოგიურად სუფთა ინდუსტრია აგროტურიზმია, რომლის განვითარებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისთვის. აგროტურიზმის პერსპექტივებზე საუბრისას შეიძლება ავლნიშნოთ, რომ ჩვენი ბუნება, ისტორიული ძეგლები, მდიდარი ტრადიციები და ადათ-წესები დიდ შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ მათ გამოსაყენებლად საჭიროა გარკვეული, სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამოძუშავება და შესაბამისი ცოდნის მიღება, რაც ადგილობრივ ფერმერებს გაუადვილებს ამ სახის ბიზნესის დაწყებას და შემდგომ განვითარებას.

საქართველოს მდიდარი პოტენციალი გააჩნია აგრობიზნესის განვითარებისთვის. ფაქტია, რომ დღეისათვის საქართველოში ქვეყნის აგრარული პოტენციალის მესამედს არ არის ათვისებული სრულად, ამიტომ დღეს მისი წილი ქვეყნის ეკონომიკაში უმნიშვნელოა. ეს გამოწვეულია დღევანდელი გლობალური სავაჭრო ურთიერთობების შესაძლებლობით, რომ ადგილობრივი წარმოება ჩანაცვლებული იქნა იაფი იმპორტირებული პროდუქციით.

აუცილებელია საქართველოს გარდაქმნა მაღალგანვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელიც თვითონ დაიკმაყოფილებს თავის სასურსათო და სხვა საარსებო მოთხოვნებს, ეწეება დადებითი სალდო ბარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორტის საგნად – მეცნიერებატევადი სამრეწველო, მეცნიერული და მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქტია. ეს მიმართულება გულისხმობს საქართველოს უსაფრთხოებასაც, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროკავშირში იმპორტირებული პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამის სფეროებში (სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში) ევროკავშირის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის დაახლოების შედეგად, საქართველოში ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სისტემა უნდა შეიქმნას, რათა სურსათის კონტროლის მექანიზმი ადგილობრივ ბაზარზეც გაუმჯობესდეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკის სხვა დარგებს შორის კავშირი უფრო მჭიდრო იყო, ვიდრე შემდგომ პერიოდში. საუბარია, ერთის მხრივ, თავად სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების მნიშვნელოვან შემცირებაზე, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი მრეწველური დარგების სრულ მოშლაზე. 1991-1994 წლების პერიოდში სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოებულმა პროდუქციამ 1987 წლის მაჩვენებლის მიხედვით მხოლოდ 1/3 შეადგინა. 1994-2003 წლებში სოფლის მეურნეობამ ნაწილობრივ აღიდგინა სიცოცხლისუნარიანობა და მეტნაკლებად უზრუნველყო მოსახლობის სურსათით დაკმაყოფილება, თუმცა ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობასთან და აგრარულ წარმოებასთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდებოდა ეკონომიკის სხვა დარგები, რის გამოც ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა და შეადგინა 19,2%. 2004-2012 წლებში აღნიშნულ სექტორში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და რეალური წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

სამწუხაროა, რომ XXI საუკუნეში ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნატურალიზაცია. შინამეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 18 % იღებს სასაქონლო სახეს, დანარჩენი კი ადგილზე მოიხმარება.

აგროსასურსათო სექტორის საწარმოო პოტენციალის სრული გამოყენებისა და ქვეყნის სასურსათო უშიშროების გადაჭრის მიზნით უნდა შეიქმნას ისეთი საწარმოო-ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს:

- სოფლად საქონელმწარმოებელთა მოტივაციის ამაღლებას;

¹ გახაკიძე რ. შიშხილის პრობლემა და ახალი მწვანე რევოლუცია, თსუ II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“ შრომების კრებული. თბ. 2013. გვ. 102

- სასურსათო პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აგრარული წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ამოქმედებას.

განვითარებადი ქვეყნებისათვის აგრარული სექტორის გავითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა.

საქართველოში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. სიღარიბე და უმუშევრობა ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემად რჩება, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ძირითადი ამოცანა ითხოვს პროორიტეტულ გადაწყვეტილებებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია შეღავათიანი კრედიტების პროგრამა. მიმდინარე წელს მთავრობის ინიციატივით დაფუძნდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, რომლის საფუძველზე დაიგეგმა „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტისა“ და „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ პროგრამების განხორციელება.

2013 წლის ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის დაფინანსება 182,280 მლნ ლარს უტოლდება. ამასთანავე შეიქმნა ერთმილიარდიანი ფონდი.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერატივებს.

კოოპერატივი, ეს არის დამოუკიდებელი საწარმო, რომელიც შექმნილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთობლივი წარმოებისთვის და ასევე მისი წევრების სამეურნეო და სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოში სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების კოოპერატივების ფორმირება უნდა გადაიქცეს ოჯახური მეურნეობის და მთლიანად სოფლის მეურნეობის აღმავლობის გარანტიად. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა კოოპერაციამ აღადგინოს და კვლავ შექმნას დამზადების ორგანიზაციული სისტემა. გაიხსნას ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სარეალიზაციო საწარმოები („მინი“ ბაზრობები),¹ სადაც საწარმოო კოოპერატივები უზრუნველყოფენ თავიანთი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას, დამზადებასა და სარეალიზაციო საწარმოების ორგანიზებულ მომარაგებას. ეს, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ოჯახურ მეურნეობებს თავიანთი პროდუქტის ადგილზე რეალიზაციაში, მეორეს მხრივ, ქალაქის მოსახლეობა მომარაგდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით. შემცირდება და მოწესრიგდება ქუჩაში, გზის სავალ ნაწილზე დაწყობილი პროდუქტებით ვაჭრობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პრობლემაა მისი ოჯახური, ნატურალური ხასიათი. სიტუაციის გამოსასწორებლად აუცილებელია მეურნეობათა გამსხვილება, სასოფლო-სამეურნეო მიწის მეორეული ბაზრის ამოქმედება და ევროპული ტიპის ფერმერული კოოპერატივების შექმნა, როგორც ეს, მაგალითად, საფრანგეთშია მიღებული.

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორისათვის ცნობილია, რომ თითოეული ეს დარგი წარმოადგენს არა მხოლოდ ქვეყნისა და გლეხკაცის ეკონომიკურად გაძლიერებას, არამედ ქართველი ერის სამეურნეო ცხოვრების წესისა და კულტურის ორგანულად განუყოფელ ნაწილსაც, ბუნებრივად მისადაგებულს ქვეყნის ისტორიულ მხარეებთან. ამ ფონზე ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს ჩვენი წარმოებები, აყვავდეს სოფლის მეურნეობა.

ჩვენი აზრით, დღეისათვის მთიანეთის განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს:

- მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა;
- კულტურული ღანდშაფტების, როგორც საერთო ეროვნული საკუთრების შენარჩუნება;
- ეკონომიკურად პროდუქტიული ზონების შენარჩუნება და განვითარება;

¹ სამჭკუაშვილი ნ. კოოპერაციის როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. თსუ II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“ შრომების კრებული. თბ. 2013, გვ.417.

- სოფლის მეურნეობის, აგროტურიზმისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მთისა და მთისწინეთის მდგრადი განვითარებისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს:

- მიწის სავარგულებისა და დაცული ტერიტორიების შენარჩუნება და დაცვა;
- ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერაციული გაერთიანებების განვითარება;
- გარემოს დაცვა და გაჯანსაღება;
- მეცხოველეობის პროდუქციის (განსაკუთრებით – ეკოლოგიურად სუფთა) წარმოების განვითარებისა და რეალიზაციისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- ახალგაზრდა ფერმერთა საქმიანობის მხარდაჭერა და წახალისება.

დასასრულ, საქართველოს ეკონომიკური (მათ შორის – სასურსათო) უშიშროება დამოკიდებული იქნება საკუთრი შრომით შექმნილ გარანტიებზე, რომ ქართველი კაცი დაუბრუნდება, ააღორძინებს სოფელს და შიმშილით არ მოკვდება. ხალხური თქმულება გვეუბნება: „სოფლად ნუ ჩაჰკლავ სიცოცხლეს, ქალაქი წაგვიხდებო.“ და ეს უნდა გვახსოვდეს!

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს გაძლიერებისა და ფეხზე დადგომისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა ის რესურსი, რაც გაგვაჩნია, უნდა გამოვასწოროთ ის შეცდომები რაც აქამდე დაგვიშვია. საქართველოში უნდა აღორძინდეს სოფლის მეურნეობა და ამაზე უნდა იზრუნოს მოსახლეობამ და მთავრობამ ერთად, რადგან ჩვენი ქვეყნის დევიზიც სწორედ ასე უღერს „ძალა ერთობაშია“. ჩვენს ქვეყანას აქვს ისეთი რესურსები, რითაც შეუძლია გააღვივებული ამბიციები რეალობად აქციოს. საქართველოს, სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გააზრებული გატარებით, შეუძლია გახდეს კონკურენტუნარიანი ქვეყანა, აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და მოახდინოს მისი ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე.

საქართველო ყოველთვის იყო ცნობილი როგორც ვაზისა და ხორბლის ქვეყანა და ეს ასე უნდა იყოს მომავალშიც!

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს რამდენიმე გზა დღეს არსებული სიტუაციიდან გამოსასვლელად და იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც დიდი ხანია აწუხებს ქართველ ხალხს. ქვეყანაში, სადაც არის სხვებისგან სრულიად განსხვავებული და ხარისხიანი ნაწარმი ღვინის თუ ხორბლის სახით, არ უნდა იყოს ისეთი სოციალური სურათი, როგორც გვაქვს დღეს, თუმცა არასდროს არის გვიან სწორ გზაზე დადგომა.

მიწათმოქმედება და მეცხოველეობა ყოველთვის წარმოადგენდა ქართველი კაცის საქმიანობას. სასიხარულოა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ფიქრი დღის წესრიგში დადგა, რაც, ვფიქრობთ, სტიმულს აძლევს, როგორც სოფლად გლეხს, ასევე ქვეყნის მთელ მოსახლეობას. ამ კრიზისიდან გამოსვლა არ იქნება ადვილი, მაგრამ არც შეუძლებელი.

დიდი მოაზროვნის, ილია ჭავჭავაძის, ნაღვაწ-ნააზრევი არა მარტო წარსულს ემყარება, არამედ აწმყოსაც და მომავალსაც წინასწარმეტყველებს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეხმიანება, რა დიდი ილიას ნააზრევს, მისი ყოველი სიტყვა ასახავს დღევანდელობას და მოწოდებები ემსახურება მისი ნააზრევის რელობად ქცევის მცდელობას.

საზოგადოებამ უნდა მკაფიოდ გაიაზროს, რომ ერთხელ ქართველებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს და წმ. ილია მართლის გზას გადაუხვიეს. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ეს გზა ისევ გამოჩნდა და განათდა. ხელმეორედ გზიდან გადახვევის ნებას უფლისკენ შემობრუნებულ ერს თავად განება არ მისცემს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოლუაშვილი პ. საქართველო – ვაზისა და ხორბლის ქვეყანა (ორი ილია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ). თბ., 2009.
2. კოლუაშვილი პ. სამკვიდროს გულიდამ ამოღება ძნელია (ილია ჭავჭავაძე სოფლის მეურნეობის შესახებ). თბ., 2007.
3. თსუ II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“ შრომების კრებული. თბ., 2013.
4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი“. თბილისი, 2012.

Irakli Chitidze
Gvanca Kuratishvili
Ana Kurtanidze

Perspectives for Development of Agriculture

Abstract

Issues regarding the importance of agricultural sector and the ways of its revitalization in Georgia are discussed in the paper.

In order to revive agriculture it is necessary to transform Georgia into a highly developed agro-industrial country that will have positive trade balance with partner countries and export science-intensive industrial, scientific and high quality agricultural production.

For free trade with EU country must produce such products that will comply with established product and food safety requirements. Because of this food safety and quality system of European level should be formed in Georgia together with anti-fraud mechanism.

For improvement of household and natural type of Georgia's agriculture it is necessary to form European type farmers' cooperatives. Formation of cooperatives should contribute to the development of agricultural households and agriculture as a whole.

Georgia can establish itself on European market by producing ecologically safe agricultural products. We should revive and develop agro ecological production that will use modern technologies.

შმაღლესი ბანათლება მწვანე ეკონომიკის სფეროში

მწვანე ეკონომიკის არსი და მნიშვნელობა

მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების მოდელია, რომელიც ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნას და მდგრად განვითარებას ეფუძნება. ის ეკონომიკის სხვა დარგებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება.

მწვანე ეკონომიკის საშუალებით მცირდება გარემო რისკები და ეკოლოგიური დანაკარგები. იგი ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურების და რესურსების გამოლევის საშიშროებას.

წარმოების და მოხმარების ოდენობა გრძელვადიან პერსპექტივაში არამდგრადია. კვლევები გვიჩვენებს, რომ რესურსებზე საერთო მოთხოვნა სულ მალე დედამიწის შესაძლებლობებს გადააჭარბებს. მოსალოდნელია „ეკოლოგიური კრიზისი“, ანუ საკვების, ენერჯის და ა.შ. მწვავე უკმარისობა. „ეკოლოგიურ კრიზისს“ მრავალი ფაქტორი განაპირობებს: ბუნებრივი კატაკლიზმები, ადამიანების უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე და სხვა.

ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან ეკოლოგიის კომპლექსური დაგეგმვაა. მდგრადი განვითარების მაღალი დონის მისაღწევად საჭიროა სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სფეროების ინტეგრირება. ამ ფაქტორების ინტეგრირებას საზოგადოების განვითარების დაგეგმვის ყველა ფაზაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მწვანე ეკონომიკა კი ერთადერთი გამოსავალია ამ მდგომარეობიდან. იგი ხელს უშლის გარემოს დეგრადაციას და გლობალურ დათბობას. მწვანე ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკას ეფუძნება და ბიზნესს ეკოლოგიურად გააზრებული ფუნქციონირების შესაძლებლობას აძლევს.

მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში, აუცილებელია ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ უწყვეტ პროცესში. მწვანე ეკონომიკა არის 21-ე საუკუნის ბიზნესშესაძლებლობა.

მწვანე ეკონომიკა გულისხმობს:

1. განახლებად ენერჯიაზე გადასვლას;
2. მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდას;
3. მდგრადი სოფლის მეურნეობის და ორგანული წარმოების მხარდაჭერას;
4. ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

ეკოლოგია და ეკონომიკა არ უნდა განიხილებოდეს როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორები. ეკოსისტემის შენახვის გრძელვადიანი ეკონომიკური მოგება ხარჯს უნდა აღემატებოდეს. ამიტომაც მნიშვნელოვანი სწორი გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარება. მწვანე ეკონომიკის განვითარების ძირითადი კონცეფცია და სტრატეგიული მიზანია განვითარების მდგრადობის მიღწევა. მდგრადი განვითარება გულისხმობს, რომ რესურსები, რომლებსაც დღეს საზოგადოებისთვის სარგებელი მოაქვს, შენარჩუნებული იყოს სამომავლოდაც.

თითოეულმა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, თუ რა საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს კაცობრიობა უახლოეს მომავალში, თუ ახლავე არ მივიღებთ საჭირო ზომებს.

საქართველოს და ისრაელის მდგომარეობა მწვანე ეკონომიკის სფეროში

საქართველოს უმთავრეს კაპიტალს მდიდარი ბუნებრივი გარემო წარმოადგენს. მეოცე საუკუნის დიდი მონაკვეთის მანძილზე საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, რომელსაც გარემოსადმი

რეალური ინტერესი არ გააჩნდა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაწყებულმა ზოგადმა კრიზისმა და გარემოს მართვისადმი უყურადღებობამ ამ სექტორში სიტუაცია დაამძიმა.

2005-2009 წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ ეკონომიკის საკვანძო სექტორებში გაატარა რადიკალური რეფორმები, რომელთა მთავარ მიზანს ეკონომიკური ზრდის სტიმულირება წარმოადგენდა. საქართველო გამოცხადდა „თანმიმდევრულ რეფორმატორ“ ქვეყნად და მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (მბ/სსკ) მსოფლიო რეიტინგში მაღალ პოზიციებს მიაღწია.

2004 წლის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველო, სავარაუდოდ, ვერ შეასრულებდა ათასწლეულის განვითარების ერთ-ერთ მიზანს – გარემოს სტაბილურობის მიღწევას 2015 წლისათვის. გარემოს დაცვის სფეროში სტაბილურობა დამოკიდებულია ძლიერ ინტერეს-ჯგუფთა კოორდინირებულ მოქმედებაზე. საკვანძო ინტერეს-ჯგუფებია: მთავრობა, დონორები, სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი, მასმედია, საფინანსო სექტორი და საოჯახო მეურნეობები.

მდგრადი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებია: ეთნოკონფლიქტები, ეკონომიკური, სოციალური, ფისკალური, ადმინისტრაციული კრიზისები და ა.შ. დღეისათვის საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა მდგრადი განვითარების ხელშეწყობაა.

მწვანე ეკონომიკის განვითარების მხრივ საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია. საქართველო ძალიან მდიდარია წყლის და სატყეო რესურსებით, სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით და ა.შ. მიუხედავად ამისა, ისრაელის მწვანე ეკონომიკა გაცილებით უფრო მეტად არის განვითარებული.

დღეისათვის ისრაელი ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სასოფლო მეურნეობის მქონე ქვეყნად. ებრაელი მეცნიერები ფერმერებთან ერთად ამუშავებენ და ნერგავენ ისეთ მეთოდებს, იყენებენ ისეთ სიახლეებს და ადჭურვილობას, რაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ისრაელის სასოფლო მეურნეობის ტექნოლოგიები თითქმის მთლიანად კომპიუტერიზებულია.

ისრაელმა საკუთარი მწვანე ზრდის სტრატეგია 2011 წლის ოქტომბერში დაამტკიცა. ეს გეგმა მოიცავდა 2012-2023 წლებს. ის მიზნად ისახავდა გამოყენებინა წარსული გამოცდილება და მომავლის პერსპექტივები, რათა ხელი შეეწყობოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა მწვანე სალიცენზიო პოლიტიკა, მწვანე ზრდის სასწავლო ცენტრები, მწვანე შესყიდვების ტენდერები, გრანტები და დახმარებები მწვანე სამრეწველო საწარმოებისთვის, მწვანე ტრენინგი დასაქმებისთვის და მხარდაჭერა ეკოლოგიურ ინოვაციებში.

უმაღლესი განათლების მნიშვნელობა მწვანე ეკონომიკის სფეროში

მწვანე ეკონომიკის სფეროში განათლების არსებობა ერთგვარი წინაპირობაა იმისა, რომ ქვეყანა ამ მხრივ წარმატებით განვითარდება. არასამთავრობო ორგანიზაციის – „მოქალაქეები ხელმისაწვდომი ენერჯისთვის“ – დამაარსებლის ჯონ ჰოფმეისტერის¹ აზრით, ჩვენ უკვე საკმარისი ჭეუჭყიანი ენერჯია გამოვიყენეთ, რასაც უარყოფითი შედეგი მოჰქონდა ნიადაგისთვის, ჰაერისთვის და წყლისათვის. 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიებზე და გარემოზე ზემოქმედების შესახებ ცოდნა გაიზარდა და უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკეთესი შედეგის მიღწევას შესაძლებელია. მთავრობა, ბიზნესი და ზოგადად, საზოგადოება ვალდებულია, ეს ცოდნა მიიღოს და შეძლებისდაგვარად იზრუნოს გარემოზე.

2013 წელს საქართველოში არიზონას უნივერსიტეტის მეცნიერები მოიწვიეს, რათა ერთად გაეანალიზებინათ, რისი შეთავაზება შეუძლიათ ქვეყნისთვის. მათ შეაფასეს განვითარების ტექნოლოგიურ-ეკონომიკური ასპექტები და მდგრადი ენერჯეტიკის ჩარჩოებში ქართველ მეცნიერებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. „გვჯერა, რომ შეგვიძლია დავეხმაროთ ქართველებს, დაეხმარონ საკუთარ

¹ ჯონ ჰოფმეისტერი წლების განმავლობაში კომპანია Shell Oil-ის პრეზიდენტი იყო, მანამდე კი აღმასრულებელი ხელმძღვანელის პოზიციები ეკავა ფირმებში: General Electric, Nortel, AlliedSignal, ამჟამად კი Honeywell International-ისთვის მუშაობს. ჰოფმეისტერმა დააარსა და ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას - „მოქალაქეები ხელმისაწვდომი ენერჯისთვის“.

თავს. ჩვენ არ ვართ ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებსაც სურთ საქართველოში ფულის შოვნა, ჩვენ ვართ მეცნიერები, რომლებსაც უნდათ ცოდნის გაზიარება“, – ამბობს ჯონ ჰოფმეისტერი.

ყოველმა მოზარდმა უნდა იცოდეს, თუ რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ უნდა შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნება. ამ სფეროში განათლების მიღების ხელშეწყობა მწვანე ეკონომიკის განვითარებასაც მისცემს ბიძგს, რადგან ახალგაზრდებს მიეცემათ საშუალება, თეორიული ცოდნა ეკონომიკურ პრაქტიკაში გამოიყენონ.

განათლების მიღების შესაძლებლობები

მწვანე ეკონომიკა საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული. ახალგაზრდები არასაკმარისად არიან ინფორმირებულები ამ სფეროზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის ამ კუთხით განათლების მიღების შესაძლებლობა მაინც არსებობს. მაგალითად, გერმანიაში, ქ. ჰამბურგში გასული წლის 25-27 სექტემბერს ჩატარდა მწვანე ბიზნესპროფესიონალთა გადამზადების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა მწვანე ბიზნესის მიმართულებით გერმანული კომპანიების მიღწევებისა და მათი გამოცდილების გაზიარებას. შეხვედრებს, რომლებიც ორგანიზებული იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), შავი და კასპიის ზღვების ბიზნეს ორგანიზაციისა (BLACK SEA CASPIAN BUSINESS) და გარემოსდაცვითი მართვის გერმანული ასოციაციის (B.A.U.M) ერთობლივი ძალისხმევით, ესწრებოდნენ შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების ბიზნეს ასოციაციები და საჯარო სექტორი.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული ცოდნის მიცემას ახალგაზრდებისთვის.

ილიას უნივერსიტეტში არსებობს გარემოსდაცვითი განათლების ცენტრი, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ხელშეწყობა გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხების ინტეგრირებას სასწავლო პროგრამებში. ილიას უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე წერია, რომ ცენტრის მიზანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში გარემოს დაცვის, კონსერვაციული ბიოლოგიისა და მდგრადი გამოყენების საკითხების სწავლისა და სწავლების პროცესის ხელშეწყობაა. პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებია: დაცული ტერიტორიების, სამონადირეო მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობების მართვა. ხოლო, სასერტიფიკატო პროგრამებია: გარემოზე ზემოქმედების შეფასება; სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება; გარემოს დაცვა და საერთაშორისო ვაჭრობა; გარემოსდაცვითი აუდიტი; გარემოსდაცვითი ინსპექტირება; დაცული ტერიტორიების ინტერპრეტაციის პროგრამები; გადამწვანების საფრთხის წინაშე მდგრადი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობა; კანონის აღსრულება გარემოს დაცვის სფეროში; გარემოს დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხების სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; ბიომრავალფეროვნების კვლევისა და მონიტორინგის სავსელე მეთოდები; გეოინფორმაციული სისტემების გამოყენება გარემოს მენეჯმენტში.

მწვანე ეკონომიკაში უმაღლესი განათლების მიღება ქუთაისშიც არის შესაძლებელი. **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში** არსებობს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, სადაც შეისწავლიან პროგრამას – გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია. პროგრამის მიზანია სპეციალისტთა მომზადება გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების ბაკალავრის კვალიფიკაციით, რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებენ: გარემოში მიმდინარე პროცესების, გარდაქმნებისა და გარემოსდაცვითი პრობლემების გააზრებას, გარემოს დაცვის ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით; გარემოზე საქმიანობათა მავნე ზემოქმედების აღკვეთისა და შეზღუდვის ტექნიკისა და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მიმართულია გარემოს დაცვის სფეროში დამტკიცებული მოთხოვნების, მოქმედი ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვისაკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ უნივერსიტეტები როდი აქტიურობენ განათლების სფეროში გარემოსდაცვითი ცნობიერების გაღრმავების ხელშეწყობაში.

პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“ არის საზოგადოებრივ-პროფესიული ორგანიზაცია რომლის მიზანია: განათლების სფეროში დემოკრატიული პროცესების განვითარება და ხელშეწყობა; მსოფლიო კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია; ზრუნვა მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების, განათლებისა და დასაქმებისათვის; სამოქალაქო განათლება და სხვ.

მათი ერთ-ერთი პროექტი იყო „გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება მოზარდებში“. ამ ორგანიზაციის მიერ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით 2010 წლის მარტიდან დაწყებული შემდეგი პროგრამების განხორციელება: „ეკოლოგიური განათლება მოზარდებს“ (VI-IX კლასი); „ადამიანის უფლებების სწავლება ფოტოგრაფირებით“ (IX-XI კლასი); „ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა“ დევნილთა კომპაქტურ ცენტრებში მცხოვრები 13-17 წლის ასაკის მოზარდებისათვის.

2010 წლის 22 მარტს გაიმართა წყლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფოტო-გამოფენა „სასმელი წყლის რესურსები და მათი ეფექტური მოხმარება“, დისკუსიით – „როგორ ვიყენებთ წყლის რესურსებს ყოველდღიურ ცხოვრებაში“. ღონისძიების ძირითადი სლოგანი იყო: „გავუფრთხილდეთ დედამიწას“. 2010 წლის აპრილში ქ. ქუთაისის ნიკეას დევნილთა საცხოვრებლების მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერება-დასუფთავების მიზნით გაიმართა მოსწავლეთა აქცია – „გავუფრთხილდეთ ჩვენს ქალაქს“; შეიქმნა ფოტო-კოლაჟი – „დედამიწა გუშინ, დღეს, ხვალ“. პროგრამა „ადამიანის უფლებების სწავლება ფოტოგრაფირებით“, ქ. წყალტუბოში ჩატარდა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი აქცია „ხელი შევაშველოთ დედამიწას“, მოსწავლეებმა სკოლის ეზოში დარგეს ნერგები და დადეს პირობა, რომ მოუვლიან და სკოლის დამთავრების შემდეგაც მოიკითხავენ თითოეულ ნერგს, რომელთაც საკუთარი სახელები დაარქვენ.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი განათლების დეპარტამენტი ცდილობს აქტიურად ჩაებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ასევე ჩართოს სხვადასხვა პროექტებში საზოგადოებას. ისინი მიიჩნევენ, რომ სჯობს ბავშვებშივე დავიწყოთ ცნობიერების დანერგვა, რომ გარემოს სჭირდება დაცვა, მოვლა და მოფრთხილება. გარემოსდაცვითი განათლების დეპარტამენტს გადაწყვეტილი აქვს განახორციელოს პროექტი – „ეკო-სკოლები“, რომელშიც ჩართული იქნებიან მოსწავლეები და იზრუნებენ გარემოს დაცვაზე. სკოლებს დაუსახავენ ორწლიან გეგმას, რომლის შესრულების შემთხვევაში მოსწავლეები მიიღებენ სერტიფიკატებს.

ამ გეგმის შესრულებას დააკვირდება და შეაფასებს ექსპერტთა ჯგუფი. მათი თქმით, მოთხოვნები არ იქნებ მკაცრი და იქნება შესრულებადი, რადგან სკოლა თვითონ ირჩევს თემას, მაგალითად წყალზე, ნიდაგზე, ბიომრავალფეროვნებაზე, ეკოტურიზმზე და ასე შემდეგ, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ასევე, სკოლებში შეიქმნება მოსწავლეთა კომიტეტები, რომელთაც დახმარებას და ხელმძღვანელობას გაუწევენ მშობლები და მასწავლებლები.

გარემოსდაცვითი განათლების დეპარტამენტი ასევე გეგმავს ტრენინგებს და სწავლებებს მოზრდილთათვის, თუ როგორ მოექცნენ ისინი ბუნებას და როგორ ასწავლონ პატარებს – დაიცვან და მოუარონ გარემოს. დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათთან ერთად იქმნება ეკო-კლუბები და ბავშვები მუშაობენ ერთად სამეცნიერო ნამუშევრებზე, თუ როგორ გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები გარემოს დაუზიანებლად. მოსწავლეებმა ადრეული ასაკიდანვე უნდა გაითავისონ, რომ ნებისმიერი ჩვენი ქმედება დადებითად ან უარყოფითად აისახება გარემოზე.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო ყველაზე მეტად არის დაკავშირებული ბუნებასთან. ისინი ხშირად აწყობენ საინტერესო ტურებს და პროექტებს გარემოს დაცვაზე როგორც ბავშვებისთვის, ისე დიდებისთვის. ასევე, ეწყობა სეზონურად ეკო-ბანაკები და ეკო-ტურები, როგორცაა, მაგალითად, „ერთი დღე რეინჯერთან ერთად“. ეს პროგრამა ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ. მით უმეტეს. თუ რეალურად მოუწევთ რეინჯერს ჯარიმის გამოწერა და ამ პროცესში თვითონაც მიიღებენ მონაწილეობას.

გარემოსდაცვითი განათლების დეპარტამენტის უფროსის – ნატო სულთანშივილის ინტერვიუდან.

2012 წლის მასში, საქართველოში გარემოსდაცვითი განათლების ჩარჩო პროგრამის შექმნის მიზნით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის: საქართველოს 2012-2014 წწ. ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“.

გარემოსდაცვით პრობლემებთან დაკავშირებულ გამოწვევებს დღეს მთელი საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს. გარემოსდაცვითი განათლება, მისი ყველა ფორმით, არის მთავარი იარაღი ამ გამოწვევების აღმოფხვრისათვის. გარემოსდაცვითი განათლების სფეროს განვითარებასთან ერთად, ბოლო ათწლეულების მანძილზე, სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს „მდგრადი განვითარების“ ცნება. შედეგად მოხდა გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების კონცეფციის შერწყმა, რაც აღინიშნება ტერმინით „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“.

ამ სფეროში მოწინავე პოზიციებს იკავებს ისრაელი. Masa-ისრაელი გვთავაზობს „მწვანე“ აკადემიურ, სტაჟირების და სამოხალისეო შესაძლებლობებს ისრაელში. ისრაელი მსოფლიო ლიდერია მწვანე ტექნოლოგიებსა და 21-ე საუკუნის ეკოლოგიურ ინოვაციებში. ისრაელი დაარსების დღიდან უძველესად წყლის დეფიციტს და გარემოს დაცვის პრობლემებს. ისრაელის კომპანიებს გააჩნიათ ცოდნა და know-how, რითაც ხელს უწყობენ საერთაშორისო გარემო პირობების შენარჩუნებას, გარდაქმნიან მათ იდეალურად იმისთვის, რომ შეიძინონ გამოცდილება მდგრად განვითარებაში, განახლებად და სუფთა ენერჯის შექმნაში და სხვა „მწვანე“ სექტორებში სამუშაო ადგილების შექმნაში, რაც მწვანე ეკონომიკის სწრაფ განვითარებას უწყობს ხელს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა შეიძინონ არა მხოლოდ ცოდნა მდგრადი განვითარების შესახებ, არამედ სათანადოდ აღიჭურვონ შესაბამისი უნარებით და ამ უნარების პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობებით (როგორცაა, მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, ადგილობრივ პრობლემებზე დროული და სწორი რეაგირება და ა. შ.).

ეკონომიკის „მწვანე“ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკურ გაჯანსაღებასა და ზრდას და ამავდროულად, ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური უთანასწორობისა და გარემო გამოწვევების აღმოფხვრას. მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში და აუცილებელია ყველა ქვეყანა აქტიურად ჩაებას ამ დინამიურ, უწყვეტ პროცესში. ამ კუთხით გამოირჩევიან აშშ-სთან ერთად, ევროკავშირი და ჩინეთი. ამასთან, 2009 წელს ევროკავშირმა და ჩინეთმა აშშ-ზე გაცილებით მეტი ინვესტიციები გაიღეს. ამ სფეროში კვლევასა და განვითარებაზე ევროკავშირის ბიუჯეტი 300%-ით გაიზარდა. ჩინეთში 2010 წელს 34 მილიარდი აშშ დოლარი ჩაიღო სუფთა ენერჯის დასაფინანსებლად. როგორც მიმდინარე ტენდენციები აჩვენებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფვის მწვანე ეკონომიკის დანერგვისაკენ. მწვანე ეკონომიკა არის 21 საუკუნის ბიზნესშესაძლებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება, მაშინ როდესაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და მცირდება კიდევ, მწვანე ბიზნესის განხორციელება აქტუალურია როგორც არასდროს.

ეკონომიკის „მწვანე“ პერსპექტივა გამოხატავს იდეას მყარი სისტემის შექმნის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს სოციალური, ჯანდაცვის და გარემოს უსაფრთხოება ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის მწვანე ფასეულობებზე დამყარებულ საზოგადოებაში. ბოლო პერიოდის ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა დაგვანახა, რომ თანამედროვე ეკონომიკურ სისტემას არ შეუძლია უზრუნველყოს ადამინის ნორმალური ყოფა და დაიცვას ეკოლოგიური რესურსები.

აუცილებელია, მწვანე ეკონომიკის კონცეფციების გამოყენება პრაქტიკაში, რისთვისაც სახსრების რეკოლუცია იქნება საჭირო. აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ჩვენთვის მწვანე ფასეულობები საზოგადოებაში და შევცვალოთ ჩვენი საქციელი და მოხმარების წესი, რისთვისაც ჩვენ

Promotion of education in the field will lead to the development of a green economy, it would also allow young people to apply their knowledge in practice.

Today, the world faces acute problem of resource exhaustion and the green economy is the only way out of this situation. In May 2012, the Government of Georgia, approved the Georgia Environmental Education Framework Program in order to create, "Environmental Education for Sustainable Development: Georgia's National Strategy and Action Plan for the period of 2012-2014". As current trends show, many countries around the world are actively aspiring implementation of the green economy. The green economy is the 21st century's business opportunity.

ბარემოსდაცვითი მართვის პრობლემები თანამედროვე კომპანიებში

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება გარემოსდაცვითი მართვა და არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების საკითხი.

მიუხედავად ამისა, „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფცია შედარებით ახალია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისთვის. ტერმინის განსაზღვრა და გაგება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად შეიძლება. მიუხედავად მრავალი განსაზღვრებისა, მწვანე ეკონომიკის ზოგადი განმარტება გულისხმობს, რომ ეკონომიკის გამწვანება შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი.

მოხსენების მიზანია გამოიკვლიოს თანამედროვე კომპანიებში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემები და მოახდინოს მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი.

მოხსენების სტრუქტურა დაყოფილია ორ ძირითად ნაწილად. პირველ ნაწილში განხილულია ის ინსტრუმენტები, რომლებსაც კომპანიები იყენებენ გარემოსდაცვითი მართვის პრობლემების გადასაჭრელად. „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აგრეთვე, მექანიზმები, რომლებითაც ისინი ცდილობენ შეამცირონ თავიანთი საქმიანობით გამოწვეული მავნე ზემოქმედება გარემოზე და მიიღონ სარგებელი ამ პროცესიდან. მეორე ნაწილში კი გამოყოფილია თანამედროვე კომპანიებში დღეს არსებული ყველაზე აქტუალური პრობლემები გარემოსდაცვით მართვაში.

გარემოსდაცვითი მართვის მიზანი. თანამედროვე კომპანიებში გამოყენებული ინსტრუმენტები და მექანიზმები

გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (EMS) პრაქტიკის და პროცესების ერთობლიობაა, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას შეამციროს გარემოზე მისი ზემოქმედების ხარისხი და გაზარდოს ოპერაციული ეფექტიანობა.

ოფიციალური საერთაშორისო სტანდარტი EMS-ისთვის შემუშავებულია სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, ISO 14000 ოჯახის წევრი – ISO 14001-ის სტანდარტი. ეს სტანდარტი 1996 წელს გამოიცა და ერთგვარ ჩარჩო პირობებს ქმნის კომპანიებისთვის და ორგანიზაციებისთვის, რათა მათ შეამცირონ გარემოზე მავნე ზემოქმედება და წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ გარემოს დაცვაზე. ISO 14001-ის მიხედვით გარემოსდაცვითი მართვის სისტემა ხუთ ძირითად ეტაპს მოიცავს. ეს სისტემა პროცესის განმეორებად ციკლს იყენებს, რაც გაუმჯობესების პროცესს ხდის უწყვეტს. ეს ეტაპებია:

1. **ვალდებულებები და პოლიტიკა** — პირველ რიგში ტოპ მენეჯმენტის მიერ ხდება გარემოსდაცვითი მართვის ვალდებულებების და პოლიტიკის შემუშავება;
2. **დაგეგმვა** — კომპანია იდენტიფიცირებას უკეთებს თავისი საქმიანობის და ოპერაციების გარემოსდაცვით ასპექტებს. აქ იგულისხმება ჰაერის დაბინძურების, გარემოში სახიფათო ნარჩენების მოხვედრის და ა.შ. საფრთხეებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე ან ადამიანებზე. მენეჯმენტი მათ მიერვე შემუშავებული კრიტერიუმის მიხედვით გამოყოფს ყველაზე მნიშვნელოვნებს, განსაზღვრავს ზოგად და კონკრეტულ მიზნებს, რის საფუძველზეც მუშავდება სამოქმედო გეგმა. გეგმაში მკაფიოდ განსაზღვრულია მიზნების მიღწევის ღონისძიებები, მათი თანმიმდევრულობა, პასუხისმგებელი პირები და ღონისძიების განხორციელების ვადები.

3. **განზორციელება** – გეგმის შესასრულებლად კომპანია იყენებს სხვადასხვა რესურსებს (ადამიანური, ფინანსური და ა.შ.). აქ მნიშვნელოვანი კომპონენტია თანამშრომლების სწავლება და გარემოსდაცვითი მართვის საკითხებში მათი ცნობიერების ამაღლება;
4. **შეფასება** – კომპანია მუდმივად აფასებს თავისი გარემოსდაცვითი საქმიანობის შედეგებს, რათა დარწმუნდეს არის თუ არა ის შესაბამისობაში დაგეგმილ ამოცანებთან და მიზნებთან. თუ შედეგები არ შეესაბამება მიზნებს, მაშინ მზადდება მაკორექტირებელი ღონისძიებების ჩამონათვალი;
5. **გადახედვა** – ტოპ მენეჯმენტი პერიოდულად იხილავს შეფასების შედეგებს, რამდენად ეფექტურად მუშაობს EMS. მენეჯმენტი ასევე აფასებს რამდენად შეესაბამება გარემოსდაცვითი მართვის პოლიტიკა კომპანიის ღირებულებებს.

2010 წლის მონაცემების¹ მიხედვით მსოფლიოში 14 000 კომპანიაა, რომელსაც ISO 14000 სტანდარტი აქვს მოპოვებული. მათგან თითქმის 20% იაპონიაში მოღვაწე კომპანიებია. მეორე ადგილს 1600 კომპანიით იკავებს გერმანია.

ის კომპანიები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ გარემოს დაცვაში, გარმოჩეულები ხდებიან სხვა კომპანიებისგან – გაცილებით უფრო ძლიერდება მათი ბრენდი, იზრდება რეპუტაცია, სამაგალითოები ხდებიან სხვა კომპანიებისთვის. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი ზრუნვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამშრომლებზეც. “The Business of Sustainability, MIT Sloan Management Review Global, Sustainability Survey” 2009 წლის ანგარიშის მიხედვით, იმ კომპანიებს, რომლებსაც თავისი წვლილი შეაქვთ გარემოსდაცვით მართვაში, ბევრად უფრო მაღალი მორალის თანამშრომლები ჰყავს, ასეთ კომპანიებში დაბალია თანამშრომლების დენადობა, პირიქით, მათ უადვილდებათ მაღალი ტალანტის მქონე კანდიდატების მოზიდვა და შენარჩუნება.

თანამშრომლების ჯანმრთელობა არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც კომპანიები მწვანე მართვისკენ ისწრაფვიან. სისუფთავეზე და ჯანმრთელობისთვის უვნებლობაზე ზრუნვა ხელს უწყობს ნაკლები გაცდენები ჰქონდეთ თანამშრომლებს და გაიზარდოს პროდუქტიულობა. გარემოსდაცვითი მართვის პროცესებში ჩართვა ასევე ეხმარება კომპანიას გააუმჯობესოს ურთიერთობები მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, მთავრობასთან, მედიასთან. რაც უფრო აქტიურად ერთვება კომპანია გარემოსდაცვით მართვაში, მით უფრო ძლიერდება მისი იმიჯი, როგორც „კარგი კორპორატიული მოქალაქე“.

მსოფლიო ყავის ქსელს Starbucks-ის შემუშავებული და გაცხადებული აქვს სტრატეგია გარემოსდაცვით მართვაზე და მიზნებზე. კომპანია გარემოზე თავისი ბიზნეს საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას რამდენიმე გზით ცდილობს – უფრო ენერგოეფექტური მაღაზიების და ობიექტების მშენებლობით, წყლის და ენერჯის კონსერვაციით, რომელსაც იყენებს და განახლებადი ენერგოკრედიტების შექმნით.

Starbucks მიზნად ისახავს 25%-ით შეამციროს ენერჯის მოხმარება და 100%-ით დაფაროს ის განახლებადი ენერჯით 2015 წლისთვის. ამ მიზნით ისინი საწარმოში და მაღაზიებში იყენებენ ენერჯის დაზოგვის სპეციალურ დანადგარებს და მოწყობილობებს, ჰიბრიდული წყლის გამაცხელებლებს და ა.შ. ისინი ყოველწლიურად აკვირდებიან, ამოწმებენ გამოყენებული ენერჯის მოცულობის ცვლილებას და ეძებენ გადაწყვეტილებებს, თუ როგორ დაზოგონ ენერჯის მოხმარება ახალი, ინოვაციური მეთოდების დანერგვით. მათ შორის, ისინი აკვირდებიან გარემოს, კლიმატურ ცვლილებებს და მათ შესაძლო ზეგავლენას იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ისინი ნერგავენ.

სტარბაქსს გამოყოფილი ჰყავს ე.წ. “facility managers”, რომლებიც ზრუნავენ იმისათვის, რომ სტარბაქსის ბიზნესის გაფართოებისა და განვითარების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას ენერგოეფექტურობის გათვალისწინებით და საფრთხე არ შეექმნას გარემოს. ამ მიზნით სტარბაქსს შედგენილი აქვს სპეციალური სწავლების კურსი თავისი თანამშრომლებისთვის. კომპანია მიზნად ისახავს

¹ 2010 წლის შემდეგ ორგანიზაცია აღარ აქვეყნებს განახლებულ მონაცემებს იმ ახალ კომპანიებზე, რომლებმაც ეს სტანდარტი აიღეს.

2015 წლისთვის 25%-ით შეამციროს წყლის მოხმარება საკუთარ ქსელში. ამისთვის დანერგეს წყლის ფილტრაციის ახალი სისტემები, წყალგანყვანილობის განახლებული სისტემები და ა.შ. კომპანია ასევე აქტიურად არის დაკავებული ნარჩენების გადამუშავებით და შემცირებით.

Wallmart-ის გარემოსდაცვითი სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ ორგანიზაცია 100%-ით განახლებად ენერჯიას იყენებდეს და ჰქონდეს ნარჩენების ნულოვანი დონე. თავის მაღაზიებში და დაწესებულებებში ის იყენებს საკუთარ გამომუშავებულ ენერჯიას, ასევე ზრუნავს გაზის გამონაბოლქვის შემცირებისათვის. ნარჩენების შემცირების მიმართულებით მათი გადადგმული ნაბიჯების შედეგად კომპანიამ 80%-ით შეამცირა იმ ნაგვის მოცულობა, რომელიც ნაგავსაყრელზე უნდა წასულიყო.

კომპანია DAIMLER ყველა საწარმოო ბიზნესპროცესს სწავლობს და აანალიზებს გარემოსდაცვით კონტექსტში. კომპანიის სპეციალური თანამშრომლები რეგულარულად ამოწმებენ წარმოების ობიექტებს, თუ რამდენად დაცულია იქ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. მათ შორის, კონტროლის ობიექტია მომწოდებელი ფირმების საწარმოო ტერიტორიები. მათი შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი არის ის, თუ რამდენად ფლობენ ისინი ISO 14001 ან EMAS¹-ის მსგავს სტანდარტებს.

გარემოსდაცვითი მართვის პრობლემები თანამედროვე კომპანიებში და მათი გამომწვევი მიზეზები

მოსახლეობის რაოდენობის, ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზაციის ზრდის ფონზე გარემოსდაცვითი პრობლემები სულ უფრო აქტუალური და კრიტიკული ხდება.² იმ შემთხვევაში, თუ პლანეტის მთელი მოსახლეობა მოიხმარს იგივე რესურსს ერთ სულ მოსახლეზე, როგორც დღეს საშუალო მოქალაქე განვითარებულ ქვეყანაში, რესურსებზე საერთო მოთხოვნა 4-ჯერ გადააჭარბებს დედამიწის შესაძლებლობებს³.

სამწუხაროდ, განვითარებადი ქვეყნების თანამედროვე კომპანიების საქმიანობაში გარემოსდაცვით მართვას მცირე ადგილი უჭირავს. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ შეამცირონ მათი საქმიანობის უარყოფითი გავლენა გარემოზე და ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, თუ როგორ გაზარდონ გარემოზე ზემოქმედების დადებითი ეფექტები.

თანამედროვე კომპანიებში გარემოსდაცვით მართვასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები, რის გამოც ვერ იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები „მწვანე ეკონომიკის“ ხელშეწყობის მიზნით, არის შემდეგი:

1. კომპანიის მენეჯმენტის გათვითცნობიერების დაბალი დონე გარემოსდაცვით მართვაში – ხშირ შემთხვევაში კომპანიის ხელმძღვანელ პირებს არ აქვთ ინფორმაცია კონკრეტულად რას მოიცავს „მწვანე ეკონომიკა“ და გარემოსდაცვითი მართვა. მათ არ აქვთ გათვითცნობიერებული, როგორც საკითხის მნიშვნელობა, ასევე საკუთარი და მათი ორგანიზაციის როლი ამ ამოცანის გადაწყვეტაში. არ იციან რა ინსტრუმენტები და შესაძლებლობები გააჩნიათ, რითაც შეძლებენ საკუთარი წვლილის შეტანას გარემოსდაცვით მართვაში.

ხელმძღვანელებს რომ ჰქონდეთ ინფორმაცია თუ როგორი მარტივი ღონისძიებების გატარებით არის შესაძლებელი საკუთარი წვლილის შეტანა ამ ამოცანის გადაწყვეტაში, ალბათ უფრო გააქტიურდებოდნენ ამ მიმართულებით.

იმისათვის, რომ კომპანია ჩაერთოს გარემოსდაცვით მართვაში, მაგალითისთვის რამდენიმე რეკომენდაციის მიცემაა შესაძლებელი:

▪ **„დააკვირდით ელექტრო ენერჯის მოხმარებას, ეცადეთ გამოიყენოთ ის რაციონალურად“.** ამისთვის არსებული ნათურები უნდა შეიცვალოს ენერგოეფექტური ნათურებით. მენეჯმენტმა უნდა

¹ Eco-Management and Audit Scheme.

² Environmental management problems in India, B. Bowonder.

³ ნატო კირვალაძე, ზაალ ლომთაძე. მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს ორგანიზაციებისთვის, UBCCE – GIZ ერთობლივი პროექტის ფარგლებში. 2012, გვ. 8.

წახალისოს და შეახსენოს თანამშრომლებს, რომ გამორთონ ელექტროენერგია, როცა ოთახში არ არიან, ან არ სჭირდებათ. ამისთვის შეიძლება სენსორული ნათურები დააყენონ (აბაზანებში, შეხვედრების ოთახებში, ჰოლში და ა.შ.), რაც ავტომატურად რთავს სინათლეს, როცა იქ არავინაა. ასევე წახალისოს თანამშრომლები, რომ ელექტრო მოწყობილობები (კომპიუტერები, პრინტერები, ქსეროქსები და ა.შ.) გამორთონ დენის წყაროდან, როცა გადაინ ოფისიდან. ვინაიდან ისინი გამორთულ მდგომარეობაშიც კი მოიხმარენ ელ. ენერგიას. დენის წყაროდან გათიშვისას კი 10%-ით იზოგება ელ. ენერგია. კომპიუტერის გამოცვლისას, აჯობებს კომპანიამ შეიძინოს ლეპტოპები, ვინაიდან ისინი მონიტორიანი კომპიუტერისგან განსხვავებით 80%-ით ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ. უფრო ჯანმრთელი სამუშაო გარემოს შესაქმნელად კომპანია უნდა ეცადოს, ისე მოაწყოს ოფისი და სამუშაო მაგიდები, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს მზის სინათლე და მოიხმაროს ნაკლები ელექტროენერგია.

▪ „გამოიყენეთ განმეორებით მოხმარებისთვის ვარგისი, განახლებადი პროდუქტები“. მაგალითად, კომპანიები უნდა ეცადონ, რომ გამოიყენონ არა ერთჯერადი ჭიქები, თეფშები და ა.შ. სადილობისთვის, არამედ ჭურჭელი, რომელსაც მოხმარების შემდეგ გარეცხავენ და ხელმეორედ გამოიყენებენ. ასევე, მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რომ ქაღალდის ხელსახოცების ნაცვლად გამოიყენონ ნაჭრის ხელსახოცები და გარეცხონ ხელმეორედ გამოყენების მიზნით.

▪ „მიეცით თანამშრომლებს საშუალება იმუშაონ დისტანციურად“. თუ კომპანიის მენეჯმენტს აქვს საშუალება, რომ კვირაში 1 დღე თანამშრომლებმა იმუშაონ დისტანციურად, სახლიდან, ამით შემცირდება ტრანსპორტის საწვავით გამოწვეული გამონახოლქვი. ასევე შეიძლება წახალისოს თანამშრომლების მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარება ან/და ველოსიპედის გამოყენება ახლო მანძილზე გადასადგილებლად.

2. უშუალოდ კომპანიისთვის დადებითი ეფექტის მიღების დაბალი მოლოდინი გარემოსდაცვითი მართვის სისტემების დანერგვით – ხშირ შემთხვევაში მენეჯერებს არ აქვთ გააზრებული ის დადებითი ეფექტი, რაც შეუძლიათ მიიღონ. არადა „მწვანე ინიციატივებს“ შეუძლია დაეხმაროს კომპანიას ხარჯების შემცირებაში. არსებობს კომპანიები, რომელთა კომუნალური გადასახადები 20%-ით და მეტი შემცირდა „მწვანე მართვის“ ხარჯზე. გარდა ამისა, „მწვანე ინიციატივები“ ასტიმულირებენ ინოვაციებს. ზოგიერთმა კომპანიამ აღმოაჩინა შემოსავლების მიღების ახალი წყაროები, სრულიად ახალი პროდუქტების შექმნის, რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები, რაც საშუალებას აძლევს გაზარდონ კონკურენტუნარიანობა ბაზარზე.

განვითარებული ქვეყნების კომპანიებში არსებობს საინტერესო მაგალითები იმის შესახებ, თუ რა სარგებელი ნახეს კომპანიებმა გარემოსდაცვით მართვაზე ძალისხმევის დახარჯვის შედეგად¹:

- კომპანია Staples ყოველწლიურად 4.2 მილიონი დოლარით ამცირებს დანახარჯებს მარტივი გადაწყვეტილებით – კომპანიამ თავის ყველა მაღაზიასა და ოფისში ჩვეულებრივი ნათურები ენერგოეფექტური ნათურებით შეცვალა;
- კომპანია DuPont-ის შეფასებით, მათ 3 მილიარდი დოლარი დაზოგეს მას შემდეგ, რაც დაიწყო ნახშირბადის გამონახოლქვის შემცირებაზე ზრუნვა;
- მსოფლიო ყავის ქსელი Starbucks კი გეგმავს ენერგომოხმარების 25%-ით შემცირებას, რაც მას ხარჯების მნიშვნელოვანი ეკონომიის საშუალებას მისცემს.

3. ჩამოყალიბებული სტრატეგიის არარსებობა გარემოსდაცვით მართვასთან დაკავშირებით – შესაძლებელია კომპანიის მენეჯმენტს ჰქონდეს სრული ინფორმაცია გარემოსდაცვითი მართვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით და იმ დადებითი ეფექტის შესახებ, რაც შეუძლია ორგანიზაციას მოუტანოს ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებამ. ამ შემთხვევაში პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიას არ აქვს ჩამოყალიბებული მკაფიო სამი ან ზუთ წლიანი სტრატეგია ამ მიმართულებით, მოქმედების ერთიანი გეგმა, თუ რა უნდა გააკეთონ და როგორ. ხშირ შემთხვევაში არ

¹ Green Management, Taking Steps Towards a Greener Brand <http://www.mindtools.com/pages/article/green-management-tips.htm>

აქვთ დაგეგმილი წლის განმავლობაში განსახორციელებელი ქმედებებიც კი, რის გამოც ამ კუთხით გატარებული ღონისძიებები არის სპონტანური ხასიათის და ნაკლებად ეფექტური, დამოკიდებულია ცალკეული ადამიანების ინიციატივაზე და ორგანიზებულობაზე.

გეგმის ფარგლებში კომპანიები აწყობენ გამწვანების აქციებს – რგავენ ხეებს კომპანიის სახელით, ზრუნავენ ოფისის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებაზე ან პატარა სკვერების/პარკების მოწყობაზე.

4. გარემოსდაცვითი მართვა, როგორც არადეკლარირებული პრიორიტეტი – არის შემთხვევები, როდესაც გარემოსდაცვითი მართვა კომპანიისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია, მაგრამ ეს არ აქვს დეკლარირებული. მენეჯმენტმა ხაზი უნდა გაუსვას და ხმამაღლა განაცხადოს, როგორც კლიენტებთან, ასევე თანამშრომლებთან, რომ მათი ორგანიზაციისთვის გარემოსდაცვითი მართვა არის ძალიან მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი პირველი რიგის პრიორიტეტულობის ამოცანა.

დეკლარირების შინაარსი უნდა აისახოს ორგანიზაციის მისიასა და ხედვაში და დაეგზავნოს ყველა თანამშრომელს. უნდა შემუშავდეს ერთიანი პოლიტიკა, რომელშიც ასახული იქნება გარემოსდაცვითი მართვის ერთიანი წესები და ინსტრუქციები.

როდესაც კომპანიის მხრიდან არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი, მკაფიო პოლიტიკა, თუ რას აკეთებს ის გარემოს დაცვისთვის, როგორ ზრუნავს ამაზე – თანამშრომლების უმრავლესობასაც არ აქვს გაცნობიერებული გარემოსდაცვითი მართვის მნიშვნელობა და ინსტრუმენტები, ისინი ყოველდღიურ მუშაობაში არ ზრუნავენ იმაზე, რომ გაუფრთხილდნენ გარემოს. ყველაზე გავრცელებული პრობლემები უკავშირდება ქაღალდის არარაციონალურ ხარჯვას, ელექტრო ენერჯის გადაჭარბებულ მოხმარებას, წყლის არარაციონალურ მოხმარებას და ა.შ. რომ არაფერი ვთქვათ პროაქტიულ ღონისძიებებზე, რომელიც მიმართულია გარემოზე დადებითი ზემოქმედებისკენ. მაგალითად – განახლებადი პროდუქტების გამოყენების სტიმულირება, ენერგოეფექტური ნათურების გამოყენება და ა.შ.¹

5. ორგანიზაციაში ე.წ. „მწვანე გუნდის“ არარსებობა (საკითხის პრიორიტეტულობა არ არის ასახული ორგანიზაციულ სტრუქტურაში) – კომპანიების უმეტესობას არ აქვს ეს საკითხი გადაჭრილი სისტემურად, რაც გულისხმობს იმას, რომ არ ჰყავს ცალკე გამოყოფილი პირი ან სტრუქტურული ერთეული, ვინც ამ საკითხზე იქნება პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული კომპანიის მენეჯმენტის წინაშე. რადგანაც ამაზე მიზანიმართულად არავინ მუშაობს, შესაბამისად, მათ მხედველობიდან რჩებათ ის შესაძლებლობები, რომელიც დაეხმარებოდა არა მარტო შეამცირონ გარემოზე ძავე ზემოქმედების ხარისხი, არამედ გაზარდონ ზემოქმედების დადებითი ეფექტები და თავიანთი წვლილი შეიტანონ გარემოს გაუმჯობესებაში.

მსგავსი პოზიცია/სტრუქტურული ერთეული საჭიროა, თუნდაც იმიტომ, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამ გარემოსდაცვითი პოლიტიკის დაცვა პრაქტიკაში (ხდებოდეს წახალისება, კონტროლი და დარღვევებზე ადექვატური რეაგირება).

მაგალითად, პროკრედიტ ბანკში გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მუშაობს ეკო ქვეგანყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესრულების კოორდინაციასა და განხორციელებაზე. საქართველოს საბანკო სისტემაში მხოლოდ პროკრედიტ ბანკში არის შექმნილი ეკო ქვეგანყოფილება, რაც ბანკის სოციალურ-ეკოლოგიურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს. ეკო ქვეგანყოფილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების საქმეში, როგორც თანამშრომლების, ასევე კლიენტებისა და ფართო საზოგადოებისთვის. მის მოვალეობებში შედის ბანკის შიდა გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის დანერგვა, ეკო სესხების გაცემისთვის ზოგადი სტანდარტების შემუშავება და ენერგოეფექტური პროექტების დაფინანსების მხარდაჭერა².

¹ The Challenges of Environmental Problems in Nigeria, S. I. Omofonmwan and G. I. Osa-Edoh, 2008

² გარემოს დაცვა და პროკრედიტ ბანკი

http://www.procreditbank.ge/print.php?item_id=312&content=STATIC_CONTENT

დასკვნა

ამდენად, თუ არ გაიზარდა კომპანიების მენეჯმენტის კომპეტენცია გარემოსდაცვით მართვაში, თუ ასევე არ ამაღლდა თანამშრომლების ცნობიერება ამ კუთხით და თუ სახელმწიფომაც ერთი მხრივ არ წახალისა გარემოსდაცვითი მართვა და მეორე მხრივ არ გაამკაცრა რეგულაციები მისი დაცვისთვის, გარემოს პრობლემები სულ უფრო მწვავე და უარყოფითი შედეგის მომტანი გახდება საზოგადოებისათვის. ამასთან, გარდა კომპანიის შიდა პრობლემებისა, არსებობს ისეთი პრობლემებიც, როგორცაა სუსტი საკანონმდებლო რეგულირება და იმ ინსტიტუტების მცირე რაოდენობა და დაბალი აქტივობა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, პროპაგანდას გაუწევდნენ „მწვანე მართვას“, საჯაროდ ისაუბრებდნენ გარემოსდაცვით მართვაში არსებულ პრობლემებზე და შესაძლებლობებზე.

მიუხედავად ამისა, განვითარებული ქვეყნების წარმატებული კომპანიების მცდელობა – დახარჯონ მნიშვნელოვანი ძალისხმევა (დრო, ფინანსური რესურსები) გარემოზე ზრუნვაში, სამაგალითო ხდება სხვა კომპანიებისთვისაც და ნელ-ნელა განვითარებადი ქვეყნების კომპანიებშიც იკადრებს ფეხს. გარდა ამისა, საგულისხმო ხდება ისიც, რომ ეფექტური გარემოსდაცვითი მართვა კომპანიებს საშუალებას აძლევს შეამცირონ საოპერაციო დანახარჯები, რაც ასევე ბუნებრივი მიმზიდველია. საზოგადოებისთვის სულ უფრო მეტი ინფორმაცია ხდება ამ მიმართულებით ხელმისაწვდომი და იზრდება მათი ცნობიერებაც. ზრდადია სახელმწიფოს როლიც გარემოსდაცვითი მართვის რეგულირებაში. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს – ნელ-ნელა დამკვიდრდეს გარემოსდაცვითი მართვის კულტურა განვითარებადი ქვეყნების კომპანიებშიც.

კომპანიაში გარემოსდაცვითი მართვის ეფექტურად განსახორციელებლად, საჭიროა:

1. არსებობდეს გარემოსდაცვითი მართვის ჩამოყალიბებული სტრატეგია, პოლიტიკა, წესები, მართვის ინსტრუმენტები;
2. თანამშრომლებთან დეკლარირებული იყოს გარემოსდაცვითი მართვის პრიორიტეტულობა, იცნობდნენ ამ კუთხით მათ კომპანიაში არსებული პოლიტიკას და იცოდნენ როგორ განსახორციელონ ის ყოველდღიურ საქმიანობაში;
3. უზრუნველყოფილი იყოს ამ პოლიტიკის დაცვა პრაქტიკაში (ხდებოდეს წახალისება, კონტროლი და დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნატო კირვალიძე, ზაალ ლომთაძე. მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს ორგანიზაციებისთვის, UBCCE – GIZ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2012
2. BP საქართველოში მდგრადი განვითარების ანგარიში 2011
3. გარემოს დაცვა და პროკრედიტ ბანკი
http://www.procreditbank.ge/print.php?item_id=312&content=STATIC_CONTENT
4. The Business of Sustainability, Results and insights from the first annual, Sustainability Survey, MIT Sloan Management Review Global, 2009
5. The Challenges of Environmental Problems in Nigeria, S. I. Omofonmwan and G. I. Osa-Edoh, 2008
6. <http://www.acsregistrars.com/iso-14001>
7. <https://www.daimler.com/sustainability/management>
8. <http://www.ehso.com/EHServices/iso14new.htm>
9. <http://www.epa.gov/ems/>
10. <http://www.iso.org/iso/iso14000>
11. http://link.springer.com/article/10.1007%2F978-1-4020-2186-7_64#page-1
12. Green Management, Taking Steps Towards a Greener Brand http://www.mindtools.com/pages/article/newman_1000.htm
13. <http://www.starbucks.com/responsibility/environment/green-building>

Problems of Environmental Management in Modern Companies

Abstract

In the modern world economy environmental management becomes more and more urgent. According to the most recent reports, 2010, there are 14 000 companies worldwide certified to ISO 14000. Of these, the majority are in Japan (20%), followed by Germany (1 600 companies).

Unfortunately, environmental management takes a small part in companies' activities in developing countries. This is caused by the following major problems:

- 1. Management's lack of environmental management awareness** – Company officials don't know exactly what does "green management" mean. They have a poor understanding of the importance of issue, as well as their role in problem solving.
- 2. Low expectation of having positive impact while implementing environmental management** – Managers usually do not have a clear understanding of how environmental management can benefit them. Green initiatives can help the company save its costs. For example, Office chain Staples® saves \$4.2 million each year simply by changing the light bulbs in its stores and offices, with energy-efficient ones.
- 3. Absence of strategy regarding environmental management** – Companies usually do not have a strategy, neither action plan. For this reason actions they take are spontaneous and less effective.
- 4. Environmental management as an undeclared priority** – Company management should emphasize both with clients and co-workers that environmental management is one of the top priority tasks. In addition it should be represented in company's mission and vision.
- 5. Absence of "green team" in the company** – Most companies do not have systemic decisions made in their organizational structure regard this issue. They do not have separate entity or structural unit responsible for the green management.

Thus, to improve the competence and increase the awareness of employees regarding environmental management is crucial. Otherwise environmental problems will increase.

საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები

შესავალი

უკვე მრავალი ათწლეულია მსოფლიო ეკონომიკა გლობალიზაციის ნიშნებით ხასიათდება. XXI საუკუნე კი ამ კუთხით განსაკუთრებითაა გამორჩეული და სულ უფრო ამჭიდროვებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკებს. ამავდროულად, ცალკე აღებული ქვეყნები მიიღწვიან აწარმოონ ისეთი ხარისხისა და ფასის მატარებელი პროდუქტი, რომელიც მოთხოვნადი იქნება, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ბაზრებზე.

ისეთი მცირე ეკონომიკის, მოსახლეობის და ტერიტორიის მქონე ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რთულია სერიოზულ ეკონომიკურ მიღწევებზე ან/და განსაკუთრებული კონკურენტუნარიანი პროდუქციის არსებობაზე საუბარი. თუმცა, მსოფლიოში ნამდვილად არაერთი იმედისმომცემი მაგალითი არსებობს შედარებით მცირე ერების განსაკუთრებული მიღწევებისა.

ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და მისაბადი ქვეყანა საქართველოსთვის განლაგებული ისრაელი. მით უმეტეს რომ, მეგობრული ქვეყნები საქართველო და ისრაელი, მრავალი ფაქტორით (მოსახლეობის რიცხოვნობა, ტერიტორიის ფართობი, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა, ტერიტორიული პრობლემები და ა.შ.) ერთმანეთს ძალიან გვანან.

აღსანიშნავია, რომ ისრაელი იმ რამდენიმე ქვეყანათაგანია, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისთანავე აღიარა (1992 წლის 1 ივნისს). საქართველოსა და ისრაელის მთავრობებს შორის გაფორმებულია ეკონომიკური ხასიათის შემდეგი ძირითადი შეთანხმებები:¹

- შეთანხმება ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ;
- შეთანხმება ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება საჰაერო ტრანსპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

საქართველოს მოდერნიზებული ეკონომიკური გარემო

მძიმე 90-იანი წლების გადალახვის შემდგომ, ახალ საუკუნეში საქართველოში მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები განხორციელდა, რომლის ძირითადი მიზანი, ქვეყანაში ახალი – დასავლური ტიპის ეკონომიკის და სახელმწიფოებრივი წყობის ჩამოყალიბება გახლდათ. მნიშვნელოვანი მიღწევები შემდეგ დარგებში (კრიმინალთან ბრძოლა, სამართლიანი არჩევნები, ლიბერალური სავაჭრო და ღია საინვესტიციო პოლიტიკა, მოქნილი სავადასახადო რეჟიმი, ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვების გამარტივება და მრავალი სხვა) მიმართული იყო საქართველოს თვისობრივად ახალ სიმაღლეზე ასაყვანად.

ფაქტს, რომ საქართველოს ბიზნესგარემო ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, აღიარებს არა მხოლოდ საქართველო, არამედ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რაც უფრო სარწმუნოს და სანდოს ხდის მის რეპუტაციას. მსოფლიო ბანკის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ღია ქვეყანაა უცხოური (სააქციო) კაპიტალისათვის. კვლევის თანახმად, მოცემულ 33-ვე სექტორში საქართველო (მონტენეგრო, ჩილე და გვატემალასთან ერთად) აბსოლუტური ღიაობით

¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემები საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ: http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=309

გამოირჩევა და არ გააჩნია არავითარი შეზღუდვები უცხოური კაპიტალის მიმართ. ეს მაშინ, როდესაც მრავალი სახელმწიფო ზოგიერთ კონკრეტულ სფეროს მთლიანად ან ნაწილობრივ თავისი გავლენის ქვეშ აქცევს: საფრანგეთი, უკრაინა და ბელორუსი – მედიას; რუსეთი – დაზღვევას; თურქეთი – ელექტროენერჯის და ა.შ.¹

მსოფლიო ბანკის თანახმად საქართველო მსოფლიოში ლიდერია ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივეთა და მასზე დახარჯული დროის სიმცირის მიხედვით (რუანდასა და კანადასთან ერთად) – სულ 4 დღე, მაშინ როდესაც მაგალითად, ჩინეთში აღნიშნულ პროცედურას სამ თვეზე მეტი ვადა ესაჭიროება. საქართველო აგრეთვე ლიდერია ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო პროცედურების მიხედვითაც – მხოლოდ 4 პროცედურა: ა) საზღვარგარეთული მშობელი კომპანიის დოკუმენტაციის ავტორიზაცია; ბ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა (160 ლარი); გ) კომპანიის დარეგისტრირება და შესაბამისი კოდების მიღება; დ) ბანკში კორპორაციული ანგარიშის გახსნა.

საქართველოში ინვესტიციის განსახორციელებლად არ არის საჭირო ინვესტიციის წინასწარი დამტკიცება სამთავრობო ორგანოების მხრიდან, რაც ინვესტიის მოზიდვის კუთხით ბევრ სირთულეს აცილებს ბიზნესმენებს, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არ არის საკმარისი პირობა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისათვის და საჭიროა ინვესტიციათა არა უბრალოდ მოზიდვა ნებისმიერ დარგში, სადაც ამას ინვესტორი მოისურვებს, არამედ მათი წახალისება ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სფეროებში, რომელიც მის გრძელვადიან განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, მაგალითად: თანამედროვე ტექნოლოგიები; ინფრასტრუქტურა; ინოვაციები და სხვ.

რაც შეეხება საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზრდილია საქართველოს საგარეო ვაჭრობა, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის ნაწილში და 2013 წლის მონაცემებით თითქმის §11 მილიარდს გაუტოლდა (1 მლრდ – 2000 წელს).²

აგრეთვე აღსანიშნავია საკმაოდ მნიშვნელოვანი ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში, რომელთა კრებსითმა მაჩვენებელმა 1996-2013 წლებში §11.5 მილიარდს მიაღწია. მათ შორის ყველაზე დიდი ინვესტორები არიან: აშშ – §1.240 მლრდ; გაერთიანებული სამეფო – §1.154 მლრდ და ნიდერლანდები – §1.022 მლრდ. წლების მიხედვით კი ყველაზე დიდი ინვესტიცია საქსტატის თანახმად 2007 წელს განხორციელდა და ის §2 მილიარდს უტოლდებოდა (თუმცა, მსოფლიო ბანკის თანახმად, საქართველოში უცხოურმა ინვესტიციებმა 2007 წელს მხოლოდ - 1.87 მლრდ შეადგინა).³

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურას მრეწველობის დარგების მიხედვით, აღსანიშნავია, რომ 26%-ით მრეწველობა დომინირებს, რომელსაც მოსდევს ვაჭრობა (13%) და ტრანსპორტი/კავშირგაბმულობა (10%).⁴

ისრაელის ეკონომიკა

ისრაელის სახელმწიფომ მსოფლიო ეკონომიკის დინამიური განვითარების თანამედროვე ეპოქაში, დასავლეთის სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, შეძლო უფრო სწრაფი და მობილური რეაგირება მოეხდინა მსოფლიო ბაზრის მუდმივად ცვალებად მოთხოვნაზე, გაეძლო მკაცრი კონკურენციული ბრძოლისათვის და ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა მსოფლიო თანამეგობრობაში.

¹ მსოფლიო ბანკის 2013 წლის მონაცემები ქვეყნების ბიზნეს გარემოს შესახებ: <http://data.worldbank.org/data-catalog/BEEPS>

² საქართველოს სტატისტიკის 2013 წლის მონაცემები საგარეო ვაჭრობის შესახებ: http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

³ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის 2013 წლის მონაცემები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ: http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

⁴ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის 2013 წლის მონაცემები მთლიანი გამოშვების სტრუქტურის შესახებ: http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

ისრაელის სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია ძლიერი სოციალური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს:

- ემიგრანტების სამუშაოდ მოწოდებას;
- კადრების მომზადება/გადამზადებას;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით შეღავათიანი სესხების გაცემას;
- საყოველთაო უფასო სამედიცინო მომსახურებას;
- დედებზე ზრუნვას;
- შეღავათებს მრავალშვილიანი ოჯახებისათვის და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სოციალური დაცვითა და გარანტიებით სარგებლობს ისრაელის ყოველი მოქალაქე (მსგავსი რეფორმის ნიშნები უკვე საქართველოშიც გამოჩნდა საყოველთაო დაზღვევის სახით).

რაც შეეხება ისრაელის ეკონომიკის სტრუქტურას დარგების მიხედვით, აღსანიშნავია, რომ 31%-ით დომინირებს ფინანსური სფერო, რომელსაც 22%-ით მოსდევს მრეწველობა. აგრეთვე მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას – 10%.¹

ისრაელის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა და მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკად ჩამოყალიბების საშუალება მისცა სამხედრო ინდუსტრიამ. 2012 წლის მონაცემებით, ისრაელი სამხედრო ტექნოლოგიების ექსპორტიორთა მსოფლიო ათეულში შედის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ სამხედრო ინდუსტრია მეცნიერებატევადი, კომპლექსური საქმიანობაა, რომელიც მოთხოვნას ქმნის კვალიფიციურ მუშახელსა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, მაშინ ნათელი ხდება, თუ როგორი წარმატებული ქვეყნის ეკონომიკასთან გვაქვს საქმე.

საქართველო-ისრაელის ეკონომიკური თანამშრომლობა

საქართველო-ისრაელის უდიდეს განსხვავებებზე მსოფლიო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი მიგვითითებს, რომლის თანახმადაც საქართველო 72-ე, ხოლო ისრაელი 27-ეა მსოფლიოში. რაც უფრო მნიშვნელოვანია, აღნიშნული კვლევის თანახმად ისრაელი მსოფლიოში მესამეა ინოვაციურობის კუთხით, რაც მის გრძელვადიან განვითარებას განაპირობებს. ხოლო საქართველო კი – 126, რაც ქვეყანაში მიღწეული მრავალი წარმატების გამანეიტრალებელი და გრძელვადიან ასპექტში შესაძლოა ქვეყნის ჩამორჩენილობის და უპერსპექტივობის გარანტი გახდეს.²

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოც და ისრაელიც მცირერიცხოვანი და მცირე ტერიტორიის მქონე ქვეყნებია, ეკონომიკაში მათი განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია. მაგალითად: საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი §26.8 მილიარდს შეადგენს, იგივე მაჩვენებელი ისრაელისთვის §288 მილიარდს უდრის (2013 წელი). ასეთივე განსხვავებაა მშპ-ის მოსახლეობის ერთ სულზე გადაანგარიშებისას – §3.6 ათასი საქართველოსთვის და – §33 ათასზე მეტი ისრაელისათვის, მსოფლიო ბანკის 2013 წლის მონაცემებით.³

ქვეყნის კეთილდღეობის განმსაზღვრელი კიდევ ერთი სტატისტიკური მაჩვენებელია უმუშევრობის დონე, რომელიც საქართველოში 15%-ს, ხოლო ისრაელში 5.8%-ს შეადგენს (2012 წელი).


მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და ისრაელი უკვე დიდი ხანია ვაჭრობენ, მათ შორის საქონელბრუნვას განსაკუთრებული მასშტაბები არასდროს შეუძენია. აღსანიშნავია, რომ 1995 წლიდან მოყოლებული 2013 წლამდე, საქართველოდან მთლიანმა ექსპორტმა ისრაელში სულ რაღაც §72 მილიონი, ხოლო იმპორტმა §328.9 მილიონი შეადგინა (იხ. გრაფიკი 1).

¹ ისრაელის სტატისტიკის დეპარტამენტის 2012 წლის მონაცემები მთლიანი გამოშვების სტრუქტურის შესახებ: <http://www1.cbs.gov.il/publications14/1553/pdf/t01.pdf>

² მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2013-2014 წლის მოხსენება „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“-ს შესახებ

³ მსოფლიო ბანკის 2013 წლის მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის თითოეულ მოსახლეზე სტატისტიკური მონაცემები: <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD/countries?page=3>

გრაფიკი 1. საქართველო-ისრაელის ვაჭრობა, წლების მიხედვით (წმლნ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემები საქართველო-ისრაელის ვაჭრობის შესახებ (2000-2013წლები).

რაც შეეხება ისრაელიდან საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ის პირველად 2001 წელს დაფიქსირდა და სულ რაღაც \$150.8 ათასი შეადგინა. ბოლო წლების განმავლობაში ინვესტიციურმა ნაკადებმა ისრაელიდან იმატა (2011 წელი – \$5.6 მლნ; 2012 წელი – \$9.8 მლნ და 2013 წელი – \$10 მლნ) და მთლიანობაში \$53.3 მილიონს მიაღწია.¹ საინტერესოა, რომ ებრაელი ინვესტორები საქართველოში ყველაზე მეტად ინტერესდებიან ვაჭრობით* (\$9.5 მლნ) და სასტუმროების/რესტორნების ბიზნესით (\$8.6 მლნ), ხოლო ჯანდაცვაში დაბანდებულმა სახსრებმა სავარაუდოდ არ გაამართლა და ებრაული ინვესტიციები ამ სექტორიდან უკუგადინებით ხასიათდება (- \$2.6 მლნ). ერთ-ერთი ყველაზე მცირე დაინტერესებით კი, საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული სოფლის მეურნეობა გამოირჩევა (\$538 ათასი).

ცხრილი 1. ებრაული ინვესტიციები საქართველოში, სექტორების მიხედვით

სექტორი	2010	2011	2012	I კვ. 2013*	II კვ. 2013 *
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	–	–	417.0	53.3	68.3
კონსულტირება*	96.1	106.5	174.0	20.1	10.4
ჯანდაცვა და სოც. დახმარება	-337.1	-505.0	-1,781	–	41.6
დანარჩენი სექტორები**	6,370.0	168.0	979.0	864.2	1,115.3
საფინანსო სექტორი	752.0	198.0	1,282.0	380.7	-275.3
დამამუშავებელი მრეწველობა	–	-168.0	720.0	28.8	28.3
ენერგეტიკა	–	432.0	195.0	–	–
მშენებლობა	-2.1	3,016.0	270.0	166.0	-81.7
სასტუმროები და რესტორნები	-213.0	-123.0	5,383.0	–	3,553.2
ტრანსპორტი /კავშირგაბმულობა	1,072.0	440.0	1,487.0	81.1	-774.3
უძრავი ქონება	201.2	504.0	694.0	-124.7	160.4

* მოიცავს კონსულტირებას, კვლევით-საძიებო სამუშაოებს, რეკლამას, ბაზრის გამოკვლევასა და სხვა სახის მომსახურებას.

** ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება.

¹ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ: http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

დასკვნა

საქართველოს სამომავლო განვითარებისათვის, ისრაელის მიერ ჩატარებული რეფორმები მეტად საინტერესოა და მისი გამოცდილების გაზიარება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქართული ეკონომიკის მშენებლობისათვის.

ამასთან, კავშირუროთიერთობათა მიღწეული დონე ვერ აკმაყოფილებს რეალურ მოთხოვნებს, ამიტომ აუცილებელია მათი შემდგომი გაღრმავება, სათანადო შეთანხმებებზე, პერსპექტიულ გეგმებზე და შესაბამის პროექტებზე დაყრდნობით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ორი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები შეთანხმდნენ სავიწო რეჟიმის გაუქმებაზე, რომელიც ოფიციალურად ძალაში უკვე შესულია და ხელს შეუწყობს როგორც ორი ქვეყნის მოქალაქეების დაახლოებას, ასევე ეკონომიკური კავშირების გამყარებასაც.

საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობების გასაღრმავებლად აგრეთვე, საჭიროა საქართველოში ისეთი ტიპის რეფორმების ჩატარება, რომელიც გზას გაუხსნიდა ებრაელ ინვესტორებს ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციების განსახორციელებლად, მათთვის საინტერესო დარგებში, როგორც შესაძლოა იყოს: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, თანამედროვე ტექნოლოგიები და მრავალი სხვა.

Vakhtang Charaia
Iulia Janashvili
Irakli Murtskhvaladze
Irakli Svanidze

Georgia-Israeli Economic Relations and Development Perspectives

Abstract

For many decades the globalization of the world economy is characterized by different signs. It's hard to talk about serious economic achievements in a country like Georgia, with small open economy, however there are outstanding examples of relatively small nations with big economic achievements.

One of the most prominent and deserving country for us is Israel. Many factors are very similar for these two friendly nations. Despite the fact that the territory and population between Georgia and Israel resemble, the difference of their economy is quite significant.

The Israeli system of government has been able to react faster and mobile to ever-changing demands in the world market, so they occupy worthy place in the world community. Reforms made by Israel's government are very interesting and to share their experiences will be a step forward for Georgia's future development.

The connection level between these two countries does not meet actual demand, so it's necessary to strengthen links with relevant agreements, long-term plans and corresponding projects. To achieve these goals, the two government agreed to abolish visa regime which is already entered into force and gives a chance for further deepening of cooperation.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარემოსდაცვითი ასაქმებები

გარემოს დაბინძურება ნებისმიერი ქვეყნისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. ბუნებრივი რესურსები სწრაფი ტემპებით იწურება, რაც საფრთხეს უქმნის მომავალ თაობებს. მოსახლეობის დიდი ნაწილი კი, საკმაოდ არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება. ერთი მხრივ, თითოეული ქვეყანა ცდილობს მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს და გააუმჯობესოს თავისი მოსახლეობის საცხოვრებელი სტანდარტები, ხოლო მეორე მხრივ, გარემოსდაცვითი პრობლემები სულ უფრო იმატებს რესურსების დიდი რაოდენობის მოხმარების შედეგად. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები ერთნაირად არიან პასუხისმგებლები გარემოზე ზემოქმედების იმ რისკებზე, რაც შესაძლოა მოჰყვეს ეკონომიკურ განვითარებას. განვითარებული ქვეყნები რესურსებს დიდი რაოდენობით იყენებენ, რათა აწარმოონ რაც შეიძლება მეტი საექსპორტო საქონელი, მაშინ, როდესაც შედარებით ღარიბი ქვეყნები არსებულ რესურსებს იყენებენ თავიანთი მზარდი მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მსგავსი სახით რესურსების გამოყენებამ მთელი მსოფლიო საკმაოდ სახიფათო სიტუაციაში მიიყვანა. საბოლოო ჯამში, კი უნდა ითქვას, რომ ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მდგრადი განვითარება საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს¹. ამ კონტექსტში, გარემო და ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ კაპიტალს, რომელიც უნდა შენარჩუნდეს იმისთვის, რომ მდგრად ეკონომიკურ აქტივობებს შეუწყოს ხელი. გადაწყვეტილებების მიმღებებმა უნდა შეაფასონ თითოეული წარმოდგენილი პოლიტიკის, პროგრამისა და პროექტის გარემოზე გავლენა და იმოქმედონ ისე, რომ შეამცირონ გარემოზე უარყოფითი გავლენა და მიიღონ სარგებელი გარემოს გაუმჯობესებისგან. ამდენად, ქვეყნების განვითარება მიმართული უნდა იყოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების კუთხით და აირჩიონ თავიანთი განვითარების გზა მწვანე განვითარების მიმართულებით, რათა შეინარჩუნონ ბუნებრივი სიმდიდრეები და მოახდინონ მათი კაპიტალიზაცია.

ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს შორის კავშირი ყოველთვის წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს სადავო საკითხს. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სიტუაცია კატასტროფულია, რადგან დღითიდღე იზრდება დაბინძურების ახალი წყაროები, ასევე, წარუმატებელია მცდელობა გლობალური დათბობის წინააღმდეგ, თუმცა არიან პოზიტიურად განწყობილებიც: ისინი მიიჩნევენ, რომ ტექნოლოგიური განვითარების შედეგია ის მნიშვნელოვანი პროგრესი, რომელიც მიიღწეულ იქნა ურბანული სანიტარიის, ძირითად ქალაქებში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების და ადამიანებისთვის არსებული მდგომარეობის განვითარების თვალსაზრისით². პირველი ჯგუფი ფოკუსირებას ახდენს დღევანდელ სიტუაციაზე, როდესაც ხშირ შემთხვევაში სერიოზული გარემოსდაცვითი პრობლემები ისევ რჩება, ხოლო მეორე მხარე უფრო გრძელვადიან პერიოდზე აკეთებს გათვლას და აქცენტს აკეთებს საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესებაზე.

¹ Economic Growth and the Environment: A Review of theory and empirics, M. Scott Taylor

² Grossman, G.M. and E. Helpman (1991), "Innovation and Growth". The MIT Press, Cambridge, Massachusetts.

ბოლო პერიოდში, ემპირიული კვლევების ზრდასთან ერთად, უფრო მეტი ყურადღება ექცევა კავშირს ეკონომიკურ ზრდასა და გარემოს დაცვას შორის. ეს დამოკიდებულება აისახება კუზნეცის გარემოსდაცვითი მრუდით¹.

მწარმოებლურობა დინამიკური სისტემების მახასიათებელია, რომლებიც თავისთავად ნარჩუნდებიან დროთა განმავლობაში. არ არსებობს საბოლოო წერტილი, რომლის განსაზღვრაც შესაძლებელია. გარემოსდაცვითი მდგრადობა ნიშნავს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას გრძელვადიან პერიოდში ადამიანის საქმიანობების მუდმივი ზრდის კონტექსტში. მდგრადობის გაზომვის საუკეთესო საშუალების განსაზღვრა სადავოა. ეკონომისტები ხშირად ყურადღებას ამახვილებენ კაპიტალის მარაგებზე. ხოლო ზოგიერთები, გარემოსდაცვით სფეროში ყურადღებას ამახვილებენ ბუნებრივი რესურსების შემცირებასა და იმაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი არსებული რესურსების დონის შენარჩუნება მომავალში.

ასევე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია გარემოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური დატვირთვის მაჩვენებელი და ტერიტორიის ერთეულზე მოსული ეკონომიურ-ეკოლოგიური დატვირთვის მაჩვენებელი, რომლის შემოღების იდეა ეკუთვნის ქართველ პროფესორებს.²

გარემოსდაცვითი მდგრადობის ინდექსი (Environment Sustainability Index – ESI, თანამედროვე პირობებში გამოიყენება ტერმინი Environmental Performance Index - EPI) არის კომპაქტური ინდექსი, რომელიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ სოციო-ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და ინსტიტუციური ინდიკატორების ერთ ჭრილში განხილვა, რომლებიც ახასიათებენ და გავლენას ახდენენ გარემოს მდგრადობაზე. ინდექსი შემუშავდა 1999 წელს პროფესორ დანიელ ესტის მიერ, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტში Center for Environmental Law & Policy-ს ხელმძღვანელობს³. გარემოს მდგრადობის ინდექსი წარმოადგენს კავშირს საზოგადოების ბუნებრივი რესურსების რაოდენობასა და გარემოს დაცვის ისტორიას, დაბინძურების ნაკადებსა და არსებულ რაოდენობას, რესურსების მოპოვების დონეს, ინსტიტუციურ მექანიზმებსა და მომავალში დაბინძურების დონის ცვლილების საშუალებებსა და რესურსების გამოყენების ტრეკტორიას შორის. გარემოს მდგრადობა აერთიანებს საკითხებს ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე და განხილულია საერთაშორისო ჭრილში. გარემოს მდგრადობის ინდექსი და მისი ელემენტები წარმოადგენენ საფუძველს მონაცემებზე დაფუძნებული გარემოს ანალიზისათვის და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ინდექსი გვიჩვენებს, რომ შემოსავალი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გარემოს ძლიერ მართვას, მაგრამ არ იძლევა გარანტიებს. მართლაც, ინდექსი გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნებს, რომლებიც შედარებით მდიდრები არიან, ინდექსის შედარებით დაბალი მაჩვენებლები გააჩნიათ.

გარემოსდაცვითი მდგრადობა საკმაოდ კომპლექსურია და რთული განსასაზღვრი, ამიტომაც გარემოსდაცვითი მდგრადობის ინდექსი ამბობს, რომ მდგრადობას გააჩნია მრავალი განზომილება და განსხვავებული გამოწვევები განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისთვის. განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა იპოვონ გზები, რათა მოახდინონ გარემოზე ინდუსტრიალიზაციის გავლენისა და ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით არაგანახლებადი რესურსების, მართვა. განვითარებადი ქვეყნები კი განახლებადი რესურსების (წყალი და ტყე) ამოწურვის რისკის წინაშე დგანან, ასევე, მათ წინ უდგათ ისეთი გამოწვევები, როგორცაა გარემოს დაცვის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები და შექმნან ფუნქციური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკურ ზრდას. მაშინ, როდესაც ძირითადი გარემოსდაცვითი გამოწვევები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, EPI ხელს უწყობს რელევანტური დამხმარე ჯგუფების შექმნასა და კრიტერიუმების შეფასებას. იქედან გამომდინარე, რომ გარემოსდაცვითი საკითხები საკმაოდ კომპლექსური და მრავალფეროვანია, სწორი

¹ Nkechinyere V. Attah University of Pennsylvania, Environmental Sustainability and Sustainable Growth: A Global outlook, 2010

² შიხაშვილი გ. მდგრადი განვითარების თეორია – ჰარმონიული ეკონომიკურ-ეკოლოგიური მართვის საფუძველი. თბ., 2001

³ Center for Environmental Law & Policy <http://envirocenter.yale.edu/>

პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელია მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. EPI ხელს უწყობს ამ პროცესს¹.

ეკონომიკური ზრდის საწყის ეტაპებზე, გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ ცნობადობა ძალიან დაბალი ან უმნიშვნელოა და ისეთი ტექნოლოგიები თითქმის არ არსებობს, რომლებიც უარყოფით გავლენას არ ახდენენ გარემოზე. გარემოს დეგრადირება იზრდება შემოსავლის ზღვრულ დონემდე ზრდასთან ერთად, რომლის შემდეგაც გარემოს ხარისხი იზრდება მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის უფრო მაღალ დონესთან ერთად. ეს დამოკიდებულება შეგვიძლია გამოვსახოთ შემრუნებული U-ფორმის მრუდით. ეს გვიჩვენებს კუზნეცის დამოკიდებულებას². ხშირად ფიქრობენ, რომ ეკონომიკურ ზრდას მივყავართ გარემოს მდგომარეობის უკეთეს ხარისხამდე. გარემოს დაცვის კუზნეცის მრუდი ხშირად გამოიყენება ამ დამოკიდებულების ასახსნელად. განვითარებადი ქვეყნები იძულებულიები არიან გარემო რესურსები აქტიურად გამოიყენონ და განვითარებასთან ერთად ვერ ახერხებენ დაბინძურებისაგან გარემოს დაცვას. თუმცა, ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან ერთად, განვითარებადი ქვეყნები აღწევნენ შემოსავლის იმ დონეს, რომლის შემდეგაც შეუძლიათ გამოიყენონ წარმოების ეკოლოგიურად სუფთა მეთოდები და ზრდიან სახელმწიფო რესურსებს გარემოს დაცვითი საქმიანობების დასაფინანსებლად. ამ დროს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ზრდა დაკავშირებულია გარემოს ხარისხის ზრდასთან.

ემპირიულ დონეზე არსებობს რიგი კვლევები, რომლებიც ცდილობენ განავითარონ კუზნეცის შეხედულებები. გამოთვლის მეთოდები განსხვავდება და დაფუძნებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდით გამოთვლებზე, იყენებენ რა ისეთ ცვლადებს, როგორებიცაა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, მოსახლეობის სიმჭიდროვე, მიკრო ან მაკრო პოლიტიკის ცვლადები, ვაჭრობის ცვლადები, არაეკონომიკური ცვლადები, როგორებიცაა, წინგინერების დონე ან პოლიტიკური იდეოლოგიები. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ბანკისა და გროსმანისა და კრუგერის გამოთვლებმა, ბოლო პერიოდში, მოიპოვეს აღიარება; რომელიც მიგვითითებს, რომ გარემოს დაბინძურება და შემოსავალი ნაკლებადაა დამოკიდებული ერთანეთზე, ვიდრე ეს ადრინდელი მონაცემებით დასტურდება. დამოკიდებულება ნაკლებად მჭიდროა, ვიდრე ეს ადრინდელი მონაცემებით დასტურდებოდა, რაც გამოწვეულია ქვეყნების სპეციფიკით და ე.წ. ლაგებით, რომლებიც ახასიათებს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს სტრუქტურას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დამოკიდებულება გარემოს დაცვით რეგულაციებსა და კონკურენციას შორის. არსებული ვარაუდით, გარემოსდაცვითი რეგულაციების ხარჯი ანელებს მწარმოებლურობის ზრდას და ხელს უშლის კონკურენციას საერთაშორისო ბაზრებზე. საწინააღმდეგო შეხედულებებით, რომელიც გამოხატულია პორტერის ჰიპოთეზით და გამყარებულია სხვადასხვა კონკრეტული სიტუაციებით, ვლინდება, რომ ფირმები, რომლებიც ფუქციონირებენ მკაცრი გარემოსდაცვითი რეგულაციების ქვეშ, წარმატებულები არიან და მიიჩნევა, რომ მკაცრი გარემოსდაცვითი რეგულაციები ხელს უწყობენ ინოვაციებს, რაც საბოლოო ჯამში ზრდის ფირმების კონკურენტუნარიანობას და შესაძლებლობას იძლევა გადაწონოს ის დანაკარგები, რომლებსაც ფირმები განიცდიან მოკლევადიან პერიოდში რეგულაციების შემოღებისას³. თეორიულ დონეზე ამ ჰიპოთეზის ვალიდურობა ეჭვქვეშ დადგა ეფექტიანობისა და სავაჭრო მოდელის გაუთვალისწინების გამო⁴. ასევე, ეს თეორია გაკრიტიკდა გარემოს დაცვის პოლიტიკის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის უგულბელებოების გამო⁵. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ მკაცრი გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიერ გამოწვეული კაპიტალის ბაზრის მოდერნიზაციამ შესაძლოა არ გამოიწვიოს ის სარგებელი, რაც აღწერილია პორტერის ჰიპოთეზაში, მაგრამ მოსალოდნელია, რომ გაზრდის კაპიტალის ბაზრის მწარმოებლურობას, მოგებაზე შედარებით ნაკლები გავლენითა და ემისიის უფრო მეტად შემცირებასთან

¹ Benchmarking National Environmental Stewardship, Yale Center for Environmental Law and Policy, Center for International Earth Science Information Network, Columbia University, 2005

² David I. Stern, Department of Economics, Rensselaer Polytechnic Institute, Troy, NY 12180, USA, 2003

³ პორტერი და ვან დერ ლინდი, 1995

⁴ სიმპსონი და ბრედფორდი 1996

⁵ პალმერი, ოუტსი და პორტნი, 1995

ერთად. ემპირიული კვლევების შედეგად, რომლებიც სწავლობენ დამოკიდებულებას კონკურენციასა (ძირითადი ფოკუსით ვაჭრობასა და ინვესტირებაზე) და გარემოსდაცვით რეგულაციებს შორის¹ არ ვლინდება მკაცრი პოლიტიკის მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კონკურენციაზე, ან მტკიცებულება, რომელიც ამყარებს იდეას იმის შესახებ, რომ რეგულაცია ხელს უწყობს კონკურენციას. არსებული მონაცემები არ იძლევა შესაძებლობას გაიზომოს რეგულაციის სიმკაცრე, მაგრამ სხვა შესაძლო ახსნა დაუზუსტებელი შედეგებისა არის ის, რომ რეგულაციის მიერ გამოწვეული ხარჯები მთლიანი წარმოების ხარჯების მხოლოდ პატარა ნაწილია და ინვესტიციები დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული ტექნოლოგიების დონეზე, მაშინაც კი თუ ქვეყანაში არ არსებობს გარემოსდაცვითი რეგულაციები.

რაოდენობრივი მაჩვენებლების მიმოხილვა უფრო მეტად გვიჩვენებს მჭიდრო კავშირს ქვეყნის ეკონომიკასა და გარემოს მდგომარეობას შორის. 2014 წლის მონაცემებით, EPI ინდექსის მიხედვით პირველ ადგილზე განვითარებული ქვეყანა შვეიცარია (87,67) გავიდა. პირველ ათეულში შედიან ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან: ლუქსემბურგი (83,29), ავსტრალია (82,4), სინგაპური (81,78), გერმანია (80,47), ესპანეთი (79,79), ავსტრია (78,32), შვედეთი (78,09), ნორვეგია (78,04). 2012 წელს ყველაზე რთული მდგომარეობა ჰქონდათ თურქმენოს, სამხრეთ აფრიკას, ერაყს, ყირგიზეთს, ყაზახეთს, ქუვეითს. 2010 წელს კი, საუკეთესო შედეგი ისლანდიამ აჩვენა, რადგან ეს ქვეყანა ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს სამოქალაქო ჯანდაცვას, ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის შექმნას და სათბურის აირების ემისიაზე კონტროლის მაღალი მექანიზმებით გამოირჩევა².

2014 წელს მსოფლიოს 178 ქვეყნიდან EPI ინდექსის მიხედვით საქართველო 101-ე ადგილს იკავებს 47,23 ქულით³, ბოლო ათი წლის განმავლობაში კი 4,28%-იანი გაუმჯობესება აქვს.

ნახაზ №1-ზე მოცემულია საქართველოს მონაცემები EPI ინდექსის მიხედვით 2003 წლიდან დღემდე. ნახაზიდან ჩანს, რომ ბოლო წლებში საქართველო აუმჯობესებდა თავის შედეგს. მართალია ქვეყნებს შორის რეიტინგში ცვლილება საგრძნობი არ ყოფილა, თუმცა აქ მნიშვნელოვანია თვითონ ინდექსის გაუმჯობესება, რამეთუ ინდექსი მოიცავს ისეთ ცვლადებს როგორებიცაა: ჯანდაცვის შედეგები, ჰაერის ხარისხი, წყალი და სანიტარია, წყლის რესურსებზე გავლენა, სოფლის მეურნეობაზე გავლენა, ტყეების მდგომარეობა, თევზჭერა, ბიომრავალფეროვნება, კლიმატი და ენერჯეტიკა. მიუხედავად მცირედი გაუმჯობესებისა, საქართველო არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება.

2005 წლის მონაცემებით კი, საქართველო 185 ქვეყნიდან 155-ე ადგილზე გავიდა მოსახლეობის ერთ სულზე სათბურის გაზების ემისიის მიხედვით (2,8 ტონა CO2 ეკვ. მოსახლეობის ერთ სულზე)⁴. თუ განვიხილავთ სათბურის გაზების ემისიებს თითოეული სექტორიდან, საქართველოში ყველაზე დიდი წილი ენერჯეტიკისა (საშუალოდ 49%) და სოფლის მეურნეობის (საშუალოდ 26.5%) სექტორებს უკავიათ. მსოფლიო განვითარების ძირითად მიმართულებად ითვლება ენერჯეტიკა. შესაბამისად, მოდერნიზაციის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ენერჯის განახლებადი წყაროების უზარმაზარი შესაძლებლობების გამოყენება. ეს უპირატესობას ანიჭებს ენერჯის წარმოებას განახლებადი წყაროების საფუძველზე. როგორც თანამედროვე განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, მინიმალური მხარდაჭერაც კი პროცესის დაწყებისათვის საკმარისია, შემდგომ ის მიდის როგორც „თოვლის ზვავი“, მუდმივად ზრდადი სიჩქარით. განვითარების ეს მიმართულება უზრუნველყოფს ეროვნულ დამოუკიდებლობას და შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.


¹ კალტი 1998, ტობი 1990

² Country Ranking, Environment Performance Index Report, <http://epi.yale.edu/epi>

³ Country Profile, Environment Performance Index Report, <http://epi.yale.edu/epi>

⁴ ქვეყნების რანჟირება 2005 წელს სათბურის გაზების ემისიის მიხედვით, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, 2005

საქართველოს მონაცემები EPI ინდექსის მიხედვით (2003-2014 წწ)



საქართველოში EPI ინდექსსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის დასადგენად მარტივი რეგრესული ანალიზი გამოიყენეთ, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ ზემოქმედებს EPI ინდექსზე მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (GDPP), საგარეო სავაჭრო ბალანსი (OPEN), ინდუსტრიალიზაციის დონე (INDUST) - ინდუსტრიის პროცენტული წილი მშპ-ში და მთავრობის ზომა (GS):

$$EPI_i = \beta_0 + \beta_1 GDPP_i + \beta_2 OPEN_i + \beta_3 INDUST_i + \beta_4 GS_i$$

მოსალოდნელი იყო, რომ მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-სა და EPI ინდექსს შორის დადებითი კავშირი იარსებებდა, თუმცა რეგრესიის შედეგად მივიღეთ შემდეგი ტოლობა:

$$EPI_i = 42.26 - 0,0019 GDPP + 0,05515OPEN + 0.11861 INDUST + 0.069232GS^1$$

ანალიზმა აჩვენა, რომ თითოეული კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე უარყოფით დამოკიდებულებაშია EPI ინდექსთან, რაც ეწინააღმდეგება კუზნეცის მრუდის ჰიპოთეზას გარემოს მდგრადობასა და ეკონომიკის ზრდასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ინდუსტრიალიზაციის დონეს, ეკონომიკის გახსნილობასა და მთავრობის შესყიდვების წილს მშპ-ში დადებითი გავლენა აქვთ გარემოსდაცვით ინდექსზე.

ალსანიშნავია, რომ მსგავსი კვლევა აგრეგირებულად ჩატარდა განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელმაც აჩვენა, რომ განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი გარემოს მდგრადობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. განვითარებულ ქვეყნებში კი, პირიქით.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს გარემოს მდგრადობის საკითხებსაც. ამჟამად, საქართველოში ღონისძიებები ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ გარემოსდაცვით საკითხებზე, როგორცაა ნარჩენების ეფექტიანი მართვა, წყლის სანიტარია, სათბური აირების შემცირება და ასე შემდეგ. ასევე, აქტიურად ხორციელდება პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია განახლებადი ენერჯის ათვისების ხელშეწყობასა და ენერგოეფექტურობის გაზრდასთან მდგრადი განვითარებისთვის. ამდენად, მსგავსი აქტივობები გვაფიქრებინებს, რომ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, რაც ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის გარდაუვალია, აუცილებლად გაითვალისწინება გარემოსდაცვითი ღონისძიებებიც.

პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია წარმოების მოდერნიზაციის მხარდაჭერა ე.წ. ორმაგი სარგებლის გზით, რომელიც დაკავშირებულია როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფასთან, ისე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებასთან. წარმოების მოდერნიზაციის ასეთი მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს მიდგომა იწვევს როგორც ეკონომიკური მაჩვენებლების, ასევე ადამიანთა ცხოვრების პირობების არსებით გაუმჯობესებას. აუცილებელია ასეთი გამოცდილების

¹ მსოფლიო ბანკის მონაცემები, <http://data.worldbank.org/>

მხარდაჭერა და გავრცელება. ეს არის თანამედროვე ინოვაციური განვითარების ცენტრალური ამოცანა. ამისათვის კი აუცილებელია მკაცრი ეკოლოგიური მოთხოვნები და ეკონომიკური დაინტერესება ერთ სიბრტყეზე აღმოჩნდეს. ყველა შესაძლო მექანიზმების მოცვით მოდერნიზაცია ყველა მხარისათვის მომგებიანი უნდა იყოს.

სწორედ ეკოლოგიური მოთხოვნები განსაზღვრავენ ინოვაციური განვითარების და წარმოების მოდერნიზაციის მიმართულებებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ხანგრძლივი აყვავებული ეკონომიკის განვითარება. ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს უნდა დაემატოს ეკოლოგიური პოლიტიკის პრიორიტეტები. ამ გზით მიდიან განვითარებული ქვეყნები. მთავარი ისაა, რომ მისი რეალიზაცია არ უნდა იყოს იზოლირებული განვითარების მაგისტრალური გზიდან და უნდა იყოს ჩართული ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში, გეგმებში, პროგრამებში. ეკოლოგიური პოლიტიკის პრიორიტეტები, ეკოლოგიური მოთხოვნები უნდა ჩაერთოს განვითარების საერთო გეგმაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო – www.moe.gov.ge
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.geostat.ge
3. მსოფლიო ბანკის მონაცემები, <http://data.worldbank.org/>
4. Benchmarking National Environmental Stewardship, Yale Center for Environmental Law and Policy, Center for International Earth Science Information Network, Columbia University, 2005
5. Center for Environmental Law & Policy <http://envirocenter.yale.edu/>
6. Country Ranking, Environment Performance Index Report, <http://epi.yale.edu/epi>
7. David I. Stern, Department of Economics, Rensselaer Polytechnic Institute, Troy, NY 12180, USA, 2003
8. Economic Growth and the Environment: A Review of theory and empirics, M. Scott Taylor, 2006
9. Grossman, G.M. and E. Helpman (1991), "Innovation and Growth". The MIT Press, Cambridge, Massachusetts
10. Nkechinyere V. Attah University of Pennsylvania, Environmental Sustainability and Sustainable Growth: A Global outlook, 2010
11. Kuznets, P., Simon, P. (1955), "Economic growth and income inequality". American
12. Economic Review 45, 1– 28.
13. <http://www.icrei.org>
14. <http://www.observatoire-territoires-durables.org>

Eka Ghvinjilia
Irma Tkemaladze

Environmental Aspects of Sustainable Economic Development

Abstract

Environment pollution is one of the crucial problems for any country. Natural resources are rapidly expiring, posing a threat to future generations. While the vast majority of the population live in extremely unfavorable economic conditions. On the one hand each country attempts to achieve high economic growth and improve living standards of its population; on the other hand, environmental problems are expanding as a result of the high level of consumption of natural resources. Developed and developing countries are equally responsible for the environmental risks that could be result of the economic development.

Recently, with the growth of the empirical research, more attention is paid to the aspects of economic growth and environmental protection. This relationship is described by Environmental Kuznets Curve. Accordingly, some approaches have changed: There are fewer concerns regarding the exhaustion of oil, and

more concern for air quality and emissions related to global warming and industrial enterprises. Additionally, the paper deals with the environmental sustainability index, which allows discussing relationship of socio-economic, environmental and institutional indicators. According this indicator, the paper overviews current situation in Georgia and compares it with other countries. Quantitative analysis revealed that growth of GDP per capita slightly deteriorates environment in Georgia. This result contradicts the normal Kuznets Curve. However, according other empirical studies similar relationship is characteristic for other developing countries as well.

After reviewing current situation, it can be concluded that for sustainable economic development greening and modernization of the production is essential as well as raising awareness regarding the sustainable development in an early age is crucial. It should be emphasized that ecology policy priorities should be added on economic policy priorities and ecological issues should be reflected in the Economic Development Strategic Plan of the country.

სვანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები

პრობლემის აქტუალობა. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მდიდარი პოტენციალი გააჩნია. დღეისთვის ქვეყნის აგრარული პოტენციალის მესამედს კი არ არის გამოყენებული, ამიტომ მისი წილი ქვეყნის ეკონომიკაში უმნიშვნელოა. სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული კვების პროდუქტი ორ-მესამედზე მეტია, რის შედეგადაც ქვეყანაში კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი მთლიან იმპორტში უფრო სწრაფად შემცირდა ვიდრე ექსპორტში, საქართველოს სასურსათო დამოკიდებულება იმდენად დიდია, რომ იგი ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი კრიტიკული წერტილი ხდება. სურსათის ექსპორტის მაჩვენებელი 4-ჯერ ჭარბობს იმპორტს.¹ ამავე დროს სოფლის მეურნეობაში უკიდურესად დაბალია შრომის ფონდშეიარაღება, შრომის მწარმოებლურობა და შესაბამისად ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. ეს არის ეროვნული ეკონომიკის ერთადერთი დარგი, რომელშიც 2003 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა 14%-ით და უფრო მეტად შემცირდა, მაშინ როდესაც მთლიანად ეკონომიკის ზრდის ტენდენცია შეინიშნება. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი კრიზისულ მდგომარეობაშია და ამდენად პრობლემის აქტუალობაც ცალსახაა.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია ქვეყნის აგრარულ სექტორში შექმნილი მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზი და აგროწარმოებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა, აგროსასურსათო ბაზრებზე კონკურენციის დონის შეფასება და ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გათვლებით წარმოების დომინანტური მახასიათებლების დადგენა, ასევე გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება, კონკრეტულად ზემო სვანეთის რეგიონისთვის.

კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ანალიზის, სინთეზისა და შედარების მეთოდები. პროდუქტის კონკურენტუნარიანობა მიმდინარე პერიოდში შეფასდა „ex-post“ მეთოდით, ხოლო გრძელვადიან პერიოდში – „ex-ante“ ანალიზით და პორტერის „აღმასის“ მოდელით.² ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომიერებების დასადგენად ვისარგებლეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზით და სხვა პუბლიკაციებით. არსებული პრობლემების გამოსავლენად შევიმუშავეთ ღია ინტერვიუს და თხრობითი გამოკითხვის ტიპები, რომლის მეშვეობითაც გამოვკითხეთ სხვადასხვა ექსპერტები.

კვლევის მეთოდები შეირჩა დასმული საკითხების შესაბამისად. მაგალითად, რა ხელშემშლელი ფაქტორები არსებობს სვანეთის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, არის თუ არა რაიმე სახის ბარიერები, რომელიც შეაფერხებს ადგილობრივი აგროსასურსათო ბაზრის ფუნქციონირებას, მათ გატანას საერთაშორისო ბაზრებზე და სხვ.

მოცემულ ნაშრომში აქცენტი გავაკეთეთ კონკრეტულად მესტიის მუნიციპალიტეტზე, რასაც გარკვეული მიზეზები აქვს. კერძოდ, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ეკონომიკური განვითარების გეგმა, არც შიდა და არც გარე ბაზრების შესახებ სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა. ჩვეულებრივ, ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია არა თუ საზღვარგარეთ, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებში მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის, ფასებისა და გაყიდვის შესაძლებლობების შესახებ, ასევე,

¹2013 წელი, პირველი სამი კვარტალი: იმპორტი – 712,8 მლნ. USD; ექსპორტი – 180,7 მლნ. USD.
http://91.208.144.188/Menu.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=en

²ზარაიშვილი ე., ერქომაიშვილი გ. ფირმის ეკონომიკა. თბ., 2011, გვ. 120-135.

თანამედროვე, მაღალეფექტიანი და ეკოლოგიურად უვნებელი ქიმიური საშუალებების მაღალნაყოფიერი, პროდუქტიული მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების თაობაზე. სამწუხაროდ, კონკრეტულ რეგიონებსა თუ მუნიციპალიტეტებში არსებული ეკონომიკური პრობლემების განხილვას მხოლოდ პოლიტიკური დებატების დონეზე აქვს ადგილი და მეცნიერული მსჯელობა არ ახლავს თან. ჰიპოთეზის დონეზე წარმოდგენილი ბევრი პრობლემა და არ არის შემუშავებული მათი გადაჭრის კონკრეტული გზები. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ჩვენი კვლევა და ანალიზი კონკრეტულად სვანეთის რეგიონს უნდა შეხებოდეს.

მესტიის მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება. მესტიის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციულად სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს განეკუთვნება. იგი თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 475-ე კმ-ზე მდებარეობს. გარემოსათვის დამახასიათებელია სუფთა ჰაერი, ბუნებრივი სილამაზე და დაცული ფაუნა, ანუ ყველა ფაქტორი, რომელიც ზამთრისა და ზაფხულის ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. სვანეთს, როგორც დიდი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მქონე რეგიონს, უნიკალური ტურისტული პოტენციალი აქვს.

მესტიის მუნიციპალიტეტში 15 677 კაცი ცხოვრობს, აქედან 50,4% მამაკაცი, ხოლო 49,6% ქალია. მუნიციპალიტეტი მოიცავს 134 სოფელს, რომლებიც გაერთიანებულია 15 ტერიტორიულ ორგანოდ. მე-16 ტერიტორიული ორგანოა დაბა მესტია. დაბის მცხოვრებთა რაოდენობაა 2 916, სოფლებისა კი – 12 761 (44,4% მამაკაცი, 55,6% ქალი). მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა 5% აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირია. მოსახლეობის 99,4%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ.¹

მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყარო არის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან მიღებული მოგება, საჯარო სამსახურები, ტურიზმი და სატყეო მეურნეობა. მესტიის მუნიციპალური ბიუჯეტი 3 მლნ. ლარს შეადგენს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 191 ლარია.

წარსულში მუნიციპალიტეტის ძირითად შემოსავლებს უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობა. დღეს დარგობრივი სტრუქტურა ნაწილობრივ შეიცვალა. ამის მიზეზი ძირითადად ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები იყო. მესტიის მუნიციპალიტეტში წამყვანი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებია: მეცხოველეობა, კარტოფილის მოყვანა, თივის შეგროვება და მეფუტკრეობა. მესტიის მუნიციპალიტეტში მიწის ფონდი 304 450 ჰა-ს შეადგენს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 94 319 ჰა-ს (მიწის ფონდის 30,9%), რომელთაგან 1209 ჰა სახნავია, 2064 ჰა კი სათიბი. საძოვრებს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის 96% უჭირავს, რაც მთლიანი მიწის 30%-ია. ტყეს ტერიტორიის დაახლოებით 46% უკავია.

სვანეთში კარტოფილის წარმოება ერთ-ერთი ძირითადია, ამიტომ ჩავატარეთ ამ პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და შევაფასეთ საექსპორტო პოტენციალი. ადგილობრივ ბაზარზე ქართული პროდუქტის პოზიციის შესუსტებით იმპორტიორებმა ისარგებლეს. საქართველოში კარტოფილის იმპორტი ეგვიპტიდან, გერმანიიდან, ირანიდან, ნიდერლანდებიდან, პაკისტანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან და უკრაინიდან ხორციელდება. ბაზარზე ლიდერის პოზიცია თურქეთს აქვს. 2010 წელს კარტოფილის მთავარი იმპორტიორი სომხეთი იყო – 1 036 700 ტ კარტოფილი; 2011 წელს თურქეთიდან იმპორტირებული კარტოფილის რაოდენობა 46 962 900 ტონას შეადგენდა, 2013 წელს კი კარტოფილის იმპორტი მთლიანად 71%-ით შემცირდა, მათ შორის თურქეთიდან 77%-ით (0,5 მლნ USD), რამაც კარტოფილის ფასის მკვეთრი ზრდა გამოიწვია.²

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ეტაპზე არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოს ადგილობრივ წარმოებას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ამ პროდუქტზე ადგილობრივი მოთხოვნა. 2012 წლის მონაცემებით კარტოფილის მოხმარება 1 სულ მოსახლეზე 52 კგ-ს შეადგენს, მთლიანად მოსახლეობა კი


¹ <http://nala.ge/uploads/mestia.pdf>

² <http://nala.ge/uploads/mestia.pdf>

დაახლოებით 233 532 ტონას მოიხმარს. 2012 წლის მონაცემებით თვითუზრუნველყოფის ინდექსი 89%-ს შეადგენს, რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 14%-ით არის შემცირებული.¹

ბოლო წლების განმავლობაში კარტოფილის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები ხშირ ცვლილებებს განიცდიდა (იხ. ნახაზი 1).

ნახაზი 1. კარტოფილის ექსპორტი, იმპორტი, წმ. ექსპორტი საქართველოში (USD)



როგორც წესი 3 ტონა ვარგისი კარტოფილის თესლი 30-35 ტონა მოსავალს იძლევა. ხოლო გადაგვარებული თესლი კი მხოლოდ 8-9 ტონას, ისიც კარგ შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია თესლის ვარგისიანობა. ამისათვის საჭიროა როგორც თავდაპირველი შესყიდვის დროს კარგი თესლის შექმნა, ასევე, შემდგომ პერიოდში მოსავლის დაცვა მავნებელი პარაზიტებისაგან (როგორც ვიცი, სვანეთში მრავლად არის კოლორადოს ხოჭო, რომელიც მოუწამველობის შემთხვევაში აზიანებს ნარგავებს).

კარტოფილის თესლის ადგილობრივი ჯიში არ არსებობს, მათ შორის არც სვანური, ამიტომ გვიწევს მისი უცხოეთიდან შემოტანა. ექსპორტებთან გასაუბრების შედეგად რეკომენდებულად ჩავთვალეთ „ელიტური“ თესლის შემოტანა, რომელიც 1 კგ 2,6 ლარი ღირს, ხოლო მისი მოსავლიანობა გაცილებით მაღალია სტანდარტული თესლისგან განსხვავებით. ხშირ შემთხვევაში კარტოფილის მწარმოებლები ცალკეული საოჯახო მეურნეობები არიან და მათ არ შესწევთ უნარი შეისყიდონ თესლის დიდი პარტიები და შესაბამისად უწევთ მცირე შესყიდვების განხორციელება მაღალ ფასებში. ამის თავიდან ასაცილებლად კარგი იქნებოდა თუ ეს საოჯახო მეურნეობები მოახერხებდნენ გაერთიანებას შესყიდვის ეტაპზე მაინც და შეიძენდნენ თესლის დიდ პარტიას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მესტიის მუნიციპალიტეტის მიწის ფონდის გარკვეული ნაწილი გამოუყენებელია. თუ მთლიან ფართობს დავაკლებთ იმ ნაწილს, რომელიც უკავია გამოყენებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ტყეს და 200-მდე მცენარეს, შესაბამისად მივიღებთ სწორედ ამ გამოუყენებელ ტერიტორიას, რაც მიწის ფონდის 13,6%-ს (41 405,2 ჰა-ს) შეადგენს. მეცნიერების მოსაზრებებზე დაყრდნობით ამ ფართობის დაახლოებით 30% ვარგისი უნდა იყოს კარტოფილის დასათესად. თუ მისი 50%-ის გამოყენებას მაინც შევძლებთ, მაშინ საქართველოში წარმოებული კარტოფილის რაოდენობა თითქმის 2-ჯერ ხოლო მისი ნათესი ფართობი კი 24.3%-ით გაიზრდება (41 405,2 x 30% = 12421,5; 12422/2 = 6211; 6211 ჰა-ზე დათესვით მივიღებთ 186 330 ტონა მოსავალს, რაც 2012 წლის კარტოფილის მოსავლის 74%-ს შეადგენს; რაც შეეხება ნათეს ფართობს, ის 25 800 ჰა-დან 31 811 ჰა-მდე გაიზრდება).

¹ http://www.fao.org/fileadmin/user_upload/eufao-fsi4dm/doc-training/Georgia_OUC_MoA_March2013_Georgian.pdf

შესაძლო შემოსავლის გამოსათვლელად ვისარგებლოთ შემდეგი მონაცემებით: 1 კგ ელიტა კლასის სათესლე მასალის ფასი 2,6 ლარია; ერთი ჰა-ს მოხვნის საშუალო ღირებულება – 150 ლარი; ერთი ჰა-ს მორწყვა ერთჯერადად – 75 ლარი (სასურველია 2-ჯერ, $75 \times 2 = 150$ ლ.); სხვა ხარჯები – 2 500. ამდენად ერთ ჰა-ზე ფერმერს ელიტა კლასის კარტოფილის დათესვა უჯდება 10 000 ლარი. სხვა თანაბარ პირობებში ის მიიღებს 30 ტონა მოსავალს. თუ ერთი კილოგრამი კარტოფილის გასაყიდი ფასი საშუალოდ 50 თეთრი იქნება, მაშინ წმინდა შემოსავალი რეალიზაციიდან ერთ ჰა-ზე 5 000 ლარს ($30\ 000$ კგ. \times 0,5 ლ. = 15 000 ლ.; $15\ 000 - 10\ 000 = 5\ 000$ ლ.), ხოლო მთელ ახალ ათვისებულ ტერიტორიაზე პირველ წელს 31,055 მლნ ლარს გაუტოლდება ($6\ 211$ ჰა \times 5 000 ლ. = 31 055 000 ლ.; შემდგომი 2-3 წლის მანძილზე უფრო მეტ შემოსავალს მივიღებთ, რადგან თესლს განახლება დაახლოებით 2-3 წელიწადში ერთხელ სჭირდება).

ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე დასამკვიდრებლად კარტოფილი კონკურენტუნარიანი უნდა იყოს. 2004-2012 წლებისთვის კარტოფილის კონკურენტუნარიანობა შევაფასეთ ექსპორტის შედარებითი უპირატესობის (RXA), იმპორტის შედარებითი შემოღწევადობის (RMP) და ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსებით (RTA)¹.

განგარიშების შედეგად მივიღეთ, რომ 2004-2012 წლებში დასახელებული ინდექსები ცვალებადია (იხ. ცხრილი 1).

პროლექტის კონკურენტუნარიანობის ინდექსების დინამიკაში ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგადად კარტოფილისთვის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონეა დამახასიათებელი. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისათვის პრიორიტეტულია იმპორტიდან ადგილობრივ წარმოებაზე რეორიენტაცია.

ცხრილი 1. კარტოფილის კონკურენტუნარიანობის ინდექსები

კარტოფილი			ინდექსი	
RTA	RMP	RXA		
95.2	0.3	95.5	2004	წლები
24.4	0.4	24.8	2005	
28.9	0.9	29.8	2006	
-	2.8	-	2007	
-	1.4	-	2008	
26	0.6	26.6	2009	
1.9	5.3	7.2	2010	
-77.7	79.8	2.1	2011	
-76.2	46.9	0.7	2012	

პორტერის „ალმასის“ მოდელის მიხედვით კარტოფილის კონკურენტუნარიანობა შეფასდა 4 ძირითადი და 2 დამატებითი ფაქტორით. მასალების ანალიზით გამოვლინდა პროლექტის გარკვეული პოტენციური უპირატესობები და ნაკლოვანებები (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. პორტერის „ალმასის“ მოდელი კარტოფილის წარმოებაში

ფაქტორების პირობები	მოთხოვნის პირობები	ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა, და კონკურენცია	მონათესავე და მხარდამჭერი სექტორები	სახელმწიფო ფაქტორები	შანსის ფაქტორები

¹ ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბ., 2011, გვ. 90-99.

პოტენციური უპირატესობები	+იაფი სამუშაო ძალა +მუშახელის ტრადიციული გამოცდილება +ადგილმდებარეობა	+მზარდი შიდა და საერთაშორისო ბაზარი +ჯანსაღ პროდუქტზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია	+ხარისხის ამაღლება +წარმოების დანახარჯების შემცირება +ბაზრიდან კონკურენტთა გასვლის პროცესი	+მაღალხარისხიანი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა +აგრარული სექტორის განვითარების შესაძლებლობები	+დაბალი გადასახადები +მაღალმთიან რეგიონთა მხარდამჭერი პოლიტიკა	+გეოგრაფიული მდებარეობა +ტრადიციები
--------------------------	---	--	--	---	---	--

ცხრილი 2. (გაგრძელება) პორტერის „ალმასის“ მოდელი კარტოფილის წარმოებაში

	ფაქტორების პირობები	მოთხოვნის პირობები	ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა, და კონკურენცია	მონათესავე და მხარდამჭერი სექტორები	სახელმწიფო ფაქტორები	შანსის ფაქტორები
პოტენციური ნაკლოვანებები	-ინსვესტიციების დაბალი დონე -კომპეტენტური კადრების ნაკლებობა - ინფრასტრუქტურის დაბალი ხარისხი -უსაფრთხოების პრობლემები -კომუნიკაციებთან დაკავშირებული სირთულეები	-დაბალი მსყიდველობით უნარიანობა შიდა ბაზარზე -არაეფექტიანი შიდა ბაზრის სტრუქტურა	-მიზნებზე მოკლევადიანი ორიენტაცია -მცირე დანახარჯები კვლევა-განვითარებაზე -გაყიდვებზე ორიენტაცია -ფერმების არახელსაყრელი სტრუქტურა და ზომა	-თანამედროვე კომინუკაციური საშუალებების მიმწოდებლები არ არსებობა -კომუნალური მომსახურების მიწოდების დაბალი დონე -თელის მომწოდებლებზე დამოკიდებულება	- არასრულყოფილი კანონები -სვანეთის რეგიონის არასტაბილურობა - სუბსიდირებისა და მინორბივი ფინანსური მხარდამჭერის დაბალი დონე	-სტიქიური ზონა

კვლევის შედეგები. ჩვენი კვლევა ეფუძნება ექსპერტებისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების 50-მდე ინტერვიუს, რის შედეგადაც გამოიკვეთა სვანეთის სოფლის მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელი შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემები:

- რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი მატების უარყოფითი ბალანსი;¹
- ადგილობრივი ბაზრის მსყიდველუნარიანობის შეზღუდულობა;
- ნამეტი პროდუქტების გასაღების პრობლემა, ჩაბარება-გაყიდვის ბაზრების სიმორე;
- სარწყავი და სადრენაჟო არხების გაუმართავი ფუნქციონირება;

¹ http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=16193

- გამოუყენებელი სავარგულები;
- ეკოლოგიური პრობლემები, ხეების უკონტროლო და მასობრივი ჩეხვა;
- რეგიონიდან მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია ძირითადად რთული სოციალური მდგომარეობით და დასაქმების მცირე პერსპექტივით.

ჩვენი აზრით, ზემო სვანეთში კარტოფილის წარმოების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს სხვადასხვა გადასახადებისგან მწარმოებლების გათავისუფლებითა და სოციალური პაკეტის გაზრდით, ასევე კანონმდებლობის დახვეწით, რაც გულისხმობს ადგილობრივი მწარმოებლების დაცვას იმპორტიორებისაგან. უნდა მოხდეს იმპორტირებული პროდუქტის მკაცრი სანიტარული კონტროლი და დაწესდეს კვოტები, რაც შეზღუდავს იმპორტირებული კარტოფილის მოცულობას და არ გამოიწვევს საბაჟო გადასახადისგან განსხვავებით ფასების ხელოვნურ ზრდას, ხოლო ბაზარზე გაჩენილი დეფიციტის ჩანაცვლება მოხდება ადგილობრივი წარმოებით. ზემო სვანეთის რეგიონში გამოიკვეთა კომუნიკაციის პრობლემა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკომუნიკაციო სისტემის დანერგვა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს თესლის მიმწოდებლებსა და ფერმერებს. ის მოახდენს მათი ფინანსური სახსრების აკუმულირებას და რაციონალურად განახორციელებს თესლის შესყიდვებს, ასევე უზრუნველყოფს მათ ინფორმაციული რესურსებით.

საჭიროა მომზადდეს რაიონის განვითარების კონცეფცია შესაბამისი ხედვით, რომელშიც ეკონომიკის სხვადასხვა დარგის მთელი პოტენციალი უნდა იყოს გათვალისწინებული. ყველა თემისა და სოფლისათვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს მათი შემოსავლების წყაროები და დამოუკიდებლად არსებობის საშუალებები. ჯერჯერობით ამ მიმართულებით მხოლოდ ის კეთდება, რომ მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი იზრდება, თემებსა და სოფლებში მათი საჭიროებების გამოკვეთა მათივე აქტივობით ხდება.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის, კერძოდ სვანეთის რეგიონის, რესურსული პოტენციალის რაციონალურად ათვისებისა და პრიორიტეტული მიმართულებების გამოსავლენად მიზანშეწონილია სტრატეგიული განვითარების კონკრეტული პროგრამების შედგენა, დასაბუთებული კვლევების განხორციელება და შესაბამისი სახელმწიფო მხარდაჭერი პოლიტიკის განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. შრომების კრებული. თბ., 2013
2. ხარაიშვილი ე., მექვაბიშვილი ე., ჩაველიშვილი მ., ნაცვალაძე მ., ლაზარიაშვილი თ. და სხვ. რეგიონული ეკონომიკა. თბილისი, 2004
3. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბ., 2011
4. Baade D. Demographischer Wandel und international Wettbewerbs-fähigkeit Deutschlands. Eine Analyse basierend auf Porters Ansatz. 2007
5. Porter M. Nationale Wettbewerbsvorteile. Erfolgreich konkurrieren auf dem Weltmarkt. Sonderausgabe. Wirtschaftsverlag Ueberreuter, 1993
6. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=16193
7. <http://geostat.ge/?lang=geo>
8. http://www.fao.org/fileadmin/user_upload/eufao-fsi4dm/doc-training/Georgia_OUC_MoA_March2013_Georgian.pdf
9. <http://nala.ge/uploads/mestia.pdf>
10. <http://91.208.144.188/Menu.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531>

Agriculture Development Priorities for Svaneti Region

Abstract

Work offers overview of economic situation in agrarian sector in Georgia, in particular, Svaneti Region. It provides analysis of the degree of competitiveness of the priority products and market entry strategies. Based on Porter's diamond model the following were assessed: factors and demand conditions, firm strategies, structure and competition, related and supporting sectors, state and chance factors. Work provides discussion of the key priorities of state support in agricultural production and offers strategic directions for agriculture development in this region.

Information about conference participants

კლენარული სხდომის მონაწილენი

1. მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტი **ილარიონი (ქიტიაშვილი)**
2. **კაპიტონ ჟორჯოლიანი**, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი
3. **ვლადიმერ პაპავა**, თსუ-ს რექტორი
4. **თეიმურაზ ბერიძე**, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი
5. **დავით ნარმანია**, თსუ პროფესორი
6. **გიორგი შიხაშვილი**, თსუ პროფესორი
7. **ეთერ ხარაიშვილი**, თსუ-ს პროფესორი
8. **იუვალ ფუქსი**, ისრაელის ელჩი საქართველოში
9. **ჯამლეთ ხუხაშვილი**, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათამაგვამდომარე
10. **აიალ კიმში**, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი
11. **ციალა სარაიდაროვი**, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი
12. **ოქსანა რიაბჩენკო**, უკრაინის ბიორესურსების და ბუნებათსარგებლობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

კონფერენციის მონაწილე სტუდენტები

1. **ოთარ აბესაძე**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
2. **ნესტან აბრამიშვილი**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
3. **ანა აკოფაშვილი**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
4. **ვალერი არღუთაშვილი**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
5. **ირაკლი ახალაძე**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
6. **თორნიკე ბერიძე**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
7. **გურამ ბოლქვაძე**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
8. **დარეჯან გაზდელიანი**, აიპ “მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ექიმი
9. **გიორგი გაფრინდაშვილი**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
10. **შორენა გოგიძე**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
11. **ლია გოდერძიშვილი**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
12. **თენგიზ თაქთაქიშვილი**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
13. **გიორგი კლაიჯიშვილი**, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი

14. დავით კეშელავა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
15. ქეთევან კორძაძე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
16. გვანცა კურატიშვილი, თსუ ნორჩ ეკონომისტთა სკოლის მოსწავლე
17. ანა კურტანიძე, თსუ ნორჩ ეკონომისტთა სკოლის მოსწავლე
18. ნათია ლელაშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
19. ტარიელ ლომია, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
20. იანა მედუშოვსკაია, უკრაინის ბიორესურსების და ბუნებათსარგებლობის უნივერსიტეტის სტუდენტი
21. აკაკი მიქაბერიძე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
22. მარიამ მუნჯიშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტი
23. ირაკლი მურცხვალაძე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
24. თორნიკე ნარსავიძე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
25. ჯულიეტა ოქრომჭედლიშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
26. ამი რეზნიკი, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის სტუდენტი
27. ირაკლი სვანიძე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
28. თათია სოსიაშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
29. ლევან ტეფნაძე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტი
30. ირმა ტყემალაძე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
31. მარიამ ფირცხელიანი, წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლე
32. ნონა ქარქუზაშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
33. ნოდარ ქიტიაშვილი, თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის მაგისტრანტი
34. ეკა ღვინჯილია, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
35. მიხაილ შუბანი, უკრაინის ბიორესურსების და ბუნებათსარგებლობის უნივერსიტეტის სტუდენტი
36. სოფო ჩიტაძე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტი
37. ირაკლი ჩიტიძე, თსუ ნორჩ ეკონომისტთა სკოლის მოსწავლე
38. ზაქარია წითლაური, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი
39. ვახტანგ ჭარაია, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
40. ნინო ხარისთვალაშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
41. იულია ჯანაშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი

42. მარიამ ჯიბუტი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი
43. შოთა ჯიბუტი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი

Participants of the plenary session

1. **Iarion (Kitiashvili)**, Metropolitan of Mestia and Zemo Svaneti
2. **Kapiton Zhorzholiani**, Head of Administration of Mestia Municipality
3. **Vladimer Papava**, Rector of TSU
4. **Teimuraz Beridze**, Dean of Faculty of Economics and Business
5. **Davit Narmania**, professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
6. **Giorgi Shikhashvili**, associate professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
7. **Eter Kharashvili**, TSU Professor
8. **Yuval Fuchs**, Ambassador of Israel to Georgia
9. **Jamlet Khukhashvili**, Co-Chairman of World Congress of Georgian Jews
10. **Ayal Kimhi**, professor, Hebrew University of Jerusalem
11. **Tsiala Saraidarov**, professor, Hebrew University of Jerusalem
12. **Oksana Ryabchenko**, professor, National University of Life and Environmental Science of Ukraine

Participant students of the conference

1. **Otar Abesadze**, Ph.D. student at TSU Faculty of Economics and Business
2. **Nestan Abramishvili**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
3. **Irakli Akhaladze**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
4. **Ana Akopashvili**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
5. **Valeri Arghutashvili**, Ph.D. student at TSU Faculty of Economics and Business
6. **Tornike Beridze**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
7. **Guram Bolkvadze**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
8. **Vakhtang Charaia**, Ph.D. student at TSU Faculty of Economics and Business
9. **Sopo Chitadze**, Master's student at TSU Faculty of Economics and Business
10. **Irakli Chitidze**, pupil of TSU School of Youth Economists
11. **Giorgi Gaprindashvili**, Ph.D. student at Faculty of Economics and Business
12. **Darejan Gazdeliani**, Doctor at Social Healthcare Center in Mestia
13. **Eka Ghvinjilia**, Ph.D. student at TSU Faculty of Economics and Business
14. **Lia Goderdzishvili**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
15. **Shorena Gogidze**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
16. **Iulia Janashvili**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
17. **Mariam Jibuti**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
18. **Shota Jibuti**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
19. **Giorgi Kalajishvili**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
20. **Nona Karkuzashvili**, Ph.D. student at TSU Faculty of Economics and Business
21. **Davit Keshelava**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
22. **Nino Kharistvalashvili**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
23. **Nodar Kitiashvili**, Master's student at TSU Institute of Tourism Development
24. **Ketevan Kordzadze**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business

25. **Gvanca Kuratishvili**, pupil of TSU School of Youth Economists
26. **Ana Kurtanidze**, pupil of TSU School of Youth Economists
27. **Natia Lelashvili**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
28. **Tariel Lomia**, Ph.D. student at TSU Faculty of Economics and Business
29. **Yana Medushovskaia**, student at National University of Life and Environmental Science of Ukraine
30. **Akaki Mikaberidze**, Ph.D. student at TSU Faculty of Economics and Business
31. **Mariam Munjishvili**, Master's student at TSU Faculty of Economics and Business
32. **Irakli Murtskhvaladze**, Ph.D. student at TSU Faculty of Economics and Business
33. **Tornike Narsavidze**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
34. **Julieta Okromchedlishvili**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
35. **Mariam Pirtskheliani**, pupil of Saint Ilarion Kartveli Orthodox School-Gymnasium of Mestia
36. **Ami Reznik**, student at Hebrew University of Jerusalem
37. **Mikhail Shuban**, student at National University of Life and Environmental Science of Ukraine
38. **Tatia Sosiashvili**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
39. **Irakli Svanidze**, Bachelor's student at TSU Faculty of Economics and Business
40. **Tengiz Taktakishvili**, Ph.D. student at Faculty of Economics and Business
41. **Levan Tepnadze**, Master's student at TSU Faculty of Economics and Business
42. **Irma Tkemaladze**, Ph.D. student at TSU Faculty of Economics and Business
43. **Zakaria Tsitlauri**, Ph.D. student at St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

შინაარსი Contents

მიმართვა და მოხსენებები პლენარულ სესიონზე Address and presentations on plenary session

1. იუვალ ფუქსი, ისრაელის ელჩი საქართველოში
მიმართვა კონფერენციის მონაწილეებს.....7
Yuval Fuchs, Ambassador of Israel to Georgia
Address to conference participants.....7
2. მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტი ილარიონი (ქიტიაშვილი)
სოფლის მეურნეობის ქრისტიანული საფუძვლები და სასოფლო-სამეურნეო
წარმოების განვითარების პერსპექტივები ზემო სვანეთში.....9
Ilarion (Kitiashvili), Metropolitan of Mestia and Zemo Svaneti
Christian foundations of agriculture and the perspectives of production development
in Zemo Svaneti.....16
3. **Ayal Kimhi, Ami Reznik**
Efficiency Implications of the Dairy Farm Policy Reform in Israel.....17
4. **Яна Медушовская, Оксана Рябченко, Михаил Шубан**
ЗАЩИТА ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ УКРАИНЫ И ИЗРАИЛЯ: СОСТОЯНИЕ РЕК, ИХ
ЗАГРЯЗНЕНИЯ И ОБЩИЕ ПУТИ УСТРАНЕНИЯ ПРОБЛЕМЫ.....25
Yana Medushovskaya, Oksana Ryabchenko, Mikhail Shuban
Environmental Protection in Ukraine and Israel: Conditions of Rivers,
their Contamination and Possible Ways of Collaboration.....29
5. **Циала Сарайдарова, Гиорги Шихашвили**
ПРОБЛЕМЫ ВОДЫ В ИЗРАИЛЕ И ПУТИ ИХ РЕШЕНИЯ.....31
Tsiala Saraidarov, Giorgi Shikhashvili
Water problems in Israel and their Solutions.....34
6. დავით ნარმანია, გიორგი შიხაშვილი
ოსუს-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“-ს საქმიანობა
და სამომავლო გეგმები.....35
Davit Narmania, Giorgi Shikhashvili
Activities and Future Plans of Student Research and Project Center “IDEA” at TSU
Faculty of Economics and Business.....41

სტუდენტების მოხსენებები Students' presentations

1. ოთარ აბესაძე, გიორგი კალაიჯიშვილი, ნინო ხარისთვალაშვილი
ისრაელისა და ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები.....42
Otar Abesadze, Giorgi Kalajishvili, Nino Kharistvalashvili
Economic relations between Israel and EU.....47
2. ნესტან აბრამიშვილი, ქეთევან კორძაძე, ზაკარია წითლაური
წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის შესახებ.....48
Nestan Abramishvili, Ketevan Kordzadze, Zakaria Tsitlauri
Saint Ili the Righteous and Iliia II, Catholicos-Patriarch of Georgia
about Economy and Agriculture53

3.	ანა აკოფაშვილი, დავით კეშელავა მწვანე მენეჯმენტის თეორიული ასპექტები.....	54
	Ana Akopashvili, Davit Keshelava Theoretical aspects of green management	60
4.	ვალერი არღუთაშვილი, თორნიკე ნარსავიძე, ნოდარ ქიტიაშვილი, სოფიო ჩიტაძე ეთნოტურიზმის განვითარების პერსპექტივები სვანეთში.....	61
	Valeri Arghutashvili, Nodar Kitiashvili, Tornike Narsavidze Development of ethno tourism in Svaneti	68
5.	ირაკლი ახალაძე, გიორგი გაფრინდაშვილი, ნინო ხარისტვალიაშვილი ფერმერული მშენებლობის საშვიანობის ორგანიზაცია.....	69
	Irakli Akhaladze, Giorgi Gaprindashvili, Nino Kharistvalashvili Organisation of farm performance.....	74
6.	თორნიკე ბერიძე, გურამ ბოლქვაძე, თენგიზ თაქთაქიშვილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში (პროექტი).....	75
	Tornike Beridze, Guram Bolkvadze, Tengiz Taktakishvili Development of agricultural cooperatives in Georgia (Project).....	81
7.	დარეჯან გაზდელიანი, მარიამ ფირცხელიანი ზემო სვანეთის ეკოლოგიური პრობლემები.....	82
	Darejan Gazdeliani, Mariam Pirtskheliani Ecological Problems in Zemo Svaneti	87
8.	შორენა გოგიძე, ჯულიეტა ოქრომჭედლიშვილი სატყეო-სამეურნეო და ბამბუკანების სტუდენტური პროექტები საქართველოში (პროექტი რუსთაველისთვის).....	88
	Shorena Gogidze, Julieta Okromchedlishvili Students' projects in Georgia in the fields of forestry-farming and planting (Project for Rustavi).....	93
9.	ლია გოდერძიშვილი, თათია სოსიაშვილი მწვანე ბიზნესის მართვა საქართველოს კომპანიებში.....	94
	Lia Goderdzishvili, Tatia Sosiashvili Green Business Management in International Companies.....	98
10.	თენგიზ თაქთაქიშვილი, ქეთევან კორძაძე, ლევან ტეპნაძე ებრაული კიბუცების და მოშავების მენეჯმენტი.....	99
	Ketevan Kordzadze, Tengiz Taktakishvili, Levan Tepnadze Managing Kibbutz and Moshavs in Israel	104
11.	გიორგი კალაიჯიშვილი, ნათია ლელაშვილი, ტარიელ ლომია მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობის ეკონომიკური პოლიტიკა (შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ისრაელის მაგალითზე).....	105
	Giorgi Kalajishvili, Natia Lelashvili, Tariel Lomia Economic Policy for Fostering Green Economy (Comparative analysis for Georgia and Israel).....	112
12.	გვანცა კურატიშვილი, ანა კურტანიძე, ირაკლი ჩიტაძე სოფლის მშენებლობის განვითარების პერსპექტივები.....	113
	Irakli Chitidze, Gvantsa KuratiSvili, Ana Kurtanidze Perspectives for Development of Agriculture.....	121
13.	ნათია ლელაშვილი, აკაკი მიქაბერიძე, ჯულიეტა ოქრომჭედლიშვილი უმაღლესი განათლება მწვანე ეკონომიკის სფეროში.....	122
	Natia Lelashvili, Akaki Mikaberidze, Julieta Okromchedlishvili Higher Education in the Field of Green Economy.....	127
14.	მარიამ მუნჯიშვილი, ნონა ქარქუზაშვილი ბარემოსდაცვითი მართვის პრობლემები თანამედროვე კომპანიებში.....	129
	Nona Karkuzashvili, Mariam Munjishvili Problems of Environmental Management in Modern Companies	135

15. ირაკლი მურცხვალაძე, ირაკლი სვანიძე, ვახტანგ ჭარაია, იულია ჯანაშვილი საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები.....	136
Vakhtang Charaia, Iulia Janashvili, Irakli Murtskhvaladze, Irakli Svanidze Georgia-Israeli Economic Relations and Development Perspectives.....	140
16. ირმა ტყემალაძე, ეკა ღვინჯილია მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარემოსდაცვითი ასპექტები.....	141
Eka Ghvinjilia, Irma Tkemaladze Environmental Aspects of Sustainable Economic Development.....	146
17. მარიამ ჯიბუტი, შოთა ჯიბუტი სვანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები.....	148
Mariam Jibuti, Shota Jibuti Agriculture Development Priorities for Svaneti Region	154
ინფორმაცია კონფერენციის მონაწილეთა შესახებ.....	155
Information about conference participants.....	155
შინაარსი/Contents.....	159